

**აღაგიანი უფლებათა სფეროში ძირითადი  
საერთაშორისო საგარტლუბრივი აქტების  
კრებული**

**პირველი ნაწილი**

**თბილისი - 2001**

კრებული გამოსაცემად მოამზადა

*მარია მერაბიშვილმა*

რედაქტორი

*ლევან ბერძენიშვილი*

ყლის დიზაინი

*ირაკლი მაისურაძისა*

კრებული მომზადებული და გამოცემულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური დახმარებითა და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის (RWT) მხარდაჭერით.

Complier

*Marika Merabishvili*

Editor

*Levan Berdzenishvili*

Cover design

*Irakli Maisuradze*

Prepared and published with financial aid of Sweden International Development Agency (SIDA) and support of Raul Wallenberg Institution (RWT).



წინათქმა	-----	2
<b>ბაქაროს ძირითადი დოკუმენტები</b>		
1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	-----	5
2. კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ	-----	13
3. კონვენცია გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ	-----	39
4. კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ	-----	46
5. კონვენცია განათლების სისტემაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ	-----	77
6. კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ	-----	86
7. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	-----	99
8. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	-----	115
9. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი	-----	142
10. ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ	-----	148
11. კონვენცია სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ	-----	154
12. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	-----	160
13. კონვენცია ადამიანთა რესურსების განვითარების სფეროში პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების შესახებ	-----	181
14. დეკლარაცია რასისა და რასობრივ ცრურწმენათა შესახებ	-----	186
15. კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ	-----	195
16. დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ	-----	213
17. კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ	-----	255
18. ბავშვის უფლებათა კონვენცია	-----	277
19. გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის შესახებ (ერ-რიადის წესები)	-----	307
20. გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის	-----	322
21. ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ	-----	347
22. პარიზის პრინციპები	-----	356
23. ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის უმაღლესი კომისარი	-----	363
24. დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის შესახებ	-----	369

## წინათქმა

გერმანიაში ნაციისტები რომ კომუნისტებს მიაღვნენ, ხმა არ ამოძლია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიაღვნენ და ხმა არ ამოძლია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიაღვნენ და ხმა არ ამოძლია, რაოფ.არ პროფკავშირელი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებზე გადავიდნენ და ხმა არ ამოძლია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შეზღვე მე მომაღვნენ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო.

მარტინ ნილზილოერი, პასტორი, გერმანიის  
ევანგელიკური (ლუთერანული) ეკლესია

ჩვენს საზოგადოებას ხმის ამოღებაზე თავისებური რეაქცია ახასიათებს. ეს გახლავთ, აკვიატებული აზრებით დამძიმებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოფილი ან, კიდევ უფრო პესიმისტური შეფასებით, მომავალი საზოგადოების რეაქცია. ჩვენი, როგორც ერის, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების ბოლოს საზოგადოებრივი ცნობიერება იმდენად დაქინდა, რომ ჩვენი ძველი ტოლერანტობაც კი ეჭვის ქვეშ დადგა. დღეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის ლოგიკა მარტივია: იელოველებს იცავ, ეი. იელოველი ხარ, უმცირესობას იცავ, ეი. დედა სომეხი გყავს, დემოკრატია იცავ, ეი. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტი ხარ და ა.შ. იწყება მტკიცება, იელოველი არ ვარ, დედაჩემი რუხადის ქალია (ხონიდან!), აგენტი არა ვარ... თავდაშემელი საზოგადოება თავის ეფემერულ მიზანს აღწევს: ხშირად თავდაცვის ტონი თავისთავად მიანიშნებს, რომ იელოველობა ცუდია, სომეხი დედა კი - კატასტროფა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, უკანასკნელ წლებში, მცირე ნაბიჯით მაინც წაგვიწვევა წინ: დრო, როდესაც ადამიანის უფლებების დაცვა ნიშნავდა მხოლოდ თანამოაზრეთა უფლებების დაცვას, წარსულს ბარდება. კაცმა რომ თქვას, თანამოაზრეთა უფლებების დაცვა მხოლოდ პირობითად შეიძლება უფლებადაცვით საქმიანობად ჩავთვალოთ, რადგან მას ყველაზე მთავარი კომპონენტი აკლია: მიუკერძოებლობა.

საკუთარი უფლებების ცოდნა და მათი დაცვა არის ადამიანის საზოგადოებაში არსებობის აუცილებელი პირობა. ადამიანი, რომელიც საკუთარ უფლებებს არ იცნობს, ვერ არ არის მოქალაქე. ხოლო ადამიანი, რომელიც საკუთარ უფლებებს იცნობს და არ იცავს, უკვე აღარ გახლავთ მოქალაქე. შესაბამისად, მოქალაქე არის საზოგადოების წევრი, რომელიც, სულ ცოტა, იცნობს და იცავს საკუთარ უფლებებს.

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გვარწმუნებს, რომ მოქალაქეობა საზოგადოების წევრის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი სტატუსია. სათანადო ლიტერატურაში კარგა ხანია ადგილი დამკვიდრეს ახალმა ტერმინებმა “აქტიური მოქალაქე” და “აქტიური მოქალაქეობა”. აქტიური მოქალაქე არის საზოგადოების წევრი, რომელიც

“ეტევა“ კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ სივრცეში, იცნობს და იცავს თავის და სხვის უფლებებს, იხდის გადასახადს და არ ეზარება ფიქრი.

რამდენად შესაძლებელია აქტიური მოქალაქეობა დღევანდელ საქართველოში? პასუხი ძნელი არ არის: მოქალაქეთა უმრავლესობას ასეთი სურვილი არ გააჩნია და არც შეუძლია ეს. ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი დასაშვებზე ბევრად უფრო დაბალი სამოქალაქო კულტურა გახლავთ; მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ სამოქალაქო განათლება ხანგრძლივი, მაგრამ სასრული პროცესია და კანონებისა და უფლებების შესწავლა რთული, მაგრამ პრინციპულად შესრულებადი ამოცანაა, ზემოთ მოტანილი კითხვა სხვაგვარადაც შეიძლება ჩამოვყალიბოთ: რამდენად შეგვიძლია გავითავისოთ სხვა, რამდენად შეგვიძლია იმდენად გავუგოთ უცხოს, რომ ჩვენთვის მოუღებელი მოძღვრებისა თუ ცხოვრების სტილის ადამიანების უფლებები დავიცვათ? ბოლოს და ბოლოს რატომ უნდა შევიწუხოთ სხვისთვის თავი, როცა საკუთარი პრობლემებისთვის ვერ მოგვივლია?

1990-1992 წლებში ჩვენი საზოგადოება ყველაფერთან ერთად მოწმე გახდა პოლიტიკური კურსისა და პოლიტიკური გეგმონების კარდინალური ცვლილებებისა, როდესაც საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, როგორც ამომრჩეველმა, პოლიტიკური კურსი მკვეთრად შეცვალა და ზვიად გამსახურდიას შემდეგ ნაკლები, მაგრამ საკმარისად მკაფიოდ გამოვლენილი ენთუზიაზმით ეღუარა შევარდნაძეს დაუჭირა მხარი. ყოფილი 87 პროცენტია უმრავლესობა შეუპოვარ, მაგრამ მაინც უმცირესობად იქცა, რომლის მოზრდილმა ნაწილმა თავისი იდეალები გამოიცვალა (არ ვიხმაროთ ამ შემთხვევისთვის უხერხული სიტყვა “უღალატა“), მეორე ნაწილმა მარგინალიზაცია დიწყო, მესამე ნაწილი წლების მანძილზე გამოდის პოლიტიკური შოკიდან და მხოლოდ ერთი, მეოთხე ნაწილი, თავისთავად ქვენაწილებად დამოილი, მედგრად ინარჩუნებდა თავდაპირველი იდეებისადმი ერთგულებას. ეს გამოცდილება თვალნათლივ გვაჩვენებს, რა იოლია ერთი შეხედვით მყარი და გარანტირებული უმრავლესობიდან დაუცველ და არამდგრად უმცირესობაში მოხვედრა და როგორ შეიძლება უმოკლეს ხანში ბუმერანგვით უკან მოგიბრუნდეს მთელი ის ბოღმა, რომელსაც უმრავლესობის სახელით უმცირესობას დაანთხვე. 1990-1991 წლებში რომ გამარჯვებულებს სხვების უფლებებზე ეფიქრათ და უმრავლესობის ხშირად ისტორიული აგრესია არ განხორციელებულიყო ფიქტიური “კრემლის აგენტებისა“ და ფსევდო “სამშობლოს მოღალატეების“ მიმართ, ჩვენ შესაძლოა გადავრჩენოდით კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამშობასა და დახვერტილი მიტინგების ტრაგედიას. თავის მხრივ, დამამხობლებს რომ სხვებზე ეფიქრათ და ცინიკურად ფეხქვეშ არ გაეთელათ ახალი უმცირესობის უფლებები, ეროვნული თანხმობის იდეა ასე ძნელი განსახორციელებელი არ იქნებოდა.

აქტიური მოქალაქისათვის გასაგებია, რომ სხვისი უფლებების დაცვა მხოლოდ მაღალი ზნეობისა და რელიგიური მორალის იმპერატივი კი არ

არის, არამედ უაღრესად მნიშვნელოვანი და პრაგმატულად სასარგებლო საქმიანობაცაა, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ენერჯის გონივრული ინვესტირებაა ასპროცენტთან მომგებიან საქმეში, რომელიც სამმაგ დივიდენდს იძლევა: იზრდება ინვესტორის დაცულობის ხარისხი, უმჯობესდება საინვესტიციო გარემო და იზრდება თავად ინვესტორის შინაგანი სამყაროც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს “უცხო” ფენომენს. უცხო ეს გახლავთ ის სარკე, რომელშიც ჩვენ ვჩანვართ. უცხო უფლებების დაცვა არის უფლებათა დაცვა par excellence. ამ საქმეს განსაკუთრებული გააზრება სჭირდება, აქ კი გვაქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, ეს გახლავთ აქტიური მოქალაქეობის განათლებული საზოგადოების მხრიდან ინტელექტუალური მხარდაჭერის პრობლემა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი ინტელექტუალები საბჭოთა დროში დაადგნენ არა დისენტიის, არამედ შინაგანი ემიგრაციის გზას. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენს კუმანიტარულ და ტექნიკურ ინტელიგენციაზე, ბუნებრივია, იმ ხალხის გარდა, ვინც პირველი მღივნების ე.წ. “ამალა” შეადგინა და ზანდაზან მათზეც კი. საუკეთესო შემთხვევაში ჩვენი ინტელექტუალები შეძლებისდაგვარად არ მონაწილეობდნენ ტყუილში, მაგრამ ყველანაირად გაურბოდნენ საჯარო პროტესტის ფორმებს. ამ წრეებში ჩვენი დისიდენტების საქმიანობა არ სარგებლობდა რამენაირი მხარდაჭერით. ეს ინერცია გრძელდება დღესაც: უფლებადაცვითი საქმიანობა ჩვენი ინტელექტუალების უდიდესი ნაწილისათვის კვლავ რჩება ცხოვრების გაუგებარ და მიუღებელ სტილად, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი საქმიანობით ძირითადად მაინც “ახალი” ინტელექტუალები არიან დაკავებული. ჩვენი ინტელექტუალების, ძირითადად “ნამდვილი” უნივერსიტეტების პროფესორისთვის.

ზემოთქმულის გამო ისიც გასაგები ხდება, რომ არაფერი განსაკუთრებით საამაყო და ვინმესთვის დასამაღლებელი არ არის უფლებადაცვით საქმიანობაში, თუმცა ეს ნამდვილად ღირსეული საქმიანობა გახლავთ.

*ლევან ბერძენიშვილი*

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მიღებული და გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის  
217 A. (III) რეზოლუციით, 1948 წლის 10 დეკემბერს

## პრეამბულა

ვინაიდან, ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს,

ვინაიდან, ადამიანის უფლებათა უგულბელობამ და აბუნად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის რწმენას, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ეწებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება, და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია ადამიანთა მაღალ მისწრაფებად,

ვინაიდან, აუცილებელია ადამიანის უფლებებს იცავდეს კანონი იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ უკანასკნელ საშუალებას,

ვინაიდან, აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის,

ვინაიდან, გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და მამაკაცისა და ქალის თანასწორ უფლებიანობისადმი და გადაწყვეტს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში,

ვინაიდან, წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას,

ვინაიდან, ასეთ უფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის,

## **აპიტომ,**

### **გენერალური ასაგბლეა**

აცხადებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომლის შესრულებას უნდა ესწრაფვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, მხედველობაში მიიღებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და უფექტური აღიარება განხორციელების უზრუნველყოფას ეროვნული თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

#### **მუხლი 1**

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მობადლებული აქვთ გონება, სინდისი და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ.

#### **მუხლი 2**

წინამდებარე დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე.

უფრო მეტიც, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა ეს ტერიტორია დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდულია თავის სუვერენიტეტში.

### *მუხლი 3*

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

### *მუხლი 4*

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

### *მუხლი 5*

არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაკუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს.

### *მუხლი 6*

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს, უფლება აქვს ცნონ მისი სამართალსუბიექტობა.

### *მუხლი 7*

ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული კანონით. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის საწინააღმდეგო ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

### *მუხლი 8*

ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეფექტურად აღადგინოს თავისი უფლებები კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისი კონსტიტუციური თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

## მუხლი 9

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაპატიმრებას, დაჭერას ან გაძევებას.

## მუხლი 10

ყოველ ადამიანს, მის უფლება-მოვალეობათა და მისთვის წაყენებულ სისხლის სამართლებრივ ბრალდებათა განსაზღვრისათვის, სრული თანასწორობის საფუძველზე, უფლება აქვს, მისი საქმე საჯაროდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

## მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი დამნაშაულობა დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად სასამართლოს მიერ, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყველა შესაძლებლობით.
2. არავის შეიძლება მსჯავრი დაეღოს ისეთი მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც ჩადენის მომენტში არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. აგრეთვე დაუშვებელია იმაზე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე გამოყენებული იქნებოდა, დანაშაულის ჩადენის დროს.

## მუხლი 12.

არავინ უნდა განიცადოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინისა და კორესპონდენციის, ასევე მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

## მუხლი 13

<sup>1</sup> ყოველ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილებისა და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლება.



2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

#### *მუხლი 14*

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს ღვეწის საწინააღმდეგოდ სხვა ქვეყნებში ეძებოს და ისარგებლოს თავშესაფრით.
2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ღვეწის წინააღმდეგ, რომლის საფუძველს წარმოადგენს არაპოლიტიკური დანაშაულის, ან ისეთი ქმედობის ჩადენა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

#### *მუხლი 15*

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.
2. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან თავისი მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

#### *მუხლი 16*

1. ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე უფლება აქვს დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით შეუღლების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს.
2. ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მეუღლის თავისუფალი და სრული თანხმობის საფუძველზე.
3. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ.

#### *მუხლი 17*

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს ფლობდეს ქონებას როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთად.
2. არავის უნდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად.

## მუხლი 18

ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით; ეს უფლება მოიცავს საკუთარი რელიგიის ან რწმენის შეცვლის, საკუთარი რელიგიის ან აღმსარებლობის, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთად საჯაროდ ან კერძოდ, მოძღვრების, ღვთის მსახურების და რელიგიურ, ან რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულების თავისუფლებას.

## მუხლი 19

ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდევდეს თავის მრწამსს და მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

## მუხლი 20

1. ყოველი ადამიანი სარგებლობს მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების თავისუფლებით.
2. არავინ შეიძლება აიძულონ შევიდეს რაიმე ასოციაციაში.

## მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ, ან თავისუფლად, არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის საჯარო სამსახურში.
3. სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველია ხალხის ნება; ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარ მნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

## მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური დაცვის უფლება და უფლება მოახდინოს თავისი ღირსების შენარჩუნება და თავისი პიროვნების თავისუფალი განვითარება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგში ეროვნული ძალისხმევით და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და თითოეული სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად.

## მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფლად არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს, დისკრიმინაციის გარეშე, თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურების უფლება.
3. ყოველ ადამიანს, რომელიც შრომობს, უფლება აქვს იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
4. ყოველ ადამიანს უფლება აქვს შექმნას პროფესიული კავშირები და თავისი ინტერესების დასაცავად შევიდეს პროფესიულ გაერთიანებებში.

## მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და პერიოდული ანაზღაურებული შვებულების ჩათვლით.

## მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს ქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, ასევე უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის,

ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დეღობა და ჩვილი ბავშვის ყოლა იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობის და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

## *მუხლი 26*

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება უფასო უნდა იყოს სულ მცირე, დაწყებით და ზოგად ღონეზე. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველასათვის მათი უნარის შესაბამისად.
2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისაკენ. განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.
3. მშობლებს აქვთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის განათლების არჩევის პრიორიტეტი.

## *მუხლი 27*

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს სამეცნიერო პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.
2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორიც ის არის.

## კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ

მიღებულია ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის საკითხზე სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციის მიერ, 1951 წლის 28 ივლისს, რომელიც მოწვეულ იქნა გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის 429 (V) რეზოლუციის საფუძველზე

ქალაქია: 1954 წლის 22 აპრილიდან 43-ე მუხლის შესაბამისად

### პრეამბულა

*მაღალი ხელმოწერი მხარეები,*

*ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებად და 1948 წლის 10 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ დააწესეს პრინციპი, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანმა უნდა ისარგებლოს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე,*

*ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არაერთხელ გამოუხატავს თავისი ღრმა დაინტერესება ლტოლვილთა ბელთა და ძლას არ ზოგავდა, რათა უზრუნველყო ლტოლვილთათვის ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით რაც შეიძლება ფართო სარგებლობა,*

*ითვალისწინებენ რა, რომ სასურველია გადაისინჯოს და გაერთიანდეს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ადრე დადებული საერთაშორისო შეთანხმებები და გაფართოვდეს ამ ხელშეკრულებათა გამოყენების სფერო და სათანადო დაცვა ახალი შეთანხმების მეშვეობით,*

*ითვალისწინებენ რა, რომ თავშესაფრის მინიჭების უფლებამ შეიძლება ზოგიერთ ქვეყანას დააკისროს უსაზომო ტვირთი და რომ იმ პრობლემის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა, რომლის საერთაშორისო*

მასშტაბი და ხასიათი აღიარებულია გაერთიანებული ერების მიერ, შეუძლებელია მიღწეულ იქნეს საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე,

**გამოთქვამენ რა სურვილს, რომ ყველა სახელმწიფო, რომელიც აღიარებს ლტოლვილთა პრობლემების კუმანიტარულ და სოციალურ ხასიათს, ყველა ღონეს იხმარს ამ პრობლემის გამო სახელმწიფოებს შორის უთანხმოების თავიდან ასაცილებლად,**

**აღნიშნავენ რა, რომ გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს ევალება ლტოლვილთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციების შესრულებაზე მეთვალყურეობა და აღიარებენ რა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად მიღებულ ღონისძიებათა კოორდინაციის ეფექტურობა დამოკიდებულია უმაღლეს კომისართან სახელმწიფოების თანამშრომლობაზე,**

**შეთანხმდნენ შემდეგზე:**

## თავი I ზოგადი დებულებები

### მუხლი I „ლტოლვილის“ ცნების განმარტება

A. ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება „ლტოლვილი“ ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც:

1. მიიჩნეოდა ლტოლვილად 1926 წლის 12 მაისისა და 1928 წლის 30 ივნისის ან 1933 წლის 28 ოქტომბრისა და 1938 წლის 10 თებერვლის კონვენციებით, 1939 წლის 14 სექტემბრის ოქმით ან ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებით;

ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მისი საქმიანობის პერიოდში მიღებული დადგენილებები სტატუსზე არაუფლებამოსილების შესახებ ხელს არ შეუშლის იმას, რომ ლტოლვილის სტატუსი მიენიჭოს იმ

პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილ პირობებს;

2. 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, აღმსარებლობის, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.

იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, ცნების „მისი მოქალაქეობის ქვეყანა“ ნიშნავს ნებისმიერ იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეც ის არის და ასეთი პირი არ ითვლება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობას მოკლებულად, თუ საფუძვლიანი შიშიდან გამომდინარე, ყოველგვარი დასაბუთებული მიზეზის გარეშე იგი მფარველობისათვის არ მიმართავს ერთ-ერთ იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეც ის არის.

B. (1) ამ კონვენციის მიზნებისათვის პირველი მუხლის A ნაწილში სიტყვები: „1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების“ აღნიშნავს:

1. „ევროპაში 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარ მოვლენებს“; ან
2. „ევროპაში ან სხვა ადგილებში 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარ მოვლენებს“; და ყოველი ხელმომწერი სახელმწიფო ხელის მოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში მიუთითებს სახელდობრ რომელ დასახელებულ მნიშვნელობას უჭერს მხარს ამ კონვენციის ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებაში;

3. ყოველ ხელმომწერ სახელმწიფოს, რომელმაც მიიღო ალტერნატიული მნიშვნელობა, ნებისმიერ დროს შეუძლია (ა) ალტერნატიული მნიშვნელობის მიღებით გააფართოვოს ნაკისრი ვალდებულების მოცულობა (ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით.

C. ამ კონვენციის დებულებები აღარ ვრცელდება A ნაწილის მიერ განსაზღვრულ პირზე, თუ:

1. ნებაყოფლობით კვლავ ისარგებლა თავისი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით, ან
2. დაკარგა რა თავისი მოქალაქეობა, კვლავ ნებაყოფლობით შეიძინა იგი, ან
3. შეიძინა ახალი მოქალაქეობა და სარგებლობს თავისი ახალი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით; ან
4. ნებაყოფლობით კვლავ დამკვიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც მან დატოვა ან რომლის ფარგლებს გარეთაც იგი იმყოფებოდა დევნის შიშის გამო, ან
5. უარს ეკლარ ამბობს თავისი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობაზე, რამდენადაც გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც იგი ლტოლვილად იყო ცნობილი, აღარ არსებობს:

ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება იმ ლტოლვილთა მიმართ, რომლებიც ექცევიან ამავე მუხლის A ნაწილის პირველი პუნქტის ქვეშ, თუ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ადრინდელი დევნიდან გამომდინარე დასაბუთებული მოტივაცია თავიანთი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობაზე უარის სათქმელად.

6. არის რა მოქალაქეობის არმქონე პირი, შეუძლია დაბრუნდეს თავისი ადრინდელ საცხოვრებელ ქვეყანაში, რადგან გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც იგი ლტოლვილად იყო ცნობილი, აღარ არსებობს.



ამ პუნქტის დებულებები არ გამოიყენება იმ ლტოლვილთა მიმართ, რომლებიც ექცვიან ამავე მუხლის A ნაწილის პირველი პუნქტის ქვეშ, თუ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ადრინდელი დევნიდან გამომდინარე დასაბუთებული მოტივაცია თავიანთი ადრინდელ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნებაზე უარის სათქმელად.

- D. ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც ამჟამად სარგებლობს გაერთიანებული ერების სხვა ორგანოების ან დაწესებულებების დაცვით ან დახმარებით, გარდა გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა.

თუკი ასეთი დაცვა რაიმე მიზეზით იქნა შეწყვეტილი მანამდე, ვიდრე ამ პირთა მდგომარეობა საბოლოოდ მოგვარდებოდა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული შესაბამისი რეზოლუციების თანახმად, ეს პირები *ipso facto* სარგებლობენ ამ კონვენციის რეჟიმით.

- E. ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართაც მათი ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება ცნობს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

- F. ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ მან:

- a. ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით მსგავსი ქმედებებისთვის მინიჭებული განსაზღვრების შესაბამისად.
- b. ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მანამ, სანამ ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული;
- c. ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში.

## მუხლი 2 ზოგადი ვალდებულებები

ყველა ლტოლვილი ვალდებულია დაემორჩილოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მიღებულ ზომებს.

## მუხლი 3 დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ხელმომწერი სახელმწიფოები ამ კონვენციის დებულებებს გამოიყენებენ ლტოლვილთა მიმართ რასობრივი, რელიგიური თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

## მუხლი 4 რელიგიური მრწამსი

ხელმომწერი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ლტოლვილებს თავისი რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და ბავშვების რელიგიური აღზრდის თავისუფლების მხრივ სულ ცოტა ისეთსავე კეთილსასურველ გარემოს შეუქმნიან, როგორც საკუთარ მოქალაქეებს.

## მუხლი 5 ამ კონვენციის გარეშე მინიჭებული უფლებები

ამ კონვენციაში არაფერი ზღუდავს იმ უფლებებსა და შელავათებს, რომლებიც ლტოლვილებს ამ კონვენციისაგან დამოუკიდებლად მიანიჭა რომელიმე ხელმომწერმა სახელმწიფომ.

## მუხლი 6 ტერმინი „იმავე გარემოებებში“

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „იმავე გარემოებებში“ ნიშნავს, რომ ლტოლვილი უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერ მოთხოვნას (იმ მოთხოვნების ჩათვლით, რომლებიც ეხება ქვეყანაში ყოფნის ან ცხოვრების ხანგრძლივობასა და პირობებს), რომელსაც იგი ლტოლვილად არყოფნის შემთხვევაში დააკმაყოფილებდა შესაბამისი უფლებით სარგებლობისათვის, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა

დაკმაყოფილებაც, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ლტოლვილს არ ძალუძს.

## მუხლი 7

### გამონაკლისი ნაცვალგების პრინციპიდან

1. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ლტოლვილებს ამ კონვენციის საფუძველზე უფრო კეთილსასურველი სამართლებრივი მდგომარეობა ექმნებათ, ხელმომწერი სახელმწიფო მათ შეუქმნის იმავე მდგომარეობას, რომლითაც საზოგადოდ სარგებლობენ უცხოელები.
2. ხელმომწერ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ცხოვრების სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ყველა ლტოლვილი თავისუფლდება საკანონმდებლო წესით დადგენილი ნაცვალგების მოთხოვნისაგან.
3. ყოველი ხელმომწერი სახელმწიფო შემდგომშიც მიანიჭებს ლტოლვილებს იმ უფლებებსა და შეღავათებს, რომლებიც ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე ეკუთვნოდათ მათ მოცემული სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლისას.
4. ხელმომწერი სახელმწიფოები კეთილგანწყობით მოეკიდებიან ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე ლტოლვილთათვის უფლებებისა და შეღავათების შესაძლებელ მინიჭებას, იმათ გარდა, რაზეც ისინი უფლებამოსილი არიან მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად და ნაცვალგების მოთხოვნისაგან იმ ლტოლვილთა შესაძლებელ გათავისუფლებას, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს.
5. მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები ვრცელდება როგორც ამ კონვენციის მე-13, მე-18, მე-19, 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებული, ისე კონვენციით გაუთვალისწინებელი უფლებებისა და შეღავათების მიმართ.

## მუხლი 8

### გამონაკლისი განსაკუთრებული ზომებიდან

განსაკუთრებული ზომები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის, უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ქონების ან ინტერესების

წინააღმდეგ, ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ არ იქნება გამოყენებული იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ფორმალურად ამ სახელმწიფოს მოქალაქეა, მხოლოდ მისი მოქალაქეობის საფუძველზე.

## მუხლი 9

### დროებითი ღონისძიებები

ამ კონვენციაში არაფერი ზღუდავს ხელმომწერი სახელმწიფოს უფლებას ომის დროს ან სხვა საგანგებო და განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას მიიღოს დროებითი ზომები, რომლებიც მას სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად მიაჩნია ამა თუ იმ პირის მიმართ ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ იმის გარკვევამდე, რომ იგი ნამდვილად ლტოლვილია და რომ შემდეგში აუცილებელია მის მიმართ აღნიშნული ზომების გამოყენება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.

## მუხლი 10

### ბინადრობის უწყვეტობა

1. თუ ლტოლვილი დეპორტირებული იყო მეორე მსოფლიო ომის დროს და გაიგზავნა და ცხოვრობს ერთ-ერთი ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასეთი იძულებით ყოფნის პერიოდი განიხილება, როგორც ამ ტერიტორიაზე კანონიერი ცხოვრების დრო.
2. თუ ლტოლვილი მეორე მსოფლიო ომის დროს იყო დეპორტირებული ერთ-ერთი ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიიდან და ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე დაბრუნდა მუდმივად დამკვიდრების მიზნით, მაშინ დეპორტაციამდელი და მისი შემდგომი ცხოვრების პერიოდი განიხილება როგორც ერთი უწყვეტი პერიოდი ყველა იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ბინადრობის უწყვეტობა.

## მუხლი 11

### ლტოლვილი მეზღვაურები

თუ ლტოლვილები არიან პირები, რომლებიც რეგულარულად მსახურობენ რომელიმე ხელმომწერი სახელმწიფოს დროშით მცურავი გემის ეკიპაჟში, მაშინ ეს სახელმწიფო კეთილგანწყობით მოეკიდება ამ პირთა თავის

ტერიტორიაზე დასახლებასა და მათთვის სამგზავრო საბუთების გაცემას, ან მათთვის მის ტერიტორიაზე შესვლის დროებითი უფლების მიცემას, რომელიმე სხვა ქვეყანაში მათი დასახლების გაადვილების მიზნით.

## თავი II სამართლებრივი სტატუსი

### მუხლი 12 პირადი სტატუსი

3. ლტოლვილების პირადი სტატუსი განისაზღვრება მისი საცხოვრებელი ქვეყნის კანონებით, თუ მას ასეთი არ გააჩნია, მისი ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონებით.
4. ლტოლვილის მიერ ადრე შეძენილი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია მის პირად სტატუსთან, კერძოდ, ქორწინებიდან გამომდინარე უფლებები დაცული იქნება ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ მისი კანონმდებლობით დადგენილ ფორმალობათა შესრულებისას იმ პირობით, რომ ეს უფლება ერთ-ერთი იმ უფლებათაგანია, რომლებიც აღიარებული იქნებოდა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით პირი ლტოლვილიც რომ არ გამხდარიყო.

### მუხლი 13 უძრავი-მოძრავი ქონება

უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის, მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების, საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების მიმართ ხელმომწერი სახელმწიფოები ლტოლვილებს შეუქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს, ან იმაზე არანაკლებს, ვიდრე იმავე ვითარებაში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

### მუხლი 14 საავტორო უფლებები და სამრეწველო საკუთრების უფლება

სამრეწველო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით, როგორცაა: გამოგონების, დიზაინისა და მოდელის, სავაჭრო ნიშნის, საფირმო

სახელწოდების უფლება, ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებზე უფლება, ლტოლვილები მათ საცხოვრებელ ქვეყანაში ისევე იქნებიან დაცული, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები. ნებისმიერი სხვა ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ისინი ისევე იქნებიან დაცული, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქეები.

## მუხლი 15 გაერთიანების უფლება

ხელმომწერი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს არაპოლიტიკური და არამომგებიანი ხასიათის ასოციაციებისა და პროფესიული კავშირების მიმართ ისეთსავე ხელსაყრელ მდგომარეობას შეუქმნიან, რომლითაც იმავე ვითარებაში უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები სარგებლობენ.

## მუხლი 16 სასამართლო დაცვის უფლება

1. ყველა ლტოლვილს აქვს ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სასამართლო ორგანოებისადმი თავისუფალი მიმართვის უფლება.
2. ყველა ლტოლვილი ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მისი ჩვეული საცხოვრებელი ადგილია, მისი მოქალაქეობის მსგავსი მდგომარეობით ისარგებლებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების კერძოდ, იურიდიული დახმარებისა და სასამართლო ხარჯების დაფარვისაგან განთავისუფლების საკითხებში *cautio iudicatum solvi*.
3. ყველა ლტოლვილს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, გარდა მისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნისა, მე-2 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში ექმნება იგივე გარემო, როგორც აქვთ მისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის მოქალაქეებს.

**თავი III**  
**შემოსავლიანი საქმიანობა**

**მუხლი 17**  
**დაქირავებული შრომა**

1. ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს დაქირავებულ შრომაზე უფლების საკითხში უქმნიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ გარემოს, რომლითაც იმავე პირობებში სარგებლობენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები.
2. ნებისმიერ შემთხვევაში, შრომის შიდა ბაზრის დაცვის მიზნით, ის შემზღუდავი ღონისძიებები დადგენილი უცხოელების ან უცხოელთა დაქირავებისათვის, არ იქნება გამოყენებული იმ ლტოლვილთა მიმართ, რომლებზეც ეს ზომები არ ვრცელდებოდა შესაბამისი ხელმომწერი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დროს, ან რომლებიც აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას:
  - a. ქვეყნის ფარგლებში ცხოვრობენ არანაკლებ სამი წლისა;
  - b. რომელთა მეუღლეებსაც აქვთ ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა. ლტოლვილს არ შეუძლია ისარგებლოს ამ დებულებით, თუ მან მიატოვა მეუღლე.
  - c. რომელთა ერთი ან რამდენიმე შვილი ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეა.
3. ხელმომწერი სახელმწიფოები კეთილგანწყობით ეკიდებიან ყველა ლტოლვილის უფლებას დაქირავებული შრომის საკითხში გაუთანაბრდეს მოქალაქეებს; კერძოდ, იმ ლტოლვილთა უფლებებს, რომლებიც შეეიძინენ მათ ტერიტორიაზე სამუშაო ძალის შევსების პროგრამით ან იმიგრაციის გეგმების თანახმად.

მუხლი 18  
თვითდასაქმება

ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან ხელსაყრელ გარემოს, ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, რომლითაც ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები მსგავს პირობებში სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ხელოსნობასა და ვაჭრობაში დამოუკიდებლად მონაწილეობისა და აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო კომპანიების დაფუძნების უფლებასთან დაკავშირებით.

მუხლი 19  
თავისუფალი პროფესიები

ყოველი ხელმომწერი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს, რომელთაც აქვთ ამ სახელმწიფო ან კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ აღიარებული დიპლომი და სურთ დასაქმებული იყვნენ თავისუფალი პროფესიებით, უქმნის მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს, ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

ხელმომწერი სახელმწიფო მათი კანონებითა და კონსტიტუციით დაშვებულ ყველა ზომას მიმართავს, ასეთ ლტოლვილთა განსახლების მეტროპოლიის გარეშე ტერიტორიებზე უზრუნველსაყოფად, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის პასუხისმგებელია.

თავი IV  
სოციალური უზრუნველყოფა

მუხლი 20  
საბარათო სისტემა

იქ სადაც არსებობს საბარათო სისტემა, რის საშუალებითაც რეგულირდება მთელი მოსახლეობისათვის დეფიციტური პროდუქტების საერთო განაწილება, ასეთი სისტემა მოქალაქეებთან თანასწორობის პრინციპით გამოიყენება ლტოლვილების მიმართ.



## მუხლი 21 საბინაო საკითხი

იმდენად, რამდენადაც საბინაო საკითხი კანონდებლობით ან დებულებით რეგულირდება ან სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, ხელმომწერი სახელმწიფოები თავის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს, ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

## მუხლი 22 სახალხო განათლება

1. ხელმომწერი სახელმწიფოები დაწყებითი განათლების საკითხში ლტოლვილებს უქმნიან მოქალაქეების მსგავს უფლებრივ მდგომარეობას.
2. დაწყებითი გარდა საჯარო ატესტატების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობის, სწავლების გადასახადისა და მოსაკრებლისაგან გათავისუფლების, აგრეთვე სტიპენდიების მინიჭებასთან მიმართებით, ხელმომწერი სახელმწიფოები ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს და ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

## მუხლი 23 სახელმწიფო შემწეობა

ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს სახელმწიფო შემწეობისა და დახმარების სახით ისეთივე გარემოს უქმნიან, როგორც სარგებლობენ მათი მოქალაქეები.

## მუხლი 24 შრომის კანონმდებლობა და სოციალური დაცვა

1. ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს ისეთსავე გარემოს უქმნიან, როგორც სარგებლობენ მათი მოქალაქეები, კერძოდ, შემდეგ საკითხებში:

(a) შრომის ანაზღაურება ოჯახზე გაცემული დახმარების ჩათვლით, თუ ასეთი დახმარება შრომის ანაზღაურების ნაწილია, ნორმის ზევით მუშაობა, კუთვნილი შევსება, შინ მუშაობის შეზღუდვა, დაქირავებით მომუშავე პირთა მინიმალური ასაკი, სწავლა და პროფესიული მომზადება, ქალთა და მოზარდთა შრომა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა უპირატესობით სარგებლობა – იმდენად რამდენადაც ეს საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით ან ექვემდებარება ადმინისტრაციული ხელისუფლების კონტროლს.

(b) სოციალური დაცვა (სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეხება უბედურ შემთხვევებს სამუშაოზე, პროფესიულ დაავადებებს, დედაობას, ავადმყოფობას, ინვალიდობას, მოხუცებულობას, გარდაცვალებას, უმუშევრობას, ვალდებულებებს ოჯახის წინაშე და სხვა შემთხვევებს, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად სოციალური დაცვის სისტემით არის გათვალისწინებული) შემდეგი შეზღუდვებით:

(i) შეიძლება არსებობდეს შეძენილ უფლებათა და შეძენის პროცესში მყოფ უფლებათა დაცვის სათანადო წესი;

(ii) ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს მთლიანი ან ნაწილობრივი დახმარების მიღების სპეციალური პროცედურა, რომელიც მთლიანად სახელმწიფო სახსრებიდან გაიცემა და იმ დახმარებისა, რომელიც ეძლევა პირებს, რომლებმაც არ შეასრულეს ნორმალური პენსიის მისაღებად

2. სამუშაოზე უბედური შემთხვევისა თუ პროფესიული დაავადების შედეგად ლტოლვილის გარდაცვალების გამო კომპენსაციის უფლებაზე გავლენას არ მოახდენს ის გარემოება, რომ მოსარგებლე პირი არ ცხოვრობს ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
- 3.. ხელმომწერი სახელმწიფოები შეძენილ და შეძენის პროცესში მყოფ უფლებათა განხორციელების თაობაზე მათ შორის დადებული ან დასადები ხელშეკრულებების საფუძველზე, ლტოლვილებს უწევენ სოციალურ დახმარებას, რომელიც გამოიყენება ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ საკუთარი მოქალაქეების მიმართ.
4. ხელმომწერი სახელმწიფოები, შესაძლებლობის ფარგლებში, კეთილგანწყობით მოეკიდებიან ლტოლვილებისათვის მსგავსი შეთანხმებებიდან გამომდინარე იმ უპირატესობების მინიჭების საკითხს, რომლებიც ყოველ მოცემულ მომენტში ძალაშია ხელმომწერ და არახელმომწერ სახელმწიფოებს შორის.

## თავი V ადმინისტრაციული ღონისძიებები

### მუხლი 25

#### ადმინისტრაციული დახმარება

1. იმ შემთხვევაში, როცა ლტოლვილის მიერ მისი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა მოითხოვს იმ უცხო სახელმწიფოს დახმარებას, რომელსაც ეს ლტოლვილი ვერ მიმართავს, ამ ლტოლვილის ადგილსამყოფელი ხელმომწერი სახელმწიფო იღებს ყველა ზომას მოცემული ქვეყნის ან რომელიმე საერთაშორისო ორგანოს მიერ მისთვის დახმარების აღმოსაჩენად.
2. პირველ პუნქტში აღნიშნული ხელისუფლების ორგანო ან ორგანოები ლტოლვილებს თვითონ ან თავიანთი ზედამხედველობის ქვეშ უზრუნველყოფენ იმ საბუთებითა და მოწოდებებით, რომლებიც

უცხოელებს ჩვეულებრივ ეძლევათ ხელისუფლების ორგანოების ან მათი მოქალაქეობის სახელმწიფოს შესაბამის ორგანოთა მიერ.

3. ამგვარი წესით გაცემული საბუთები ან მოწმობები ცვლიან ხელისუფლების ორგანოების ან მათი მოქალაქეობის სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ უცხოელებზე გაცემულ ოფიციალურ საბუთებს, რომლებიც იურიდიული ძალის მქონეა, სანამ არ დამტკიცდება, რომ ისინი ძალადაკარგულია.
4. ხელმოკლე პირებისათვის მინიჭებული განსაკუთრებული შეღავათების გარდა ამ მუხლში აღნიშნულ მომსახურებისათვის შეიძლება საფასურის გადახდევინება, მაგრამ ასეთი საფასური უნდა იყოს ზომიერი და საკუთარი მოქალაქეებისათვის ანალოგიურ მომსახურებზე დადგენილის შესაბამისი.
5. ამ მუხლის დებულებები ვრცელდება 27-ე და 28-ე მუხლზე მათთვის ზიანის მიუყენებლად.

#### მუხლი 26

##### გადაადგილების თავისუფლება

ყოველი ხელმომწერი სახელმწიფოს მის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ლტოლვილებს მისცემს საცხოვრებელი ადგილის არჩევის და მის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებას იმავე პირობებით, რომლებსაც მსგავს შემთხვევებში ჩვეულებრივ იყენებენ უცხოელთა მიმართ.

#### მუხლი 27

##### პირადობის დამადასტურებელი საბუთები

ხელმომწერი სახელმწიფოები გასცემენ პირადობის დამადასტურებელ საბუთებს მათ ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებზე, რომელთაც არ გააჩნიათ მოქმედი სამგზავრო საბუთები.

#### მუხლი 28

##### სამგზავრო საბუთები

1. ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ლტოლვილებზე გასცემენ მათი ტერიტორიის გარეთ გადაადგილებისათვის საჭირო სამგზავრო საბუთებს, მაშინ, როცა

არ არსებობს სახელმწიფოში უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ანგარიშგასაწვევი მიზეზები, ასეთი საბუთების მიმართ გამოიყენება ამ კოვენციაზე თანდართული წესები. ხელმომწერ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი სამგზავრო საბუთები მისცენ ამ ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ სხვა ლტოლვილს, კერძოდ, ისინი კეთილგანწყობით მოეკიდებიან მსგავსი სამგზავრო საბუთების გაცემას მათ ტერიტორიაზე მყოფი იმ ლტოლვილებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მიიღონ სამგზავრო საბუთები იმ ქვეყანაში, სადაც კანონიერად ცხოვრობენ.

2. ადრინდელი საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ამ შეთანხმებათა მონაწილეების მიერ ლტოლვილებზე გაცემულ სამგზავრო საბუთებს, ხელმომწერი მხარეები ზუსტად ისევე განიხილავენ, როგორც ამ მუხლის საფუძველზე გაცემულს.

## მუხლი 29

### სახაზინო გადასახადები

1. ხელმომწერი სახელმწიფოები ლტოლვილებს არ დაბეგრავენ რაიმე ბაჟით, მოსაკრებლით და გადასახადით, რომელიც განსხვავდება ან აღემატება მსგავს პირობებში საკუთარი მოქალაქეებისათვის დადგენილს.
2. წინა პუნქტის დებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ლტოლვილთა მიმართ კანონმდებლობის გამოყენებას, რომელიც უცხოელთათვის ადმინისტრაციული საბუთების, მათ შორის, პირადობის მოწმობის გაცემისათვის დადგენილ მოსაკრებელს ეხება.

## მუხლი 30

### ქონების გადატანა

1. ხელმომწერი სახელმწიფო მისი კანონმდებლობის შესაბამისად ნებას უნდა მისცეს ლტოლვილებს გადაიტანონ მის ტერიტორიაზე შემოტანილი ქონება სხვა ქვეყანაში, სადაც მათ დასასახლებლად შესვლის ეფლება მიეცათ.
2. ხელმომწერი სახელმწიფო კეთილგანწყობილებით მოეკიდება ლტოლვილთა შუამდგომლობებს გაიტანონ ქონება იმ ქვეყანაში,

სადაც მათ მიეცათ შესვლის უფლება, იმისდა მიუხედავად, თუ სად ინახება იგი.

### მუხლი 31

თავშესაფარის მიმცემ ქვეყანაში უკანონოდ მყოფი ლტოლვილები

1. ხელმომწერი სახელმწიფოები არ დასჯიან მათ ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის ან ყოფნისათვის ლტოლვილებს, რომლებიც შემოვიდნენ უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას პირველი მუხლით გათვალისწინებული საშიშროება ემუქრებოდა, უნებართვოდ იმყოფებიან ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე – იმ პირობით, რომ ასეთი ლტოლვილები დაუყოვნებლივ თავად გამოცხადდებიან ხელისუფლების ორგანოებში და სათანადო განმარტებებს წარადგენენ თავისი უკანონო შემოსვლის ან ყოფნის შესახებ.
2. ხელმომწერი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს გადაადგილების თავისუფლებაში არ შეავიწროებენ ისეთი შეზღუდვებით, რაც აუცილებლობით არ არის გამოწვეული და ასეთი შეზღუდვები გამოიყენება იქამდე, ვიდრე მოცემულ ქვეყანაში არ მოწესრიგდება ასეთ ლტოლვილთა სტატუსი, ან სანამ ისინი არ მიიღებენ სხვა ქვეყანაში შესვლის უფლებას. ხელმომწერი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს მისცემენ საკმაო ვადას და ყველა საჭირო პირობას შეუქმნიან სხვა ქვეყანაში შესვლის უფლების მისაღებად.

### მუხლი 32

გასახლება

1. ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს გააძევენ მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის მოსაზრებებიდან გამომდინარე.
2. ასეთი ლტოლვილების გასახლება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებები სხვაგვარად მოითხოვს. ლტოლვილებს უფლება მიეცემათ თავის გასამართლებლად თვითონ ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოადგინონ მტკიცებულებანი და

გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილებები სათანადო ინსტანციებში ან სათანადო ინსტანციების მიერ საგანგებოდ დანიშნული პირის თუ პირების წინაშე.

3. ხელმომწერი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს საკმარის ვადას მისცემენ სხვა ქვეყანაში შესვლის კანონიერი უფლების მისაღებად. ხელმომწერი სახელმწიფოები უფლებას იტოვებენ ამ ვადის განმეულობაში გამოიყენონ შიდა ხასიათის ისეთი ზომები, რომლებსაც აუცილებლად მიიჩნევენ.

### მუხლი 33

გასახლების ან იძულებით დაბრუნების აკრძალვა („*refoulement*“)

1. არცერთი ხელმომწერი სახელმწიფო არ გაასახლებს ან არ დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა თუ პოლიტიკური მრწამსის გამო.
2. ეს დებულება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ანგარიშგასაწვეი მიზეზების გამო სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავდებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

### მუხლი 34

ნატურალიზაცია

ხელმომწერი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციასა და ნატურალიზაციას. კერძოდ, ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა დააჩქარონ ნატურალიზაციის საქმის წარმოება და მასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისა და ხარჯების შესაძლო შემცირება.

**თავი VI**  
**გარდამავალი დებულებები და აღსრულება**

**მუხლი 35**

ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობა გაერთიანებულ ერებთან

1. ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ან გაერთიანებული ერების ნებისმიერ სხვა ორგანოსთან, რომელსაც შეიძლება გადაეცეს მისი ფუნქციების შესრულება და, კერძოდ, ხელს შეუწყობენ ამ კონვენციის დებულებების გამოყენებაზე მის მიერ სამეთვალყურეო მოვალეობის შესრულებას.
2. იმისათვის, რომ უმაღლესი კომისრის სამსახურს ან გაერთიანებული ერების ნებისმიერ სხვა ორგანოს, რომელიც მას ჩაენაცვლება, შესაძლებლობა მიეცეს წარუდგინოს მოხსენებები გაერთიანებული ერების სათანადო ორგანოებს, ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ ამ უკანასკნელს სათანადო ფორმით მიაწოდონ მათ მიერ გამოთხოვილი ცნობები და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხება:
  - a. ლტოლვილთა მდგომარეობას,
  - b. ამ კონვენციის ცხოვრებაში გატარებას, და
  - c. კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ძალაშია ან შესაძლებელია შემდგომში შევიდეს ძალაში ლტოლვილთა შესახებ.

**მუხლი 36**

ინფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ

ხელმომწერი სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს აცნობენ ამ კონვენციის ცხოვრებაში გატარების მიზნით მათ მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესახებ.

**მუხლი 37**

ამ კონვენციის მიმართება ადრე დადებულ კონვენციებთან

ამ კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის ძალაში დატოვებით ეს კონვენცია მასში მონაწილე მხარეებისათვის ცვლის 1922 წლის 5



ივლისის, 1924 წლის 31 მაისის, 1926 წლის 12 მაისის, 1928 წლის 30 ივნისისა და 1935 წლის 30 ივლისის შეთანხმებებს, 1933 წლის 28 ოქტომბრისა და 1938 წლის 18 თებერვლის კონვენციებს, 1929 წლის 14 სექტემბრის ოქმსა და 1946 წლის 15 ოქტომბრის შეთანხმებას.

## თავი VII დასკვნითი დებულებები

### მუხლი 38 დაეების გადაწყვეტა

ამ კონვენციის მონაწილეთა შორის მისი განმარტების ან გამოყენების თაობაზე წამოჭრილი ყველა დავა, რომლებიც სხვაგვარად ვერ გადაწყდება, ნებისმიერი მოდავა მხარის მოთხოვნით გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს.

### მუხლი 39 ხელმოწერა, რატიფიკაცია და მიერთება

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ქ. ჟენევაში 1951 წლის 28 ივლისიდან და ამის შემდეგ დეკლარებული იქნება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან. იგი 1951 წლის 28 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ეკრპის განყოფილებაში და კვლავ გაიხსნება ხელმოსაწერად გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში 1951 წლის 17 სექტემბრიდან 1952 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, აგრეთვე ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც მიიღო მოწვევა მონაწილეობდეს ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის საკითხისადმი მიძღვნილ სრულფულებიან წარმომადგენელთა კონფერენციაში ან ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ხელმოწერას. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. ამასთან სარატიფიკაციო სიგელები დეკლარებული იქნება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

- ეს კონვენცია ღიაა 1951 წლის 28 ივლისიდან ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული სახელმწიფოებისათვის მისაერთებლად. მიერთება ძალაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან მიერთების აქტის დეპონირებით.

### მუხლი 40

#### ტერიტორიული გამოყენების პირობა

- კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მოქმედება ვრცელდება ამ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის იმ ნაწილზე, რომლის საერთაშორისო ვალდებულებებზეც ის პასუხისმგებელია. ასეთი განცხადება ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიმართ კონვენციის ძალაში შესვლისთანავე.
- ნებისმიერ მომდევნო მომენტში კონვენციის მოქმედების ამგვარი გავრცელება უნდა გამოცხადდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით და იგი ძალაში შედის გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან 90-ე დღეს, ან ამ სახელმწიფოს მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს, თუ ეს უკანასკნელი თარიღი უფრო გვიანდელია.
- იმ ტერიტორიის მიმართ, რომელზეც ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს ეს კონვენცია არ ვრცელდებოდა, ყოველი დაინტერესებული სახელმწიფო განიხილავს ასეთ ტერიტორიებზე ამ კონვენციის გამოყენების გასაერთიანებლად საჭირო ზომების მიღების შესაძლებლობის საკითხს ასეთი ტერიტორიების ხელისუფლების თანხმობით, იქ სადაც ეს აუცილებელია კონსტიტუციური ხასიათის მიზეზების გამო.

### მუხლი 41

#### ფედერალური სახელმწიფოები

ფედერალური ან არაუნიტარული სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება შემდეგი დებულებები:

- a. ამ კონვენციის იმ მუხლების მიმართ, რომლებიც ფედერალური ხელისუფლების საკანონმდებლო ხელისუფლების იურისდიქციას განეკუთვნება, ფედერალური ხელისუფლების ვალდებულებანი აღნიშნულ ფარგლებში ამ კონვენციის მხარე არაფედერალური სახელმწიფოს ვალდებულებებს უტოლდება;
- b. ამ კონვენციის იმ მუხლების შესახებ, რომლებიც ფედერაციის სუბიექტი იმ შტატების, პროვინციების ან კანტონების საკანონმდებლო იურისდიქციას განეკუთვნება, რომელთაც ფედერალური კონსტიტუციური წყობის თანახმად არ შეუძლიათ განახორციელონ საკანონმდებლო საქმიანობა, ფედერალური ხელისუფლება პირველი შესაძლებლობისთანავე აუწყებს შტატების, პროვინციებისა თუ კანტონების სათანადო ხელისუფალთ, თან დაურთავს რა მისეულ დადებით რეკომენდაციებს;
- c. კონვენციის მხარე ფედერალური სახელმწიფო ნებისმიერი სხვა ხელმომწერი სახელმწიფოს მოთხოვნით, რომელიც მას გადაეცა გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მეშვეობით, წარმოადგენს ინფორმაციას ფედერაციასა და მის სუბიექტებში კონვენციის ნებისმიერი კონკრეტული დებულების მიმართ არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ იმის მითითებით თუ რამდენად ხორციელდება აღნიშნული დებულება ცხოვრებაში საკანონმდებლო ან სხვა გზით.

**მუხლი 42**  
**დათქმები**

1. ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია კონვენციის მუხლებზე დააწესოს დათქმა, გარდა 1, 3 და 4 მუხლებისა, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა, 33, 36 – 46 მუხლებისა.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გააკეთა დათქმა, ნებისმიერ დროს შეუძლია უარი განაცხადოს ამ დათქმაზე, თუკი ამის შესახებ აცნობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 43  
ძალაში შესვლა

ეს კანონი ძალაში შედის მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირების ოთხმოცდამეათე დღეს.

ყველა სახელმწიფოსათვის, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება ან მიუერთდნენ მას მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირების შემდეგ, კონვენცია ძალაში შევა შესაბამისი სახელმწიფოს მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირების ოთხმოცდამეათე დღეს.

მუხლი 44  
დენონსაცია

1. ყოველ ხელმომწერ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით.
2. ასეთი დენონსაცია შესაბამისი ხელმომწერი სახელმწიფოსათვის ძალაში შედის გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.
3. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლებმაც მე-40 მუხლის საფუძველზე გააკეთა განცხადება ან გაგზავნა შეტყობინება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე, ამის შემდგომ, ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რომ კონვენცია შესაბამის ტერიტორიაზე არ გავრცელდება გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 45  
გადასინჯვა

1. ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოს შეუძლია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ კონვენციის გადასინჯვა.

2. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა რეკომენდაციას გაუწევს სათანადო ღონისძიებებს, თუკი ასეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით აუცილებელია მათი მიღება.

#### მუხლი 46

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის  
შეტყობინებები

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი აცნობებს გაერთიანებული ერების ყველა წევრს და 39-ე მუხლში მოხსენიებულ არაწევრ სახელმწიფოებს:

- a. პირველი მუხლის B ნაწილის საფუძველზე შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ;
- b. 39-ე მუხლით გათვალისწინებული ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ;
- c. მე-40 მუხლით გათვალისწინებული განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ;
- d. 42-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმებისა და დათქმების უარყოფის შესახებ;
- e. 43-ე მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- f. 44-ე მუხლით გათვალისწინებული დენონსაციებისა და შეტყობინებების შესახებ;
- g. 45-ე მუხლის საფუძველზე გადასინჯვის თაობაზე შემოსული მოთხოვნების შესახებ.

*რის დასტურადაც სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ხელისმომწერებმა მათი მთავრობის სახელით ხელი მოვაწერეთ ამ კონვენციას.*

შესრულებულია ქ. უნევაში ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის ივლისის ოცდამეორე დღეს ერთ პირად, რომლის ინგლისური და ფრანგული ტექსტები თანაბარი ძალისაა; ეს პირი დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში და მისი დამოწმებული ასლები ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ და 39-ე მუხლში აღნიშნულ არაწევრ სახელმწიფოებს.

**კონვენცია ბენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ  
ზომების წინასწარ მიღებისა და ბენოციდისათვის  
დასჯის შესახებ**

მიღებულია და შემოთავაზებულია ხელმოსაწერად,  
რატიფიკაციისა და მიერთებისათვის გაერთიანებული ერების  
ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის  
1984 წლის 9 დეკემბრის 260 A (III) რეზოლუციით

**ძალაშია:** 1951 წლის 12 იანვრიდან

*ხელშეკრულების დამდები მხარეები,*

*ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
გენერალურმა ასამბლეამ თავის 1946 წლის 11 დეკემბრის 96 II)  
რეზოლუციაში გამოაცხადა, რომ გენოციდი არის დანაშაული, რომელიც  
არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეწინააღმდეგება  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსსა და მიზნებს, და რომ  
ცივილიზებული სამყარო გმობს მას;*

*ცნობენ რა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე გენოციდს დიდი  
დანაკარგი მოჰქონდა კაცობრიობისათვის; და*

*დარწმუნებული არიან რა რომ ამ საძაგელი უბედურებისაგან  
კაცობრიობის ხსნისათვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა:*

**შეთანხმდნენ შემდეგზე:**

**მუხლი I**

ხელშეკრულების დამდები მხარეები ადასტურებენ, რომ გენოციდი,  
იმისდამიუხედავად თუ როდის ხდება იგი, მშვიდობიან თუ საომარ დროს,  
წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის  
ნორმებს და რომლის წინააღმდეგ ისინი ვალდებული არიან წინასწარ  
მიიღონ ზომები და დასაჯონ მისი ჩადენისათვის.

## მუხლი II

წინამდებარე კონვენციაში გენოციდი გულისხმობს ნებისმიერ შემდეგ ქმედებას, რომლებსაც სჩადიან იმ განზრახვით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპონ რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, როგორც ასეთი:

- a. ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;
- b. ასეთი ჯგუფის წევრებისათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან გონებრივი მოშლილობის მიყენება;
- c. რომელიმე ჯგუფისათვის წინასწარგანზრახვით ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მთლიანად ან ნაწილობრივ მისი ფიზიკური განადგურებისაკენ;
- d. ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ასეთი ჯგუფის წრეში შობადობის შემცირება;
- e. ბავშვთა იძულებითი გადაცემა ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორეში.

## მუხლი III

შემდეგი ქმედებანი დასჯადია:

- a. გენოციდი;
- b. შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით;
- c. პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენისაკენ;
- d. გენოციდის ჩადენის მცდელობა;
- e. გენოციდში თანამონაწილეობა.



## მუხლი IV

ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი ან III მუხლში ჩამოთვლილი რაიმე სხვა ქმედება, უნდა დაისაჯონ იმისდა მიუხედავად არიან თუ არა ისინი კონსტიტუციური ხელისუფლების წარმომადგენლები, თანამდებობის თუ კერძო პირები.

## მუხლი V

წინამდებარე კონვენციის დებულებათა ძალაში შეყვანისათვის ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებული არიან განახორციელონ საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, თითოეულმა თავისი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად, და, კერძოდ, დააწესონ ეფექტური სასჯელი იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გენოციდის ან III მუხლში მოყვანილი რომელიმე სხვა დანაშაულის ჩადენაში.

## მუხლი VI

ის პირები, რომლებსაც ბრალი ედებათ გენოციდის ან III მუხლში ჩამოთვლილ სხვა ქმედებათა ჩადენაში, გასამართლებულ უნდა იქნენ იმ სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ეს ქმედება, ან ისეთი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს იურისდიქცია წინამდებარე კონვენციის იმ მონაწილე მხარეთა მიმართ, რომლებმაც უკვე ცნეს ასეთი სასამართლოს იურისდიქცია.

## მუხლი VII

დამნაშავეთა ექსტრადიციის მიზნით გენოციდი და III მუხლში ჩამოთვლილი სხვა ქმედებანი არ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად.

ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების დამდები მხარეები მოვალენი არიან განახორციელონ ექსტრადიცია თავისი მოქმედი კანონმდებლობისა და ხელშეკრულების თანახმად.

## მუხლი VIII

ამ კონვენციის თითოეულ მონაწილეს შეუძლია მიმართოს გაერთიანებული ერების შესაბამის ორგანოს და მოსთხოვოს, რომ მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად, მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება იმ მიზნით, რომ აცილებულ და აღკვეთილ იქნას გენოციდის აქტი ან III მუხლში ჩამოთვლილი სხვა რომელიმე ქმედება.

## მუხლი IX

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის დავა ამ კონვენციის განმარტების, გამოყენების ან განხორციელების საკითხებზე, იმ დავათა ჩათვლით, რომლებიც წარმოიშობა ამა თუ იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ გენოციდის ან III მუხლში ჩამოთვლილთაგან სხვა რომელიმე ქმედების ჩადენისათვის, გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს განსაზღვრულად დავაში მონაწილე ყოველი მხარის მოთხოვნით.

## მუხლი X

წინამდებარე კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები თანაბარი ძალისაა, დათარიღებულია 1948 წლის 9 დეკემბრით.

## მუხლი XI

წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად 1949 წლის 31 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი წევრის და ყოველი იმ სახელმწიფოს სახელით, რომელიც არ ირიცხება ორგანიზაციის წევრად და მიიღო გენერალური ასამბლეის მოწვევა კონვენციაზე ხელის მოსაწერად.

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას და რატიფიკაციის აქტები დეპონირებისათვის გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

1950 წლის 1 იანვრიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველ წევრს და ყოველ სახელმწიფოს, რომელიც არ ირიცხება ამ

ორგანიზაციის წევრად და მიიღო ზემოაღნიშნული მოწვევა, შეუძლია მიუერთდეს ამ კონვენციას.

აქტები მიერთების შესახებ დეკონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

## მუხლი XII

ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით გააუქმლოს ამ კონვენციის გამოყენება ყველა ან იმ ზოგიერთ ტერიტორიაზე, რომელთა საგარეო ურთიერთობების წარმოებაზე იგი პასუხისმგებელია.

## მუხლი XIII

იმ დღეს, როცა გენერალური მდივანთან დეკონირებული იქნება პირველი ოცი აქტი რატიფიკაციის ან მიერთების თაობაზე, გენერალური მდივანი ამზადებს ოქმს, რომლის ასლების ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და LX მუხლში გათვალისწინებულ ყველა სახელმწიფოს, რომლებიც ორგანიზაციის წევრებად არ ირიცხებიან.

ეს კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ მეოცე აქტის დეკონირებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

რატიფიკაციის და მიერთების აქტები, რომლებიც მიღებულია წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, მოქმედებაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან მათი დეკონირებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

## მუხლი XIV

წინამდებარე კონვენცია ძალაშია მისი ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში.

იგი ძალაში რჩება შემდგომი ხუთი წლისათვის ხელშეკრულების დამდებ იმ მხარეთა მიმართ, რომლებიც არ აცხადებენ მის დენონსაციას მისი მოქმედების შესაბამისი ვადის გასვლამდე სულ მცირე ექვსი თვით ადრე.

დენონსაცია წარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გზით.

## მუხლი XI

თუ დენონსაციის შედეგად ამ კონვენციის მონაწილეთა რიცხვი თექვსმეტზე ნაკლები გახდება, კონვენცია წყვეტს მოქმედებას უკანასკნელი დენონსაციის ძალაში შესვლის დღეს.

## მუხლი XVI

მოთხოვნა ამ კონვენციის გადასინჯვის შესახებ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ნებისმიერ დროს ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარის მიერ გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით.

გენერალური ასამბლეა წვეტს, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო ასეთი მოთხოვნის მიმართ, თუ კი იგი საჭიროდ მიიჩნევს რაიმე ზომების მიღებას.

## მუხლი XVII

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს და XI მუხლში გათვალისწინებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანიზაციის წევრებად არ ირიცხებიან:

- a. ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მიერთების ყველა აქტის შესახებ, რომელიც მიღებულია XI მუხლის შესაბამისად;
- b. ყველა შეტყობინების შესახებ, რომელიც მიღებულია XII მუხლის შესაბამისად;
- c. დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ, XIII მუხლის შესაბამისად;

- d. დენონსაციების შესახებ, რომელიც მიღებულია XIV მუხლის შესაბამისად;
- e. კონვენციის გაუქმების შესახებ, XI მუხლის შესაბამისად;
- f. შეტყობინებათა შესახებ, რომელიც მიღებულია XIV მუხლის შესაბამისად.

### მუხლი XVIII

წინამდებარე კონვენციის დედანი დეპონირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში.

### მუხლი XIX

წინამდებარე კონვენციას რეგისტრაციაში ატარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მისი ძალაში შესვლის დღეს.

კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა  
სტატუსის შესახებ

მიღებულია ნიუ-იორკში 1954 წლის 28 სექტემბერს

კალაშია: 1960 წლის 6 ივნისიდან 39 მუხლის შესაბამისად

პრეამბულა

მაღალი ხელმოწერი მხარეები,

ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ და 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ დააწესეს პრინციპი, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანმა უნდა ისარგებლოს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე,

ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არაერთხელ გამოავლინა ზრუნვა და მცდელობა, რათა მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის შეიქმნას ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველმხრივი და შეუზღუდავი სარგებლობის შესაძლებლობა,

ითვალისწინებენ რა, რომ 1951 წლის 28 ივლისის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე იმ პირებზე, რომლებიც ამავე დროს ლტოლვილები არიან და არ შეეხება მოქალაქეობის არმქონე სხვა პირებს, რომლებსაც არ მოიცავს აღნიშნული კონვენცია,

ითვალისწინებენ რა, რომ სასურველია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის მოწესრიგება და გაუმჯობესება საერთაშორისო შეთანხმების საშუალებით,

თავი I  
ძირითადი დებულებები

მუხლი 1

ტერმინ "მოქალაქეობის არმქონე პირი"-ს განმარტება

1. ამ კონვენციის თანახმად, ტერმინი "მოქალაქეობის არმქონე პირი" ნიშნავს იმ პირს, რომელიც არ ითვლება არც ერთი სახელმწიფოს მოქალაქედ ამ სახელმწიფოს ოქმელი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ეს კონვენცია არ ვრცელდება:
  - (I) იმ პირებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში სარგებლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, გარდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა, დაცვით ან დახმარებით, ვიდრე ეს დაცვა ან დახმარება გრძელდება;
  - (II) იმ პირებზე, რომლებსაც იმ ქვეყნის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, სადაც ისინი ცხოვრობენ, მინიჭებული აქვთ იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც ამ ქვეყნის მოქალაქეებს;
  - (III) იმ პირებზე, რომელთა მიმართაც არსებობს სერიოზული საშიში იმისა, რომ:
    - (a) მათ ჩაიდინეს დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული, ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია ამგვარ დანაშაულთა განმარტების მიზნით შექმნილი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებებში;

- (b) მათ ჩაიღინეს სერიოზული არაპოლიტიკური ხასიათის დანაშაული თავიანთი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ამ ქვეყანაში შესვლის ნებართვის მიღებამდე;
- (c) მსჯავრდებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებებში.

## მუხლი 2

### ძირითადი ვალდებულებები

მოქალაქეობის არმქონე ყველა პირი ვალდებულია ადგილსამყოფელი ქვეყნის წინაშე, ანუ ის უნდა დაემორჩილოს მის კანონებსა და დებულებებს, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად მიღებულ ზომებს.

## მუხლი 3

### დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ხელმოძღვარი სახელმწიფოები ამ კონვენციის დებულებების გამოყენებისას არ დაუშვებენ მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ დისკრიმინაციას მათი რასის, რელიგიისა და წარმოშობის ქვეყნის მიხედვით.

## მუხლი 4

### რელიგია

ხელმოძღვარი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირებს არ შეუქმნიან საკუთარ მოქალაქეებზე ნაკლებ ხელსაყრელ პირობებს რელიგიური რიტუალების თავისუფლად ჩატარებისა და შეილების რელიგიური აღზრდისათვის.



## მუხლი 5 ტერმინი "იმავე გარემოებებში"

ამ კონვენციაში ტერმინი "იმავე გარემოებებში" ნიშნავს, რომ მოქალაქეობის არმქონე პირი უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერ იმ მოთხოვნას (მათ შორის მოთხოვნებს ქვეყანაში ყოფნის ან ცხოვრების ხანგრძლივობისა და პირობების შესახებ), რომლის დაკმაყოფილებაც მოუხდებოდა მოცემულ ცალკეულ მოქალაქეობის არმქონე პირი რომ არ ყოფილიყო, გარდა ისეთი მოთხოვნებისა, რომლებსაც მათი ხასიათის გამო მოქალაქეობის არმქონე პირი ვერ დააკმაყოფილებს.

## მუხლი 7 გამონაკლისები ნაცვალგების პრინციპიდან

1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კონვენციით მოქალაქეობის არმქონე პირებს ექმნებათ უფრო კეთილსასურველი სამართლებრივი მდგომარეობა, ხელმომწერმა სახელმწიფოებმა მოქალაქეობის არმქონე პირებს უნდა შეუქმნან ისეთივე მდგომარეობა, როგორსაც ისინი ჩვეულებრივ უქმნიან უცხოელებს.
2. ხელმომწერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ცხოვრების სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მოქალაქეობის არმქონე პირი თავისუფლდება საკანონმდებლო წესით დადგენილი ნაცვალგების მოთხოვნებისაგან.
3. ყოველი ხელმომწერი სახელმწიფო შემდგომშიც გააგრძელებს მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის იმ უფლებებისა და შეღავათების მინიჭებას, რომლებიც ნაცვალგების გარეშე ეკუთვნოდათ მათ მოცემული სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღისათვის.
4. ხელმომწერი სახელმწიფოები, ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე კეთილგანწყობით მოეპყრობიან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის მე-2 და მე-3 პუნქტებით მინიჭებული უფლებების გარდა სხვა უფლებათა და უპირატესობათა მინიჭების შესაძლებლობას და მოქალაქეობის არმქონე იმ პირების შესაძლო განთავისუფლებას ურთიერთნაცვალგების

მოთხოვნებისაგან, რომლებიც არ პასუხობენ მე-2 და მე-3 პუნქტებში განსაზღვრულ პირობებს.

5. მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები გამოიყენება, როგორც წინამდებარე კონვენციის 13, 18, 19, 21 და 22 მუხლებით გათვალისწინებული, ასევე იმ უფლებებისა და შედეგათების მიმართ, რომლებსაც ეს კონვენცია არ მოიცავს.

## მუხლი 8

### გამონაკლისები განსაკუთრებული ზომებიდან

რაც შეეხება იმ განსაკუთრებულ ზომებს, რომლებიც შეიძლება იყოს განხორციელებული უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ან ყოფილი მოქალაქის, მათი საკუთრების ან ინტერესების მიმართ, ხელმომწერი სახელმწიფოები მათ არ განახორციელებენ მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი მანამდე ამ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ. ხელმომწერი სახელმწიფოები, რომლებსაც თავიანთი კანონმდებლობა არ აძლევს ამ მუხლში ასახული ძირითადი პრინციპის გამოყენების საშუალებას, შესაბამის შემთხვევებში დაუშვებენ გამონაკლისებს მოქალაქეობის არმქონე ასეთი პირების სასარგებლოდ.

## მუხლი 9

### ღრობითი ღონისძიებები

ამ კონვენციაში არაფერი არ ზღუდავს წვერი სახელმწიფოს უფლებას, ომის ან სხვა საგანგებო და გამონაკლის შემთხვევებში მიიღოს ღრობითი ზომები, რომლებსაც ის ჩათვლის საჭიროდ სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის, რომელიმე გარკვეული პირის მიმართ, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეს წვერი სახელმწიფო გაარკვევს არის თუ არა ეს პიროვნება ნამდვილად მოქალაქეობის არმქონე და საჭიროა თუ არა აღნიშნული ზომების გამოყენების გაგრძელება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.

## მუხლი 10 ბინადრობის უწყვეტობა

1. თუ მოქალაქეობის არმქონე პირი მეორე მსოფლიო ომის დროს იძულებით იქნა დეპორტირებული და განსახლებული ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც იგი ცხოვრობს, მისი იქ იძულებით ცხოვრების დრო ითვლება ამ ტერიტორიაზე ცხოვრების კანონიერ დროდ.
2. თუ მოქალაქეობის არმქონე პირი მეორე მსოფლიო ომის დროს ძალით იქნა გასახლებული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიიდან და ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე დაბრუნდა იქ საცხოვრებლად, ცხოვრების დრო იძულებით გადაადგილებამდე და შემდგომ, ჩითვლება ერთიან უწყვეტ დროდ ყველა იმ საჭიროებისათვის, რომლებიც ითხოვენ ცხოვრების დროის უწყვეტობას.

## მუხლი 11 მეზღვაური მოქალაქეობის არმქონე პირები

თუ მოქალაქეობის არმქონე არიან ის პირები, რომლებიც რეგულარულად მსახურობენ რომელიმე ხელმოშვებული სახელმწიფოს დროებით მცურავი გემის ეკიპაჟში, ეს სახელმწიფო კეთილგანწყობილებით უნდა მოეცილოს ამ პირთა დასახლებას მის ტერიტორიაზე და უზრუნველყოს სამგზავრო დოკუმენტებით, ან დროებით შეუშვას თავის ტერიტორიაზე, კერძოდ, რომელიმე სხვა ქვეყანაში მათი დასახლების გაადვილების მიზნით.

## თავი II სამართლებრივი სტატუსი

### მუხლი 12 პირადი სტატუსი

1. მოქალაქეობის არმქონე პირის პირადი სტატუსი განისაზღვრება მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონმდებლობით, ხოლო მუდმივი საცხოვრებელი ადგილის

არქონის შემთხვევაში იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ის ცხოვრობს.

2. მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ მის პირად სტატუსთან დაკავშირებული ადრე შეძენილი და განსაკუთრებით ქორწინებიდან გამომდინარე უფლებები, დაცული იქნება ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ საჭიროების შემთხვევაში ყველა იმ ფორმალობის დაცვით, რომლებსაც ადგენს მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობა, იმ პირობით, რომ აღნიშნული უფლება არის ერთ-ერთი იმ უფლებათაგანი, რომელიც აღიარებული იქნებოდა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით, ეს პირი მოქალაქეობის არმქონე რომ გამხდარიყო.

### მუხლი 13

#### უძრავ-მოძრავი ქონება

უძრავ-მოძრავი ქონების შეძენისა და შეძენასთან დაკავშირებული სხვა უფლებების, აგრეთვე უძრავ-მოძრავი ქონების საიჯარო და სხვა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ხელმომწერი სახელმწიფოები მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუქმნიან რაც შეიძლება ხელსაყრელ, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ხელსაყრელ პირობებს, როგორც იმავე პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

### მუხლი 14

#### საავტორო უფლებები და სამრეწველო საკუთრების უფლება

სამრეწველო საკუთრების, გამოგონების, ღიზანის ან მოდელის, სავაჭრო ნიშნის, საფირმო სახელის, ლიტერატურული, მხატვრული და სამეცნიერო ნაშრომის საავტორო უფლებებთან დაკავშირებით მოქალაქეობის არმქონე პირები სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობებით, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირის საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს მოქალაქეები.

## მუხლი 15 გაერთიანების უფლება

არაპოლიტიკურ და მოგებაზე არაორიენტირებულ ასოციაციებთან, აგრეთვე პროფესიულ კავშირებთან მიმართებაში, ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუქმნიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ მდგომარეობას, რომელიც აქვთ უცხო ქვეყნების მოქალაქეებს იმავე გარემოებაში.

## მუხლი 16 სასამართლო დაცვის უფლება

1. მოქალაქეობის არმქონე ყველა პირს ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გააჩნია სასამართლო ორგანოებისადმი თავისუფლად მიმართვის უფლება.
2. ყოველ მოქალაქეობის არმქონე პირს, იმ ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილია სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასთან შესაბამისობაში შეუძლია ისარგებლოს ისეთივე მდგომარეობით, როგორითაც სარგებლობენ ამ ქვეყნის მოქალაქეები, კერძოდ ისეთ საკითხებზე, როგორცაა იურიდიული დახმარების გაწევა და სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლება.
3. მე-2 პუნქტში აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში მოქალაქეობის არმქონე ყოველ პირს, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, გარდა მისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნისა, შეეძლება ისეთივე მდგომარეობა, როგორიც იმ ქვეყნის მოქალაქეებს, სადაც მათი საცხოვრებელია.

**თავი III**  
**შემოსავლიანი საქმიანობა**

**მუხლი 17**  
**დაქირავებული სამსახური**

1. ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირებს დაქირავებული შრომის უფლებასთან დაკავშირებით შეუქმნიან არანაკლებ ხელსაყრელ სამართლებრივ მდგომარეობას, ვიდრე იმავე პირობებში სარგებლობენ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები.
  
2. ხელმომწერი სახელმწიფოები იჩენენ კეთილგანწყობას მოქალაქეობის არმქონე ყველა პირისა და ადგილობრივ მოქალაქეთა უფლებების გათანაბრების შესაძლებლობისადმი დაქირავებულ შრომასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი მოქალაქეობის არმქონე იმ პირების მიმართ, რომლებიც შემოვიდნენ მათ ტერიტორიაზე სამუშაო ძალის შევსების პროგრამით ან იმიგრაციის გეგმების შესაბამისად.

**მუხლი 18**  
**თვითდასაქმება**

ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუქმნიან რაც შეიძლება ხელსაყრელ სამართლებრივ მდგომარეობას, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ხელსაყრელს, როგორც ჩვეულებრივ იმავე გარემოებებში სარგებლობენ უცხოელები, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის დამოუკიდებლად წარმართვისა და სავაჭრო და სამრეწველო კომპანიების დაფუძნების უფლებასთან დაკავშირებით.

**მუხლი 19**  
**თავისუფალი პროფესიები**

ყოველი ხელმომწერი სახელმწიფო, მის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებსაც აქვთ ამ სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ აღიარებული დიპლომი

და აქვთ სურვილი მისდიონ თავისუფალ საქმიანობას საკუთარი პროფესიის მიხედვით, უქმნის მაქსიმალურად შესაძლო ხელსაყრელ პირობებს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე არა ნაკლებ ხელსაყრელ პირობებს, რაც ჩვეულებრივ გააჩნიათ უცხოელებს იმავე გარემოებებში.

## თავი IV სოციალური უზრუნველყოფა

### მუხლი 20 საბარათო სისტემა

იქ, სადაც არსებობს საბარათო სისტემა მთელი მოსახლეობისათვის, რის საშუალებითაც რეგულირდება დეფიციტური პროდუქტების საერთო განაწილება, მოქალაქეობის არმქონე პირები ისევე სარგებლობენ საბარათო სისტემით, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები.

### მუხლი 21 საბინაო საკითხი

საბინაო საკითხებთან დაკავშირებით ხელმომწერი სახელმწიფოები, თუკი საბინაო საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით ან დებულებებით, ან ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფალთა მხრიდან კონტროლს, მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუქმნიან რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებს, ყოველ შემთხვევაში იმაზე არა ნაკლებ ხელსაყრელს, როგორითაც იმავე გარემოებებში სარგებლობენ უცხოელები.

### მუხლი 22 სახალხო განათლება

1. დაწყებითი განათლების მიღებასთან დაკავშირებით ხელმომწერი სახელმწიფოები მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ქმნიან ისეთივე შესაძლებლობებს, როგორითაც სარგებლობენ მათი მოქალაქეები.
2. ხელმომწერი სახელმწიფოები მოქალაქეობის არმქონე პირებს დაწყებითი განათლების გარდა განათლების სხვა სახეების,

სწავლის უფლების, უცხოური სასკოლო ატესტატების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობის, სასწავლო გადასახადებისაგან გათავისუფლებისა და სტიპენდიების გაცემის საკითხებთან დაკავშირებით შეუქმნიან რაც შეიძლება ხელსაყრელ სამართლებრივ მდგომარეობას, ყოველ შემთხვევაში იმაზე არა ნაკლებს, ვიდრე იმავე გარემოებებში სარგებლობენ უცხოელები.

### მუხლი 23

#### სახელმწიფო შემწეობა

ხელმომწერი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუქმნიან ისეთივე ხელსაყრელ პირობებს, როგორც სარგებლობენ მათი მოქალაქეები სახელმწიფო შემწეობისა და თანადგომის საკითხებთან დაკავშირებით.

### მუხლი 24

#### შრომის კანონმდებლობა და სოციალური დაცვა

1. ხელმომწერი სახელმწიფოები ისეთივე მდგომარეობას შეუქმნიან მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირებს, როგორც თავიანთ მოქალაქეებს ქვემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით:

- a. შრომის ანაზღაურება ოჯახზე დახმარების ჩათვლით, თუ ეს დახმარება შრომის ანაზღაურებაში შედის, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დამატებითი სამუშაო დრო, ფასიანი შევებულების დღეები, სამუშაოს სახლში შესრულების შეზღუდვა, იმ პირთა მინიმალური ასაკი, რომლებიც დაქირავებული არიან სამუშაოდ, სწავლა და პროფესიული მომზადება, ქალთა და მოზარდთა შრომა და კოლექტიური ხელშეკრულებების პრივილეგიებით სარგებლობა, რამდენადაც ეს საკითხები არის კანონებითა და განკარგულებებით რეგულირების, ან ადმინისტრაციული ხელისუფლების მხრიდან კონტროლის ქვემდებარე;



b. სოციალური უზრუნველყოფა (საკანონმდებლო აქტები, რომლებიც შეეხება მუშაობის დროს უბედურ შემთხვევებს, პროფესიულ დაავადებებს, დელობას, ავადმყოფობას, ინვალიდობას, სიბერეს, სიკვდილს, უმუშევრობას, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი კანონების ან განკარგულებების მიხედვით შედის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში) შემდეგი შეზღუდვებით:

I. შეიძლება არსებობდეს შესაბამისი წესი შექმნილი და შექმნის პროცესში მყოფი უფლებების შესანარჩუნებლად;

II. ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონები და განკარგულებები შეიძლება ადგენდნენ მთლიანად სახელმწიფო სახსრებიდან გაღებული სრული ან ნაწილობრივი დახმარებისა და იმ დახმარების მიღების სპეციალურ წესს, რომლებიც გაიცემა იმ პირებზე, რომლებმაც შენატანებთან მიმართებაში არ შეასრულეს ჩვეულებრივი პენსიის მისაღებად საჭირო ყველა პირობა.

c. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ტრავმის ან პროფესიული დაავადების შედეგად მოქალაქეობის არმქონე პირის სიკვდილის გამო კომპენსაციის მიღების უფლებაზე არ იმოქმედებს ის ფაქტი, რომ დახმარების მიმღები პირის საცხოვრებელი არ მდებარეობს ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

d. წვერი ქვეყნები მოქალაქეობის არმქონე პირებზე გაავრცელებენ იმ უპირატესობებს, რომლებიც გამოძინარეობს ურთიერთშორის დადებული შეთანხმებებიდან, ან იმ შეთანხმებებიდან, რომლებიც დაიდება მათ შორის მომავალში და რომლებიც შეეხება მიღებული და მიღების პროცესში მყოფი უფლებების განხორციელებას სოციალურ უზრუნველყოფასთან მიმართებაში, მხოლოდ იმ პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული შეთანხმების ხელმომწერი სახელმწიფოების მოქალაქეთათვის.

e. ხელმომწერი სახელმწიფოები კეთილგანწყობით მოეკიდებიან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია,

იმ მსგავსი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უპირატესობათა გავრცელებას, რომლებიც ყოველ მოცემულ მომენტში შეიძლება იყოს ძალაში ხელმომწერ სახელმწიფოთა და არახელმომწერ სახელმწიფოთა შორის.

## თავი V ადმინისტრაციული ზომები

### მუხლი 25

#### ადმინისტრაციული დახმარება

1. როდესაც მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ რომელიმე უფლებით სარგებლობა ჩვეულებრივ მოითხოვს უცხო ქვეყნის ხელისუფალთა დახმარებას, რომლისადმი მას არ შეუძლია მიმართვა, ხელმომწერი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც მოქალაქეობის არმქონე პირი ცხოვრობს, მიიღებს ზომებს, რომ ასეთი დახმარება გაეწიოს მათ ეროვნულ ხელისუფალთა მიერ.
2. I პუნქტში ხსენებული ხელისუფალი ან ხელისუფალნი გაცემენ, ან მეთვალყურეობას უწევენ მოქალაქეობის არმქონე პირებზე ისეთი დოკუმენტებისა და მოწმობების გაცემას, რომლებიც ჩვეულებრივ გაიცემა უცხოელებზე ამ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ, ან იმ ქვეყნის მეშვეობით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.
3. ამ წესით გაცემული დოკუმენტები და მოწმობები შეცვლიან იმ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც გაიცემა უცხოელებზე მათ ეროვნულ ხელისუფალთა მიერ, ან მათი მეშვეობით, და ეს დოკუმენტები ჩაითვლება ძალაში მყოფად, სანამ არ დამტკიცდება მათი ბათილობა.
4. გარდა განსაკუთრებული შეღავათებისა, რომლებითაც სარგებლობენ ლატაკი ადამიანები, ამ მუხლში აღნიშნულ მომსახურებაზე შეიძლება დაწესდეს გადასახადი, მაგრამ ეს გადასახადი ზომიერი უნდა იყოს და შეესაბამებოდეს იმ გადასახადს, რომელსაც იხდიან მოცემული ქვეყნის მოქალაქეები მსგავსი მომსახურების შემთხვევაში.
5. ამ მუხლის დებულებები არ შეეხება 27 და 28 მუხლებს.

**მუხლი 26**  
**გადაადგილების თავისუფლება**

ყოველი ხელმომწერი სახელმწიფო უფლებას მისცემს მის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და თავისუფლად გადაადგილდნენ ამ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში იმ პირობით, რომ დაიცავენ ყველა წესს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება უცხოელთა მიმართ იმავე გარემოებაში.

**მუხლი 27**  
**პირადობის მოწმობა**

ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც არ გააჩნია მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი, აძლევენ პირადობის მოწმობას.

**მუხლი 28**  
**სამგზავრო დოკუმენტები**

ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასცემენ სამგზავრო დოკუმენტებს მათი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადასადგილებლად, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს. აღნიშნული დოკუმენტებისათვის გამოიყენება მოცემული კონვენციის დამატებაში ჩამოყალიბებული დებულებები. ხელმომწერ სახელმწიფოებს შეუძლიათ გასცენ ასეთი დოკუმენტები მათ ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეობის არმქონე ნებისმიერ პირზე; ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ამგვარი დოკუმენტების გაცემას მათ ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეობის არმქონე იმ პირებზე, რომლებიც ვერ ღებულობენ ასეთ დოკუმენტებს იმ ქვეყნიდან, სადაც მათი კანონიერი საცხოვრებელი ადგილია.

მუხლი 29  
გადასახადები

1. ხელმომწერი სახელმწიფოები არ დაბეგრავენ მოქალაქეობის არმქონე პირებს განსხვავებული ან უფრო მაღალი ბაჟით, გამოსაღებითა და გადასახადით, ვიდრე ანალოგიურ პირობებში იბეგრებიან ან შეიძლება დაიბეგრონ მათი მოქალაქეები.
2. ზემოაღნიშნულ პუნქტებში მოცემული დებულება არ აუქმებს მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ იმ კანონებისა და განკარგულებების გამოყენებას, რომლებიც აწესებენ უცხოელი მოქალაქეებისათვის ადმინისტრაციული დოკუმენტების, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებს.

მუხლი 30  
ქონების გადატანა

1. ხელმომწერი სახელმწიფო თავისი კანონებისა და დადგენილებების შესაბამისად უფლებას მისცემს მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომ ქონება რომელიც მათ შემოიტანეს მის ტერიტორიაზე, გადაიტანონ იმ ქვეყანაში, სადაც მათ მიიღეს განსახლების უფლება.
2. ხელმომწერი სახელმწიფოები კეთილგანწყობით ეკიდებიან მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მისი ქონების გადატანის ნებართვის თაობაზე, სადაც არ უნდა იყოს ეს ქონება, რომელიც საჭიროა მისთვის იმ ქვეყანაში დასახლებლად, რომელშიც მან მიიღო ცხოვრების უფლება.

მუხლი 31  
გასახლება

1. ხელმომწერი სახელმწიფოები არ გაასახლებენ მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს განირობებულა სახელმწიფოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით.

2. მოქალაქეობის არმქონე ასეთი პირების გასახლება ხდება მხოლოდ სასამართლო წესით მიღებული გადაწყვეტილების შესრულებით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროებას, მოქალაქეობის არმქონე პირებს მიეცემათ უფლება შესაბამისი ინსტანციების ან შესაბამისი ინსტანციების მიერ დანიშნული პირის ან პირების წინაშე თავის მართლებისათვის წარადგინონ მტკიცებულებები, განაზოციელონ გასაჩივრება და აგრეთვე ამ მიზნებისათვის ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენელი.
3. ხელმომწერი სახელმწიფოები მისცემენ ასეთ მოქალაქეობის არმქონე პირს გონივრულ ვადას იმისათვის, რომ მან მიიღოს სხვა ქვეყანაში კანონიერი შესვლის უფლება. წვერი სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას დროის ამ პერიოდის განმავლობაში მიმართონ იმ საშინაო ზომებს, რომლებსაც ჩათვლიან აუცილებლად.

## მუხლი 32 ნატურალიზაცია

ხელმომწერმა სახელმწიფოებმა შეძლებისდაგვარად უნდა გაუადვილონ მოქალაქეობის არმქონე პირებს ასიმილაცია და ნატურალიზაცია. კერძოდ ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა დააჩქარონ ნატურალიზაციასთან დაკავშირებულ საქმეთა წარმოება და რამდენადაც შესაძლებელია შეამცირონ მასთან დაკავშირებული გადასახადები და ხარჯები.

## თავი VI დასკვნითი დებულებები

### მუხლი 33

ინფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ

ხელმომწერი სახელმწიფოები გაეროს გენერალურ მდივანს მიაწვდიან იმ კანონებისა და დებულებების ტექსტებს, რომლებიც მიიღეს ამ კონვენციის განზოციელების მიზნით.

## მუხლი 34 დავების გადაწყვეტა

ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა დავა, რომელთა გადაწყვეტა სხვა გზით შეუძლებელია, გადასაწყვეტად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

## მუხლი 35 ხელმოწერა, რატიფიკაცია და მიერთება

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში 1955 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ეს კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნება:
  - (a) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოების;
  - (b) ნებისმიერი სხვა სახელმწიფოების სახელით, რომლებიც მოწვეული არიან მოქალაქეობის არმქონე სტატუსისაღმი მიძღვნილ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე, და
  - (c) ნებისმიერ იმ სახელმწიფოთა სახელით, რომლებსაც გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ხელის მოწერას ან შეერთებას.
3. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას და სარატიფიკაციო სიგელების დეპონირება მოხდება გაეროს გენერალურ მდივანთან.
4. ეს კონვენცია გაიხსნება ხელმოსაწერად ამ მუხლის 2 პუნქტში აღნიშნული სახელმწიფოებისათვის. კონვენციასთან მიერთება ხდება მიერთების აქტის დეპონირებით გაეროს გენერალურ მდივანთან.

## მუხლი 36 კონვენციის ტერიტორიული გამოყენების პირობა

1. კონვენციაზე ხელის მოწერის, მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია

განაცხადოს, რომ კონვენციის მოქმედება ვრცელდება ამ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ან მის იმ ნაწილზე, რომლის საერთაშორისო ვალდებულებებზეც ის პასუხისმგებელია. ასეთი განაცხადება ძალაში შედის ამ სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლისთანავე.

2. ნებისმიერ დროს კონვენციის მოქმედების გაფართოების შესახებ უნდა ეცნობოს გაეროს გენერალურ მდივანს, და იგი ძალაში შესულად ითვლება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან 90-ე დღეს, ან კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, თუკი ეს თარიღი უფრო გვიანია.
3. იმ ტერიტორიების მიმართ, რომლებზედაც კონვენცია არ ვრცელდებოდა ხელისმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს, ყოველი დანტერესებული სახელმწიფო განიხილავს საკითხს სათანადო ზომების მიღების შესაძლებლობის თაობაზე იმისათვის, რომ კონვენცია გავრცელდეს იმ ტერიტორიებზე, სადაც ეს აუცილებელია კონსტიტუციური მოწყობის გამო, ამ ტერიტორიების მთავრობების თანხმობით.

### მუხლი 37

#### დებულებები ფედერალური სახელმწიფოების შესახებ

ფედერალური ან არა-უნიტარული სახელმწიფოების შემთხვევაში გამოყენებული იქნება შემდეგი დებულებები:

- (a) წინამდებარე კონვენციის იმ მუხლების მიმართ, რომლებიც ფედერალური საკანონმდებლო ხელისუფლების საკანონმდებლო ოურისდიქციის ქვემდებარეა, ფედერალური საკანონმდებლო ხელისუფლების ვალდებულებები ემთხვევა წინამდებარე კონვენციის იმ მხარეთა ვალდებულებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ფედერალურ სახელმწიფოებს.
- (b) წინამდებარე კონვენციის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც ფედერაციაში შემავალი იმ შტატების, პროვინციების ან კანტონების საკანონმდებლო ოურისდიქციის ქვემდებარეა, რომლებიც, ფედერალური სისტემის შესაბამისად არ არიან უფლებამოსილინი მიიღონ

საკანონმდებლო აქტები, ფედერალური მთავრობა დაუყოვნებლივ ატყობინებს მათ ამის შესახებ, სათანადო რეკომენდაციებთან ერთად.

- (c) ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ფედერალური სახელმწიფო, რომელიმე სხვა ხელმომწერი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე, რომელიც მას გადაეცემა გაეროს გენერალური მდივნის მიერ, მიაწვდის მას ფედერაციისა და მისი შემადგენელი ნაწილების კონვენციის კანონმდებლობასა და კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას კონვენციის კონკრეტულ დებულებასთან დაკავშირებით, იმის მითითებით, თუ როგორ განხორციელდა აღნიშნული დებულება საკანონმდებლო თუ სხვა საშუალებით.

### მუხლი 38

#### დათქმა

1. ხელისმომწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს დათქმა კონვენციის მუხლების გამოყენების თაობაზე, გარდა შემდეგი მუხლებისა: 1, 3, 4, 16 (1), 33, 36-46.
2. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც დააწესებს დათქმას ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს დათქმა ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების წესით.

### მუხლი 39

#### ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირების შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის



ასეთი სახელმწიფოს მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დებონირებიდან ოთხმოცდამეთაე დღეს.

მუხლი 40  
დენონსაცია

1. ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ამ კონვენციის დენონსაცია გაეროს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების წესით.
2. ამგვარი დენონსაცია ხელმომწერი სახელმწიფოსათვის ძალაში შედის გაეროს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.
3. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელმაც გააკეთა განცხადება ან შეტყობინება 36-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაეროს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების წესით გამოაცხადოს მის ტერიტორიაზე კონვენციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ გაეროს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 41  
გადასინჯვა

1. ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ კონვენციის გადასინჯვა, გაეროს გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით.
2. გაეროს გენერალური ასამბლეა იძლევა რეკომენდაციებს იმ შესაბამისი ზომების მისაღებად, რომლებიც საჭიროა ასეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

## მუხლი 42

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შეტყობინებები

გაეროს გენერალური მდივანი ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს და 35-ე მუხლში აღნიშნულ არა-წევრ სახელმწიფოებს:

- (a) ხელისმოწერის, რატიფიკაციებისა და მიერთების შესახებ 35-ე მუხლის შესაბამისად;
- (b) განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ 36-ე მუხლის შესაბამისად;
- (c) დათქმის დაწესებისა და დათქმის გაუქმების შესახებ 38-ე მუხლის შესაბამისად;
- (d) კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ 39-ე მუხლის შესაბამისად;
- (e) დენონსაციებისა და შეტყობინებების შესახებ 40-ე მუხლის შესაბამისად;
- (f) გადასინჯვის თაობაზე შემოსული მოთხოვნების შესახებ 41-ე მუხლის შესაბამისად.

*რის დასტურდება, ქვემოთ სათანადო უფლებამოსილმა ხელისმომწერებმა, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას მათი მთავრობების სახელით.*

*შესრულებულია ნიუ-იორკში, ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი წლის სექტემბრის თვის ოცდამეგრეე დღეს ერთ პირად, რომლის ინგლისური, ფრანგული და ესპანური ტექსტები თანაბრად ავთენტიურია და რომელიც დეკლარებული იქნება გაეროს არქივში, ხოლო მისი დამოწმებული ასლები გადაეგზავნება გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს და 35-ე მუხლში აღნიშნულ არა-წევრ სახელმწიფოებს.*

## კომენტარები

### პუნქტი 1

1. ამ კონვენციის 28-ე მუხლში აღნიშნულ სამგზავრო დოკუმენტში აღნიშნული იქნება, რომ მისი მფლობელი არის მოქალაქეობის არმქონე პირი 1954 წლის 28 სექტემბრის კონვენციის დებულებების მიხედვით.
2. დოკუმენტები გაიცემა სულ ცოტა ორ ენაზე მაინც, რომელთაგან ერთ-ერთი იქნება ინგლისური ან ფრანგული.
3. ხელმომწერი სახელმწიფო განიხილავს თანდართული სამგზავრო დოკუმენტის მოდელის მიღების საკითხს.

### პუნქტი 2

იმ ქვეყნის წესების მიხედვით, სადაც ხდება დოკუმენტების გაცემა, ბავშვები შეიძლება შეტანილი იქნენ მშობლის, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მოქალაქეობის არმქონე სხვა მოზრდილი პირის სამგზავრო დოკუმენტში.

### პუნქტი 3

გადასახადი დოკუმენტის გასაცემად არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული პასპორტის გასაცემად განსაზღვრული გადასახადის მინიმუმს.

### პუნქტი 4

გარდა განსაკუთრებული და გამონაკლისი შემთხვევებისა, დოკუმენტი კანონიერად უნდა ჩაითვალოს რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში.

### პუნქტი 5

დოკუმენტი უნდა გაიცეს ხელისუფალთა მიერ იმ პირობით, რომ კანონიერ ძალაში იყოს არა უმცირეს სამი თვისა და არა უმეტეს 2 წლისა.

### პუნქტი 6

1. დოკუმენტის განახლება ან ვადის გაგრძელება შედის დოკუმენტის გამცემი ხელისუფლების ორგანოს კომპენტენციაში, მანამ, სანამ მისი მფლობელი კანონიერად არ იქნება დასახლებული სხვა ტერიტორიაზე, ან კანონიერად არ იცხოვრებს აღნიშნული

ხელისუფლების ტერიტორიაზე. იგივე გარემოებაში ახალი დოკუმენტის გაცემა შედის ხელისუფლების იმ ორგანოს კომპეტენციაში, რომელმაც გასცა წინა დოკუმენტი.

2. დაბლომატიური ან საკონსულო ხელისუფლების წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ უფლებამოსილი გააგრძელონ მათი მთავრობის მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტების მოქმედების ვადა არაუმეტეს 6 თვის ვადით.
3. ხელმომწერი ქვეყნები კეთილგანწყობით მოეციდებიან სამგზავრო დოკუმენტების ვადის გაგრძელებას, ან ახალი დოკუმენტების გაცემას მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებიც უკვე კანონიერად აღარ ცხოვრობენ თავიანთ ტერიტორიაზე და რომლებსაც არ შეუძლიათ მიიღონ სამგზავრო დოკუმენტი თავიანთი კანონიერი საცხოვრებელი ქვეყნიდან.

#### პუნქტი 7

ხელმომწერი სახელმწიფოები სცნობენ ამ კონვენციის 28-ე მუხლის დებულების მიხედვით გაცემული დოკუმენტების ძალაში ყოფნას.

#### პუნქტი 8

იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელშიც შესვლასაც მოისურვებს მოქალაქეობის არმქონე პირი, თუ ისინი მზად არიან მის მისაღებად, და თუ ვიზა საჭიროა, სამგზავრო დოკუმენტს, რომლის მფლობელადაც ის ითვლება, საჭიროების შემთხვევაში თან დაუთრავენ ვიზას.

#### პუნქტი 9

1. ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გასცენ სატრანზიტო ვიზები მოქალაქეობის არმქონე იმ პირებზე, რომლებმაც მიიღეს დანიშნულების ადგილის ვიზები.
2. ასეთი ვიზები შეიძლება არ გაიცეს ისეთი საფუძვლით, რაც გამართლებდა ვიზების გაცემაზე უარის თქმას ნებისმიერი უცხოელისათვის.

### პუნქტი 10

გადასახადი გამოსასვლელ, შესასვლელ და ტრანზიტულ ვიზებზე არ უნდა აღემატებოდეს უცხოურ პასპორტებზე გაცემულ ვიზებზე მინიმალურ გადასახადს.

### პუნქტი 11

როდესაც მოქალაქეობის არმქონე პირი კანონიერად სახლდება სხვა ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, 28-ე მუხლის პირობებისა და დებულებების მიხედვით, პასუხისმგებლობა ახალი დოკუმენტის გაცემაზე ეკისრებათ ამ ტერიტორიის კომპეტენტურ ხელისუფალთ, რომლებთან მიმართვის უფლებაც მოქალაქეობის არმქონე პირს ექნება.

### პუნქტი 12

ხელისუფალნი, რომლებიც გასცემენ ახალ დოკუმენტებს, ჩამოართმევენ მოქალაქეობის არმქონე პირებს ძველ დოკუმენტებს და უბრუნებენ იმ ქვეყანას, რომელმაც ისინი გასცა, თუ ამ დოკუმენტებში აღნიშნულია რომ საჭიროა მათი დაბრუნება; წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მათი ჩამოართმევა და განადგურება.

### პუნქტი 13

1. კონვენციის 28-ე მუხლის შესაბამისად გაცემული სამგზავრო დოკუმენტი მის მფლობელს ამ დოკუმენტის გამცემ სახელმწიფოში ხელახალი შესვლის უფლებას აძლევს დოკუმენტის ძალაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თვით დოკუმენტი შეიცავს საწინააღმდეგო დებულებას. ნებისმიერ შემთხვევაში დრო, რომლის განმავლობაშიც დოკუმენტის მფლობელს შეუძლია დოკუმენტის გამცემ ქვეყანაში დაბრუნება არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვეყანა, რომელშიც მოქალაქეობის არმქონე პირს უნდა შესვლა არ მოითხოვს ისეთ დოკუმენტს, რომელიც იძლევა ქვეყანაში განმეორებით შესვლის უფლებას.

2. წინა ქვე-პუნქტის დებულებების მიხედვით ხელმომწერ სახელმწიფო შეუძლია მოსთხოვოს დოკუმენტის მფლობელს, რათა იგი დაემორჩილოს ისეთ ფორმალობებს, რომელთა დაცვაც შეიძლება აუცილებელი იყოს მისი ტერიტორიიდან გასვლისას ან შემოსვლისას.

#### პუნქტი 14

მხოლოდ 13-ე პუნქტის ქვემდებარე დებულებები არანაირად არ მოქმედებენ კანონებსა და განკარგულებებზე, რომლებიც აწესრიგებენ ხელისმომწერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მიღებას, ტრანზიტულად გავლას, ცხოვრებას, დასახლებას და გასვლას.

#### პუნქტი 15

არც დოკუმენტის გაცემა, არც ამ დოკუმენტის ჩანაწერები არ განსაზღვრავს, ან არ ცვლის მისი მფლობელის სტატუსს, განსაკუთრებით მის მოქალაქეობასთან დაკავშირებით.

#### პუნქტი 16

ამ დოკუმენტის გაცემა არანაირად არ აძლევს მის მფლობელს დოკუმენტის გამცემი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო ხელისუფალთა მხრიდან დაცვის უფლებას და არ ანიჭებს *ipso facto* ამ ხელისუფალთ დაცვის უფლებას.

## დ ა მ ა ტ მ ბ ა

### საშეზაღრო დოკუმენტის ნიმუში

რეკომენდირებულია, რომ დოკუმენტს ჰქონდეს ბროშურის ფორმა (დაახლოებით 15X10 სმ) და ისე იყოს დაბეჭდილი, რომ ადვილად დადგინდეს ნებისმიერი ამონაშალი ან ცვლილება ქიმიური ან სხვა საშუალებებით, და სიტყვები „1954 წლის 28 სექტემბრის კონვენცია“ ყველა გვერდზე იყოს დაბეჭდილი დოკუმენტის გამცემი ქვეყნის ენაზე.

(1)  
სამგზავრო დოკუმენტი  
(1951 წლის 28 ივლისის კონვენცია)

წინამდებარე დოკუმენტის ვადა გადის -----  
თუ მისი ვადა არ გაგრძელდება ან არ განახლდება.  
გვარი -----  
სახელ(ებ)ი -----  
თან ახლავს ----- ბავშვ(ებ)ი

1. ეს დოკუმენტი გაცემულია მხოლოდ მისი მფლობელის მიერ ეროვნული პასპორტის ნაცვლად სამგზავრო დოკუმენტად გამოსაყენებლად. იგი გავლენას არ მოახდენს მის მოქალაქეობაზე.
2. მფლობელს აქვს უფლება დაბრუნდეს -----  
----- (აქ მიუთითეთ ის ქვეყანა, რომლის ხელისუფალნიც გასცემენ ამ დოკუმენტს) ან ----- მდე თუ არ არის მითითებული უფრო გვიანი თარიღი.  
(დრო, რომლის განმავლობაშიც დოკუმენტის მფლობელს უფლება აქვს დაბრუნდეს, არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ქვეყანა, რომელშიც დოკუმენტის მფლობელი აპირებს გამგზავრებას არ ითხოვს დოკუმენტს ქვეყანაში ხელახლა შესვლის უფლების მიხედვით).
3. თუ დოკუმენტის მფლობელი დასახლდება არა იმ ქვეყანაში, რომელმაც გასცა წინამდებარე დოკუმენტი, იგი ვალდებულია, თუ ექნება კვლავ გამგზავრების სურვილი, მიმართოს თავისი საცხოვრებელი ქვეყნის კომპეტენტურ ხელისუფალთ ახალი დოკუმენტის მისაღებად. (ძველი სამგზავრო დოკუმენტი

ჩამორთმეული იქნება იმ ხელისუფალთა მიერ, რომლებიც  
გასცემენ ახალ დოკუმენტს და გადაეცემა ძველი დოკუმენტის  
გამცემ ხელისუფალთ).<sup>1/</sup>

(ამ დოკუმენტში 32 გვერდია, ყდის გარდა)

---

<sup>1/</sup> ფრჩხილებში ჩასმული წინადადება შეაქვს მთავრობებს  
სურვილისამებრ.

---

---

(2)

დაბადების ადგილი და თარიღი -----

საქმიანობა -----

ამჟამინდელი საცხოვრებელი -----

\* ცოლის სახელ(ებ)ი და ქალიშვილობის გვარი -----

-----

\* ქმრის სახელ(ებ)ი და გვარი -----

აღწერილობა

სიმაღლე -----

თმა -----

თვალების ფერი -----

ცხვირი -----

სახის ფორმა -----

კანის ფერი -----

განსაკუთრებული ნიშნები -----



ბავშვები, რომლებიც თან ახლავან დოკუმენტის მფლობელს

გვარი	სახელ(ებ)ი სქესი	დაბადების და წელი	ადგილი
-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----

\* რაც არ არის საჭირო ამოშალეთ  
(ამ დოკუმენტში 32 გვერდია, ყლის გარდა)

---

(3)

დოკუმენტის მფლობელის ფოტოსურათი და დოკუმენტის გამცემი  
ხელისუფლების წარმომადგენლის ბეჭედი  
მფლობელის თითის ანაბეჭდები (თუ საჭიროა)  
მფლობელის ხელმოწერა -----

(ეს დოკუმენტი 32 გვერდიანია, ყლის გარდა)

---

(4)

1. ეს დოკუმენტი ძალაშია შემდეგ ქვეყნებში:

-----  
-----  
-----

2. დოკუმენტი ან დოკუმენტები რის საფუძველზედაც გაიცა ეს დოკუმენტი:

გაცემულია -----  
თარიღი -----

დოკუმენტის გამცემ ხელისუფალთა  
ხელისმოწერა და ბეჭედი

გადასახადი:

(ეს დოკუმენტი 32 გვერდიანია, ყლის გარდა)

(5)

ვადის გაგრძელება ან განახლება

გადასახადი გადახდილია: ----- დან  
----- მდე  
შესრულებულია ----- თარიღი -----

ხელმოწერა და ბეჭედი იმ ხელისუფალისა,  
რომელმაც გააგრძელა, ან განაახლა ამ დოკუმენტის ვადა

(დოკუმენტი 32 გვერდიანია, ყლის გარდა)

ვადის გაგრძელება ან განახლება

გადასახადი გადახდილია: ----- დან

შესრულებულია ----- მღე  
თარიღი -----

ხელმოწერა და ბეჭედი იმ ხელისუფალისა,  
რომელმაც გააგრძელა, ან განაახლა ამ დოკუმენტის ვადა

(დოკუმენტი 32 გვერდიანია, ყდის გარდა)

---

(6)

ვადის გაგრძელება ან განახლება

გადასახადი გადახდილია: ----- დან  
----- მღე  
შესრულებულია ----- თარიღი -----

ხელმოწერა და ბეჭედი იმ ხელისუფალისა,  
რომელმაც გააგრძელა, ან განაახლა ამ დოკუმენტის ვადა

(დოკუმენტი 32 გვერდიანია, ყდის გარდა)

---

ვადის გაგრძელება ან განახლება

გადასახადი გადახდილია: ----- დან  
----- მღე  
შესრულებულია ----- თარიღი -----

ხელმოწერა და ბეჭედი იმ ხელისუფალისა,  
რომელმაც გააგრძელა, ან განაახლა ამ დოკუმენტის ვადა

(დოკუმენტი 32 გვერდიანია, ყდის გარდა)

---

(7-32)

**ვიზები**

ამ დოკუმენტის მფლობელის გვარი უნდა განმეორდეს ყოველ ვიზაში.

(დოკუმენტი 32 გვერდიანია, ყლის გარდა)

კონვენცია განათლების სისტემაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ

*მიღებულია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და  
კულტურის  
ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მეთერთმეტე სესიაზე  
1960 წლის 14 დეკემბერს,  
ძალაშია 1962 წლის 22 მაისიდან*

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის  
ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, *რომელიც*

*შეიკრიბა* პარიზში 1960 წლის 14 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე თავის  
მეთერთმეტე სესიაზე,

*შეაზსენებს*, რომ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია იცავს  
დისკრიმინაციისაგან თავისუფლების პრინციპს და აცხადებს ყოველი  
პიროვნების უფლებას განათლებაზე,

*მხდევლობაში იღებს*, რომ განათლების სისტემაში დისკრიმინაცია ამ  
დეკლარაციით გამოცხადებული უფლებების დარღვევაა,

*მხდევლობაში იღებს*, რომ, გაერთიანებული ერების განათლების,  
მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად,  
მისი მიზანია ერთა შორის თანამშრომლობის დამყარება ადამიანის  
უფლებებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების თანაბრობისადმი  
საყოველთაო პატივისცემის შემდგომი გაღრმავების მიზნით,

*აღიარებს*, რომ ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაერთიანებული ერების  
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მოვალეობაა  
ეროვნული განათლების სისტემების მრავალფეროვნების პატივისცემის  
ფონზე არა მხოლოდ კანონით აკრძალოს განათლების სისტემაში  
ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, არამედ, ასევე, ხელი შეუწყოს  
განათლების სისტემაში ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და  
მოპყრობის პრინციპის დანერგვას,

*რომელსაც*

წინ უღვეს განაცხადები განათლების სისტემაში დისკრიმინაციის სხვადასხვა ასპექტების შესახებ, რომლებიც შეადგენს მისი სესიის დღის წესრიგის 17.1.4. ნაწილს,

### რომელმაც

გადაწვევით თავის მათე სესიაზე, რომ ეს საკითხი უნდა იქცეს საერთაშორისო კონვენციის ისევე, როგორც წვერ სახელმწიფოთა შორის რეკომენდაციების საგნად,

იღებს ამ კონვენციას 1960 წლის 14 დეკემბერს:

### მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი - "დისკრიმინაცია", გულისხმობს ნებისმიერ განსხვავებას, გამოიყენას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეკონომიკური მდგომარეობის ან დაბადების ნიშნით, რომლის მიზანია ან რომელსაც შედეგად მოსდევს განათლების სისტემაში თანაბარი მოპყრობის უარყოფა ან შესუსტება, კერძოდ:
  - a) რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფისადმი სხვადასხვა სახისა და დონის განათლების ხელმისაწვდომობის უფლების ჩამორთმევა;
  - b) რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფისათვის განათლების შეზღუდული სტანდარტის დაწესება;
  - c) ამ კონვენციის მე-2 მუხლის დებულებების შესაბამისად, რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფისათვის განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემის ან დაწესებულებების გაუქმება ან შენარჩუნება;
  - d) რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც შეუთავსებელია ადამიანის ღირსებასთან.
2. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი - "განათლება", ეხება განათლების სხვადასხვა სახესა და დონეს და გულისხმობს განათლების ხელმისაწვდომობას, მის ხარისხსა და სტანდარტს და მისი მიწოდების პირობებს.

### მუხლი 2

როცა სახელმწიფოს მიერ ნებადართულია, კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, არ ჩაითვლება დისკრიმინაციულად შემდეგი სიტუაციები:

- a) სხვადასხვა სქესის მოსწავლეებისათვის განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემების ან დაწესებულებების შექმნა ან

შენარჩუნება, თუ ეს სისტემები ან დაწესებულებები უზრუნველყოფენ განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, თანაბარი კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პერსონალისა და თანაბარი ხარისხის სასწავლო შენობებისა და აღჭურვილობის არსებობას, და იძლევიან თანაბარი ან ექვივალენტური სასწავლო კურსების გავლის შესაძლებლობას;

- b) რელიგიური ან ლინგვისტური მიზნით, განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემების ან დაწესებულებების შექმნა ან შენარჩუნება, რომლებიც იძლევიან განათლებას მოსწავლეთა მშობლებისა და კანონიერ მწურობების სურვილის გათვალისწინებით, თუ ასეთ სისტემებში მონაწილეობა ან ასეთ დაწესებულებებში ყოფნა ნებაყოფლობითია და თუ მათ მიერ მიწოდებული განათლება შეესაბამება ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილ ან მოწონებულ სტანდარტებს, კერძოდ, ამ დონისათვის;
- c) კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა ან შენარჩუნება, თუ ამ დაწესებულებების მიზანია არა რომელიმე ჯგუფის გამოჯენა, არამედ დამატებითი საგანმანათლებლო საშუალებების მიწოდება, გარდა იმისა, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ, თუ დაწესებულებები შექმნილია ამ მიზნით და თუ მათ მიერ მიწოდებული განათლება შეესაბამება ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილ ან მოწონებულ სტანდარტებს, კერძოდ, განათლების ამ დონისათვის.

### მუხლი 3

ამ კონვენციის შინაარსის შესაბამისად, დისკრიმინაციის ლიკვიდაციისა და თავიდან აცილებისათვის მხარე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ:

- a) გააუქმონ ნებისმიერი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტი (ინსტრუქცია) და შეწყვიტონ ნებისმიერი პრაქტიკა, რომელიც შეიცავს დისკრიმინაციას განათლების სისტემაში;
- b) აუცილებლობის შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების დროს მოსწავლეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- c) არ დაუშვან ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა მიმართ, დამსახურებისა და მოთხოვნების გარდა, რაიმე სხვა საფუძვლით განსხვავებული მოპყრობა სასწავლო გადასახადებთან, აგრეთვე, სასწავლო და სხვა სახის დახმარებების, ასევე, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული ნებართვებისა და საშუალებების გაცემასთან დაკავშირებით;

- d) არ დაუშვან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი, ნებისმიერი ფორმით დახმარებისას, რაიმე შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომელსაც საფუძვლად უდევს მხოლოდ და მხოლოდ ამ დაწესებულების მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილება;
- e) თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის უზრუნველყონ განათლების ხელმისაწვდომობა საკუთარი მოქალაქეების თანაბრად.

#### მუხლი 4

კონვენციის მხარე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ჩამოაყალიბონ, განავითარონ და განახორციელონ ეროვნული პოლიტიკა, რომელიც, არსებული პირობების შესაფერის და ეროვნულ დონეზე გამოყენებადი მეთოდების საშუალებით, მიმართული იქნება განათლების სფეროში შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანაბრობის ხელშეწყობისაკენ, კერძოდ:

- a) შემოიღონ უფასო და საკვალდებულო დაწყებითი განათლება; საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლება მისი სხვადასხვა ფორმით; აქციონ უმაღლესი განათლება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომად, თითოეულის უნარიდან გამომდინარე; უზრუნველყონ ყველასათვის სკოლაში სიარულის კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება;
- b) უზრუნველყონ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთსა და იმავე დონეზე განათლების სტანდარტებისა და მისი მიწოდების ხარისხთან დაკავშირებული პირობების თანაბრობა;
- c) შესაბამისი მეთოდების საშუალებით წაახალისონ და გააძლიერონ იმ პირთა სწავლება, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების კურსი და ამ სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა, თითოეულის უნარის გათვალისწინებით;
- d) უზრუნველყონ საგანმანათლებლო კადრების წვრთნა დისკრიმინაციის გარეშე.

#### მუხლი 5

1. კონვენციის მხარე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ:
  - a) განათლება მიმართული უნდა იყოს პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის განმტკიცებისაკენ; მან უნდა განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა ეროვნებებს, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის, და ხელი



შეუწყოს გაერთიანებული ერების ღონისძიებებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის;

b) აუცილებელია მშობლებისა და, შესაფერის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლების პატივისცემა, - ერთი მხრივ, აირჩიონ საკუთარი ბავშვებისათვის დაწესებულებები, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დაქვემდებარებაში, მაგრამ აკმაყოფილებენ ამ ორგანოების მიერ დადგენილ ან მოწონებულ მინიმალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს და, მეორე მხრივ, საკუთარი შეხედულებისამებრ, უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და მორალური განათლება, სახელმწიფოს მიერ მისი კანონმდებლობის გამოყენებისათვის მიღებული პროცედურის შესაბამისად; დაუშვებელია რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის იძულება მიიღოს მის შეხედულებებთან შეუთავსებელი რელიგიური განათლება;

c) აუცილებელია ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფის წევრების უფლების აღიარება - განახორციელონ თავიანთი საგანმანათლებლო ღონისძიებები, სკოლების შენარჩუნებისა და, თითოეული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკიდან გამომდინარე, საკუთარი ენის გამოყენებისა და სწავლების ჩათვლით, იმის გათვალისწინებით, რომ:

(I) ეს უფლება არ განხორციელდეს ისეთი ფორმით, რომელიც ხელს შეუშლის უმცირესობათა ჯგუფის წევრებს გაეცნონ ზოგადად გარემომცველი საზოგადოების კულტურასა და ენას და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში, ან ზიანს მიაყენებს ეროვნულ სუვერენიტეტს;

(II) განათლების სტანდარტი არ იყოს ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილ ან მოწონებულ სტანდარტზე დაბალი; და

(III) სკოლაში დასწრება იყოს ნებაყოფლობითი.

2. ამ კონვენციის მხარე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება ამ მუხლის პირველი პუნქტით გამოცხადებული პრინციპების შესრულების უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 6

ამ კონვენციის გამოყენებისას, მხარე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ უდიდესი ყურადღება დაუთმონ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური

კონვენციის მიერ მიღებულ რეკომენდაციებს განათლების სისტემაში დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგ მიმართული და შესაძლებლობათა და მოპყრობის თანაბრობის უზრუნველსაყოფად გამიზნული ღონისძიებების შესახებ.

#### მუხლი 7

კონვენციის მხარე სახელმწიფოები გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციისადმი ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პერიოდულობითა და ფორმით წარდგენილ ანგარიშებში მიუთითებენ იმ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დებულებების, აგრეთვე, იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიიღეს ამ კონვენციის განსახორციელებლად, მე-4 მუხლით განსაზღვრული ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების, აგრეთვე, ამ პოლიტიკის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი დაბრკოლებების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.

#### მუხლი 8

ამ კონვენციის ორ ან რამდენიმე მხარე სახელმწიფოს შორის კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე წარმოშობილი დავა, რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკებით ან სხვა ფორმით, მოდავე მხარეების მოთხოვნით, განსახილველად გადაეცემა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს.

#### მუხლი 9

დაუშვებელია ამ კონვენციაზე დათქმის გაკეთება.

#### მუხლი 10

ეს კონვენცია არ ამცირებს ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებით პირთათვის ან პირთა ჯგუფისათვის მინიჭებულ უფლებებს, თუ ეს უფლებები არ ეწინააღმდეგება კონვენციას ან მის არსს.

#### მუხლი 11

ეს კონვენცია შედგენილია ესპანურ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. ოთხივე ენაზე შემდგარი ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

## მუხლი 12

1. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიცირებას ან მიერთებას გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მხრიდან, ამ უკანასკნელთა კონსტიტუციებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.
2. რატიფიცირების ან მიერთების დოკუმენტები დეპონირდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან.

## მუხლი 13

1. ეს კონვენცია მისაერთებლად ღიაა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის არაწევრი იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც მიერთებისათვის მოიწვევს ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭო.
2. მიერთება ძალაში შედის გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ.

## მუხლი 14

ეს კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შემდეგ დოკუმენტის დეპონირების დღიდან სამი თვის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს თავიანთი დოკუმენტების დეპონირება აღნიშნულ დღეს ან ამ დღემდე. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის კონვენცია ძალაში სევა ამ სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირების, მიღების ან მიერთების დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

## მუხლი 15

ამ კონვენციის მხარე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ კონვენცია მოქმედებს არა მხოლოდ მეტროპოლიის, არამედ ყველა არათვითმართვად, მინდობილ, კოლონიურ ან სხვა ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელიც ეს სახელმწიფოები არიან; ისინი ვალდებულია იღებენ, აუცილებლობის შემთხვევაში, კონვენციის რატიფიცირების, მიღების ან მიერთების პროცესში ან მანამდე ამ ტერიტორიების მთავრობებთან ან ხელისუფლების სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან გამართონ კონსულტაციები აღნიშნულ ტერიტორიებზე კონვენციის მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით და შეატყობინონ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს იმ ტერიტორიების შესახებ,

სადაც კონვენცია ასეთი წესის შესაბამისად მოქმედებს. შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან სამი თვის შემდეგ.

#### მუხლი 16

1. ამ კონვენციის თითოეულ მხარე სახელმწიფოს შეუძლია კონვენციის დენონსირება საკუთარი ან იმ ტერიტორიის სახელით, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის აგებს პასუხს.
2. დენონსირება ხდება წერილობითი შეტყობინების ფორმით, რომელიც დეპონირდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან.
3. დენონსირება ძალაში შედის დენონსირების დოკუმენტის მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

#### მუხლი 17

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, ამ კონვენციის მე-13 მუხლში მითითებულ არაწევრ სახელმწიფოებს, აგრეთვე, გაერთიანებულ ერებს ატყობინებს ამ კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად მისი რატიფიცირების, მიღებისა და მიერთების ყველა დოკუმენტის, აგრეთვე, ამ კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად მიღებული შეტყობინებებისა და დენონსირების დოკუმენტების დეპონირების თითოეული ფაქტის შესახებ.

#### მუხლი 18

1. ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯულ იქნეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ. თითოეული ასეთი ცვლილება კონვენციაში სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გახდებიან შეცვლილი კონვენციის მხარეები.
2. თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელიც ცვლის ამ კონვენციას მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ, ეს კონვენცია დაიხურება რატიფიცირების, მიღების ან მიერთებისათვის ახალი, შეცვლილი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, თუ ახალი კონვენციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

#### მუხლი 19

გაერთიანებული ერების ქარტიის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს კონვენცია, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და

კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოთხოვნით, რეგისტრირდება გაერთიანებული ერების სამდივნოში.

შესრულებულია პარიზში 1960 წლის 15 დეკემბერს, ორ ავთენტურ ეგზემპლარად, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მეთერთმეტე სესიის თავმჯდომარისა და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ხელმოწერებით. აღნიშნული ეგზემპლარები დეკონირდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის არქივში, ხოლო მათი სათანადოდ დამოწმებული ასლები ეგზავნებათ ამ კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებში მითითებულ სახელმწიფოებს ისევე, როგორც გაერთიანებულ ერებს.

**კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა  
შემცირების შესახებ**

მიღებულია 1961 წლის 30 აგვისტოს სრულუფლებიან  
წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1959 და 1961  
წელს გენერალური ასამბლეის 1954 წლის 4 დეკემბრის  
რეზოლუცია 896 (IX)

**ძალაშია:** 1975 წლის 13 დეკემბრიდან, 18-ის მუხლის თანახმად

**ხელმომწერი სახელმწიფოები,**

*მოქმედებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური  
ასამბლეის 1954 წლის 4 დეკემბრის 896 (IX) რეზოლუციის  
შესაბამისად,*

*თვლიან რა სასურველად საერთაშორისო შეთანხმებით შეამცირონ  
მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობა,*

**შეთანხმდნენ შემდეგზე**

**მუხლი 1**

1. ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფო მოქალაქეობას მიანიჭებს მის  
ტერიტორიაზე დაბადებულ ყველა იმ პირს, რომელიც სხვაგვარად  
ჩაითვლებოდა მოქალაქეობის არმქონედ. ამგვარი მოქალაქეობა  
ენიჭება:
  - a. დაბადებისთანავე, კანონის შესაბამისად, ან
  - b. შესაბამისი თანამდებობის პირის სახელზე განცხადების  
შეტანით მოქალაქეობის არმქონე პირის ან მისი  
სახელით ქვეყანაში მოქმედი კანონის შესაბამისად. ამ  
მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების თანახმად ამგვარი  
განცხადების უარყოფა არ შეიძლება.

ხელმომწერ სახელმწიფოს, რომელიც მოქალაქეობას ანიჭებს ამ პუნქტის (b) ქვე-პუნქტის თანახმად, შეუძლია აგრეთვე თავისი მოქალაქეობის მინიჭება კანონის შესაბამისად ისეთ ასაკში და ისეთი პირობებით, რომელიც შეიძლება იყოს გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით.

2. ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფო უფლებამოსილია მოქალაქეობა მიანიჭოს ამ მუხლის 1 პუნქტის (b) ქვე-პუნქტის თანახმად, შემდეგი პირობებით:

a. განცხადება შეტანილ იქნას ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვადებში, არა უადრეს 18 წლის და არა უგვიანეს 21 წლის ასაკისა, იმგვარად, რომ პირს, რომელიც მოქალაქეობას ითხოვს, ჰქონდეს სულ ცოტა ერთი წელი, რათა დამოუკიდებლად მიმართოს ხელისუფლებას განცხადებით;

b. პირი, რომელიც მოქალაქეობას ითხოვს, უნდა ცხოვრობდეს ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში და ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს უშუალოდ განცხადებით მიმართვის დღიდან და საერთოდ არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს;

c. პირი, რომელიც მოქალაქეობას ითხოვს, არ იყოს ეჭვიმთავარი ან მსჯავრდებული სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, ან არ იყოს მსჯავრდებული ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულში, რომლისთვისაც დადგენილია 5 და მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა.

d. პირი ყოველთვის ითვლებოდა მოქალაქეობის არმქონედ.

3. ამ მუხლის 1 (ბ) და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დებულებების მიუხედავად, ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქორწინებით დაბადებული ბავშვი, რომლის დედაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეა, დაბადებით იქნეს ამ ქვეყნის მოქალაქეობას, თუკი სხვაგვარად ის ჩაითვლებოდა მოქალაქეობის არმქონედ.

4. ხელმომწერი სახელმწიფო მოქალაქეობას მიანიჭებს იმ პირს, რომელიც სხვაგვარად ჩაითვებოდა მოქალაქეობის არმქონედ, და

რომელიც ვერ მიიღებდა იმ ხელმომწერი სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის ტერიტორიაზედაც დაიბადა, იმის გამო, რომ გაუშვა განცხადების შეტანისათვის დადგენილი ასაკი, ან ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების შესახებ, თუ მისი დაბადების მომენტში ერთ-ერთი მშობელი ზემოთაღნიშნული ხელმომწერი სახელმწიფოებიდან პირველის მოქალაქე იყო. იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს ბავშვის დაბადების მომენტისათვის არ გააჩნდათ ერთნაირი მოქალაქეობა, საკითხი იმის შესახებ, მიენიჭოს აღნიშნულ პირს მოქალაქეობა მამის თუ დედის ხაზით, წყდება ხელმომწერი სახელმწიფოს კანონმდებლობით. თუ მოქალაქეობის მისაღებად საჭიროა განცხადება, განცხადება შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი თანამდებობის პირის სახელზე პირადად, ან განმცხადებლის სახელით კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებების თანახმად, ამგვარი განცხადება არ უნდა იყოს უარყოფილი.

5. ხელმომწერი სახელმწიფო უფლებამოსილია მოქალაქეობა მიანიჭოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შემდეგი პირობებით:

- a. განცხადება შეტანილ უნდა იქნას ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ასაკში, რომელიც არ უნდა იყოს ოცდასამ წელზე ნაკლები;
- b. განმცხადებელი ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს განცხადების შეტანამდე;
- c. აღნიშნული პირი ყოველთვის ითვლებოდა მოქალაქეობის არმქონედ.

## მუხლი 2

ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაპოენი პირი, საწინააღმდეგო მტკიცების არ არსებობის შემთხვევაში, უნდა ჩაითვალოს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ამ სახელმწიფოს მოქალაქე მშობლებისაგან დაბადებულად.



### მუხლი 3

ამ კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთა ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, გეშე ან საპაერო ხომალდზე დაბადებული პირი ჩაითვლება იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებულად, რომლის დროშის ქვეშ დაცურავს გემი, ან რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია საპაერო ხომალდი.

### მუხლი 4

1. ხელმომწერი სახელმწიფო მოქალაქეობას მიანიჭებს პირს, რომელიც არ დაბადებულა მის ტერიტორიაზე და რომელიც სხვა შემთხვევაში ჩაითვლებოდა მოქალაქეობის არმქონედ, თუკი ამ პირის დაბადების მომენტიისათვის ერთ-ერთი მშობელი იყო ამ სახელმწიფოს მოქალაქე. თუ მშობლებს მისი დაბადების მომენტიისათვის არ გააჩნდათ ერთნაირი მოქალაქეობა, საკითხი მოქალაქეობის შესახებ მამის თუ დედის ხაზით უნდა გადაწყდეს ხელმომწერი სახელმწიფოს კანონმდებლობით. ამ პუნქტის დებულებათა შესაბამისად მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს:

a. დაბადებით, კანონის შესაბამისად, ან

b. შესაბამისი თანამდებობის პირის სახელზე პირადად ან განმცხადებლის სახელით შეტანილი განცხადების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების თანახმად ამგვარი განცხადების უარყოფა არ შეიძლება.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებების თანახმად ხელმომწერი სახელმწიფო უფლებამოსილია მოქალაქეობა მიანიჭოს შემდეგი პირობებით:

a. განცხადება შეტანილ იქნას ხელისუფლების შესაბამის ორგანოში მანამ, სანამ განმცხადებელი მიაღწევს ხელმომწერ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ასაკს, რომელიც არ უნდა იყოს 23 წელზე ნაკლები.

- b. აღნიშნული პირი ცხოვრობდეს მოცემული ხელმოწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უშუალოდ განცხადების შეტანამდე სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს;
- c. აღნიშნული პირი არ იყოს მსჯავრდებული სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.
- d. აღნიშნული პირი ყოველთვის ითვლებოდა მოქალაქეობის არმქონედ.

## მუხლი 5

1. თუ რომელიმე ხელმოწერი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოქალაქეობის დაკარგვას პირის პირადი მდგომარეობის იმგვარი ცვლილებებისას, როგორცაა ქორწინება, ქორწინების შეწყვეტა, ქორწინების გარეშე დაბადებულის შეილება, აღიარება ან შეილად აყვანა, ამგვარი მოქალაქეობის დაკარგვა განიპირობებული უნდა იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობით ან მისი შეტენით.
2. თუ რომელიმე ხელმოწერი სახელმწიფოს კანონმდებლობით მიხედვით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი მამობის აღიარების შედეგად დაკარგავს მოქალაქეობას, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა აღიდგინოს ეს მოქალაქეობა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოსადმი წერილობით მიმართვის წესით, ხოლო პირობები, რომელიც არეგულირებენ ამ წესს არ უნდა იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ეს დადგენილია ამ კონვენციის 1 მუხლის მე-2 პუნქტით.

## მუხლი 6

თუ რომელიმე ხელმოწერი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პიროვნების მეუღლის ან შვილების მიერ მოქალაქეობის დაკარგვას იმის გამო, რომ ამ პიროვნებამ დაკარგა ან ჩამოართვეს მოქალაქეობა, ასეთი დაკარგვის პირობა უნდა იყოს მათ მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის ქონა ან სხვა მოქალაქეობის შეტენა.

## მუხლი 7

1. a. თუ რომელიმე ხელმომწერი სახელმწიფოს კანონმდებლობა იძლევა მოქალაქეობაზე უარის თქმის უფლებას, ასეთი უარი არ უნდა იწვევდეს მოქალაქეობის დაკარგვას გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაბამის პირს აქვს ან იქნეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.  
b. ამ პუნქტის (a) ქვე-პუნქტის დებულებები არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა მათი გამოყენება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს დამტკიცებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 და მე-14 მუხლებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.
2. ხელმომწერი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც სურს ნატურალიზაცია უცხო ქვეყანაში, არ დაკარგავს თავის მოქალაქეობას, თუკი მას არ მიენიჭება ან არ მიიღებს რწმუნებას ამ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ.
3. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების დებულებათა მიხედვით ხელმომწერი სახელმწიფოს მოქალაქე არ დაკარგავს თავის მოქალაქეობას და არ გახდება მოქალაქეობის არმქონე პირი გამგზავრების, საზღვარგარეთ ცხოვრების, რეგისტრაციაში გაუტარებლობის, ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.
4. ნატურალიზებულმა პირმა შეიძლება დაკარგოს მოქალაქეობა საზღვარგარეთ ცხოვრების გამო შესაბამისი ხელმომწერი სახელმწიფოს კანონით დადგენილი დროის განმავლობაში, რომელიც არ უნდა იყოს შვიდ თანამიმდევრულ წელიწადზე ნაკლები, თუ იგი არ გააკეთებს განცხადებას ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს წინაშე მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ.
5. რაც შეეხება რომელიმე ხელმომწერი სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც დააადებულია მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობას შეუძლია შეუნარჩუნოს მოქალაქეობა ამ მოქალაქის მიერ სრულწლოვანების მიღწევიდან ერთი წლის შემდეგ იმ პირობით, თუ იგი ამ დროისათვის ცხოვრობს მის

ტერიტორიაზე ან გაივლის რევისტრაციას ხელისუფლების შესაბამის ორგანოში.

6. გარდა ამ მუხლში ნახსენები გარემოებებისა, პიროვნება არ კარგავს ხელმოწერი სახელმწიფოს მოქალაქეობას, თუ ეს გახდის მას მოქალაქეობის არმქონე პირად, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონვენციის არცერთი სხვა დებულება პირდაპირ არ კრძალავს მოქალაქეობის ამგვარ დაკარგვას.

## მუხლი 8

1. ხელმოწერი სახელმწიფო არ ჩამოართმევს პირს მოქალაქეობას, თუ ეს ჩამოართმევა მას გადააქცევს მოქალაქეობის არმქონე პირად.
2. მიუხედავად ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებებისა, პირს შეიძლება ჩამოერთვას ნებისმიერი ხელმოწერი სახელმწიფოს მოქალაქეობა:
  - a. ისეთ გარემოებებში, რომლის დროსაც ჩამოართმევა მოხდება მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით;
  - b. როდესაც მოქალაქეობა მოპოვებულ იქნა ცრუ მონაცემების ან თაღლითობის საფუძველზე.
3. მიუხედავად ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებებისა, ხელმოწერმა სახელმწიფომ შეიძლება შეინარჩუნოს პირისათვის მოქალაქეობის ჩამოართმევის უფლება, თუ ხელისმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროისათვის იგი მიუთითებს, რომ ინარჩუნებს მოქალაქეობის ჩამოართმევის უფლებას რამოდენიმე პირობიდან ერთ-ერთის საფუძველზე. რომელიმე ამავე დროს შედის მის ეროვნულ კანონმდებლობაში:
  - a. რომ მიუხედავად თავისი მოვალეობისა იყოს ამ ხელმოწერი სახელმწიფოს ერთგული, პირმა
    - (1) უგულვებელყოფს რა ხელმოწერი სახელმწიფოს მიერ კატეგორიულ აკრძალვას, მაინც აღმოუჩინა დახმარება, ან აკრძალვებს დახმარების აღმოჩენას ან მიადო

ან აგრძელებს ანაზღაურების მოღებას სხვა სახელმწიფოსაგან ან

(II)

იქცევა იმგარად, რომ სერიოზულ ზიანს აყენებს ამ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს;

- b. რომ პიროვნებამ მიიღო ერთგულების ფიცი, ან გააკეთა ოფიციალური განცხადება სხვა სახელმწიფოს ერთგულების შესახებ, ან მისცა გარკვეული მტკიცებულება თავისი განზრახვის შესახებ უარი თქვას ამ ხელმომწერი სახელმწიფოსადმი ლოიალობაზე.
- c. არც ერთმა ხელმომწერმა სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს მოქალაქეობის ჩამორთმევის უფლება, რომელიც დაშვებულია ამ მუხლის 2 და 3 პუნქტების მიხედვით იმ კანონთა შესაბამისობის გარეშე, რომელიც აღნიშნული პირისათვის უზრუნველყოფს სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ საქმის სამართლიან განხილვას.

## მუხლი 9

არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია რომელიმე პირისათვის ან პირთა ჯგუფისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ან პოლიტიკურ საფუძველზე.

## მუხლი 10

1. ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის ყველა საერთაშორისო შეთანხმებებში, რომლებიც ითვალისწინებენ ტერიტორიის გადაცემას, უნდა იყოს ჩართული დებულებები, რომლებითაც გაიანტირებული იქნება, რომ ამ გადაცემის შედეგად არც ერთი პირი არ გახდება მოქალაქეობის არმქონე. ყოველმა ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა იმისათვის, რომ ასეთი დადგენილებები შევიდეს ნებისმიერ მსგავს მოლაპარაკებაში, რომელსაც იგი დადებს ამ კონვენციის არმონაწილე სახელმწიფოსთან.

2. ასეთი დებულებების არარსებობის შემთხვევაში ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფო, რომელსაც გადაეცემა ტერიტორია, ან რომელიც რაიმე საშუალებით იძენს ტერიტორიას, თავის მოქალაქეობას ანიჭებს იმ პირებს, რომლებიც ასეთი გადაცემის ან შებენის შედეგად მოქალაქეობის არმქონენი ხდებიან.

## მუხლი 11

ხელმომწერი სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში ხელს შეუწყობენ რატიფიკაციის ან მიერთების შეექვსე დოკუმენტის დეპონირებიდან უმოკლეს ვადაში ისეთი ორგანოს შექმნას, რომელსაც შეუძლია მიმართოს პირმა, რომელიც ითხოვს ამ კონვენციის საფუძველზე რაიმე უპირატესობით სარგებლობას, რათა ამ ორგანომ გადასინჯოს მისი მოთხოვნა ან აღმოუჩინოს დახმარება ხელისუფლების შესაბამის ორგანოში მისი წარდგენის საშუალებით.

## მუხლი 12

1. რაც შეეხება ხელმომწერ სახელმწიფოს, რომელიც 1 მუხლის 1 პუნქტის, ან ამ კონვენციის 4 მუხლის დებულებების მიხედვით კანონის ძალით არ ანიჭებს თავის მოქალაქეობას დაბადებისას, 1 მუხლის 1 პუნქტის ან 4 პუნქტის დებულებები შეეხება ამ კონვენციის ძალაში შესვლის წინ და აგრეთვე მას შემდეგ დაბადებულ პირებს.
2. ამ კონვენციის 1 მუხლის 4 პუნქტის დებულებები შეეხება მისი ძალაში შესვლის წინ, ასევე მას შემდეგ დაბადებულ პირებს.
3. ამ კონვენციის მე-2 მუხლის დებულებები შეეხება მხოლოდ ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაპოვნ პირებს მოცემული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

## მუხლი 13

ეს კონვენცია არ უნდა იქნეს გაგებული რომელიმე ისეთი დადგენილების საზიანოდ, რომელიც უფრო მეტად უწყობს ხელს მოქალაქეობის არმქონე

პირთა რაოდენობის შემცირებას და შედის, ან უნდა შევიდეს რომელიმე ხელმომწერი სახელმწიფოს კანონმდებლობაში, ან რომელიმე სხვა კონვენციაში, საერთაშორისო მოლაპარაკებაში ან შეთანხმებაში. რომელიც ძალაშია ან უნდა შევიდეს ძალაში ორი ან მეტი ხელმომწერი სახელმწიფოსათვის.

#### მუხლი 14

ნებისმიერი სადავო საკითხი ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის მოგვარებაც სხვა საშუალებით არ ხერხდება, დავის მონაწილე ნებისმიერი მხარის მოთხოვნით გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს.

#### მუხლი 15

1. ეს კონვენცია ვრცელდება ყველა არათვითმართვად, ქვეშევრდომ, კოლონიალურ და სხვა არამეტროპოლურ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზედაც პასუხს აგებს რომელიმე ხელმომწერი სახელმწიფო. აღნიშნული ხელმომწერი სახელმწიფო ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელისმომწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს აკეთებს განცხადებას იმ არამეტროპოლური ტერიტორიის ან ტერიტორიების შესახებ, რომლებზედაც ეს კონვენცია უნდა გავრცელდეს *ipso facto* ასეთი ხელისმომწერის, რატიფიკაციის ან მიერთების შედეგად.
2. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც იმის გამო, რომ საქმე ეხება მოქალაქეობას, არამეტროპოლური ტერიტორია არ განიხილება როგორც ერთიანი მეტროპოლურ ტერიტორიასთან ერთად, ან ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა არამეტროპოლური სახელმწიფოს წინასწარი თანხმობა, ხელმომწერი სახელმწიფოს ან არამეტროპოლური ტერიტორიის ძირითადი კანონებისა და პრაქტიკის შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ კონვენციის გავრცელებისათვის ამ ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები არამეტროპოლური ტერიტორიის მიერ აუცილებელი თანხმობის მისაღებად თორმეტთვიანი ვადის მონაკვეთში აღნიშნული ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ კონვენციაზე ხელმომწერის დღიდან და როდესაც მიღებული იქნება ასეთი თანხმობა ამ ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ეს კონვენცია ვრცელდება ამ შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული თორმეტთვიანი ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისმა ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ გენერალურ მდივანს იმ არამეტროპოლურ ტერიტორიებთან კონსულტაციების შედეგები, რომელთა სერთაშორისო ურთიერთობებზედაც ისინი პასუხს აგებენ და რომელთაგანაც არ იყო მიღებული თანხმობა იქ ამ კონვენციის გავრცელების შესახებ.

### მუხლი 16

1. ეს კონვენცია გაიხსნება ხელმოსაწერად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში 1961 წლის 30 აგვისტოდან 1962 წლის 31 მაისამდე.
2. ეს კონვენცია გაიხსნება ხელმოსაწერად:
  - a. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს,
  - b. ნებისმიერი სხვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქალაქეობის ამ მქონე პირების შემცირების შესახებ მომავალ კონფერენციაზე დასასწრებად მოწვეული ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს,
  - c. ნებისმიერი სახელმწიფოს, რომელიც მიწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ხელმოსაწერად ან მისაერთებლად, სახელით.
3. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას და სარატიფიკაციო ინსტრუმენტების დეპონირება ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.



4. ეს კონვენცია ღიაა შესაერთებლად ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული სახელმწიფოების მიერ. შეერთება მოხდება შეერთების ინსტრუმენტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებით.

### მუხლი 17

1. ხელისმომწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა 11, 14 ან 15 მუხლების მიმართ.
2. ამ კონვენციისათვის სხვა დათქმის გაკეთება არ არის დასაშვები.

### მუხლი 18

1. ეს კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ შეეკვესე აქტის დეპონირებიდან ორი წლის შემდეგ.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც რატიფიკაციას უკეთებს ამ კონვენციას ან მიუერთდება მას შეეკვესე ინსტრუმენტის დეპონირების შემდეგ, ის ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ აქტების დეპონირებიდან მეცხრანეტე დღეს, ან იმ დროისათვის, როდესაც ეს კონვენცია ძალაში შევა ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებების თანახმად, იმისდა მიხედვით თუ რომელი თარიღია უკანასკნელი.

### მუხლი 19

1. ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ კონვენციას წერილობითი შეტყობინებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიმართ. ასეთი დენონსაცია აღნიშნული სახელმწიფოსათვის ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.
2. ისეთ შემთხვევებში, თუ მუხლი 15-ის დებულებების მიხედვით ეს კონვენცია გავრცელდება ხელმომწერი სახელმწიფოს

არამეტროპოლურ ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოს შეუძლია ამის შემდეგ ნებისმიერ დროს ამ ტერიტორიის თანხმობით, მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ამ კონვენციის დენონსაციის თაობაზე აღნიშნული ტერიტორიისაგან დამოუკიდებელად. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, რომელიც აცნობებს ასეთი მიმართვის შესახებ ყველა სხვა ხელმომწერ სახელმწიფოს და მისი მიღების თარიღს.

## მუხლი 20

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი შეატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ და მე-16 მუხლში მითითებულ არაწევრ ქვეყნებს შემდეგ გარემოებათა შესახებ:
  - a. მე-16 მუხლის მიხედვით ხელმოწერის, რატიფიკაციის და მიერთების შესახებ;
  - b. მუხლი 17-ის მიხედვით, დათქმების შედეგად;
  - c. ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ, მე-18 მუხლის მიხედვით;
  - d. დენონსაციების შესახებ, მე-19 მუხლის მიხედვით.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ შეექვეს დოკუმენტის დებონირების შემდეგ გენერალურ ასამბლეას აცნობებს მე-11 მუხლის მიხედვით მასში აღნიშნული ორგანოს შექმნის შესახებ.

## მუხლი 21

ამ კონვენციის რეგისტრაცია მოხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან.

საერთაშორისო პაქტი  
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული  
უფლებების შესახებ

*მიღებულია და ღია ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და  
მისაერთებლად გენერალური ასამბლეის  
1966 წლის 16 დეკემბრის 2200 A (XXI) რეზოლუციით  
ძალაშია: 1976 წლის 3 იანვრიდან, 27-ე მუხლის შესაბამისად*

**პრეამბულა**

*წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც*

*ითვალისწინებენ რა რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანთა მოდგმის  
ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსების, მათი თანასწორი და  
ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის თავისუფლების,  
სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი,*

*აღიარებენ რა რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის  
პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან,*

*აღიარებენ რა რომ "ადამიანის უფლებათა საყოველთაო  
დეკლარაციის" თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან  
თავდახსნილი პიროვნების იდეალის განხორციელება შესაძლებელია  
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა  
თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და  
კულტურული უფლებებით ისევე, როგორც თავისი სამოქალაქო და  
პოლიტიკური უფლებებით,*

*ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
წესდების თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ  
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და  
დაცვას,*

აცნობიერებენ რა რომ თითოეული პიროვნება, აქვს რა მოვალეობები სხვა პიროვნებებისა და იმ საზოგადოებისადმი, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღვეწოდეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა პატივისცემისა და დაცვისათვის,

## *შეთანხმდნენ შემდეგზე:*

### **ნაწილი I**

#### *მუხლი 1*

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად განსაზღვრებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.
2. ყველა ხალხს საკუთარი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არცერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამოერთვას საარსებო საშუალებანი, რომლებიც მას ეკუთვნის.
3. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომელთაც არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

### **ნაწილი II**

#### *მუხლი 2*

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, დამოუკიდებლად და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით, ეკონომიკურ და ტექნიკურ სფეროში, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მიიღოს ზომები ამ პაქტით აღიარებული უფლებების

თანდათანობითი, სრული განხორციელებისათვის ყველა მართებული, საშუალებით, მათ შორის სამართლებრივი საშუალებების მიღების ჩათვლით.

2. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ, რომ ამ პაქტით გამოცხადებული უფლებები განხორციელდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებათა გამო.
3. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ ადამიანის უფლებათა და ეროვნული ეკონომიკის შესაძლებლობათა სათანადო გათვალისწინებით განსაზღვრონ, თუ რა მოცულობით ძალუძთ ამ პაქტით აღიარებული ეკონომიკური უფლებების გარანტირება იმ პირთათვის, რომლებიც მათი მოქალაქეები არ არიან.

### *მუხლი 3*

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება, ისარგებლონ წინამდებარე პაქტით დადგენილი ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით.

### *მუხლი 4*

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებათა გამოყენების დროს, რომლებსაც ესა თუ ის სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის თანახმად, აღნიშნულ სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს ამ უფლებების შეზღუდვა კანონით განსაზღვრული წესით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეთავსებადია ამ უფლებათა ბუნებასთან, და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საერთო კეთილდღეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

### *მუხლი 5*

1. წინამდებარე პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს ისე, თითქოს ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, ყველს ან რომელიმე

პირს ჰქონდეს უფლება, ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან ჩაიდინოს რაიმე მოქმედება ამ პაქტით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობით შეზღუდვის მიზნით, ვიდრე წინამდებარე პაქტი ითვალისწინებს.

2. ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია ან არსებობს რომელიმე სახელმწიფოში კანონის, კონვენციების, წესებისა და ზნე-ჩვეულებების ძალით, დაუშვებელია შეიზღუდოს ან დაკნინდეს იმ საბაბით, რომ წინამდებარე პაქტში ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

### ნაწილი III

#### მუხლი 6

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც დათანხმდება, და გადადგამენ სათანადო ნაბიჯებს ამ უფლების უზრუნველსაყოფად.
2. ზემოაღნიშნული უფლების სრული განხორციელების მიზნით, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული და შედეგიანი დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებანი დაცული იქნება.

#### მუხლი 7

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს:

- a) ანაზღაურებას, რომელიც მშრომელს უზრუნველყოფს სულ მცირე:
  - I. სამართლიანი ხელფასითა და თანაბარი ანაზღაურებით ტოლფასოვანი შრომისათვის რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, კერძოდ, ქალებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შრომის

ისეთი პირობები, რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის;

II. მასა და მის ოჯახს ღირსეული არსებობის შესაძლებლობით, ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად.

- b) უსაფრთხო და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესაბამის შრომის პირობებს;
- c) თითოეულისათვის თანაბარ შესაძლებლობას უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დაწინაურდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად;
- d) დასვენების, თავისუფალი დროის ქონის და სამუშაო დროის გონივრული შეზღუდვის, აგრეთვე პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობას ისევე, როგორც ანაზღაურებას საზოგადოებრივი უქმე დღეებისათვის.

### *მუხლი 8*

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ:
  - a) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელებისა და დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით და ორგანიზაციის წესების შესაბამისად. აღნიშნული უფლების გამოყენება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;
  - b) პროფესიული კავშირების უფლება - შექმნან ეროვნული ფედერაციები და კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება - შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;
  - c) პროფესიული კავშირების უფლება - იმოქმედონ შეუფერხებლად რაიმე შეზღუდვის გარეშე იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი

წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

- d) გაფიცვების უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი განხორციელდება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება ამ უფლების გამოყენებაზე კანონის შესაბამისად შეზღუდვას იმ პირთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის შემადგენლობაში.
3. ამ მუხლში არაფერი აძლევს უფლებას “ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციის” მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ საკანონმდებლო ზომები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ ან გამოიყენონ კანონი ისე, რომ ზიანი მიაღვას ამ გარანტიებს.

### *მუხლი 9*

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

### *მუხლი 10*

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

1. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი ერთეულია, უნდა გაეწიოს შეძლებისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და იმ პერიოდში, სანამ ეკისრება ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის პასუხისმგებლობა, ვიდრე ის დამოუკიდებელი გახდებოდეს. ქორწინება უნდა ხდებოდეს დასაქორწინებელ პირთა თანხმობით;
2. განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ დედები მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა მიეცეთ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფით;



3. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმოშობისა თუ სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცულ უნდა იქნან ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. მათი შრომის, გამოყენება ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო ან სიცოცხლისათვის საშიშ ან სხვა ისეთ დარღვი მათი გამოყენება, რომელსაც შეუძლია აენოს მათ ნორმალურ განვითარებას, კანონით უნდა ისჯებოდეს. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთაც ბავშვთა ანაზღაურებადი შრომის გამოყენება კანონით აკრძალული და დასჯადი იქნება.

## *მუხლი II*

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო ღონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად.
2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, აღიარებენ რა თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას - არ განიცდიდეს შიმშილს - ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით უნდა ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს კონკრეტული პროგრამების ჩათვლით, რომლებიც საჭიროა, რათა:
  - ა) გაუმჯობესდეს სურსათის წარმოების, შენახვისა და განაწილების მეთოდები ტექნიკური და სამეცნიერო ცოდნის ფართოდ გამოყენების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრარული სისტემების ისეთი სრულყოფისა თუ რეფორმის გზით, რითაც მიიღწევა ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტური ათვისება და გამოყენება, და
  - ბ) მხედველობაში იქნას მიღებული როგორც სურსათის იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნების პრობლემები, სურსათის მსოფლიო

მარაგის მოთხოვნების შესაბამისად სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით.

## *მუხლი 12*

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ისარგებლონ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტებით.
2. ზომები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული განხორციელებისათვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია:
  - a) მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად;
  - b) გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად;
  - c) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამოწმებლად;
  - d) ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

## *მუხლი 13*

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას - მიიღოს განათლება. ისინი აღიარებენ, რომ განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შემეცნების სრულ განვითარებას და უნდა განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. ისინი ასევე აღიარებენ, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს შესაძლებლობა, იყოს თავისუფალი საზოგადოების ქმედითი მონაწილე, ხელს უწყობდეს ყველა ერის, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიურ ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელს უწყობდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

2. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა:
- a) დაწყებითი განათლება იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო;
  - b) საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, გახდეს საყოველთაოდ შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობითი შემოღების გზით;
  - c) უმაღლესი განათლება გახდეს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარიდან გამომდინარე, ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელების, და კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობითი შემოღების გზით;
  - d) ძირითადი განათლება წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;
  - e) აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერისი სისტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები.
3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, ბავშვებისათვის აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ გახსნილი, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან მოწონებული საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნების მინიმუმს შეესაბამება, და უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაფერისად.
4. ამ მუხლის არცერთი ნაწილი არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ დაკნინდეს ცალკეულ პირთა და ორგანოთა თავისუფლებისა დააფუძნონ და მართონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მუხლის პირველი მუხლით გამოცხადებული პრინციპებისა თანახმად, რომ ასეთ დაწესებულებებში მიღებული ცოდნა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნათა მინიმუმს.

ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, რომელმაც მონაწილედ გახდომის დროისათვის თავისი მეტროპოლიის ან მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ სხვა ტერიტორიაზე ვერ უზრუნველყო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლება, ვალდებულებას კისრულობს, ორ წელიწადში შეიმუშაოს და მიიღოს ღონისძიებათა ვრცელი გეგმა, რათა თანდათან - წლების გონივრული რაოდენობის განმავლობაში, რაც აღნიშნული უნდა იყოს ამ გეგმაში - განახორციელოს საყოველთაო სავალდებულო უფასო განათლების პრინციპი.

მუხლი 15

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას:
  - a) მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში;
  - b) სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და იყენებდეს მათ;
  - c) მიიღოს სარგებელი იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც გამომდინარეობს მისი ავტორობით შექმნილი ნებისმიერი მეცნიერული, ლიტერატურული თუ მხატვრული ნაშრომიდან.
2. აღნიშნული უფლების სრული განხორციელებისათვის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომები უნდა შეიცავდეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია მეცნიერულ და კულტურულ მიღწევათა დასაცავად, გასავითარებლად და გასავრცელებლად.
3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც აუცილებელია სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.
4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ სარგებელს, რომელიც გამომდინარეობს მეცნიერებისა და კულტურის სფეროში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის წახალისებისა და განვითარებიდან.

## ნაწილი IV

### მუხლი 16

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, პაქტის ამ ნაწილის შესაბამისად წარმოადგინონ მოხსენებები მათ მიერ გატარებული ღონისძიებებისა და იმ პროგრესის შესახებ, რომელსაც აქ აღიარებული უფლებების დაცვისას მიაღწიეს.
2. a) ყველა მოხსენება უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად, ეგზემპლარებს განსახილველად გადაუგზავნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს;
- b) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებების ეგზემპლარებს ან შესაბამის ნაწილს ამ მოხსენებებიდან გადაუგზავნის, აგრეთვე, სპეციალიზებულ დაწესებულებებს, რომელთა წევრებიც ეს სახელმწიფოები არიან იმდენად, რამდენადაც ასეთი მოხსენებები ან მოხსენებათა ნაწილები, ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა წესდების თანახმად, მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში შემაჯავალ რაიმე საკითხს ეხება.

### მუხლი 17

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები მოხსენებებს წარმოადგენენ ეტაპობრივად, იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მონაწილე სახელმწიფოებთან და განტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან კონსულტაციით ამ პაქტის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა დაადგინოს.
2. მოსტავებში შეიძლება გაკეთდეს მითითებები იმ ფაქტორებსა და სიტუაციებს, რომლებიც ამ პაქტით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენს.
3. ეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფომ შესაბამისი ინფორმაცია გაერი ანებულ ერებს ან რომელიმე სპეციალიზებულ დაწესებულებას წინასწარ გაუგზავნა, ამ ინფორმაციის გამეორება აუცილებლობას არ წარმოადგენს, საკმარისია აღნიშნულ ინფორმაციაზე ზუსტი ციფრების გაკეთება.

## მუხლი 18

ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტალურ თავისუფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს შეუთანხმდეს, წარმოადგინონ მოხსენებები ამ პაქტის იმ დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის შესახებ, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. ეს მოხსენებები უნდა შეიცავდეს განხორციელების მიზნით სპეციალიზებულ დაწესებულებათა და კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების დაწვრილებით აღწერას.

## მუხლი 19

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია ადამიანის უფლებათა კომისიას შესასწავლად და ზოგადი რეკომენდაციების გასაცემად, ან რიგ შემთხვევებში, ცნობად გადასცეს მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სახელმწიფოები წარმოადგენენ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სპეციალიზებული დაწესებულებები წარმოადგენენ მე-18 მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 20

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს წარუდგინონ შენიშვნები, რომლებიც ეხება მე-19 მუხლის თანახმად გაცემულ ნებისმიერ ზოგად რეკომენდაციას ან ადამიანის უფლებათა კომისიის ნებისმიერ მოხსენებაში ასეთ რეკომენდაციებზე ან სხვა დოკუმენტებზე გაკეთებულ მითითებებს.

## მუხლი 21

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გენერალურ ასამბლეას დროდადრო წარუდგინოს მოხსენებები ზოგადი ხასიათის რეკომენდაციებთან და ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან მიღებული იმ ცნობების მოკლე შინაარსთან ერთად, რომლებიც ამ პაქტით აღიარებული უფლებების

საყოველთაო დაცვის უზრუნველსაყოფად განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებს ეხება.

## *მუხლი 22*

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების, მათი დამხმარე ორგანოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალიზებულ დაწესებულებათა ყურადღება მიაპყროს ყველა იმ საკითხზე, რომელიც პაქტის ამ ნაწილით აღნიშნულ მოხსენებებში წამოიჭრება და რომელსაც შეუძლია ამ ორგანოთა დახმარება - საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოიტანონ გადაწყვეტილებანი იმ საერთაშორისო ღონისძიებათა მიზანშეწონილობის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ამ პაქტის თანდათანობით და ეფექტურ განხორციელებას.

## *მუხლი 23*

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელების ხელშემწყობი საერთაშორისო ღონისძიებების გატარება გულისხმობს ისეთი საშუალებების გამოყენებას, როგორებიცაა კონვენციათა დადება, რეკომენდაციათა მიღება, ტექნიკური დახმარების გაწევა და კონსულტაციების მიზნით, რეგიონალური და ტექნიკური ხასიათის შეხვედრების ჩატარება, აგრეთვე დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ორგანიზებული გამოკვლევები.

## *მუხლი 24*

დაუშვებელია წინამდებარე პაქტში რაიმე განიმარტოს ისე, რომ ზიანი მიაღგეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებული დაწესებულებების წესდების დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების შესაბამის მოვალეობებს იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

## მუხლი 25

ამ პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს, როგორც დამაკინებელი ყველა ხალხის ხელშეუვალი უფლებისა, მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და იყენებდეს თავის ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებს.

## მუხლი 26

1. ეს პაქტი ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების მონაწილისათვის, საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოსა და ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.
2. წინამდებარე პაქტი ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო დოკუმენტები დეპონირდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.
3. წინამდებარე პაქტი მისაერთებლად ღიაა ამ მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.
4. მიერთება ზორციელდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან მიერთების დოკუმენტის დეპონირებით.
5. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი აცნობებს ამ პაქტის ხელმომწერ ან მასთან მიერთებულ ყველა სახელმწიფოს თითოეული სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

## მუხლი 27

1. წინამდებარე პაქტი ძალაში შედის გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ ამ პაქტის რატიფიცირებას მოახდენს ან მას მიუერთდება, ეს პაქტი ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ გაერთიანებული ერების



გენერალურ მდივანთან საკუთარი სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტის დებონირების დღიდან სამი თვის შემდეგ.

### *მუხლი 28*

ამ პაქტის დებულებები ფედერაციული სახელმწიფოს ყველა ნაწილზე ვრცელდება რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

### *მუხლი 29*

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შეთავაზებულ შესწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს, შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა ამ წინადადებათა განსახილველად და კენჭის საყრელად მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია. მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა ორი მესამედის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, გენერალური მდივანი მოიწვევს ასეთ კონფერენციას გაერთიანებული ერების ეგიდით. ამ კონფერენციასა და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.
2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და მიიღებენ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ორი მესამედის უმრავლესობით თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.
3. ძალაში შესვლის შემდეგ, შესწორებები სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ისინი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორება.

### *მუხლი 30*

26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გაკეთებული შეტყობინებისაგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამავე მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ ყველა სახელმწიფოს აცნობებს:

- a) 26-ე მუხლის თანახმად ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მიერთების ფაქტს;
- b) 27-ე მუხლის თანახმად ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 29-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს.

### *მუხლი 31*

1. წინამდებარე პაქტი, რომლის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები თანაბრად ავთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.
2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამ პაქტის დამოწმებულ ეგზემპლარს უგზავნის 26-ე მუხლში მოხსენიებულ ყველა სახელმწიფოს.

საერთაშორისო კავშირი  
სამომხალაქო და პოლიტიკური  
უფლებების შესახებ

*მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და  
მისაერთებლად გენერალური ასამბლეის*

*1966 წლის 16 დეკემბრის 2200 A (XXI) რეზოლუციით*

*ძალაშია: 1976 წლის 23 მაისიდან, 49-ე მუხლის შესაბამისად*

**პრეამბულა**

*წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც*

*ითვალისწინებენ რა რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანთა მოდგმის  
ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსების, მათი თანასწორი და  
ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის თავისუფლების,  
სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი,*

*აღიარებენ რა რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის  
პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან,*

*აღიარებენ რა რომ “ადამიანის უფლებათა საყოველთაო  
დეკლარაციის” თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან  
თავდახსნილი პიროვნების იდეალის განხორციელება შესაძლებელია  
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა  
თითოეული შემთხვევა ისარგებლოს თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური  
უფლებებით, ისევე, როგორც თავისი ეკონომიკური, სოციალური და  
კულტურული უფლებებით,*

*ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
წესდების თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ  
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და  
დაცვას,*

*აცნობიერებენ რა რომ თითოეული პიროვნება, აქვს რა მოვალეობები  
სხვა პიროვნებისა და იმ საზოგადოებისადმი, რომელსაც ეკუთვნის,*

უნდა იღვეწოდეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა პატივისცემისა და დაცვისათვის,

### *შეთანხმდნენ შედეგზე:*

## ნაწილი I

### *მუხლი 1*

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.
2. ყველა ხალხს საკუთარი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არცერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამოერთვას საარსებო საშუალებანი, რომლებიც მას ეკუთვნის.
3. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომელთაც არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

## ნაწილი II

### *მუხლი 2*

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური

წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებათა გამო.

2. თუ ეს უკვე გათვალისწინებული არ არის მოქმედი საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებით, წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი თავისი კონსტიტუციური პროცედურებისა და წინამდებარე პაქტის შესაბამისად, რათა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს პაქტით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად.
3. წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:
  - a. ნებისმიერი პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებანი შელახულია, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა;
  - b. უზრუნველყოს, რომ თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უფლება, ვინც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, დადგენილი იქნება კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, ან სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ და განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობები;
  - c. უზრუნველყოს კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ მათთვის მინიჭებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება.

### *მუხლი 3*

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალის თანასწორი უფლება ისარგებლონ წინამდებარე პაქტით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით.

### *მუხლი 4*

1. საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც ერის სიცოცხლეს ემუქრება და ოფიციალურად არის გამოცხადებული, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ პაქტით

ნაკისრი ვალდებულებები იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები შეუთავსებელი არ იქნება მათ მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრ სხვა ვალდებულებებთან და არ მოპყვება დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

2. დაუშვებელია ეს დებულება საფუძველად დაედოს მე-6, 7, 8 (1 და 2 პუნქტები), 11, 15, 16 და 18 მუხლების შეზღუდვას.
3. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რომელიც იყენებს შეზღუდვის უფლებას, გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს წინამდებარე პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელი დებულებების აღსრულებას გადაუხვია და რა მიზეზებმა მიაღებინეს ასეთი გადაწყვეტილება. იმავე შუამავლის საშუალებით მან უნდა შეატყობინოს ასეთი შეზღუდვების შეწყვეტის თარიღი.

### *მუხლი 5*

1. წინამდებარე პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს ისე, თითქოს ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება, ეწეოდეს რაიმე საკმინაობას ან ჩაიდინოს რაიმე მოქმედება ამ პაქტით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობით შეზღუდვის მიზნით, ვიდრე წინამდებარე პაქტი ითვალისწინებს.
2. ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია ან არსებობს რომელიმე სახელმწიფოში კანონის, კონვენციების, წესებისა და ზნე-ჩვეულებების ძალით, დაუშვებელია შეიზღუდოს ან დაკნინდეს იმ საბაბით, რომ წინამდებარე პაქტში ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

### **ნაწილი III**

#### *მუხლი 6*

1. სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი არავის შეიძლება თვითნებურად წაართვან სიცოცხლე.

2. ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილით დასჯის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დანაშაულის ჩადენის დროს, მოქმედი კანონის შესაბამისად, და თუ არ ეწინააღმდეგება წინამდებარე პაქტისა და გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებასა და დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს. ეს სასჯელი შეიძლება სისრულეში მოყვანილ იქნას მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესაბამისად.
3. როცა სიცოცხლის წართმევა გენოციდის დანაშაულს შეადგენს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მუხლში არაფერი არ აძლევს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უფლებას, რომ რაიმე საშუალებით გადაუხვიონ თავიანთ ვალდებულებებს, რომელიც სახელმწიფოებმა იკისრეს გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.
4. თითოეულ პირს, ვისაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შერბილება. ამნისტია, შეწყალება ან სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნაბობები იყოს ყველა შემთხვევაში.
5. სასიკვდილო განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს თერამეტ წლამდე ასაკის პირებმა, და მისი აღსრულება არ შეიძლება ფეხმძიმე ქალების მიმართ.
6. ამ მუხლში არაფერი არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ წინამდებარე პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ გადაღოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჯის გაუქმება.

## *მუხლი 7*

არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ სასჯელს. კერძოდ, არც ერთ პირზე, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება.

## *მუხლი 8*

1. არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში, აკრძალულია მონობა და მონათვაჭრობა, გამოვლენილი რაიმე ფორმით.

2. არავინ უნდა ცხოვრობდეს დაბეჩაეებულ მდგომარეობაში.
3. a) არავინ უნდა აიძულონ ეწეოდეს იძულებით ან სავალდებულო შრომას;
- b) ამ მუხლის 3(a) პარაგრაფი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც აკრძალვა,

იმ ქვეყნებისათვის, სადაც დანაშაულისათვის სასჯელის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას თავისუფლების აღკვეთა კატორღული სამუშაოებით. ასეთი განაჩენი გამოტანილ უნდა იქნას კომპეტენტური სასამართლოს მიერ;

- c) ამ პუნქტში ტერმინი "იძულებითი ან სავალდებულო შრომა" არ შეიცავს:
  - i) სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც ნახსენები არ არის (b) ქვეპუნქტში და რომელიც, როგორც წესი, უნდა შეასრულოს სასამართლოს კანონიერი განაჩენის საფუძველზე პატიმრობაში მყოფმა, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითად განთავისუფლებულმა პირმა;
  - ii) სამხედრო სამსახურს, ზოლო იმ ქვეყნებში, სადაც რწმენის საფუძველზე აღიარებულია სამხედრო სამსახურზე უარის თქმის შესაძლებლობა, ნებისმიერი სამოქალაქო სამსახური რომელიც მოეთხოვება ასეთ პირობებს;
  - iii) ნებისმიერ სამსახურს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად საგანგებო მდგომარეობის ან უბედურების დროს, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების სიცოცხლესა და კეთილდღეობას;
  - iv) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც პირის ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობებს წარმოადგენს.

## *მუხლი 9*

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძველის და პროცედურისა;



2. თითოეულ პირს დაკავების დროს უნდა ეცნობოს მისი დაპატიმრების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შესახებ.
3. სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული ან დაკავებული ყოველი პირი დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეს მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის წინაშე რომელსაც კანონით უფლება აქვს განხორციელოს სასამართლო ხელისუფლება, და უფლება აქვს გონივრული ვადის მანძილზე მოთხოვოს სასამართლო გარჩევა ან განთავისუფლება. სასამართლო გარჩევაზე პირის დაკავება ზოგად წესად არ უნდა იქცეს, მაგრამ მათი განთავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარჩევის ყველა სტადიაში გამოცხადების და, საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის შესასრულებლად გამოცხადების გარანტიების არსებობაზე.
4. თითოეულს პირს, ვისაც თავისუფლება აღეკვეთა დაკავების ან პატიმრობის შედეგად, უფლება აქვს მისი საქმე გააჩიოს სასამართლომ, რათა სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაკავების კანონიერების ან უკანონო დაკავების შემთხვევაში გათვალისწინების თაობაზე.
5. თითოეულ პირს, რომელიც უკანონო დაკავების ან პატიმრობის მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება.

### *მუხლი 10*

1. ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს, ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას.
2.
  - a) ბრალდებული პირები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, განცალკევებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისაგან და ექვემდებარებიან ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს;
  - b) არასრულწლოვანი ბრალდებულები მოთავსებული უნდა იქნენ სრულწლოვანებისაგან განცალკევებით და უმოკლეს ვადაში უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მისაღებად.
3. პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური აღზრდა. არასრულწლოვანი სამართალდარღვევები განცალკევებული უნდა იყვნენ სრულწლოვანებისაგან და უნდა იმყოფებოდნენ პირობებში, რომელიც შეესაბამება მათ ასაკსა და სამართლებრივ სტატუსს.

## მუხლი 11

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ სახელმწიფოებრივ ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე.

## მუხლი 12

1. თითოეულ პირს, რომელიც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.
2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც.
3. ზემოთ აღნიშნული უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და შეესაბამება წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს.
4. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას უფლება დაბრუნდეს საკუთარ სახელმწიფოში.

## მუხლი 13

უცხოელი რომელიც კანონიერად იმყოფება წინამდებარე პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეიძლება გააძევენ მხოლოდ კანონის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად და თუ სახელმწიფო უშიშროების იმპერატიული მოსაზრებები სხვაგვარად არ მოითხოვენ. მას უფლება აქვს წარმოადგინოს უდავო საბუთები თავისი გასახლების წინააღმდეგ, მოითხოვოს, რომ მისი საქმე გადასინჯოს კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ან ამ მიზნით კომპეტენტური ხელისუფლების მიერ სპეციალურად დანიშნულმა პირმა ან პირებმა.

## მუხლი 14

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო

პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. შეიძლება, რომ პრესა და საზოგადოება არ დაუშვან მთელ სასამართლო გარჩევაზე თუ მის ნაწილზე მორალის, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებებით ან როცა ამას მოითხოვს მხარეთა კერძო ინტერესები, ან როდესაც სასამართლოს აზრით, საჯაროობა შელახავს მართლმსაჯულების ინტერესებს; ყოველი სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის თაობაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევების, როცა ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან, როცა საქმე ეხება მატრიმონიალური დაცვას ან ბავშვთა მეურვეობას.

- 2) თითოეულ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ, მისი დანაშაულება არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
- 3) თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმში, სრული თანასწორობის საფუძველზე მიიღოს შემდეგი გარანტიები:
  - a) სასწრაფო წესით და დაწვრილებით მისთვის გასაგებ ენაზე შეატყობინონ მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათისა და საფუძველის შესახებ;
  - b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს;
  - c) გაასამართლონ უსაფუძველო გაჭიანურების გარეშე;
  - d) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეულ დამცველის საშუალებით; თუ არ ჰყავს დამცველი, შეატყობინონ ასეთი უფლების შესახებ და ჰყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, რიგ შემთხვევებში უსასყიდლოდ როცა არა აქვს დამცველის ასანაზღაურებლად საკმარისი სახსრები.
- e) დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაკითხოს,

ასევე გამოიძახონ და დაკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობებით, რაც არსებობს მის წინააღმდეგ გამოხული მოწმეებისათვის;

- f) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით თუ არ ესმის სამართალწარმოების ენა;
  - g) არავინ აიძულოს, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს.
- 4) არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გათვალისწინებულ იქნას მათი ასაკი და მათი ხელახალი აღზრდისათვის ხელშეწყობის სურვილი.
- 5) თითოეულ მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს, მისი ბრალდება და განაჩენი კანონის შესაბამისად გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლომ.
- 6) თუ რომელიმე პირს საბოლოო გადაწყვეტილებით მსჯავრი დასდეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი გაუქმდა ან მისთვის ნაბობები იყო შეწყალება რაიმე ახალი ან მისთვის უცნობი გარემოებების გამო, რომლებიც უცილობლად ამტკიცებს, სასამართლო შეცდომას, მაშინ ასეთი მსჯავრდადების შედეგად, დასჯილი პირი კომპენსაციას იღებს კანონის შესაბამისად, თუ არ დამტკიცდება, რომ აღნიშნული უცნობი გარემოება თავის დროზე ვერ აღმოაჩინეს მისი ან ნაწილობრივ მისი მიზეზით.
- 7) არავინ შეიძლება მეორედ გაასამართლონ ან დასაჯონ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე იყო საბოლოოდ მსჯავრდადებული ან გამართლებული რომელიმე ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.

### *მუხლი 15*

1. არავინ შეიძლება ცნონ დამნაშავედ ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის რომელიც ისეთი მოქმედების თუ შეცდომის შედეგია, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშულად. ასევე დაუშვებელია დაინიშნოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილია წესდება უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ დამნაშავეზეც.

2) ამ მუხლში არაფერი უნდა უშლიდეს ხელს, პირის სასამართლოსათვის გადაცემას ან დასჯას იმ მოქმედების თუ შეცდომისათვის, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩადენის მომენტში სისხლის სამართლის დანაშაული იყო.

### *მუხლი 16*

თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყოს უფლება აქვს, ცნონ მისი სამართალსუბიექტობის უფლება.

### *მუხლი 17*

1. არავინ უნდა განიცადოს თვინებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვინებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.
2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

### *მუხლი 18*

1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება შეიცავს თვისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით, და მოძღვებითა და სწავლებით.
- 2) არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას ქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან მრწამსი.
- 3) რელიგიისა მრწამსის აღიარების თავისუფლებას შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ, კანონით დადგენილია შემთხვევებში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

4) წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ შშობელთა და, შესაბამისად კანონიერ მეურვეთა საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავინთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

### *მუხლი 19*

1. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი ვინმეს ჩარევის გარეშე;
2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესისა და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებით.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. შესაბამისად, შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენილი და აუცილებელი:
  - a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციისათვის;
  - b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

### *მუხლი 20*

1. ომის ყოველგვარი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს კანონით.
2. ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რომლის მიზანია დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება, უნდა აიკრძალოს კანონით.

### *მუხლი 21*

მშვიდობიანი შეკრებების უფლება აღიარებულია. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ

საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.

## მუხლი 22

1. თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის უფლება, მათ შორის უფლება შექმნას და შევიდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.
2. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და, რომლებიც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის, შეირაღებული ძალებისა და პოლიციის შემადგენლობაში მყოფ პირთათვის ამ უფლებით სარგებლობის კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.
3. ამ მუხლში არაფერი აძლევს უფლებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები ან კანონი გამოიყენონ ისე, რომ ზიანი მიაღვეს ასეთ გარანტიებს.

## მუხლი 23

1. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს, რომ იგი დაიცვას საზოგადოებამ და სახელმწიფომ.
2. მამაკაცებს და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი.
3. ქორწინება არ შეიძლება მოხდეს მექორწინეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე.
4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განაზოციელონ საჭირო ღონისძიებანი დაქორწინების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს მეუღლეთა თანასწორი

უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის საჭირო ღაცვა.

### *მუხლი 24*

1. თითოეულ ბავშვს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ დაბადების გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უფლება აქვს დაცვის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მას, როგორც მცირეწლოვანს, უნდა გაუწიოს მისმა ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ.
2. თითოეული ბავშვი დაბადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იყოს რეგისტრირებული და უნდა ჰქონდეს სახელი.
3. თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება.

### *მუხლი 25*

თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა:

- a) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით.
- b) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს საყოველთაო პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას.
- გ) თავის ქვეყანაში თანასწორობის პირობებით შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

### *მუხლი 26*

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის,



კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

## *მუხლი 27*

იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, აგრეთვე ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე.

## **ნაწილი IV**

### *მუხლი 28*

1. უნდა შეიქმნას ადამიანის უფლებათა კომიტეტი (შემდგომში "კომიტეტი"). იგი შედგება თერამეტი წევრისაგან და განახორციელებს ამ პაქით გათვალისწინებულ ფუნქციებს.
- 2) კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქვთ მაღალი ზნობრივი თვისებები და ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში აღიარებული კომპეტენცია, ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნას იურიდიული გამოცდილების მქონე პირთა მონაწილეობაც.
- 3) კომიტეტის წევრები აირჩევიან და მუშაობენ პირადად.

### *მუხლი 29*

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ 28-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომლებიც ამ მიზნით დაასახელეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა.
2. ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს არაუმეტეს ორი პირისა. ეს პირები უნდა იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი.
3. ყველა პირს აქვს უფლება, რომ განმეორებით დაასახელონ.

### მუხლი 30

1. პირველადი არჩევნები ეწყობა წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს ექვსი თვისა.
2. კომიტეტის არჩევნებამდე, გარდა 34-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებულ ვაკანსიათა შესავსები არჩევნებისა, სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, სამი თვის მანძილზე წარმოადგინონ კომიტეტის წევრთა კანდიდატურები.
3. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამგვარად დასახელებულ პირთა სიას, სადაც აღნიშნულია წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ეს პირი დაასახელეს, და უგზავნის მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს არჩევნების მოწყობის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.
4. კომიტეტის წევრებს ირჩევენ წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში. ასეთ სხდომაზე, რომლის კვორუმი წარმოადგენს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს, არჩეულად ითვლება პირი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობა.

### მუხლი 31

1. კომიტეტში არ შეიძლება შევიდეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე.
2. კომიტეტის არჩევნების დროს ითვალისწინებენ წევრთა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და ძირითადი იურიდიული სისტემების წარმომადგენლობის პრინციპს.

### მუხლი 32

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ უფლება აქვთ ხელახლა იყვნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. თუმცა პირველ არჩევნებზე არჩეული ცხრა წევრის ვადა იწურება ორ წლიანი პერიოდის დამლევს.

პირველი არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ ამ ცხრა წევრის სახელებს წილისყრით განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე, რაც აღნიშნულია 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

2. რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ არჩევნები ტარდება პაქტის ამ ნაწილის წინა მუხლების შესაბამისად.

### *მუხლი 33*

1. თუ სხვა წევრთა ერთსულოვანი აზრით, კომიტეტის რომელიმე წევრმა რაიმე მიზეზით შეწყვიტა თავისი ფუნქციების შესრულება, გარდა ღროებით არყოფნის მიზეზისა, კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ წევრის ადგილს ვაკანტურად აცხადებს.
2. კომიტეტის რომელიმე წევრის გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ ადგილს ვაკანტურად აცხადებს გარდაცვალების დღიდან, ან იმ დღიდან, როდესაც გადადგომა ნამდვილი ხდება.

### *მუხლი 34*

1. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსია, და შესაცვლელი წევრის რწმუნებათა ვადა არ იწურება ამ ვაკანსიის გამოცხადებიდან ექვსი თვის მანძილზე, გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამის შესახებ ატყობინებს წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეულ საახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ორი თვის მანძილზე 29-ე მუხლის შესაბამისად წამოაყენოს კანდიდატურა ასეთი ვაკანსიის შესავსებად.
2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამრიგად წამოყენებულ პირთა სიას და წარუდგენს მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს. შემდეგი არჩევნები ვაკანსიის შესავსებად ეწყობა პაქტის ამ ნაწილის დებულებათა შესაბამისად.
3. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსიის შესავსებად არჩეული კომიტეტის წევრი თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებს იმ წევრის რწმუნების ვადის დარჩენილი ვადით, რომლებმაც გაათავისუფლა ადგილი კომიტეტში აღნიშნული მუხლის დებულებათა შესაბამისად.

### მუხლი 35

კომიტეტის წევრები იღებენ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაერთიანებული ერების სახსრებიდან გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით, კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

### მუხლი 36

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს წინამდებარე პაქტის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტური განხორციელებისათვის.

### მუხლი 37

1. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ სხდომას გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში.
2. პირველი სხდომის შემდეგ კომიტეტი იკრიბება პროცედურული წესებით გათვალისწინებულ დროს.
3. ჩვეულებრივ კომიტეტი იკრიბება გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში ან გაერთიანებული ერების ქენევის განყოფილებაში.

### მუხლი 38

კომიტეტის თითოეული წევრი, სანამ თავის მოვალეობას შეუდგებოდეს, ღია სხდომაზე აკეთებს საჯარო განცხადებას, თავისი ფუნქციების მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულების თაობაზე.

### მუხლი 39

1. კომიტეტი საკუთარი თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით. შეიძლება მოხდეს მათი ხელახალი არჩევა.
2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, რომლებიც *inter alia*, უნდა ითვალისწინებდეს, რომ:
  - a) კომიტეტის თორმეტი წევრი შეადგენს კვორუმს;
  - b) კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

## მუხლი 40

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას წარადგინონ მოხსენებები, წინამდებარე პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის მათ მიერ დასახული ღონისძიებებისა და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამ უფლებათა გამოყენებაში მიაღწიეს:
  - a) შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ ამ პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის მანძილზე;
  - b) ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.
2. ყველა მოხსენება წარდგინება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც მას განსახილველად უგზავნის კომიტეტს. მოხსენებაში უნდა აღინიშნოს ის ფაქტორები და სიძნელებები, თუ ასეთი არსებობს, რომლებიც გავლენას ახდენენ წინამდებარე პაქტის განხორციელებაზე.
3. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა იმ ნაწილების ეგზემპლარები, რომლებიც შეიძლება მათი კომპეტენციის სფეროს ეხებოდეს.
4. კომიტეტი სწავლობს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს, მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის თავის მოხსენებებსა და ზოგადი ხასიათის ისეთ შენიშვნებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია, კომიტეტს შეუძლია აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს მოხსენებათა ეგზემპლარებთან ერთად გაუგზავნოს შენიშვნები, რომლებიც მიიღო წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან.

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი ნებისმიერი შენიშვნის თაობაზე, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს მე-4 პუნქტის შესაბამისად.

## მუხლი 41.

1. ამ მუხლის შესაბამისად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ყოველთვის განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ინფორმაცია, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ

ასრულებს წინამდებარე პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს და განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუკი ეს უკანასკნელი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ცნობების განხილვა ხდება შემდეგი პროცედურის მიხედვით:

- a) თუ წინამდებარე პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ახორციელებს წინამდებარე პაქტის დებულებებს, მას შეუძლია ამის შესახებ წერილობით შეტყობინოს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის მანძილზე მიმდებმა სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი, რომელიც შესაძლებლობის ან მიზანშეწონილობის ფარგლებში უნდა შეიცავდეს, მითითებას შინაგანი პროცედურებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ მიიღო, მიიღებს ან შეიძლება მიიღოს ამ საკითხზე;
- b) თუ საკითხი ექვსი თვის მანძილზე არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი შეტყობინება, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს, ამასთან უნდა შეატყობინოს მეორე სახელმწიფოს.
- c) კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამოწურეს ყველა ხელმისაწვდომი შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება;
- d) ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს;

ე) კომიტეტი „ც“ ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილსამსახურს უწევს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ საკითხი წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;

ფ) მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა „ბ“ პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს შეიძლება სთხოვოს წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია;

გ) „ბ“ პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ საკითხის განხილვისას წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში და გააკეთონ წარდგინება ზეპირად ან წერილობით;

დ) შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი „ბ“ პუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას:

i) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება „ე“ ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსით;

ii) თუ გადაწყვეტილება „ე“ ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით; მოხსენებას თან ერთვის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.

თითოეულ ამ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებები ძალაშია, მას შემდეგ რაც წინამდებარე პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. მონაწილე სახელმწიფოები ასეთი განცხადებების დეკონირებას ახდენენ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უნდა უშლიდეს რომელიმე საკითხის განხილვას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული შეტყობინების

საგანია. მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს, აღარ მიიღება მონაწილე სახელმწიფოს არაერთგვაროვანი შემდგომი ცნობები, თუ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

## მუხლი 42

1. a) თუკი რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს 41-ე მუხლის შესაბამისად გადაეცემა, დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდება, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური შემათანხმებელი კომისია (შემდგომში „კომისია“). კომისია სამსახურს უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, წინამდებარე პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე საკითხების მეგობრულად გადაწყვეტის საქმეში.
- b) კომისიის შემადგენლობაში შედის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე. კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ მიაღწიეს თანხმობას, ირჩევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.
2. კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადად. ისინი არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების ან იმ სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41-ე მუხლის შესაბამისად.
3. კომისია ირჩევს თავმჯდომარეს და ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.
4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ეწყობა გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებსა თუ გაერთიანებული ერებისათვის მოსახერხებელ ადგილებში, რომლებიც კომისიამ შეიძლება



განსაზღვროს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციით.

5. 36-ე მუხლით განსაზღვრული სამდივნო ემსახურება ამ მუხლის საფუძველზე დანიშნულ კომისიებს.
6. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია კომისიას განკარგულებაში გადაეცემა, და კომისიას შეუძლია სთხოვოს დანტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია.
7. კომისიის მიერ საკითხის სრულად განხილვის შემდეგ, მაგრამ საკითხის გადაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა, იგი კომიტეტის თავმჯდომარეს დანტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად წარუდგენს მოხსენებას:
  - a) თუ კომისიას არ შეუძლია დაამთავროს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაშია ამ საკითხის განხილვა;
  - b) თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის მოხსენებაში სჯერდება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;
  - c) თუ „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება შეიცავს მის დასკვნებს ფაქტობრივი ხასიათის ყველა საკითხის შესახებ, რომელიც ეხება დანტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოგვარების შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენება აგრეთვე შეიცავს დანტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობით წარდგინებებსა და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;
  - d) თუ კომისიის მოხსენება წარდგენილია „ც“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დანტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან სამი თვის მანძილზე ატყობინებენ კომიტეტის თავმჯდომარეს ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.

8. ამ მუხლის დებულებები არ აკნინებენ 41-ე მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.
9. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომისიის წევრთა ყველა ხარჯებს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარადგენს გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი.
10. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, აანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები, მანამ სანამ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად აანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები.

### *მუხლი 43*

კომიტეტისა და 42-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული სპეციალური შემათანხმებელი კომისიების წევრები, სარგებლობენ გაერთიანებული ერების მიერ მივლინებაში გაგზავნილ ექსპერტთა შეღავათებით, პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციის შესაბამის ნაწილებში.

### *მუხლი 44*

წინამდებარე პაქტის განხორციელების დებულებები გამოყენებული უნდა იყოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ ადამიანის უფლებათა პროცედურებს, რომლებსაც ითვალისწინებს გაერთიანებული ერებისა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებათა დამფუძნებელი აქტები და კონვენციები, ან ეს დებულებები ხელს არ უნდა უშლიდეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურებს მათ შორის მოქმედ საერთო და სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

### *მუხლი 45*

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით კომიტეტი გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას წარუდგენს თავისი საქმიანობის ყოველწლიურ მოხსენებას.

## ნაწილი V მუხლი 46

წინამდებარე პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების წესდებისა და გაერთიანებული ერებისა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებათა სხვადასხვა ორგანოების შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელი წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

## მუხლი 47

წინამდებარე პაქტში არაფერი უნდა იყოს განმარტებული, როგორც ხალხის განუყოფელი უფლების დაკნინება მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

## ნაწილი VI მუხლი 48

1. წინამდებარე პაქტი ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, აგრეთვე საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფოსა და ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა შესთავაზებს წინამდებარე პაქტში მონაწილეობას.
2. ეს პაქტი საჭიროებს რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.
3. წინამდებარე პაქტი მისაერთებლად ღიაა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.
4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.
5. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ატყობინებს ამ პაქტის ხელმომწერ და მიერთებულ ყველა სახელმწიფოს, თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

## მუხლი 49

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება, მას ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

## მუხლი 50

წინამდებარე პაქტის დებულებები ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

## მუხლი 51

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემდეგ შემოთავაზებულ შესწორებებს უგზავნის წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, ამ წინადადებათა განსახილველად და მათთვის კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის. თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ღიადით. ყველა შესწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას.
2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და თავიანთი

კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა – ორი მესამედით.

3. შესწორებების ძალაში შესვლის შემდეგ, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორებები.

### *მუხლი 52*

48-ე მუხლის „5“ პუნქტის თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს ატყობინებს შემდეგს:

- a) 48-ე მუხლის თანახმად ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;
- b) 49-ე მუხლის თანახმად წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 51-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს.

### *მუხლი 53*

1. ეს პაქტი, რომლის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები ერთნაირად ავთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების არქივს.
2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წინამდებარე პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

## სამოქალაქო და პოლიტიკური

უფლებების საერთაშორისო პაქტის შაკულტატური ოქმი

*მიღებულია და ხელმოსაწერად, რაგიფიკაციისა და  
მიერთებისათვის ღიაა, გაერთიანებული ერების 2200 (XXI)  
რეზოლუციით, 1966 წლის 16 დეკემბერს*

### **წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოები,**

თვალისწინებენ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (შემდგომში „პაქტი“) მიზნების მისაღწევად და მისი დებულებების განსახორციელებლად მიზანშეწონილი იქნებოდა პაქტის IV ნაწილის საფუძველზე დაარსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტს (შემდგომში „კომიტეტი“) მიეცეს შესაძლებლობა წინამდებარე ოქმის შესაბამისად მიიღოს და განიხილოს, შეტყობინებები ცალკეული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტში აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან,

### **შეთანხმდნენ:**

#### **მუხლი 1**

პაქტის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც წინამდებარე ოქმის მონაწილე ხდება, აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს შეტყობინება მისი იურისდიქციის ქვემდებარე პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოყვანილი რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან. კომიტეტის მიერ არც ერთი შეტყობინება არ მიიღება, თუ იგი ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის წინამდებარე ოქმის მონაწილე.

#### **მუხლი 2**

პირველი მუხლის დებულებების დაცვის შემთხვევაში პირებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პაქტში ჩამოთვლილი მათი რომელიმე უფლება დაირღვა, და რომლებმაც ამოწურეს იურიდიული დაცვის ყველა

არსებული შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება, შეუძლიათ კომიტეტის განსახილველად წარადგინონ წერილობითი შეტყობინება.

### *მუხლი 3*

კომიტეტს შეუძლია მიუღებლად გამოაცხადოს წინამდებარე ოქმის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც ანონიმურია ან, მისი აზრით, წარმოადგენს ასეთი შეტყობინებების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას, ან შეუთავსებელია პაქტის დებულებებთან.

### *მუხლი 4*

1. მე-3 მუხლის დებულებათა დაცვის შემთხვევაში კომიტეტი წინამდებარე ოქმის თანახმად წარდგენილ ნებისმიერ შეტყობინებას აცნობებს წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც მტკიცების თანახმად, არღვევს პაქტის რომელიმე დებულებას.
2. შეტყობინების მიმღები სახელმწიფო ექვესი თვის მანძილზე წარუდგენს კომიტეტს წერილობით განმარტებებს ან განცხადებებს, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი და ნებისმიერი ღონისძიება, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, რომელიც შეიძლება ამ სახელმწიფოს მიერ იყო გამოყენებული.

### *მუხლი 5*

1. კომიტეტი წინამდებარე ოქმის შესაბამისად მიღებულ შეტყობინებებს განიხილავს ცალკეული პირების და დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისთვის წარდგენილი ყველა წერილობითი მონაცემების გათვალისწინებით.
2. კომიტეტი არ განიხილავს პირთა არც ერთ შეტყობინებას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ:
  - a) იგივე საკითხი არ განიხილება საერთაშორისო გარჩევის ან მოწესრიგების სხვა პროცედურის შესაბამისად;
  - b) მოცემულმა პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა ხელმისაწვდომი შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება;

ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება.

3. ამ ოქმით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას.
4. კომიტეტი თავის მოსაზრებებს აცნობებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსა და პირს.

### *მუხლი 6*

კომიტეტი პაქტის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ ყოველწლიურ მოხსენებას ურთავს წინამდებარე ოქმის შესაბამისად გაწეული საქმიანობის მოკლე ანგარიშს.

### *მუხლი 7*

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბერს, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის თაობაზე მიღებული 1514 (XV) რეზოლუციის მიზნების მიღწევამდე, წინამდებარე ოქმის დებულებები არანაირად არ ზღუდავს გაერთიანებული ერების წესდებითა და გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების სხვა საერთაშორისო კონვენციებითა და დოკუმენტებით ამ ხალხისათვის მინიჭებულ პეტიციების წარდგენის უფლებას.

### *მუხლი 8*

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად პაქტის ხელმომწერი ყველა სახელმწიფოსათვის.
2. წინამდებარე ოქმი რატიფიცირებული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მიერ, რომელმაც პაქტის რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.
3. წინამდებარე ოქმს შეუძლია შეუერთდეს ყველა სახელმწიფო, რომელმაც პაქტის რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას.
4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.



5. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელის თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

### *მუხლი 9*

1. პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ, ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება მეთე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე ოქმის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას მეთე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების დოკუმენტის დეპონირების შედეგად, ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

### *მუხლი 10*

წინამდებარე ოქმის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

### *მუხლი 11*

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემოთავაზებულ შესწორებებს უგზავნის წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, ამ წინადადების განსახილველად და მასზე კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევისა. თუ ასეთი კონფერენციის მოწვევას მხარს დაუჭერს მონაწილე სახელმწიფოთა არანაკლებ მესამედი, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ეგიდით. ყველა შესწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე

სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას.

2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა – ორი მესამედი.
3. შესწორებების ძალაში შესვლის შემდეგ, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორებები.

### *მუხლი 12*

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე ოქმის დენონსაცია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან სამი თვის შემდეგ.
2. დენონსაცია ხელს არ უშლის წინამდებარე ოქმის დებულებების გამოყენების გაგრძელებას ყოველგვარ შეტყობინებასთან, რომელიც წარდგენილია მე-2 მუხლის შესაბამისად დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

### *მუხლი 13*

წინამდებარე ოქმის მე-8 მუხლის 5 პუნქტის შესაბამისად შეტყობინებისაგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი პაქტის 48-ე მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს აცნობებს შემდეგს:

- a) მე-8 მუხლის თანახმად, ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;
- b) მე-9 მუხლის თანახმად, წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღს და მე-11 მუხლის თანახმად, ყოველგვარი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღს;

ც) მე-12 მუხლის თანახმად, დენონსაციის შესახებ.

#### *მუხლი 14*

1. ეს ოქმი, რომლის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები ერთნაირად ავთენტიურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების არქივს.
2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წინამდებარე ოქმის დამოწმებულ პირებს უგზავნის პაქტის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

**ოქმი**  
**ლტოლვილთა სტატუსის შესახებ**

ოქმი ხელმოწერილია გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და  
გენერალური მდიანის მიერ 1967 წლის 31 იანვარს

**ძალაშია:** 1967 წლის 4 ოქტომბრიდან, VIII მუხლის შესაბამისად

*წინამდებარე ოქმის წვერი-სახელმწიფოები,*

*ითვალისწინებენ რა, რომ 1951 წლის 28 ივლისის უნევის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (შემდგომში „კონვენცია“), ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ლტოლვილები გახდნენ 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების გამო;*

*ითვალისწინებენ რა, რომ პირები, რომლებიც ლტოლვილები გახდნენ კონვენციის მიღების შემდეგ წარმოშობილ ახალ გარემოებათა გამო, შეიძლება ვერ მოხვდნენ კონვენციის მოქმედების არეალში;*

*ითვალისწინებენ რა, რომ ყველა ლტოლვილი, რომელთაც კონვენციაში არსებული განსაზღვრება ეხებათ, სასურველია სარგებლობდეს თანაბარი სტატუსით, 1951 წლის 1 იანვრის დათქმული თარიღის მოუხდავად*

**შეთანხმდნენ შემდეგზე:**

**მუხლი I**

**ზოგადი დებულებანი**

1. ამ ოქმის წვერი – სახელმწიფოები ვალდებულიან იღებენ კონვენციის 2-34 მუხლები გამოიყენონ იმ ლტოლვილებთან მიმართებაში, რომლებიც ექცევიან ქვემოთ მოყვანილ განსაზღვრებაში.
2. ამ ოქმის მიზნებისათვის ტერმინი „ლტოლვილი“, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გულისხმობს

ნებისმიერ პირს, რომელიც კონვენციის პირველი მუხლის განსაზღვრებაში ექცევა და 1 A (2) მუხლიდან სიტყვების „1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად“ და სიტყვები „...მსგავს მოვლენათა შემდეგად“ გამოტოვების პირობით.

- ამ ოქმის დებულებები გამოიყენება ყოველგვარი გეოგრაფიული შეზღუდვების გარეშე, თუმცა განცხადებებზე, რომლებიც კონვენციის 1 მუხლის B (1) (a) პუნქტის შესაბამისად უკვე გაკეთებულია კონვენციის წვერი-სახელმწიფოების მიერ, ვრცელდება ამ ოქმის 1 მუხლის B (2) პუნქტის დებულებები.

## მუხლი II

ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობა გაერთიანებულ ერებთან

- ამ ოქმის წვერი-სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ან გაერთიანებული ერების ნებისმიერ სხვა ორგანოსთან, რომელსაც შეიძლება გადაეცეს მისი ფუნქციების შესრულება და, კერძოდ, ხელს შეუწყობენ ამ ოქმის დებულებების გამოყენებაზე მის მიერ სამეთვალყურეო მოვალეობის შესრულებას.
- იმისათვის, რომ უმაღლესი კომისრის სამსახურს ან გაერთიანებული ერების ნებისმიერ სხვა ორგანოს, რომელიც მას ჩაენაცვლება, შესაძლებლობა მიეცეს წარუდგინოს მოხსენებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო ორგანოებს, წვერი-სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ამ უკანასკნელთ სათანადო ფორმით მიაწოდონ მათ მიერ გამოთხოვილი ცნობები და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხება:

- ლტოლვილთა მდგომარეობას;
- ამ ოქმის ცხოვრებაში გატარებას და
- ისეთ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ძალაშია ან შესაძლებელია შემდგომში შევიდეს ძალაში, ლტოლვილთა შესახებ.

## მუხლი III

ინფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ

წვერი-სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს აცნობებენ ამ ოქმის ცხოვრებაში გატარების მიზნით მათ მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესახებ.

#### მუხლი IV დავების გადაწყვეტა

ამ ოქმის წვერ-სახელმწიფოთა შორის მისი განმარტების ან გამოყენების თაობაზე წამოჭრილი ყველა დავა, რომლებიც სხვაგვარად ვერ გადაწყდება, ნებისმიერი მოდავე მხარის მოთხოვნით გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს.

#### მუხლი V ოქმთან მიერთება

წინამდებარე ოქმი ღიაა კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოსა და გაერთიანებული ერების ყველა სხვა სახელმწიფოს, ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების წევრის ან სახელმწიფოსათვის, რომელსაც აქვს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მოწვევა შეუერთდეს ამ ოქმს. მიერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან მიერთების აქტის დეკლარაციებით.

#### მუხლი VI ფედერალური სახელმწიფოები

ფედერალური ან არაუნიტარული სახელმწიფოს მიმართ გამოიყენება შემდეგი დებულებები:

- a. კონვენციის იმ მუხლების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ამ ოქმის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან შესაბამისობაში, და რომლებიც ფედერალური ხელისუფლების საკანონმდებლო იურისდიქციას განეკუთვნება, ფედერალური ხელისუფლების ვალდებულებანი აღნიშნულ ფარგლებში არაფედერალური სახელმწიფოს ვალდებულებებს უტოლდება.
- b. კონვენციის იმ მუხლების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ამ ოქმის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან შესაბამისობაში და რომლებიც ფედერაციის სუბიექტი იმ შტატების, პროვინციებისა

თუ კანტონების საკანონმდებლო იურისდიქციას განეკუთვნება, რომელთაც ფედერალური კონსტიტუციური წყობის თანახმად არ შეუძლიათ განახორციელონ საკანონმდებლო საქმიანობა, ფედერალური ხელისუფლება პირველი შესაძლებლობისთანავე აუწყებს შტატების, პროვინციებისა თუ კანტონების სათანადო ხელისუფალთ, თან დაურთავს რა დადებით რეკომენდაციებს.

- c. წინამდებარე ოქმის წევრი ფედერალური სახელმწიფო, ნებისმიერ სხვა წევრი სახელმწიფოს მოთხოვნით, რომლებიც მათ გადაეცათ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მეშვეობით, წარადგენს ინფორმაციას ფედერაციასა და მის შემადგენელ ნაწილებში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ ამ კონვენციის ნებისმიერი კონკრეტული დებულების მიმართ, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული წინამდებარე ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმის მითითებით, თუ რამდენად განხორციელდება აღნიშნული დებულება ცხოვრებაში საკანონმდებლო ან სხვა გზით.

## მუხლი VII

### დათქმები და განცხადებები

1. მიერთების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს დათქმა ამ ოქმის მე-4 მუხლზე და პირველი მუხლის გაერტელებაზე კონვენციის ნებისმიერი დებულების გამოყენების მიმართ, გარდა 1, 3, 4, 16(1) და 33 მუხლებისა იმ პირობით, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის თანახმად გაკეთებული დათქმები არ ვრცელდება იმ ლტოლვილებზე, რომელთა მიმართაც გამოიყენება კონვენცია.
2. კონვენციის წევრი-სახელმწიფოების მიერ 42-ე მუხლის შესაბამისად დაწესებული დათქმები, თუ ისინი გაუქმებული არ არის, ამ ოქმით ვრცელდება მათ ვალდებულებებზე.
3. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აკეთებს დათქმას, ნებისმიერ დროს შეუძლია ამ დათქმის გაუქმება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით.

- ამ ოქმს მიერთებული კონვენციის წევრი-სახელმწიფოს მიერ, მე-40 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად გაკეთებული განცხადება ვრცელდება ამ ოქმზე, თუ მიერთების დროს მონაწილე სახელმწიფო გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს საწინააღმდეგო შეტყობინებას არ გაუგზავნის. კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები ამ ოქმის მიმართ გამოსაყენებლად ითვლება *mutatis mutandis*.

#### მუხლი VIII ძალაში შესვლა

- ეს ოქმი ძალაში შედის მიერთების შესახებ შეექვსე აქტის დეპონირების დღეს.
- ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც მიუერთდა ამ ოქმს მიერთების შეექვსე აქტის დეპონირების შემდეგ, ოქმი ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს მიერ მიერთების აქტის დეპონირების დღეს.

#### მუხლი IX დენონსაცია

- ამ ოქმის ყველა წევრ-სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ამ ოქმის დენონსაცია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების მეშვეობით.
- წევრი-სახელმწიფოებისათვის ასეთი დენონსაცია ძალაშია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ დენონსაციის აქტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

#### მუხლი X გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შეტყობინებები

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ოქმის მე-5 მუხლში მითითებულ სახელმწიფოებს ატყობინებს ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღის, მიერთების, დათქმებისა და დათქმების გაუქმების, ოქმის დენონსაციის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ.



## მუხლი XI

### გაერთიანებული ერების სამდივნოს არქივებში დეპონირება

ამ ოქმის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები თანაბარი ძალისაა, ხელმოწერილია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და გენერალური მდივნის მიერ, და დეპონირებულია გაერთიანებული ერების სამდივნოს არქივში. გენერალური მდივანი ამ ოქმის დამოწმებულ ასლებს უგზავნის გაერთიანებული ერების ყველა წევრ-სახელმწიფოსა და მე-5 მუხლში მითითებულ სხვა სახელმწიფოებს.

**ქონვენცია სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ  
ჩადენილი დანაშაულისადმი ხანდაზმულობის ვადის  
მიუღებლობის შესახებ**

მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და  
მიერთებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური  
ასამბლეის 1968 წლის 26 ნოემბრის 2391 (XXIII) რეზოლუციით

ძალაშია: 1970 წლის 11 ნოემბრიდან

**პრეამბულა**

*ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,*

*მხრდნობიან რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური  
ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის 3 (I) და 1947 წლის 31  
ოქტომბრის 170 (II) რეზოლუციებს სამხედრო დამნაშავეთა გადაცემისა  
და დასჯის შესახებ, 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუციას,  
რომელიც ადასტურებს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო  
ტრიბუნალის წესდების მიერ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის  
პრინციპებს და ამ ტრიბუნალის განაჩენს, 1966 წლის 12 დეკემბრის  
2184 (XXI) და 1966 წლის 16 დეკემბრის 2202 (XXI) რეზოლუციებს,  
რომლებშიც ნათლად არის დაგმობილი, ერთი მხრივ, მკვიდრი  
მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების დარღვევა,  
როგორც დანაშაული, ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ, და მეორე  
მხრივ, აპარტიდის პოლიტიკა;*

*მხრდნობიან რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1965 წლის 28 ივლისის 1074  
(XXXIX) და 1966 წლის 5 აგვისტოს 1158 (XVI) რეზოლუციებს  
სამხედრო დანაშაულისათვის დასჯის და იმ პირთა დასჯის შესახებ,  
რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;*

*აღნიშნავენ რა, რომ არც ერთ საერთაშორისო დეკლარაციაში,  
აქტსა თუ კონვენციაში, რომელიც ეხება სამხედრო დანაშაულის და*

კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლო წესით დევნასა და დასჯას, არ არის დებულება ხანდაზმულობის ვადის შესახებ;

**მიაჩნიათ** რა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით სამხედრო დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ყველაზე მძიმე დანაშაულია;

**მტკიცედ სჯერათ** რა, რომ სამხედრო დანაშაულობათა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათა ეფექტურად დასჯა მნიშვნელოვანი ფაქტორია ამგვარ დანაშაულთა აღკვეთის, აღმოჩენის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის, ხალხთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში;

**აღნიშნავენ** რა, რომ სამხედრო დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისადმი ჩვეულებრივი დანაშაულთათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით იწვევს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის სერიოზულ შემოფოთებას, ვინაიდან ხელს უშლის ამგვარი დანაშაულის ჩამდენი პირების სასამართლო წესით დევნასა და დასჯას;

**აღიარებენ** რა, რომ დროული და აუცილებელია ამ კონვენციის მეშვეობით საერთაშორისო სამართალში დამკვიდრდეს პრინციპი – სამხედრო დანაშაულის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის არ არსებობს ხანდაზმულობის ვადა, ასევე დროული და აუცილებელია ამ პრინციპის საყოველთაო გამოყენების უზრუნველყოფა;

## **შეთანხმდნენ შემდეგზე:**

### **მუხლი I**

ხანდაზმულობის ყოველგვარი ვადა, მათი ჩადენის დროის მიუხედავად, მიუღებელია შემდეგ დანაშაულთა ჩადენისათვის:

- a. სამხედრო დანაშაული, როგორც ეს განსაზღვრულია ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის 1945 წლის 8 აგვისტოს წესდებით და დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის 3 (I) და 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუციებით; ასევე, „სერიოზული დარღვევები“, როგორც მითითებულია ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ;
- b. დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, იმისგან დამოუკიდებლად, ჩადენილია ომის თუ მშვიდობიანობის დროს და როგორც ეს განსაზღვრულია 1945 წლის 8 აგვისტოს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებით და დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის (I) და 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუციებით, გაძევება შვიარაღებული თავდასხმის ან ოკუპაციის გზით, აგრეთვე აპარტიდის შედეგად მომხდარი არაადამიანური მოქმედებანი; გენოციდის დანაშაული, განსაზღვრული 1948 წლის კონვენციით გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარი მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ, იმ შემთხვევებშიც, როდესაც ჩამოთვლილი ქმედებანი არ არღვევს იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, სადაც ისინი იქნება ჩადენილი.

## მუხლი 2

პირველ მუხლში მითითებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ამ კონვენციის დებულებანი გამოიყენება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ან კერძო პირების მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს ან მონაწილეობა მიიღეს ამგვარ დანაშაულთა ჩადენაში, აქეზებულენ მათ ჩასადენად, ან მონაწილეობდნენ შეთქმულებაში მათ განსაზოციელებლად, მიუხედავად დანაშაულის დასრულების ხარისხისა, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, რომელთაც დაუშვეს აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა.

### მუხლი 3

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ ყველა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რომლის მიზანია საერთაშორისო სამართლის შესაბამისად შეიქმნას პირობები ამ კონვენციის მეორე მუხლში მითითებულ პირთა ექსტრადიციისათვის.

### მუხლი 4

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას თავიანთი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად მიიღონ ნებისმიერი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა კანონით ან სხვაგვარად დადგენილი ხანდაზმულობის ვადა არ იქნეს გამოყენებული ამ კონვენციის პირველ ან მეორე მუხლებში მითითებული დანაშაულობებისათვის და დამნაშავე პირთა სასამართლოს წესით დევნისა და დასჯის დროს, და იქ, სადაც აღნიშნული დანაშაულისათვის გამოიყენება ხანდაზმულობის ვადა, მისი გამოყენება გაუქმდეს.

### მუხლი 5

წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად 1969 წლის 31 დეკემბრამდე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი, ან ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წევრი, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე, ასევე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიწვია ამ კონვენციის მონაწილედ.

### მუხლი 6

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

## მუხლი 7

წინამდებარე კონვენცია ღიაა მისაერთებლად მე-5 მუხლში მითითებული სახელმწიფოებისათვის. დოკუმენტები მიერთების აქტის შესახებ დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

## მუხლი 8

1. ეს კონვენცია ძალაში შედის გენერალურ მდივანთან მათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებიდან 90-ე დღეს.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას, იგი ძალაში შედის ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებიდან 90-ე დღეს.

## მუხლი 10

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესულიდან ათი წლის შემდეგ ნებისმიერმა მონაწილემ სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე წერილობით გაგზავნილი შეტყობინებით შეიძლება ითხოვოს კონვენციის გადასინჯვა.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იღებს გადაწყვეტილებას, აუცილებლობის შემთხვევაში თუ რა ზომებია მისაღები ამგვარი თხოვნის დასაკმაყოფილებლად.
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მე-5 მუხლში მითითებულ სახელმწიფოებს აცნობებს:
  - a. ამ კონვენციის ხელმოწერის და მე-5, მე-6, მე-7 მუხლების შესაბამისად სარატიფიკაციო სიგელების ან მიერთების შესახებ დოკუმენტების შესანახად გადაცემის შესახებ;
  - b. მე-8 მუხლის თანახმად, ამ კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ;

c. მე-9 მუხლის შესაბამისად მიღებულ შეტყობინებათა შესახებ.

### მუხლი 11

წინამდებარე კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბარი ძალისაა, დათარიღებულია 1968 წლის 26 ნოემბრით.

*რის დასტურადაც სათანადოდ უფლებამოსილი ქვემოთ ხელისმომწერი ხელს აწერენ ამ კონვენციას.*

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი  
დისკრიმინაციის  
ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1965 წლის 21  
დეკემბრის 2106 A (XX) რეზოლუციით

ძალაშია: 1969 წლის 4 იანვრიდან, მე-19 მუხლის შესაბამისად

*წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,*

*თვლიან რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ემყარება თითოეული ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებს და, რომ ორგანიზაციის ყველა წევრმა სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, იმოქმედონ დამოუკიდებლად და ერთობრივად გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად, რომელიც მდგომარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემისა და დაცვის ხელშეწყობასა და განვითარებაში, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა,*

*მხედველობაში იღებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აცხადებს, რომ ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით და, რომ ნებისმიერი ადამიანი უნდა სარგებლობდეს მასში გამოცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე, კერძოდ კი განურჩევლად რასისა, კანის ფერისა და ეროვნული წარმომავლობისა,*

*მხედველობაში იღებენ რა რომ ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და აქვს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან ან ასეთი დისკრიმინაციის წაქეზებისაგან კანონით თანაბარი დაცვის უფლება,*

*მხედველობაში იღებენ რა რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმო კოლონიალიზმი და მასთან დაკავშირებული დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის ყოველგვარი პრაქტიკა, სადაც და რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი და, რომ კოლონიური ქვეყნებისა*



და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაციამ (გენერალური ასამბლეის 1514 (XV) რეზოლუცია) დაადასტურა და საზეიმოდ გამოაცხადა, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ უპირობოდ ბოლო მოეღოს ყოველივე ამას,

**მხედველობაში იღებენ** რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1963 წლის 20 ნოემბრის დეკლარაცია (გენერალური ასამბლეის 1904 (XVIII) რეზოლუცია) რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ნებისმიერი ფორმისა და გამოვლინების დაუყოვნებლივ აღმოფხვრის აუცილებლობასა და თითოეული ადამიანის ღირსების გაგებისა და პატივისცემის უზრუნველყოფას,

**დარწმუნებული არიან** რა, რომ რასობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული უპირატესობის ნებისმიერი დოქტრინა მეცნიერული თვალსაზრისით მცდარი, მორალური თვალსაზრისით დასავმობი, სოციალური თვალსაზრისით უსამართლო და საშიშია და, რომ შეუძლებელია რასობრივი დისკრიმინაციის გამართლება, სადაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი – თეორიასა, თუ პრაქტიკაში,

**კიდევ ერთხელ აღასტურებენ** რა რომ ადამიანთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ხელს უშლის ერთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას და შეიძლება გამოიწვიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე ერთსა და იმავე სახელმწიფოს შიგნით ადამიანთა კარმონიული ცხოვრების დარღვევა,

**დარწმუნებული არიან** რა, რომ რასობრივი ბარიერების არსებობა ეწინააღმდეგება ადამიანთა ნებისმიერი საზოგადოების იდეალებს,

**შეშფოთებულნი არიან** რა, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არსებული რასობრივი დისკრიმინაციის ამჟამა გამოვლინებით და აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც ეფუძნება რასობრივ უპირატესობასა და რასობრივ სიძულვილს, კერძოდ, აპარტეიდის, სეგრეგაციისა და განცალკევების პოლიტიკას,

**სურთ** რა, მიიღონ ყველა საჭირო ზომა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის,

რასისტული თეორების შექმნისა და მათი პრაქტიკაში გატარების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის, რასებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობისა და რასობრივი სეგრეგაციისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან თავისუფალი საერთაშორისო საზოგადოების შექმნისათვის,

**მხედველობაში იღებენ** რა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1958 წელს მიღებულ კონვენციას შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1960 წელს დამტკიცებულ კონვენციას განათლების სფეროში დისკრიმინაციის თავიდან აცილების შესახებ,

**სურთ** რა, განახორციელონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში ასახული პრინციპები და უზრუნველყონ ამ მიზნით მისლწევად პრაქტიკული ღონისძიებების უსწრაფესი განხორციელება,

**შეთანხმდნენ შემდგომ:**

## ნაწილი I

### მუხლი 1

1. წინამდებარე კონვენციაში ტერმინი „რასობრივი დისკრიმინაცია“ აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, განსაკუთრებულობას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საფუძველზე ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას.
2. წინამდებარე კონვენცია არ ვრცელდება იმ განსხვავების, გამონაკლისის, შეზღუდვების ან უპირატესობის მინიჭების მიმართ, რომელსაც ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აწესებენ თავის მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის.

3. წინამდებარე კონვენციაში არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს, როგორც გარკვეულწილად გავლენის მქონე მონაწილე სახელმწიფოთა კანონმდებლობების დებულებებზე ეროვნული კუთვნილების, მოქალაქეობის ან ნატურალიზაციის შესახებ, იმ პირობით, თუ ამ დებულებებით არ ხორციელდება დისკრიმინაცია რომელიმე კონკრეტული ეროვნების მიმართ.
4. განსაკუთრებული ზომების მიღება იმ ზოგიერთი რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის ან ცალკეული პირების პროგრესის უზრუნველსაყოფად, რომლებიც საჭიროებენ ასეთ დაცვას მათი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოვლინებისა და განხორციელების მიზნით, არ განიხილება რასობრივ დისკრიმინაციად იმ პირობით, თუ ასეთი ზომების მიღება შედეგად არ იწვევს სხვადასხვა რასობრივი ჯგუფებისათვის განსაკუთრებული უფლებების შენარჩუნებას და ძალაში აღარ დარჩება იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც იქნა შემოღებული.

## მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები გმობენ რასობრივ დისკრიმინაციას და ვალდებულებას კისრულობენ ყველა შესაბამისი საშუალებებით დაუყოვნებლივ გაატარონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პოლიტიკა და ხელი შეუწყონ რასებს შორის ურთიერთგაგებას, და ამ მიზნით:
  - a. თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას პირების, ჯგუფების ან დაწესებულებების მიმართ არ ჩაიდინოს რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული აქტები ან ქმედებები და უზრუნველყოს როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ამ ვალდებულების შესაბამისად მოქმედება;
  - b. თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ხელი არ შეუწყოს, არ დაიცვას ან მხარი არ დაუჭიროს რომელიმე პირის ან

ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ რასობრივ დისკრიმინაციას;

- c. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები ცენტრალური და ადგილობრივი მასშტაბით სამთავრობო პოლიტიკის გადასინჯვის, აგრეთვე იმ კანონებისა და დადგენილებების შესწორების, ან გაუქმების მიზნით, რომლებიც იწვევენ ან სამუდამოდ ამკვიდრებენ რასობრივ დისკრიმინაციას ყველგან, სადაც ის არსებობს;
- d. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ ყველა არსებული საშუალების, მათ შორის საკანონმდებლო ზომების გამოყენებით, გარემოებების მიხედვით უნდა აკრძალოს რასობრივი დისკრიმინაცია, განახორციელოს ნებისმიერი პირის, ჯგუფის ან ორგანიზაციების მიერ;
- e. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია საჭიროებისამებრ წაახალისოს გამაერთიანებელი მრავალრასობრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, ასევე რასობრივი ბარიერების მოშლის სხვა ღონისძიებები, არ დაუჭიროს მხარი ისეთ ზომებს, რომლებიც ხელს უწყობენ რასობრივი დაყოფის გაღრმავებას.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა, როდესაც ამას მოითხოვს გარემოება, უნდა მიიღონ განსაკუთრებული და კონკრეტული ზომები სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, ზოგიერთი რასობრივი ჯგუფებისა და პირების სათანადო განვითარებისა და დაცვისათვის, რათა უზრუნველყონ მათთვის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების სრული და თანაბარი გამოყენება. ასეთმა ზომებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს განსხვავებულ რასობრივ ჯგუფებში არათანაბარი და უპირატესი უფლებების შენარჩუნება იმ მიზნების მიღწევისას, რისთვისაც ისინი იყო შემოღებული.

### მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები განსაკუთრებით გამოხედავენ რასობრივ სევრეგაციას და აპარტიდს და ვალდებულებას იღებენ აკრძალონ და აღმოფხვრან ყოველგვარი ასეთი პრაქტიკა მათს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

### მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები გამოხედავენ ყოველგვარ პროპაგანდას, აგრეთვე ერთი რასის ან განსაზღვრული ფერის კანის ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფის უპირატესობის იდეებზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ ან წაახალისონ ნებისმიერ ფორმაში გამოხატული რასობრივი სიძულვილი და დისკრიმინაცია, ვალდებულებას იღებენ დაუყოვნებლივ განახორციელონ ჯეროვანი ღონისძიებანი ასეთი წაქეზების და დისკრიმინაციის აქტების აღმოსაფხვრელად, ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნული პრინციპებისა და წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლში მოცემული წესების მიხედვით, *inter alia*:

- a. კანონით დასჯად ქმედებად აცხადებენ ისეთი იდეების გავრცელებას, რომლებიც ემყარება რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილს, რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარ წაქეზებას და ასევე ძალადობის აქტებს ან წაქეზებას ისეთი აქტებისაკენ, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი რასისა და კანის ფერის ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფის წინააღმდეგ, და ასევე ყოველგვარი დახმარების, მათ შორის ფინანსური დახმარების აღმოჩენას რასისტული ქმედებების მიზნით;
- b. აცხადებენ უკანონოდ და კრძალავენ ორგანიზაციებს, და ასევე ორგანიზაციულ და ყოველგვარ სხვა პროპაგანდისტულ საქმიანობას, რომლებიც წაახალისებენ რასობრივ დისკრიმინაციას და უბიძგებენ მისკენ, აღიარებენ დანაშაულად ასეთ ორგანიზაციებას და ასეთ საქმიანობაში მონაწილეობას;

- c. ნებას არ აძლევენ ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ დაწესებულებებს წაახალისონ ან წააქეზონ რასობრივი დისკრიმინაცია.

## მუხლი 5

ამ კონვენციის მე-2 მუხლში აღნიშნული ძირითადი მოვალეობების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ აკრძალონ და აღმოფხვრან ნებისმიერი, ფორმის რასობრივი დისკრიმინაცია და უზრუნველყონ ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული და ეთნიკური წარმოშობისა, განსაკუთრებით შემდეგი უფლებების განხორციელებისათვის:

- a. სასამართლოსა და მართლმსაჯულების აღმასრულებელი ყველა ორგანოს წინაშე თანასწორი მოპყრობის უფლება;
- b. პირადი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვის უფლება ძალადობისა და სხეულის დაზიანების წინააღმდეგ, რომლებსაც აყენებენ როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირები, ისე ცალკეული პირები, ჯგუფები ან დაწესებულებები;
- c. პოლიტიკური უფლებებისა, კერძოდ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა – მისცენ ხმა და წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა საერთო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, ისევე როგორც სახელმწიფოს საქმეების მართვაში და ყველა დონეზე, და ასევე სარგებლობდეს საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობით,
- d. სხვა სამოქალაქო უფლებების, კერძოდ:
  1. სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფლად ცხოვრებისა და გადაადგილების უფლება:

2. ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საკუთარი ქვეყნის ლატოებისა და ქვეყანაში დაბრუნების უფლება;
3. მოქალაქეობის უფლება;
4. ქორწინებისა და მეუღლის არჩევის უფლება;
5. საკუთრების ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად ფლობის უფლება;
6. მემკვიდრეობის უფლება;
7. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
8. მრწამსისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება;
9. მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების უფლება;

e. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, კერძოდ:

1. შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიანი და ხელსაყრელ პირობებში მუშაობის უფლება, უმუშევრობიდან დაცვის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების, სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი ანაზღაურების უფლება;
2. პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება;
3. საცხოვრებლის უფლება;
4. ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო დახმარების, სოციალური უზურნველყოფისა და სოციალური მომსახურების უფლება;
5. განათლებისა და პროფესიული მომზადების უფლება;

6. კულტურულ ცხოვრებაში თანაბარ ადგილზე (ტრანსპორტი, სასტუმრო, რესტორანი, კაფე, თეატრი, პარკი) ყოფნის და ნებისმიერი სახის მომსახურების ხელმისაწვდომობის უფლება.

## მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების დახმებით უზრუნველყოფენ ყველა ადამიანის, რომელზეც ვრცელდება მათი იურისდიქცია, ეფექტურ დაცვას და დაცვის საშუალებებს ნებისმიერი რასობრივი დისკრიმინაციის აქტების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ამ კონვენციის შესაბამისად ხელყოფს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, და ასევე უფლებას წარადგინონ ამ სასამართლოებში სარჩელი ასეთი დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზარალის სამართლიან და ადეკვატური ანაზღაურებისათვის.

## მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ მიიღონ გადაუდებელი და ეფექტური ზომები, კერძოდ, აღზრდის, სწავლების, კულტურის და ინფორმაციის სფეროებში, რათა ებრძოლონ რასობრივი დისკრიმინაციის გამომწვევ ცრურწმენებს, დაამკვიდროს ურთიერთგაგების წახალისების, ერებსა და რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფებს შორის მეგობრობის, ტოლერანტობის ატმოსფერო, პოპულარიზაცია გაუწიოს გაეროს წესდებას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაციას და ამ კონვენციის მიზნებსა და პრინციპებს.

## ნაწილი II

### მუხლი 8

1. დაარსდეს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (შემდეგში „კომიტეტი“) თვრამეტი ექსპერტის შემადგენლობით, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი მორალური თვისებები და მიუმხრობლობის პრინციპები. ისინი აირჩევიან მონაწილე



სახელმწიფოების მიერ მათი მოქალაქეების რიცხვიდან, და ასრულებენ მოვალეობებს პირადი ღირსების შესაბამისად. ამასთან, არჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს სამართლიანი გეოგრაფიული განაწილებისა და ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმების წარმომადგენლობის პრინციპს, ასევე ძირითად სამართლებრივ სისტემებს.

2. კომიტეტის წევრები აირჩევიან ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი სიიდან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს ერთი პირი თავის მოქალაქეთაგან.
3. პირველადი არჩევნები ტარდება აღნიშნული კონვენციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ. არჩევნებამდე არაუგვიანეს სამი თვით ადრე გაეროს გენერალური მდივანი მიმართავს წერილობითი თხოვნით მონაწილე სახელმწიფოებს, ორი თვის განმავლობაში წარადგინონ არჩევნებში მონაწილე პირთა სია. გენერალური მდივანი ანბანური წესით ამზადებს წარმოდგენილ კანდიდატთა სიას, უთითებს მათ წარმდგენ სახელმწიფოს და ამ სიას წარუდგენს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.
4. კომიტეტის წევრები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაეროს შტაბ-ბინაში სხდომაზე, სადაც ქვორუმი მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედს შეადგენს. კომიტეტში არჩეულას ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმების უმრავლესობა და დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოების ხმების უმრავლესობა და დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოების ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.
5. a. კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. ამასთან პირველ არჩევნებში არჩეულთა ცხრა წევრის უფლებამოსილების ვადა იწურება ორწლიანი პერიოდის ბოლოს. პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე ამ ცხრა წევრის ვინაობა განისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის საფუძველზე.

b. გაუთვალისწინებელი ვაკანსიის შესავსებად კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტი უკვე აღარაა

კომიტეტის წევრი, კომიტეტის თანხმობით თავისი მოქალაქეებიდან ნიშნავს სხვა ექსპერტს.

6. მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან კომიტეტის წევრების ხარჯების დაფარვისათვის მათ მიერ კომიტეტში მოვალეობების შესრულების პერიოდში.

### მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ გაეროს გენერალური მდივნის წინაშე, რათა განიხილონ კომიტეტის მოხსენება, მათ მიერ კონვენციის დებულებების განხორციელების მიზნით გაწეული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების შესახებ:
  - a. ამ სახელმწიფოსათვის წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში;
  - b. მომდევნო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ან როცა ამას მოითხოვს კომიტეტი. კომიტეტს შეუძლია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისაგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.
2. კომიტეტი ყოველწლიურად გენერალური მდივნის მეშვეობით გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარმოადგენს მოხსენებას მისი საქმიანობის შესახებ. მას ასევე შეუძლია დააყენოს წინადადებები და ზოგადი რეკომენდაციები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებიდან მიწოდებულ მოხსენებებისა და ინფორმაციის საფუძველზე. ასეთი წინადადებები და ზოგადი რეკომენდაციები მოხსენდება გენერალურ ასამბლეას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი არსებობს.

### მუხლი 10

1. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.
2. კომიტეტი ირჩევს თავის ხელმძღვანელ პირებს ორი წლის ვადით.

3. კომიტეტის სამდივნოს უზრუნველყოფს გაეროს გენერალური მდივანი.
4. კომიტეტის სხდომები ჩვეულებრივ იმართება გაეროს შტაბ-ბინაში.

## მუხლი 11

1. თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს კონვენციის დებულებებს, მას შეუძლია ამის შესახებ აცნობოს კომიტეტს. კომიტეტი თავის მხრივ ამ შეტყობინებას გადასცემს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს. შეტყობინების მიმღები სახელმწიფო სამი თვის ვადაში წარუდგენს კომიტეტს წერილობით განმარტებას ან განცხადებას, სადაც განხილულია ის საკითხები და ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს ამ სახელმწიფოს მიერ.
2. თუ სახელმწიფოს მიერ საწყისი შეტყობინებების მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში საკითხი არ მოწესრიგდა ორმხრივი მოლაპარაკების ან ორივე მხარისათვის მისაღები სხვა რაიმე გზით, მაშინ ნებისმიერ ამ ორ სახელმწიფოს უფლება აქვს კვლავ გადასცეს ეს საკითხი კომიტეტს განსახილველად კომიტეტის და სხვა სახელმწიფოსათვის სათანადო შეტყობინების გზით.
3. კომიტეტი საკითხს განიხილავს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მას შემდეგ, რაც ის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად დაადგენს, რომ სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული შიდასახელმწიფოებრივი საშუალება გამოყენებული და ამოწურულია. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ამ საშუალებების გამოყენება ძალიან გაჭიანურებულია.
4. კომიტეტი უფლებამოსილია განსახილველად მიღებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია.

5. თუ ამ მუხლის დებულებებიდან გამომდინარე რომელიმე საკითხს კომიტეტი განიხილავს, მაშინ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს ამ საკითხის განხილვისას თავიანთი წარმომადგენლები მიავლინოს კომიტეტის სხდომებში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობის მისაღებად.

## მუხლი 12

1. a. მას შემდეგ, რაც კომიტეტი მიიღებს და მისი შეხელულებისამებრ საფუძვლიანად შეამოწმებს საჭირო ინფორმაციას, თავმჯდომარე ნიშნავს დროებით მომრიგებელ კომისიას (შემდგომში „კომისიას“) ხუთი კაცის შემადგენლობით, რომლებიც შეიძლება იყვნენ ან არ იყვნენ კომიტეტის წევრები. კომისიის წევრები ინიშნებიან დავის მონაწილე მხარეების ერთსულოვანი თანხმობით. კომისია სთავაზობს თავის კეთილ სამსახურს დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რათა ამ კონვენციის დებულებების დაცვის საფუძველზე მეგობრულად გადაწყვიტოს მოცემული საკითხი.
  - b. თუ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც დავაში მხარეებს წარმოადგენენ, სამ თვეში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება კომისიის სრული შემადგენლობის ან მისი ნაწილის თაობაზე, მაშინ კომისიის ის წევრები, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება სახელმწიფოებს შორის, აირჩევიან კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ხმათა ორი მესამედით.
1. კომისიის წევრები თავიანთ ვალდებულებებს ასრულებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. ისინი არ უნდა იყვნენ დავის მონაწილე, ან იმ სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებიც არ არიან ამ კონვენციის მონაწილეები.
2. კომისია ირჩევს თავმჯდომარეს და ადგენს თავის პროცედურულ წესებს.
3. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ იმართება გაეროს შტაბ-ბინაში ან კომისიის გადაწყვეტილებით სხვა ნებისმიერ მოსახერხებელ ადგილას.

4. სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფილია ამ კონვენციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით, ასევე ემსახურება კომისიას, თუ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შორის ღვაკა გამოიწვევს კომისიის შექმნას.
5. სახელმწიფოები, რომელიც არიან ღავის მონაწილე მხარეები, თანაბარწილად ანაზღაურებენ კომისიის წევრებზე გაწეულ ხარჯებს გაეროს გენერალური მდივნის მიერ წარდგენილი ხარჯთა ნუსხის შესაბამისად.
6. გენერალურ მდივანს აუცილებლობის შემთხვევაში უფლება აქვს ღაფაროს კომისიის წევრებზე გაწეული ხარჯები იმ ღრომღე, ვიღრე სახელმწიფოები არიან ღავის მონაწილენი, ამ მუხლის მე-ნ პუნქტის შესაბამისად.
7. კომიტეტის მიერ მიღებული ღა შესწავლილი ინფორმაცია წარუდგინება კომისიას. კომისიას შეუძლია ღაინტერესებულ სახელმწიფოებს შესთავაზოს საქმესთან ღაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა.

### მუხლი 13

1. კომისიამ, როცა სრულად განიხილავს საკითხს, უნღა მოამზადოს ღა კომიტეტის თავმჯღომარეს წარუდგინოს მოხსენება, რომელიც შეიცავს ღასკენებს ყველა იმ საიკთხზე, რომელიც ეხება ღავაში მონაწილე მხარეთა ღავის ფაქტიურ ნაწილს ღა ასევე, რეკომენდაციები, რომელიც კომისიას აუცილებლად მიაჩნია ღავის მშვიღობიანად გადაწყვეტისათვის.
2. კომიტეტის თავმჯღომარემ კომისიის მოხსენება უნღა ღაუგზავნოს ღავაში მონაწილე ყოველ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოებმა სამი თვის ვაღაში, უნღა აცნობონ კომიტეტის თავმჯღომარეს ეთანხმებთან თუ არა ისინი კომისიის მოხსენებაში მოცემულ რეკომენდაციებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვაღის ამოწურვის შემღეგ კომიტეტის თავმჯღომარემ კომისიის მოხსენება ღა ღაინტერესებული

მონაწილე სახელმწიფოების განცხადებები უნდა დაუგზავნოს ამ კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.

## მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რომ ის ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მისი იურისდიქციის ფარგლებში მიიღოს და განიხილოს ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფის შეტყობინებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლი. კომიტეტმა არ უნდა მიიღოს შეტყობინება, თუ იგი ეხება კონვენციის მონაწილე წევრ სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება.
2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც აკეთებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას, შეუძლია დააარსოს ან მიუთითოს ორგანო თავისი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, რომელიც კომპეტენტურია მისი იურისდიქციის ფარგლებში მიიღოს და განიხილოს იმ პირთა და პირთა ჯგუფის პეტიციები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი არიან წმინდებარე კონვენციაში აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლი და რომლებმაც ამოწურეს სამართლებრივი დაცვის სხვა ყველა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.
3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება და აგრეთვე ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შექმნილი ან მითითებული ორგანოს სახელწოდება დეკონირებული უნდა იყოს შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაეროს გენერალურ მდივანთან, რომელიც მის ასლებს უგზავნის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადება ნებისმიერ დროს შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გზით, მაგრამ ეს არ უნდა აისახოს იმ შეტყობინებებზე, რომლებიც განიხილებიან კომიტეტის მიერ.
4. პეტიციების ნუსხას ადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შექმნილი ან მითითებული ორგანო, ხოლო ნუსხის დამოწმებული ასლები შესაბამისი არხებით ყოველწლიურად ბარდება გენერალურ

მღვიანს, ამასთან მათი შინაარსი არ უნდა გახდეს საჯაროობის საგანი.

5. იმ შემთხვევაში, თუ პეტიციონერი უკმაყოფილოა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შექმნილი ან მითითებული ორგანოს მოქმედებით, მას უფლება აქვს ექვსი თვის ვადაში გადასცეს აღნიშნული საკითხი კომიტეტს.
6. a. კომიტეტი კონფიდენციალური წესით აცნობებს ნებისმიერი მიღებული შეტყობინების შესახებ მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ბრალად ედება კონვენციის რომელიმე დებულების დარღვევა, მაგრამ არ ასახელებს შესაბამის პირს ან პირთა ჯგუფს მისი მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე. კომიტეტი არ იღებს ანონიმურ შეტყობინებებს.  
b. შეტყობინებების მიმღები სახელმწიფო სამი თვის განმავლობაში წარუდგენს კომიტეტს წერილობით ახსნა-განმარტებებს ან განცხადებებს, რომელშიც გაშუქებულია აღნიშნული საკითხი და ზომები, რომლებიც შეიძლება მიეღოს ამ სახელმწიფოს.
7. a. კომიტეტი განიხილავს შეტყობინებას ყველა მონაცემის გათვალისწინებით, რომელიც მას განხილვისათვის წარუდგინა დაინტერესებულმა წევრ-სახელმწიფომ ან პეტიციონერმა. კომიტეტმა არ უნდა განიხილოს არც ერთი პეტიციონერის შეტყობინება, თუ იგი არ დაადგენს, რომ პეტიციონერმა ამოწურა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. ამასთან, ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ასეთი საშუალებების გამოყენება განსაკუთრებით დიდხანს ჭიანურდება.  
b. კომიტეტი თავის მოსაზრებებს და რეკომენდაციებს უგზავნის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს ან პეტიციონერს, თუკი ასეთი გააჩნია.
8. კომიტეტი თავის ყოველწლიურ მოხსენებაში ურთავს რეზიუმეს ასეთ შეტყობინებათა შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მოკლე განმარტებას ან განცხადებას, ასევე თავის წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

9. კომიტეტი კომპეტენტურია შეასრულოს ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციები, იმ შემთხვევაში, როცა კონვენციის სულ ცოტა ათმა მონაწილე სახელმწიფომ გააკეთა განცხადება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

### მუხლი 15

1. კოლონიური ქვეყნების ან ერებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის მიზნების მიღწევამდე, რასაც შეიცავს გენერალური ასამბლეის 1514 რეზოლუცია (1960 წ. 14 დეკემბერი), ამ კონვენციის დებულებები არანაირად არ ზღუდავს მათ მიერ პეტიციის წარდგენის უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვთ სხვა საერთაშორისო დოკუმენტის ძალით ან გაეროს და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ.
  2. a. ამ კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაარსებული კომიტეტი იღებს პეტიციის ასლებს გაეროს ორგანოებიდან, რომელთაც ამ კონვენციის პრინციპებთან და პეტიციებთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხები ეხებათ და მათ წარუდგენს მოსაზრებებს და რეკომენდაციებს პეტიციების შესახებ, იმ ქვეშევრდომი ქვეყნის მოსახლეობის ან არათვითმმართველი ტერიტორიებიდან და სხვა ტერიტორიებიდან წარდგენილი პეტიციების განხილვისას, რომელთა მიმართ გამოიყენება 1514 (XV) რეზოლუცია და რომელიც ეხება ამ კონვენციით გათვალისწინებულ და ამ ორგანოების მიერ განსახილველ საკითხებს.
  - b. კომიტეტი გაეროს კომპეტენტური ორგანოებიდან იღებს მოხსენების ასლებს საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უშუალოდ განეკუთვნება ამ კონვენციის პრინციპებსა და მიზნებს და რომელიც ახორციელებენ მმართველი სახელმწიფოები ამ მუხლის ა) ქვეპუნქტში აღნიშნულ ტერიტორიებზე, გამოხატავენ თავის მოსაზრებას და რეკომენდაციას აძლევს ამ ორგანოებს.
3. კომიტეტი გენერალური ასამბლეისადმი წარდგენილ მოხსენებას ურთავს გაეროს ორგანოებიდან მიღებული პეტიციის რეზიუმეს და მოხსენებებს, და ასევე კომიტეტის მოსაზრებებს და რეკომენდაციებს აღნიშნული პეტიციებისა და მოხსენებების შესახებ.



4. კომიტეტი გაეროს გენერალური მდივნისაგან ითხოვს ინფორმაციას იმ ტერიტორიების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ამ კონვენციის მიზნებსა და მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნტის საკითხებს განეკუთვნება.

## მუხლი 16

ამ კონვენციის დებულებები, რომლებიც ეხება დავის მოწესრიგებასა და საჩივრების განხილვას, გამოიყენება დავებისა და დისკრიმინაციის შესახებ საჩივრების სხვა მეთოდებით გადაწყვეტისათვის ზიანის მოუყენებლად, რომლებიც მოცემულია გაეროს ფუძემდებლურ დოკუმენტებში და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ან იმ კონვენციებში მოწონებული უკანასკნელის მიერ და არ ეწინააღმდეგება სხვა მეთოდებს, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენონ ამ დავების გადასაწყვეტად, მათ შორის მოქმედი ზოგადი და სპეციალური საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

## ნაწილი III

### მუხლი 17

1. წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულებების ან საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე სახელმწიფოსათვის, ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომლებიც მოწვეული არიან გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ამ კონვენციაში მონაწილეობისათვის.
2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაეროს გენერალურ მდივანთან.

### მუხლი 18

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა მისაერთებლად ამ კონვენციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

2. მიერთება ძალაში შედის გაეროს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების გზით.

### მუხლი 19

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის გაეროს გენერალური მდივნისათვის 27-ე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის ჩაბარებიდან 30-ე დღეს.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც რატიფიცირებას მოახდენს ან მიუერთდება ამ კონვენციას გაეროს მდივნისათვის 27-ე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის შესანახად გადაცემის შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის მის მიერ სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან 30-ე დღეს.

### მუხლი 20

1. გაეროს გენერალური მდივანი იღებს და უგზავნის ყველა სახელმწიფოს, რომლებიც არიან ან შეიძლება გახდნენ ამ კონვენციის მონაწილეები, ამ სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციის ან მიერთებისას დაწესებული დათქმის ტექსტს. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც დათქმის წინააღმდეგაა, შეტყობინების დღიდან 90 დღის განმავლობაში ამის შესახებ აცნობებს გენერალურ მდივანს.
2. დათქმები, რომლებიც არ შეესაბამება ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებს, არ დაიშვება. ამასთან, არ დაიშვება ის დათქმებიც, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგება ამ კონვენციის საფუძველზე შექმნილი რომელიმე ორგანოს მუშაობას. დათქმა ჩაითვლება მუშაობისათვის მიუღებლად ან შეუთავსებლად, თუკი კონვენციის მონაწილეთა არანაკლებ 2/3 ამის წინააღმდეგაა.
3. დათქმა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

## მუხლი 21

ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის ასეთი შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

## მუხლი 22

მონაწილე ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის გამოყენების ან განმარტების დროს წამოჭრილი ნებისმიერი დავა, რომელიც არ წყდება მოლაპარაკებების ან ამ კონვენციაში სპეციალურად გათვალისწინებული პროცედურების გზით, დავის ნებისმიერი მონაწილის თხოვნით გადასაწყვეტად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს, თუკი მხარეები არ შეთანხმდებიან დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებზე.

## მუხლი 23

1. ამ კონვენციის გადასინჯვის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით.
2. გაეროს გენერალური ასამბლეა აუცილებლობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას იმ ზომების შესახებ, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ასეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

## მუხლი 24

გაეროს გენერალური მდივანი, ამ კონვენციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ყველა სახელმწიფოს აცნობებს:

- a. ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ მე-17 და მე-28 მუხლის შესაბამისად;

- b. კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ მე-19 მუხლის შესაბამისად;
- c. შეტყობინებებისა და დეკლარაციების შესახებ, რომლებიც მიღებული იქნება მე-14, მე-20 და მე-23 მუხლების შესაბამისად;
- d. დენონსაციის შესახებ 21-ე მუხლის შესაბამისად.

### მუხლი 25

1. წინამდებარე კონვენციის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბარი ძალისაა და ინახება გაეროს არქივში.
2. გაეროს გენერალური მდივანი კონვენციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ ნებისმიერ სახელმწიფოს უგზავნის ამ კონვენციის ოფიციალურად დამოწმებულ ასლებს.

*რის დასტურდაც ქვემოთ ხელმოწერმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას მათი მთავრობების სახელით, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ნიუ-იორკში, ათას ცხრაას სამოცდაექვსი წლის მარტის მეშვიდე დღეს.*

კონვენცია აღამიანთა რესურსების განვითარების  
სფეროში პროფესიული ორიენტაციისა და  
პროფესიული მომზადების შესახებ

ვენეციაში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ მოწვეული და 1975 წლის 4 ივნისს თავის მესამოცე სესიაზე შეკრებილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელმაც დაადგინა, მიიღოს მთელი რიგი წინადადებები აღამიანთა რესურსების განვითარების პროფესიული ორიენტაციის და პროფესიული მომზადების თაობაზე, რომელიც სესიის დღის წესრიგის მე-9 პუნქტია,

გადაწყვიტა ამ წინადადებებს მისცეს საერთაშორისო კონვენციის ფორმა, ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლის ოცდასამ ივნისს იღებს წინამდებარე კონვენციას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს 1975 წლის კონვენცია აღამიანთა რესურსების განვითარების შესახებ

მუხლი 1

1. ორგანიზაციის ყოველი წევრი იღებს და ავითარებს დასაქმებასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების ყოველმხრივ და კოორდინირებულ პოლიტიკას და პროგრამებს დასაქმების სახელმწიფო სამსახურების მეშვეობით.
2. ეს პოლიტიკა და პროგრამები ფეროვნად ითვალისწინებენ:
  - a) დასაქმების მოთხოვნილებებს, შესაძლებლობებსა და პრობლემებს როგორც რეგიონალურ, ასევე როვნულ დონეზე;
  - b) სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სტადიას და დონეს;
  - c) აღამიანთა რესურსების განვითარებისა და სხვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიზნების ურთიერთკავშირს.
3. ეს პოლიტიკა და მეთოდები ხორციელდება ეროვნული პირობების შესაბამისი მეთოდებით.
4. ამ პოლიტიკისა და მეთოდების მიზანია აამაღლოს ცალკეულ პირთა შეგნების უნარი და ინდივიდუალურად ან კოლექტიურად გავლენა მოახდინოს საწარმოო და სოციალურ გარემოზე.
5. ეს პოლიტიკა და პროგრამები სტიმალს და საშუალებას აძლევს ყველა პირს თანასშორების საფუძველზე და სრულიად უდისკრიმინაციოდ განავითაროს და გამოიყენოს თავისი შრომის უნარი საკუთარი

ინტერესებისათვის და თავისი მისწრაფების შესაბამისად, საზოგადოების ოთხოვნილებების გათვალისწინებით.

## მუხლი 2

ზემოაღნიშნული მიზნით ორგანიზაციის ყოველი წევრი ამუშავებს და სრულყოფს ზოგადი და პროფესიულ-ტექნიკური განათლების, სასკოლო და პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების ღია, მოქნილ და ერთმანეთის შემსვებ სისტემებს მიუხედავად იმისა, ზორციელდება თუ არა ეს საქმიანობა ფორმალური განათლების სისტემაში ან მის ფარგლებს გარეთ.

## მუხლი 3

1. ორგანიზაციის ყოველი წევრი თანდათანობით აფართოებს პროფესიული ორიენტაციის და დასაქმების თაობაზე მუდმივი ინფორმაციის საკუთარ სისტემებს, რათა ყოველმხრივი ინფორმაცია და რაც შეიძლება ფართო ორიენტაცია მისაწვდომი გახდეს ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზრდილთათვის, მათ შორის ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე პირთათვის.

2. ასეთი ინფორმაცია და ორიენტაცია მოიცავს პროფესიის არჩევას, პროფესიულ მომზადებას და მასთან დაკავშირებულ განათლების შესაძლებლობას, მდგომარეობასა და პერსპექტივას დასაქმების სფეროში, სამსახურში დაწინაურების პერსპექტივას, შრომის პირობებს, შრომის უსაფრთხოებასა და პიგიენას, აგრეთვე შრომის ცხოვრების სხვა ასპექტებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და პასუხისმგებლობის ყველა დონეზე.

3. ამ ინფორმაციას და ორიენტაციას ავსებს ინფორმაცია კოლექტიურ შეთანხმებათა და შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოვალეობების ზოგადი ასპექტების შესახებ. ეს ინფორმაცია წარედგინება ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, მეწარმეთა და მშრომელთა დაინტერესებული ორგანიზაციების შესაბამისი ფუნქციებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

## მუხლი 4

ორგანიზაციის ყოველ წევრი თანდათანობით იფართოებს, უსადაგებს და პარამონიულს ხდის პროფესიული მომზადების საკუთარ სისტემებს, რათა ისინი აკმაყოფილებდეს ახალგაზრდებისა და მოზრდილების

მოთხოვნებებს მიიღონ პროფესიული მომზადება თავიანთი ცხოვრების მანძილზე ეკონომიკის ყველა სექტორში, ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში და კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ყველა დონეზე.

### მუხლი 5

პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების პოლიტიკა და პროგრამები მუშავდება და ხორციელდება მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როცა ეს საჭიროა და ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად.

### მუხლი 6

ოფიციალური საბუთები ამ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს სარეგისტრაციოდ.

### მუხლი 7

- 1.წინამდებარე კონვენცია აერთიანებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხლოდ იმ წევრებს, რომელთა საბუთები რატიფიკაციის შესახებ რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.
- 2.იგი ძალაში შედის, როცა გენერალური დირექტორი რეგისტრაცია გაატარებს ორგანიზაციის ორი წევრის საბუთებს რატიფიკაციის შესახებ.
- 3.შემდგომში ეს კონვენცია ორგანიზაციის ყოველი წევრისათვის ძალაში შედის რატიფიკაციის შესახებ მისი საბუთების რეგისტრაციის თარიღიდან თორმეტი თვის შემდეგ.

### მუხლი 8

- 1.ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკირება, შეუძლია მისი თავდაპირველ ძალაში შესვლის მომენტიდან ათწლიანი პერიოდის დამთავრების შემდეგ მოახდინოს კონვენციის დენონსირება დენონსაციის აქტით, რომელიც ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს და რეგისტრაციიდან ერთ წლის შემდეგ.
- 2.ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკირება, თუ წინა პუნქტში აღნიშნული ათ-წლიანი პერიოდის დამთავრების შემდეგ ერთი წლის ვადაში არ გამოიყენებს ამ მუხლით

გათვალისწინებულ დენონსაციის უფლებას, კონვენციასთან დაკავშირებული იქნება მომდევნო ათწლიან პერიოდში და შემდგომში შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება ყოველი ათ-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით დადგენილი წესით.

### მუხლი 9

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს აცნობებს ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული რატიფიკაციის შესახებ ყველა საბუთის და დენონსაციის აქტების რეგისტრაციას.

2. გენერალური დირექტორი, რომელიც აცნობებს ორგანიზაციის წევრებს, რომ რეგისტრაციაში გაატარა მეორე საბუთი რატიფიკაციის შესახებ, მათს ყურადღებას მიაპყრობს კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

### მუხლი 10

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გენერალური ერების ორგანიზაციის 102-ე მუხლის თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს რეგისტრაციისათვის უგზავნის სრულ მონაცემებს რატიფიკაციის შესახებ ყველა საბუთისა და დენონსაციის აქტების თაობაზე, რომლებიც მის მიერ რეგისტრირებულია წინა მუხლის დებულებათა შესაბამისად.

### მუხლი 11

ყოველითვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო ამას საჭიროდ ჩათვლის, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების თაობაზე და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის დროს წესრიგში მისი სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის საკითხის შეტანა.

### მუხლი 12

1. იმ წმინტევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალი კონვენციას, რომელშიც ეს კონვენცია მთლიანად ან ნაწილობრივ არის გადასინჯული, და თუ ახალ კონვენციაში საპირისპირო არ არის გათვალისწინებული, მაშინ:



ა) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიკაცია, მე-9 მუხლის დებულებათა მიუხედავად, ავტომატურად იწვევს არსებული კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსაციას იმ პირობით, რომ ახალი, გადასინჯული კონვენცია ძალაშია შესული;

ბ) ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ეს კონვენცია დახურულშია ორგანიზაციის წევრების მიერ რატიფიკაციისათვის.

2. ეს კონვენცია, ყველა შემთხვევაში ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრებისათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება.

### მუხლი 13

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვს.

# დემკლარაცია რასისა და რასობრივ ცრურწმენათა შესახებ

1978 წლის 27 ნოემბერი

## პრეამბულა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში,

აღნიშნავს რა ღრმა შეშფოთებით, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ მძინეარებს და ახალ-ახალ ფორმას იძენს რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცია, კოლონიალიზმი და აპარტეიდი, რაც გამოიხატება როგორც ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპებისადმი შეუთავსებელი სამთავრობო და ადმინისტრაციული აპარატის საკანონმდებლო დებულებებისა და პრაქტიკის შენარჩუნებით, ისე პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების,

ურთიერთდამოკიდებულებისა და პოზიციების უცვლელიობით, რასაც უსამართლობისა და ადამიანის პიროვნების უგულვებლყოფის ბეჭედი აზის და იწვევს ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების წევრთა იზოლაციას, დამცირებასა და ექსპლუატაციას ან იძულებით ასიმილაციას,

გამოთქვამს თავის აღშფოთებას ადამიანის ღირსების მსგავსი ხელყოფის გამო, წუხს იმ ბარიერების გამო, რომლებსაც ეს ხელყოფა აღმართავს ხალხთა შორის ურთიერთგაგების გზაზე, და შეშფოთებას გამოხატავს იმ საშიშროების გამო, რომელსაც ის საყოველთაო მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას უქმნის,

იღებს და საზეიმოდ აცხადებს ამ დეკლარაციას რასისა და რასობრივ ცრურწმენათა შესახებ:

## მუხლი 1

1. ყველა ადამიანი ერთსა და იმავე სახეობას მიეკუთვნება და საერთო წარმომავლობა აქვს. ისინი თანასწორი ღირსებისა და უფლებისანი იბადებიან, და ყველანი კაცობრიობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

2. ყველა ადამიანს და ადამიანთა ჯგუფს აქვთ უფლება განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, ასეთად მიიჩნეოდნენ საკუთარ თავს და ასეთად ითვლებოდნენ. მაგრამ ცხოვრების ფორმათა მრავალფეროვნება და განსხვავებულობის უფლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რასობრივი ცრურწმენების საბაზი გახდეს; ვერც იურიდიულად, ვერც ფაქტობრივად ისინი ვერ გამოდგება რაგინდარა დისკრიმინაციული პრაქტიკის გასამართლებლად ან კიდევ აპარტიდის – რაზმის ამ ყველაზე უკიდურესი ფორმის – პოლიტიკის საფუძვლად.

3. წარმოშობის იდენტურობა არავითარ შემთხვევაში არ ართმევს ადამიანებს შესაძლებლობას იცხოვრონ განსხვავებული წესით; იგი აგრეთვე არც კულტურათა, გარემოსა და ისტორიის ნაირგვარობაზე დამყარებულ განსხვავებათა არსებობას გამორიცხავს და არც კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნების უფლებას.

4. მსოფლიოს ყველა ხალხი თანაბარი უნარის პატრონია, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მიაღწიონ ინტელექტუალური, ტექნიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების ყველაზე მაღალ დონეს.

5. სხვადასხვა ხალხის განსხვავებული მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორებით აიხსნება. ეს განსხვავებულობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს ერებისა და ხალხების რაგინდარა იერარქიული კლასიფიკაციის დაწესების საბაზი.

## მუხლი 2

1. ყოველგვარი თეორია, რომელიც ცალკეულ რასობრივ თუ ეთნიკურ ჯგუფს მიაწერს უპირატესობას ან არასრულფასოვნებას, რაც უფლებას მისცემდა ერთ ხალხს ებატონა მეორეზე ან უარეყო სხვები, ვითომცდა მათთან შედარებით უმდარესნი, ან საფუძვლად ედება რასობრივ განსხვავებათა შეფასებაზე მსჯელობას, მეცნიერულად უსაფუძვლოა და ეწინააღმდეგება კაცობრიობის მორალურ და ეთიკურ პრინციპებს.
2. რასიზმი შეიცავს რასობრივ იდეოლოგიას, რასობრივ ცრურწმენებს, დისკრიმინაციულ ქცევას, სტრუქტურულ ორგანიზაციას ად ინსტიტუციონალიზებულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ მიზანდასახულობას, რომელსაც რასობრივი უთანასწორობისაკენ მივყავართ, აგრეთვე შეიცავს მანკიერ

იდვას, რომ დისკრიმინაციული ურთიერთობა ჯგუფებს შორის გამართლებულია მორალური და მეცნიერული თვალსაზრისით; იგი მჟღავნდება დისკრიმინაციულ პრაქტიკაში, და ასევე, ანტისოციალურ შეხედულებებსა და აქტებში; იგი აბრკოლებს თავის მსხვერპლთა განვითარებას, რყვნის იმათ, ვინც მას პრაქტიკაში ნერგავს, შინაგანად თიშავს ერებს, აბრკოლებს საერთაშორისო თანამშრომლობას და ამძაფრებს პოლიტიკურ დაძაბულობას ხალხთა შორის; იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და, მაშასადამე, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

3. რასობრივი ცრურწმენები, რაც ისტორიულად მეტ-ნაკლები ხელისუფლების ფლობასთან არის დაკავშირებული და ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის ეკონომიკურ და სოციალურ განსხვავებათა გამო რომ ძლიერდებოდა და დღესაც რომ ამართლებს ამგვარ უთანასწორობას, ყოველად გაუმართლებელია.

### მუხლი 3

რასისტულ შეხედულებათაგან გამომდინარე ყოველგვარი განსხვავება, გამონაკლისი, შეზღუდვა თუ უპირატესობა რასის, კანის ფერის, ეთნიკური თუ ეროვნული წარმომავლობის ან რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით, რაც არღვევს ან ემქურება სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობასა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას ან რაც თვითნებურად თუ დისკრიმინაციული წესით ზღუდავს ნებისმიერი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ყოველმხრივი განვითარების უფლებას, რომელიც გულისხმობს პროგრესის საშუალებათა აბსოლუტურად თანაბარ ხელმისაწვდომობას და პიროვნებისა და ოლექტივის, აგრეთვე ეროვნული და მსოფლიო კულტურის სრულ აყვავებას ღირებულებათა პატივისცემის ატმოსფეროში: შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა პატივისცემის გარანტიის – სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის მოთხოვნებთან.

## მუხლი 4

1. რასობრივ თუ ეთნიკურ შეხედულებებზე დამყარებული ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც აძნელებს პიროვნების თავისუფლების გაფურჩქვნას და ადამიანებს შორის თავისუფალ კომუნიკაციას, ეწინააღმდეგება ღირსებისა და უფლებების თანასწორობის პრინციპს; ეს კი დაუსვებელია.
2. ამ პრინციპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული დარღვევაა აპარტიდი, რომელიც ისევე, როგორც გენოციდი, დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.
3. სეგრეციისა და რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის სხვა ფორმები დანაშაულია კაცობრიობის სინდისისა და ღირსების წინააღმდეგ და შეუძლიათ გამოიწვიონ პოლიტიკური დაძაბულობა და სერიოზული საფრთხე შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

## მუხლი 5

1. კულტურა — ყველა ხალხის ქმნილება და კაცობრიობის საერთო მონაპოვარი, და განათლება, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, მამაკაცებსა და ქალებს უქმნის ადაპტაციის სულ უფრო და უფრო ეფექტურ საშუალებას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს არა მარტო ამტკიცონ, რომ ღირსებითა და უფლებებით თანასწორი იბადებიან, არამედ ასევე აღიარონ, რომ ისინი პატივს უნდა სცემდნენ ადამიანთა ყველა ჯგუფის უფლებას ჰქონდეს კულტურული თვითმყოფობა და განავითაროს საკუთარი კულტურული ცხოვრება ეროვნულ და საერთაშორისო ჩარჩოში. ამასთან იგულისხმება, რომ ყოველი ჯგუფი თავად წყვეტს თავისუფლად იმ ღირებულებათა შენარჩუნებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, ადაპტაციისა თუ გამდიდრების საკითხს, რომლებიც თავისი თვითმყოფადობის საფუძვლად მიაჩნია.
2. სახელმწიფო თავისი კონსტიტუციური პრინციპებისა და პროცედურების შესაბამისად, აგრეთვე განათლების ყველა კომპეტენტური ორგანო და ყველა მუშაკი პასუხისმგებელი არიან, რომ განათლების სფეროში ყველა ქვეყნის რესურსები მოხმარდეს რასიზმთან ბრძოლას, კერძოდ იმის მიღწევას, რომ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში შეტანილ იქნეს მეცნიერული და ეთიკური ცნებები ადამიანთა მთლიანობისა და განსხვავებულობის შესახებ და რომ არ დაუშვან

რომელიმე ხალხის ღირსების დამამცირებელი განსხვავება; ამ მიზნით ისინი უზრუნველყოფენ მასწავლებელთა შემადგენლობის მომზადებას, გადასცემენ სასკოლო სისტემის რესურსებს მოსახლეობის ყველა ჯგუფის განკარგულებაში შეუზღუდავად ან რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე და ახორციელებენ იმ შეზღუდვათა აღმოფხვრათა ღონისძიებებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ცალკეული რასობრივი თუ ეთნიკური ჯგუფების როგორც განათლების, ისე ცხოვრების ღონეს, და განსაკუთრებით იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ამ შეზღუდვათა ბავშვებზე გავრცელება.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ისინი, ვინც მას აკონტროლებს ან ემსახურება, აგრეთვე ეროვნული საზოგადოებების ჩარჩოში შექმნილი ნებისმიერი ჯგუფები მოწოდებული არიან ჯეროვნად გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპები და, კერძოდ, აზრის თავისუფლად გამოთქმის პრინციპი, განავითარონ ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა ცალკეულ ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფებს შორის და ხელი შეუწყონ რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და რასობრივ ცრურწმენათა ლიკვიდაციას, კერძოდ, თავი აარიდონ ცალკეულ ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების შესახებ სტერეოტიპული, ფრაგმენტული, ცალმხრივი ან შეცდომაში შემყვანი წარმოდგენების შექმნას, რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების კომუნიკაცია ურთიერთპროცესი უნდა იყოს, რომელიც უზრუნველყოფს მათს სრულ და სავსებით თავისუფალ შესაძლებლობას გამოთქვან თავისი აზრი და სხვებმა მოუსმინონ. მაშასადამე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ადვილად უნდა აღიქვამდნენ ცალკეულ ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების იდეებს, რომლებიც ამ კომუნიკაციას აადვილებენ.

#### მუხლი 4

1. სახელმწიფო პირველ რიგში პასუხს აგებს იმისათვის, რომ ყველა ადამიანი და ადამიანთა ყველა ჯგუფი ახორციელებდეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს ღირსებისა და უფლებების სრული თანასწორობის საფუძველზე.

2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში და თავისი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, განსაკუთრებით განათლების, კულტურისა და ინფორმაციის სფეროში რასიზმის, რასობრივი პროპაგანდის, რასობრივი სეგრეგაციისა და აპარტიდის თავიდან ასაცილებლად, ასაკრძალავად და სალიკვიდაციოდ და ხელს უწყობს ცოდნისა და საბუნებისმეტყველო და

სოციალურ მეცნიერებათა სფეროში სათანადო გამოკვლევათა შედეგების გავრცელებას რასობრივი ცრურწმენებისა და რასისტული შეხედულებების წარმოშობის მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების გზებზე, სათანადოდ ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

3. იმ შემთხვევაში, თუ საკონონმდებლო ზომები, რომლებიც კრძალავს რასობრივ დისკრიმინაციას, საკმარისი არ აღმოჩნდა, სახელმწიფო ვალდებულია შეავსოს ისინი რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევების სისტემატური გამოძიების ადმინისტრაციული მექანიზმით, რასობრივი დისკრიმინაციის აქტების წინააღმდეგ ბრძოლის იურიდიულ საშუალებათა ფართო სისტემით, მსხვილმასშტაბიანი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამებით, რომლებიც განკუთვნილია რასობრივ ცრურწმენათა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე პოლიტიკური, სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული ხასიათის პოზიტიურ ღონისძიებათა პროგრამებით, რომელთაც ძალუძთ ხელი შეუწყონ ადამიანთა ჯგუფებს შორის ჭეშმარიტი ურთიერთპატივიცემის დამყარებას. შესაბამის ვითარებაში სამართალდამცავი ორგანოები უნდა ახორციელებდნენ სპეციალურ პროგრამებს არახელსაყრელ პირობებში მყოფი ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და, როცა ეროვნულ ჯგუფებზეა ლაპარაკი, მათი ეფექტური მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცესში.

## მუხლი 7

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებთან ერთად სამართალი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა პიროვნების ღირსებისა და უფლების თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ყოველგვარი პროპაგანდის, ორგანიზაციისა და პრაქტიკის აღსაკვეთად, რომლებიც ემყარება ეგრეთ წოდებულ რასობრივ თუ ეთნიკურ ჯგუფთა უპირატესობის იდეებს ან თეორიებს, და ცდილობს გაამართლოს ან წაახალისოს რასობრივი სიძულვილისა და დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმა. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო იურიდიული ზომები და უზრუნველყონ მათი განხორციელება, და ყველა თავისი სამსახურის მეშვეობით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების ჯეროვანი შესრულება. ეს იურიდიული ზომები უნდა მოერგოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ

ჩარჩოებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მათს განხორციელებას. ფიზიკური და იურიდიული პირები, საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაციები უნდა იცავდნენ მათ ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს, რომ ისინი ხალხმა გაიგოს და ჯეროვნად განახორციელოს.

## მუხლი 8

1. ყოველ ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ საერთაშორისო და ეროვნული თვალსაზრისით უზრუნველყოფილი იყოს ისეთი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამართლებრივი წესრიგი, რომელიც საშუალებას მისცემს მას გამოავლინოს თავისი უნარი უფლებათა და შესაძლებლობათა სრული თანასწორობის საფუძველზე. ამასთან, ყოველ ადამიანს აქვს შესაბამისი მოვალეობები თავის მსგავსთა მიმართ, საზოგადოების მიმართ, რომელშიც ცხოვრობს, და საერთაშორისო გაერთიანების მიმართ. მაშასადამე, მისი ვალა ხელი შეუწყოს პარმონიას ხალხთა შორის, ბრძოლას რასიზმისა და რასობრივ ცრურწმენათა წინააღმდეგ და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით – რასობრივ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციას.

2. რასობრივი ცრურწმენების, რასისტული ქცევისა და პრაქტიკის შესწავლის თვალსაზრისით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და კულტურული კვლევის დარგის სპეციალისტები, აგრეთვე სამეცნიერო ორგანიზაციები და ასოციაციები მოწოდებული არიან მოაწიონ ობიექტური გამოკვლევები ფართო დისციპლინათშორის საფუძველზე; ყველა სახელმწიფო ვალდებულია წაახალისოს ისინი საამისოდ.

3. ამ სპეციალისტებს, კერძოდ, მართებთ მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით თვალყური ადევნონ, რომ მათი ნაშრომები ფალსიფიცირებული განმარტების ობიექტი არ გახდეს, და დაეხმარონ მოსახლეობას გაიგოს მათი დასკვნები.

## მუხლი 9

1. რასის, კანის ფერისა და წარმომავლობის მიუხედავად ყველა ადამიანისა და ყველა ხალხის ღირსებისა და უფლებათა თანასწორობის



პრინციპი საერთაშორისო სამართლით აღიარებული საყოველთაოდ მიღებული პრინციპია. მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ფორმით რასობრივი დისკრიმინაციის განხორციელება საერთაშორისო სამართლის დარღვევაა, რასაც მოსდევს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა.

2. განსაკუთრებულ ზომებს უნდა იღებდნენ ცალკეულ პირთა და ადამიანთა ჯგუფების ღირსებისა და უფლებების თანასწორობის უზრუნველსაყოფად ყველგან, სადაც ეს აუცილებელია, ოღონდ არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ამ ზომებმა რასობრივი თვალსაზრისით დისკრიმინაციულის მსგავსი ხასიათი მიიღოს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც არახელსაყრელ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან, რათა სრული თანასწორობის საფუძველზე, დისკრიმინაციისა და შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოფილ იქნეს მათი დაცვა კანონებისა და დებულებების მიღების გზით, აგრეთვე არსებული სოციალური სიკეთით, კერძოდ, საცხოვრებელი ბინით სარგებლობა, სამუშაოთი უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა, მათი კულტურისა და ღირებულებათა თვითმყოფობის პატივისცემა, კერძოდ, განათლების საშუალებით მათი სოციალური და პროფესიული პროგრესისათვის ხელშეწყობა.

3. უცხოური წარმოშობის მოსახლეობის ჯგუფები, კერძოდ, მუშა-მიგრანტები და მათი ოჯახები, ხელს რომ უწყობენ მასპინძელი ქვეყნის განვითარებას, უნდა სარგებლობდნენ შესაბამისი ზომებით, რომლებიც განკუთვნილი იქნება მათი ადაპტაციის შესამსუბუქებლად და პროფესიული ზრდის ხელშესაწყობად. შედგომში მათი სამშობლოში დაბრუნებისა და მის განვითარებაში წვლილის შეტანის გათვალისწინებით მირგანტთა შეილებს საშუალება უნდა მიეცეთ შეისწავლონ თავისი მშობლიური ენა.

4. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში არსებული უთანასწორობა ხელს უწყობს რასიზმისა და რასობრივი ცრურწმენის გამწვავებას. ამდენად, ყველა სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ეკონომიკის გარდაქმნაში უფრო სამართლიან საფუძველზე.

## მუხლი 10

საერთაშორისო მსოფლიო ან რეგიონალური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან ერთმანეთთან ითანამშრომლონ და თავის კომპეტენციისა და შესაძლებლობათა ფარგლებში ხელი შეუწყონ იმ პრინციპების სრულ და საყოველთაო

განხორციელებას, რომლებიც ამ დაკლარაციითაა გამოცხადებული, და, ამრიგად, დაეხმარონ თანასწორი ღირსებითა და უფლებებით დაბადებულ ყველა ადამიანს რასიზმის ტირანიისა და ჩაგვრის, რასობრივი სეგრეგაციისა და გენოციდის წინააღმდეგ კანონიერ ბრძოლაში, რათა მსოფლიოს ყველა ხალხი საბოლოოდ განთავისუფლდეს ამ უბედურებისაგან.

## კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა შორის ლიკვიდაციის შესახებ

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

**აღნიშნავენ, რა რწმ გავრთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი (ადამიანის – როგორც პიროვნების – ღირსებისა და ღირებულებისადმი და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი) რწმენას,**

**აღნიშნავენ, რა რწმ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი ღირსებითა და უფლებებით, და უნდა ფლობდეს დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას, ნებისმიერი, მათ შორის სქესის ნიშნით განსხვავების მიუხედავად,**

**აღნიშნავენ, რა რწმ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას,**

**მხედველობაში იღებენ რა გავრთიანებული ერების ორგანიზაციის და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების გვიდით დადებულ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის თანასწორ უფლებიანობას,**

**ითვალისწინებენ რა აგრეთვე მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობის მიზნით გავრთიანებული ერების ორგანიზაციის და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ მიღებულ რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს, შეშფოთებულნი არიან, რომ სხვადასხვა დოკუმენტების არსებობსი მიუხედავად, ქალთა მზარდი დისკრიმინაცია გრძელდება,**

**შეას სენებენ, რწმ ქალთა დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის**

პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში; აბრკოლებს საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და ართულებს ქალის შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას მისი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ, შეშფოთებულნი არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, აგრეთვე სხვა მოთხოვნები საშუალებები,

**დარწმუნებულნი არიან, რა რწმ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის განვითარებას,**

**ხაზს უსვამენ, რწმ აპარტიდის, რასიზმის ყველა ფორმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპაციისა და ბატონობის, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცისა და ქალის მიერ თავიანთი უფლებებით სრული სარგებლობისათვის,**

**აღასტურებენ, რა რწმ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით მკაცრ და ეფექტურ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული განიარაღება, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება და უცხოეთისა და კოლონიური ბატონობის აღმოფხვრა, უცხოური ოკუპაციის ქვეშ მოყფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, აგრეთვე, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ბიძგს მისცემს სოციალურ პროგრესს და განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მამაკაცსა და ქალს შორის სრული თანასწორობის მიღწევას,**

*დარწმუნებული არიან, რა რომ ქვეყნის სრული განვითარება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ყველა სფეროში ქალის მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცის თანაბრად,*

*ითვალისწინებენ რა ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოების განვითარების საქმეში ქალის განუზომელ წვლილს, რომელსაც დღემდე არ მოუპოვებია სრული აღიარება, ოჯახსა და ბავშვის აღზრდაში დედობის ფუნქციისა და ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას, ასევე გაცნობიერებული აქვთ, რომ ქალის როლი შთამომავლობის გავრძელებაში არ უნდა იყოს მისი დისკრიმინაციის საფუძველი, ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის განაწილებას,*

*აღიარებენ, რა რომ მამაკაცისა და ქალის სრული თანასწორობის მიხედვით საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა, მზად არიან განახორციელონ ონ ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპებიდა ამ მიზნით, მიიღონ ასეთი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები, შეთანხმდნენ შემდეგ ზე:*

## ნაწილი I

### მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი "ქალთა დისკრიმინაცია" ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გაბიჯვანას ან შეზღუდვას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს, ან რომლის მიზანია ქალებისათვის, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის გათვალისწინებით, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.

## მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, თანახმა არიან ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას:

1. შეიტანონ მამაკაცის და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, და უზრუნველყონ კანონითა და სხვა შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპების პრაქტიკული განხორციელება;
2. მიიღონ, სადაც ეს აუცილებელია, ქალთა ყოველგვარი დისკრიმინაციის ამკრძალავი შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და სხვა ზომები, სანქციების ჩათვლით;
3. დააწესონ ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვა მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყონ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან ქალთა ეფექტური დაცვა;
4. თავი შეიკავონ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტისა და თუ ქმედებისაგან და უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად;
5. მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ საწარმოს მხრიდან ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;
6. მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელნიც ქალთა დისკრიმინაციას აწესებენ;
7. გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას აწესებს.

## მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, კერძოდ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში იღებენ შესაბამის ზომებს, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალთა ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად, რათა მათ მამაკაცებს თანაბრად, შეეძინათ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისა დამათი განხორციელების გარანტია.

## მუხლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ მამაკაცსა და ქალს შორის ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული ღონისძიებითი სპეციალური ზომები, ამ კონვენციის განსაზღვრების მიხედვით, დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება, თუმცა ამანარავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; აღნიშნული ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეულ იქნება მიზანი, რომელიც შესაძლებლობათა და მოპყრობის თანაბრობაში გამოიხატება.
2. მონაწილე სახელმწიფოების მიერ დედობის დასაცავად სპეციალური, მათ შორის ამ კონვენციის გათვალისწინებული, ზომების მიღება დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება.

## მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

1. შეიცვალოს ქალისა და მამაკაცის ყოფაქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე მთელი დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას, ან მამაკაცისა და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.
2. უზრუნველყონ, რათა საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის, სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

## მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლო ჩათვლით, ქალებით ყოველგვარი ვაჭრობისა და ქალის პროსტიტუციით ექსპლუატაციის აღსაკვეთად.

## ნაწილი II

### მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანაბრად, უზრუნველყოფენ უფლებას:

1. ხმა მისცეს ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, არჩეულ იქნას ნებისმიერ სახალხოდ არჩეულ ორგანოში;
2. მონაწილეობდეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა, აგრეთვე ახორციელებდეს ნებისმიერ საჯარო ფუნქციას აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე;
3. მონაწილეობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემებით არიან დაკავებული.

### მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალისათვის იმის შესაძლებლობა, რომ მამაკაცის თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე, საერთაშორისო დონეზე წარმოადგინონ საკუთარი მთავრობა და მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში.

### მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს მოქალაქეობის შექმნის, შეცვლისა და შენარჩუნების დროს. განსაკუთრებით, უზრუნველყოფენ, რათა უცხოელზე ქორწინებამ, ან ქორწინების პერიოდში ქმრის მოქალაქეობის შეცვლამ, არ გამოიწვიოს ცოლის მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა, არ აქციოს იგი მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულოს ქმრის მოქალაქეობის მიღება.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს ასევე უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას.



მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით განათლების დარგში, კერძოდ, როგორცაა:

1. პროფესიის ანსპეციალობის არჩევისას განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულებების დიპლომის მიღების ერთნაირი პირობები როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში. ეს თანასწორობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას როგორც სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, საუშალო ტექნიკური და უმაღლესი ტექნიკური, ასევე ყველა სხვა ტიპის სპეციალური განათლებისათვის;
2. სწავლების ერთნაირი პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, თანაბარი კვალიფიკაციის მახსავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა;
3. ყველა დონისა და ფორმის სასწავლებელში მამაკაცისა და ქალის როლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების აღმოფხვრა ერთობლივი სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების წახალისების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვითა და ამ მიზანთან საწავლების მეთოდების მისადაგებით;
4. სტიპენდიებისა და სხვა სასწავლო დახმარების მიების თანაბარი შესაძლებლობა;
5. შემდგომი განათლების მიღების პროგრამების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, მოზრდილთა და სპეციალური წიგნიერების პროგრამების ჩათვლით, რომელიც მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში არსებული ვაკუუმის სწრაფი შემცირებისკენაა მიმართული;
6. სკოლადაუშთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და პროგრამების შემუშავება იმ გოგონებისა და ქალებისათვის, რომელთაც ნაადრევად მიატოვეს სკოლა;
7. სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;
8. ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების ჩათვლით.

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, უზრუნველყონ ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით დასაქმების დარგში,

კერძოდ:

- a. შრომის უფლებით, რომელიც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლებაა;
- b. სამუშაოზე დაქირავების დროს ერთნაირი შესაძლებლობების უფლებით, დაქირავებისას შერჩევის თანაბარი კრიტერიუმების გამოყენების ჩათვლით;
- c. პროფესიის ან სამუშაოს თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე, ყველა სამსახურებრივი შეღავათითა და პირობით სარგებლობის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლებით – მოწაფეობის, გაძლიერებული პროფესიული მომზადებისა და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;
- d. თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის, შეღავათის მიღების, თანაბარი ღირებულებების შრომისათვის თანაბარი პირობების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლებით;
- e. სოციალური უზრუნველყოფის უფლებით, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, აგრეთვე, ანაზღაურებადი შვებულების უფლებით;
- f. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციის დაცვის უფლებით.

2. გათხოვებისა და დედობის მიზეზით ქალთა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტური გარანტიების შესაქმნელად, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ზომებს, რათა:

- a. სანქციების გამოყენების მუქარით, აკრძალონ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საბაბით სამუშაოდან დათხოვნა, ან დათხოვნისას ოჯახური პირობების გამო დისკრიმინაცია;
- b. შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური დახმარებით ორსულობისა და მშობიარობის გამო, მუშაობის წინანდელი ადგილის, თანამდებობისა და სოციალური დახმარების შენარჩუნებით;

- c. წახალისონ აუცილებელი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს შეეძლოთ საოჯახო მოვალეობათა შესრულების შეთავსება შრომითს საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასთან, კერძოდ, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;
- d. უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთი სამუშაოსაგან, რომლებმაც მათ ჯანმრთელობაზე შეიძლება მავნე გავლენა იქონიოს.

3. კანონმდებლობა, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ფონზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადასინჯვას, გაუქმებას ან განვრცობას.

## მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამისზომას მიმართავენ ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საფუძველზე, უზრუნველყონ ქალისათვის სამეცნიერო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოების ქალებს უზრუნველყოფენ შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში (აუცილებლობის შემთხვევაში უწყვენ უფაოს მომსახურებას), აგრეთვე, ორსულობისა და მეპუტურობის პერიოდში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვებით.

## მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამისზომას მიმართავენ ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებშიც, კერძოდ:

- a. საოჯახო დახმარების უფლებით;
- b. საბანკო კრედიტის, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და ფინანსური კრედიტის სხვა ფორმების მიღების უფლებით;

- c. დასვენების, სპორტისა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროსთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით.

## მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ პრობლემებს და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში თამაშობენ, მათ შორის, საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში, და მიმართავენ ყველა შესაბამისზომას, სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიმართავენ სოფლის რაიონებში ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა რაიონების განვითარებისა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლობის მიღებაში, კერძოდ, ასეთ ქალებს აღჭურავენ უფლებით:

- a. ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- b. ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო მომსახურების შესაბამის საშუალებებზე, ოჯახის დაგვემის საკითხებზე ინფორმაციის, კონსულტაციებისა და მომსახურების ჩათვლით;
- c. უშუალოდ იღებდნენ სარგებელს სოციალური დაზღვევის პროგრამებისაგან;
- d. იღებდნენ ყველა სახის ფორმალურ და არაფორმალურ მომზადებასა და განათლებას, წერა-კითხვის ჩათვლით, აგრეთვე, ტექნიკური მომზადების დონის აკმაყოფილებლად, სარგებლობდნენ პრაქტიკული და საკონსულტაციო მომსახურების ყველა საშუალებით;
- e. ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით, ქმნიდნენ თვითდახმარების ჯგუფებსა და კოოპერატივებს დაქირავებული შრომის ან თვითდასაქმების გზით;
- f. მონაწილეობდნენ ყველა სახის კოლექტიურ საქმიანობაში;

- გ. კჭინდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები, თანაბარი სტატუსით ისარგებლონ მარკეტინგის სისტემით და შესაბამისი ტექნოლოგიით მიწისა და აგრარული რეფორმების განხორციელებისას, აგრეთვე, განსახლების გეგმებში;
- h. სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებით საბინაო, სანიტარული, ელექტრო და წყალმომარაგების, აგრეთვე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების მხრივ.

## 6 აწილი IV

### მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას.
2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს ანიჭებენ მამაკაცის თანაბარ სამოქალაქო უფლებებს და ამ უფლებებით საპნექორქმს თაბარ შესაძლებლობებს, კერძოდ, უზრუნველყოფენ ქალის თანაბარ უფლებებს ქონების მართვის ხელშეკრულებების დადებისას, აგრეთვე, მისდამი თანასწორ დამოკიდებულებას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.
3. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ქათილად და ძალადაკარგულად ჩაითვალოს ნებისმიერი ხელშეკრულება და კერძო იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ქალის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა მოჰყვება.
4. მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობა მამაკაცს და ქალს ანიჭებს თანაბარ უფლებებს გადაადგილების, ბინადრობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებასთან მიმართებაში.

### მუხლი 16

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიმართავენ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:
  - a. ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;

- b. მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;
  - c. ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს ერთნაირ უფლებებსა და მოვალებებს;
  - d. შვილებთან დაკავშირებულ საკითხებში მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალებებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესებს უპირატესობა ეძლევა;
  - e. შვილების რიცხვისა და მათ დაცვადას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტის თანაბარ უფლებებს, აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;
  - f. მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებთან, ან ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ უფლებებს და მოვალებებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს;
  - g. მეუღლეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის დროს;
  - h. მეუღლეთა ქონების მფლობელობის, შექენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.
2. ბავშვის ნიშნობასა და ქორწინებას ოურიდიული ძალა არა აქვს. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა სავალდებულო წესით განისაზღვროს ქორწინების მინიმალური ასაკი და ქორწინების აუცილებელი რეგისტრაცია სახელმწიფო რეესტრში.

## ნაწილი V

### მუხლი 17

1. ამ კონვენციის განხორციელებისას მიღწეული პროგრესის განსახილველად არსდება ქალთა დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემდგომში "კომიტეტი"), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან შუამდგობა 18, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ – 23 მაღალი მორალური თვისებებისა და

კომპეტენციის მქონე ექსპერტისაგან. მონაწილე სახელმწიფოები ექსპერტებს ირჩევენ საკუთარ მოქალაქეთაგან და ისინი მოქმედებენ პერსონალურად. ექსპერტების შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ცივილიზაციების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ პირთაგან, ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი პირი თავის მოქალაქეთაგან.

3. პირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ექვსი თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს წინადადებით, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატები ორი თვის განმავლობაში. შემდეგ გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეჰყავს ყველა პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და წარუდგინეს მონაწილე სახელმწიფოებს.

4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. სხდომაზე, რომლის კვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმათა მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, თუმცა პირველ არჩევნებში არჩეულ ცხრა წევრს უფლებამოსილების ვადა ორი წლის შემდეგ გაუდის; პირველი არჩევნების მოწყობისთანავე, კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით ასახელებს ამ ცხრა წევრის გვარებს.

6. კომიტეტის დამატებითი ხუთი წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის მე-2,3 და 4 პუნქტების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ. ამდროს არჩეულთაგან, ორი დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის ორი წლის შემდეგ; ამ ორი წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

7. მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც, როგორც კომიტეტის წევრმა, შეწყვიტა ფუნქციონირება, გაუთვალისწინებელი ვაკანსიის შესავსებად კომიტეტის თანხმობით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან.

8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს, კომიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით და ასამბლეის მიერ დადგენილი წესით და პირობებით.

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კომიტეტს აუცილებელი პერსონალითა და მატერიალური საშუალებებით კომიტეტის მიერ ამ კონვენციის შესაბამისი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის.

## მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება მათ მიერ ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ სხვა ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებების თაობაზე:

- a. დანტერესებულმა სახელმწიფომ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;
- b. ამის შემდგომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო მომავალში – კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

2. მოხსენებაში შეიძლება მითითებულ იქნას ის ფაქტორები და სიძნელებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე.

## მუხლი 19

1. კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.
2. კომიტეტი თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლით.



## მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად (არა უმეტეს ორი კვირის განმავლობაში) იკრიბება ამ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ მოხსენებათა განსახილველად.
2. კომიტეტის სხდომები, ჩვეულებრივ, იმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

## მუხლი 21

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით, კომიტეტი გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ და მონაწილე სახელმწიფოთაგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს ზოგადი ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ასეთი წინადადებები და რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, როდესაც არის ასეთი შენიშვნები.
2. გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის ქალთა სტატუსის კომისიას.

## მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ, წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთი დებულებების პრაქტიკული საკითხების განხილვისას, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებული დაწესებულებებს მოუწოდოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის შესრულების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

## ნაწილი VI

### მუხლი 23

ეს კონვენცია არ ზღუდავს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო მეტად ხელშემწყობ სხვა მოსაზრებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

- ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა, ან
- ბ) რომელიმე სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის ძალაშია.

### მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, თავიანთი ძალისხმევა მიმართონ ამ კონვენციით აღიარებული უფლებების ეროვნულ დონეზე სრული რეალიზაციისათვის.

### მუხლი 25

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღია ყველა სახელმწიფოსათვის.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის დეპოზიტორად.
3. კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.
4. კონვენცია ღიაა მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მიერთების დოკუმენტის გადაცემით.

### მუხლი 26

1. ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნა შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობით შეტყობინებით.

2. ასეთი თხოვნის საფუძველზე გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ღონისძიებების განსაზოციელებლად.

## მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის ოდცამეთე დლიდან.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს, ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემიდან ოცდამეთე დღეს.

## მუხლი 28

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ დათქმათა ტექსტს.
2. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან, არ მიიღება.
3. დათქმები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინებით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დლიდან.

## მუხლი 29

1. თუ ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის განმარტებისა თუ გამოყენების თაობაზე არსებული

დავა მოლაპარაკები სგზით ვერ გადაწყდება, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით იგი არბიტრაჟს გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე კანცხადების შეტანიდან ექვს თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დავის საერთაშორისო სასამართლოში გადატანა, ამ სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. ამ კონვენციის ხელმოწერის, ან რატიფიკაციის, ან მასთან მიერთების დროს ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია თავი შეიკავოს ამ მხულის პირველი პუნქტის დაბულებების საკლდეულო ძალის აღიარებისაგან. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ამ მუხლის მითითებული პუნქტიდან გამომდინარე ვალდეულებები იმ მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ამგვარი დათქმა დააწესა.
3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დათქმა დააწესა, ნებისმიერ დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდიუნისათვის შეტყობინებით გააუქმოს დათქმა.

### მუხლი 30

წინამდებარე კონვენცია, რომლის ტექსტები თანაბარი ძალისაა და შედგენილია არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, დეკონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდიუნთან.

დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

გამოცხადებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1981 წლის 25 ნოემბრის 36/55 დეკლარაციით

გენერალური ასამბლეა, რომელიც

*მხდველობაში იღებს*, რომ თითოეული ადამიანისათვის ღირსებისა და თანასწორობის თანდაყოლილობა გაერთიანებული ერების ქარტიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია და თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ვალდებულება იკისრა განახორციელოს ერთობლივი და დამოუკიდებელი ღონისძიებები გაერთიანებულ ერებთან თანამშრომლობით, ყველასათვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემისა და დაცვისათვის, რასის, სქესის, ენის ან რელიგიის ნიშნით რაიმე განსხვავების გარეშე,

*მხდველობაში იღებს*, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტები აცხადებენ კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას, აგრეთვე აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას,

*მხდველობაში იღებს*, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, კერძოდ, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უპატივცემულობამ და შელახვამ პირდაპირ თუ არაპირდაპირ შედეგად კაცობრიობას მრავალი ტანჯვა და ომები მოუტანა, განსაკუთრებით, როცა ის გამოიყენებოდა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისა და ხალხებსა და ერებს შორის სიძულვილის დანერგვის საშუალებად,

*მხდველობაში იღებს*, რომ რელიგია ან რწმენა თითოეული მორწმუნესათვის წარმოადგენს მისი ცხოვრებისეული კონცეფციის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს და რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლება სრულად უნდა იყოს დაცული და გარანტირებული,

*მხდველობაში იღებს*, რომ აუცილებელია რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების აღქმის, მათთან დაკავშირებული შემწყნარებლობისა და პატივისცემის განვითარება და

უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუშვებელ იქნას რელიგიის ან რწმენის გამოყენება ქარტიასთან, გაერთიანებული ერების სხვა შესაბამის დოკუმენტებთან და ამ დეკლარაციის მიზნებისა და პრინციპებთან შეუთავსებელი მიზნით,

*დარწმუნებულია, რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლება ასევე ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განვითარებას, აგრეთვე კოლონიალიზმსა და რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული იდეოლოგიისა და პრაქტიკის აღმოფხვრას,*

*კმაყოფილებით უსვამს ბაზს გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მთელი რიგი კონვენციების მიღებისა და ზოგიერთი მათგანის ძალაში შესვლის ფაქტს,*

*შეშფოთებულია მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში შეუწყნარებლობის გამოვლინებებითა და რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე დისკრიმინაციის არსებობით,*

*მიზნად ისახავს მიიღოს აუცილებელი ზომები შეუწყნარებლობის ნებისმიერი ფორმისა და გამოვლინების სწრაფი ლიკვიდაციისათვის და თავიდან აიცილოს ან ებრძოლოს რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე ყოველგვარ დისკრიმინაციას,*

*აეხადებს ამ დეკლარაციას რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ:*

## მუხლი 1

1. თითოეულ ადამიანს გააჩნია აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება. ეს უფლება გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას - აღიარებდეს რელიგიას ან ატარებდეს რწმენას თავისი არჩევანის მიხედვით, და თავისუფლებას - გამოხატოს, ადასრულოს, პრაქტიკულად განახორციელოს და ასწავლოს თავისი რელიგია ან ღმერთისადმი რწმენა, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ.

2. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ზიანს აყენებს მის თავისუფლებას - აღიარებდეს რელიგიას ან ჰქონდეს რწმენა თავისი არჩევანის მიხედვით.
3. რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

## მუხლი 2

1. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციას ნებისმიერი სახელმწიფოს, დაწესებულების, პირთა ჯგუფის ან პირის მიერ რელიგიის ან რწმენის საფუძველზე.
2. ამ დეკლარაციის მიზნისათვის გამოთქმა - "რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია," გულისხმობს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რომლის მიზანია ან რომელსაც შედეგად მოსდევს თანაბარ საწყისებზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების, ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ან მათი გამოყენების შესუსტება ან სრული უარყოფა.

## მუხლი 3

რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ადამიანის დისკრიმინაცია წარმოადგენს მისი ღირსების შელახვასა და გაერთიანებული ერების ქარტიის პრინციპების უარყოფას, ამიტომ ერთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობებისათვის უნდა დაიგმოს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით დეტალურად განსაზღვრული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა და დაბრკოლება

## მუხლი 4

1. ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ქმედითი ზომები სამოქალაქო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარების, სარგებლობის ან გამოყენებისას რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის თავიდან აცილების ან ლიკვიდაციისათვის.
2. ყველა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ძალისხმევა ნებისმიერი ასეთი დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნით შესაბამისი კანონმდებლობის

მისაღებად ან, თუ საჭიროა, არსებულის გასაუქმებლად და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად.

## მუხლი 5

1. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევაში, ბავშვის კანონიერი მეურვეებს უფლება აქვთ წარმართონ ოჯახური ცხოვრება თავიანთი რელიგიის ან რწმენის შესაბამისად და მისცენ ბავშვს ის მორალური განათლება, რომლის საფუძველზეც მათი აზრით უნდა აღიზარდოს იგი.
2. ყოველ ბავშვს აქვს რელიგიისა და რწმენის საკითხებში განათლების ხელმისაწვდომობის უფლება მისი მშობლების ან, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვის სურვილის შესაბამისად და უფლება - არ დაექვემდებაროს აღნიშნული საკითხების იძულებით სწავლებას მისი მშობლების ან კანონიერი მეურვის სურვილის საწინააღმდეგოდ; ნებისმიერ შემთხვევაში ბავშვის ინტერესებს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება.
3. ბავშვი დაცული უნდა იყოს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან. იგი უნდა აღიზარდოს ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის, სხვათა რელიგიისა და რწმენის პატივისცემის სულისკვეთებით და იმის გაცნობიერებით, რომ მისი ენერგია და ნიჭი მოხმარდეს მის თანამედროვეობას.
4. იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებიც მშობლების ან მეურვეების მზრუნველობის ქვეშ არ იმყოფებიან, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოხატულ სურვილს ან ამ სურვილის არსებობის დამადასტურებელ სხვა გარემოებებს, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.
5. რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ბავშვი იზრდება, არ უნდა იყოს საზიანო მისი ფიზიკური ან გონებრივი ჯანმრთელობის ან სრული განვითარებისათვის, ამ დეკლარაციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მხედველობაში მიღებით.

## მუხლი 6

ამ დეკლარაციის პირველი მუხლისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესაბამისად, აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება გულისხმობს, *inter alia*, შემდეგ თავისუფლებებს:



- a) აღმსარებლობის ან რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებული შეკრებებისა და ამ მიზნით, შესაბამისი ადგილების დაფუძნებისა და შენარჩუნების თავისუფლება;
- b) შესაბამისი საქველმოქმედო და კუმანიტარული დაწესებულებების დაფუძნებისა და შენარჩუნების თავისუფლება;
- c) რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებული რიტუალებისა და ჩვეულებების შესახებ ყველა აუცილებელი სტატიისა და სხვა მასალის შექმნის, მოპოვებისა და შესაბამისი მოცულობით გამოყენების თავისუფლება;
- d) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული პუბლიკაციების შექმნის, გამოცემისა და გავრცელების თავისუფლება;
- e) რელიგიისა და რწმენის სწავლების თავისუფლება ამ მიზნისათვის შესაფერის ადგილებში;
- f) პიროვნებებისა და დაწესებულებებისაგან ფინანსური და სხვა შემოწირულობების მოძიებისა და მიღების თავისუფლება;
- g) რელიგიისა და რწმენის მოთხოვნილებებისა და სტანდარტების შესაბამისად ლიდერების წვრთნის, დანიშვნის, არჩევის ან გამწესების თავისუფლება;
- h) რელიგიის ან რწმენის წესების მიხედვით დასვენების დღეების დაცვისა და დღესასწაულების აღნიშვნის თავისუფლება;
- i) პიროვნებებსა და საზოგადოებებთან რელიგიის ან რწმენის საკითხებთან დაკავშირებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების თავისუფლება.

## მუხლი 7

ამ დეკლარაციით გამოცხადებული უფლებები და თავისუფლებები გათვალისწინებული უნდა იქნას ეროვნული კანონმდებლობებით ისე, რომ თითოეულს ჰქონდეს ამ უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკაში გამოყენების საშუალება.

## მუხლი 8

ამ დეკლარაციაში არაფერი უნდა იქნას განმარტებული როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და საერთაშორისო პაქტებით განსაზღვრული რომელიმე უფლების შემზღვეველი ან შემამცირებელი.

გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები  
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის (პეკინის  
წესები)

*მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ  
1985 წლის 25 ნოემბრის რეზოლუციით 40/33,*

*გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციისა და  
სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ  
მეშვიდე კონგრესის რეკომენდაციის საფუძველზე, მილანში, 1985 წელს*

## ნაწილი I. ზოგადი პრინციპები

### 1. ძირითადი პერსპექტივები

- 1.1 წვერი სახელმწიფოები უნდა იღწვოდნენ თავიანთი ზოგადი ინტერესების შესაბამისად არასრულწლოვანისა და მისი ოჯახის კეთილდღეობისათვის ხელშესაწყობად.
- 1.2 წვერი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის სრულფასოვან ცხოვრებას საზოგადოებაში, რაც მისი სიცოცხლის იმ პერიოდში, როცა იგი ყველაზე მეტად არის მიდრეკილი დევიანტური ქცევისადმი, ხელს შეუწყობს პირადი განვითარებისა და განათლების პროცესს, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს დანაშაულისა და დელინქენტურობისაგან იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.
- 1.3 საკმარისი ყურადღება უნდა დაეთმოს პოზიტიურ ზომებს, რომლებიც მოიცავს ყველა შესაძლო რესურსის სრულ მობილიზაციას, მათ შორისაა ოჯახი, მოხალისეები და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, ასევე სკოლები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები – იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს არასრულწლოვანის კეთილდღეობას, კანონის ძალით ინტერვენციის საჭიროების შემცირებას და ასევე იმისათვის, რათა არასრულწლოვანის კონფლიქტი კანონთან მოგვარებულ იქნას ეფექტურად, სამართლიანად და ჰუმანურად.
- 1.4 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება გაგებულ უნდა იქნას როგორც თითოეული ქვეყნის ეროვნული განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილი, ყველა არასრულწლოვანისათვის სოციალური სამართლიანობის

უზრუნველყოფის ყოველისმომცველ ფარგლებში და ამგვარად, ამავე დროს - როგორც ახალგაზრდების დაცვისა და საზოგადოებაში მშვიდობიანი წესრიგის შენარჩუნების საქმეში შეტანილი წვლილი.

- 1.5 ამ წესების იმპლემენტაცია უნდა განხორციელდეს თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების გათვალისწინებით.
- 1.6 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამსახურები სისტემურად უნდა განვითარდეს და კოორდინირებულ იქნას სამსახურებში დაკავებული პერსონალის კომპეტენციის, მათ შორის მუშაობის მეთოდების, მიდგომებისა და დამოკიდებულების, გაუმჯობესებისა და შენარჩუნების მიზნით.

### კომენტარი

წინამდებარე ზოგადი ძირითადი პერსპექტივები დაკავშირებულია ყოველისმომცველ სოციალურ პოლიტიკასთან ზოგადად და მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა კეთილდღეობისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობას შესაძლებლობის ფარგლებში, რაც მინიმუმამდე დაიყვანს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ინტერვენციის აუცილებლობას, ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, შეამცირებს იმ ზიანს, რომელიც შეიძლება ნებისმიერი სახის ინტერვენციამ გამოიწვიოს. დანაშაულობის დაწყებამდე, ახალგაზრდებზე მზრუნველობის განხორციელების ასეთი ზომები წარმოადგენს იმ პოლიტიკის ძირითად ელემენტებს, რომელიც მოწოდებულია აღმოფხვრას ამ წესების გამოყენების საჭიროება.

წესები 1.1-1.3 ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც არასრულწლოვანთათვის შეასრულებს კონსტრუქციული სოციალური პოლიტიკა, *inter alia*, არასრულწლოვანთა დანაშაულისა და დელიქტის პრევენციის საქმეში. წესი 1.4 განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, როგორც არასრულწლოვანთათვის სოციალური სამართლიანობის განუყოფელ ნაწილს, მაშინ, როდესაც წესი 1.6 შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მუდმივად გაუმჯობესების აუცილებლობას, თუმცა ისე, რომ უკანა პლანზე არ გადავიდეს მათ მიმართ ზოგადი პროგრესული სოციალური პოლიტიკის შემუშავების პროცესი და იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა პერსონალის მომსახურების თანმიმდევრული გაუმჯობესება.

წესი 1.5 მოწოდებულია იმისათვის, რომ მხედველობაში იქნას მიღებული წევრ სახელმწიფოებში არსებული პირობები, რაც აუცილებლად გამოიწვევს გარკვეული წესების იმპლემენტაციის

მეთოდების განსხვავებას სხვა სახელმწიფოებში მიღებული მეთოდებისაგან.

## 2. წესების მოქმედების სფერო და გამოყენებული განსაზღვრებები

2.1 წინამდებარე მინიმალური სტანდარტული წესები მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოყენებული არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადებისა თუ რაიმე სხვა სტატუსის გამო ყოველგვარი განსხვავების გარეშე.

2.2 ამ წესების მიზნებისათვის, წვერმა სახელმწიფოებმა ქვემოთოყვანილი განსაზღვრებები უნდა გამოიყენონ ისეთი გზით, რომელიც შეთავსებადი აღმოჩნდება მათ შესაბამის სამართლებრივ სისტემებსა და კონცეპციებთან:

a) არასრულწლოვანი არის ბავშვი ან მოზარდი, რომლის მიმართაც სამართალდარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი სისტემის მიხედვით, შეიძლება გამოყენებულ იქნას მოპყრობის სრულწლოვანთა მოპყრობისაგან განსხვავებული მეთოდი;

b) სამართალდარღვევა არის ნებისმიერ ქცევა (ქმედობა ან უმოქმედობა), რომელიც შესაბამისი სამართლებრივი სისტემის მიხედვით კანონით დასჯადია;

c) არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი არის ბავშვი ან მოზარდი, რომელსაც ბრალი ედება სამართალდარღვევის ჩადენაში ან ბრალდება უკვე დაუდასტურდა.

2.3 საჭიროა ძალისხმევა, რათა თითოეული ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში დამკვიდრდეს კონკრეტულად არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ გამოყენებადი კანონების, წესებისა და დებულებების ნაკრები და ასევე დაწესებულებები და ორგანოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციები და რომლებიც გამიზნულია იმისათვის, რათა:

- a) არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ძირითადი უფლებების დაცვასთან ერთად დააკმაყოფილოს მათი ცვალებადი მოთხოვნები;
- b) დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები;
- c) უზრუნველყოს წინამდებარე წესების სრული მასშტაბითა და სამართლიანად შესრულება.

**კომენტარი**

მინიმალური სტანდარტული წესები სპეციალურად ფორმულირებულია ისე, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში და ამავე დროს, ისე, რომ დამკვიდრდეს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთან მოპყრობის ზოგიერთი მინიმალური სტანდარტი, მიუხედავად იმისა, თუ როგორია არასრულწლოვანის განსაზღვრება ან არასრულწლოვან სამართალდამრღვევთან მოპყრობის სისტემა. წესების გამოყენება ყოველთვის უნდა მოხდეს მიუკერძოებლად და ნებისმიერი სახის განსხვავების გარეშე.

ამგვარად, წესი 2.1 ხაზს უსვამს წესების ყოველთვის მიუკერძოებლად და ნებისმიერი სახის განსხვავების გარეშე გამოყენების მნიშვნელობას. ეს წესი ასახავს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მე-2 პრინციპის ფორმულირებას.

წესი 2.2 განსაზღვრავს ტერმინებს - “არასრულწლოვანი” და “სამართალდარღვევა”, როგორც შემადგენელ ნაწილებს ცნებისა - “არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი”, რომელიც წინამდებარე მინიმალური სტანდარტული წესების ძირითად სუბიექტს წარმოადგენს (თუმცა, იხილეთ ასევე წესები 3 და 4). საჭიროა აღინიშნოს, რომ ასაკობრივი ზღვარი დამოკიდებული იქნება და ეს ამჟამად აღიარებულია დამოკიდებულად თითოეულ შესაბამის სამართლებრივ სისტემაზე და ამგვარად, სრულად მიიღება მხედველობაში წვერი სახელმწიფოების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და სამართლებრივი სისტემების თავისებურებანი. ეს იწვევს ტერმინის - “არასრულწლოვანი”, განსაზღვრების ფარგლებში ასაკთა საკმაოდ ფართო სპექტრის მოქცევას, რომელიც მერყეობს 7-დან 18 წლამდე და ზემოთ. ასეთი სხვადასხვაობა თითქოს გარდაუვალიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ ეროვნული სამართლებრივი სისტემების განსხვავებულობას, და ეს არ ამცირებს წინამდებარე მინიმალური სტანდარტული წესების გაელენას.

წესი 2.3 შეეხება კონკრეტული ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობას იმისათვის, რომ ოპტიმალურად მოხდეს

წინამდებარე მინიმალური სტანდარტული წესების იმპლემენტაცია როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

### 3. წესების მოქმედების სფეროს გაფართოება

- 3.1 წესების შესაბამისი დებულებები გამოყენებულ უნდა იქნას არა მხოლოდ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა, არამედ იმ არასრულწლოვანთა მიმართაც, რომელთა წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს პროცესუალური მოქმედებები რაიმე კონკრეტული ქცევის გამო, რომელიც სრულწლოვანის მიერ ჩადენის შემთხვევაში დასჯადი არ იქნებოდა.
- 3.2 საჭიროა ძალისხმევა წესებში გამოხატული პრინციპების ყველა იმ არასრულწლოვანზე გასავრცელებლად, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს მათი სოციალური უზრუნველყოფისა და მათზე მზრუნველობის საკითხებთან დაკავშირებული სამართალწარმოება.
- 3.3 საჭიროა ასევე ძალისხმევა წესებში გამოხატული პრინციპების ახალგაზრდა სრულწლოვან სამართალდამრღვევებზე გასავრცელებლად.

#### კომენტარი

წესი 3 აფართოებს დაცვას, რომელიც უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესებით ისე, რომ მან მოიცვას:

- a) ე.წ. “არასრულწლოვანის სტატუსური სამართალდარღვევა”, რომელიც დადგენილია სხვადასხვა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, სადაც არასრულწლოვანთათვის სამართალდარღვევად მიღებული ქცევის ფარგლები, სრულწლოვანებთან შედარებით, უფრო ფართოა (მაგალითად, სკოლის გაცდენა, სკოლისა და ოჯახის დაუმორჩილებლობა, საზოგადოებრივ ადგილებში მთერალ მდგომარეობაში ყოფნა და ა.შ.) (წესი 3.1);
- b) სოციალური უზრუნველყოფისა და მზრუნველობის საკითხებთან დაკავშირებული სამართალწარმოება (წესი 3.2);
- c) ახალგაზრდა სრულწლოვან სამართალდამრღვევებთან დაკავშირებული

სამართალწარმოება, რაც, რასაკვირველია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია ცალკეულ ასაკობრივ ზღვარზე (წესი 3.3).

წესების მოქმედების სფეროს გაფართოება, რათა ეს სამი სფერო იქნას მოცული - გამართლებულია. წესი 3.1 ამ სფეროებისათვის უზრუნველყოფს მინიმალურ გარანტიებს, ხოლო წესი 3.2 ითვლება სასურველ ნაბიჯად იმ მიმართულებით, რომ დამკვიდრდეს უფრო სამართლიანი, მიუკერძოებელი და ჰუმანური მართლმსაჯულება კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა არასრულწლოვანისათვის.

#### 4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი

4.1 იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს იცნობს, არ უნდა დადგინდეს ამ ასაკის ძალიან დაბალი საწყისი ზღვარი, ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მომწიფებულობის გათვალისწინებით.

##### *კომენტარი*

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი საკმაოდ განსხვავებულია ისტორიისა და კულტურის სხვადასხვაობის გამო. თანამედროვე მიდგომა იქნებოდა იმის გათვალისწინება, აცნობიერებს თუ არა ბავშვი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემადგენელ მორალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ანუ ბავშვს, მისი შეცნობის ინდივიდუალური უნარისა და აზროვნების საფუძველზე, შეიძლება თუ არა პასუხისმგებლობა დაეკისროს არსებითად ანტიანაზოგადობრივი ქცევისათვის. თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ძალიან დაბალი მინიმალური ასაკია დადგენილი ან თუ საერთოდ არ არსებობს უფრო დაბალი ასაკობრივი ზღვარი, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება მნიშვნელობას დაკარგავს. ზოგადად, მჭიდრო კავშირი არსებობს დელინქენტური ან კრიმინალური ქცევისათვის პასუხისმგებლობის გაგებასა და სხვა სოციალურ უფლებებსა და მოვალეობებს შორის (როგორცაა, ქორწინების სტატუსი, სამოქალაქო უმრავლესობა და ა.შ).

ამგვარად, საჭიროა ძალისხმევა, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება გონიერი მინიმალური ასაკობრივი ზღვარის შესახებ, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით იქნება გამოყენებული.

## 5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნები

5.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს არასრულწლოვანის კეთილდღეობას და უნდა უზრუნველყოფდეს, რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მოქმედებაზე საპასუხო რეაქცია ყოველთვის პროპორციული იყოს როგორც სამართალდამრღვევის მდგომარეობისა, ისე საქმის გარემოებებისა.

### კომენტარი

წესი 5 შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორ უმნიშვნელოვანეს მიზანს. პირველი მიზანია არასრულწლოვანის კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა. ეს წარმოადგენს იმ სამართლებრივი სისტემების ყურადღების ძირითად ობიექტს, რომელთა ფარგლებში არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების საკითხებს საოჯახო სასამართლოები ან ადმინისტრაციული ხელისუფლება წყვეტენ, მაგრამ არასრულწლოვანთა კეთილდღეობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს აგრეთვე იმ სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, რომლებიც სისხლის სამართლის სასამართლოს მოდელს იყენებენ, რათა ამგვარად ხელი შეეწყოს მხოლოდ დამსჯელი სანქციების გამოყენების თავიდან აცილებას. (იხილეთ, აგრეთვე წესი 14.)

მეორე მიზანს წარმოადგენს “პროპორციულობის პრინციპი”. აღნიშნული პრინციპი კარგად არის ცნობილი როგორც დამსჯელი სანქციების შეკავების ინსტრუმენტი; იგი ძირითადად გამოხატულებას პპოვებს სამართლიან ანაზღაურებაში, სამართალდარღვევის სიმძიმის მიხედვით. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მოქმედებაზე საპასუხო რეაქცია უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ სამართალდარღვევის სერიოზულობის, არამედ, ასევე, პირადი გარემოებების გათვალისწინებით. სამართალდამრღვევის ინდივიდუალურმა პირობებმა (მაგალითად, სოციალური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანი ან სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც პირად გარემოებებს შეადგენენ) გაკლენა უნდა იქონიოს საპასუხო რეაქციის პროპორციულობაზე (მაგალითად, იმით, რომ მხედველობაში იქნას მიღებული სამართალდამრღვევის სწრაფვა აუნაზღაუროს ზიანი დაზარალებულს, ან მისი მზადყოფნა დაიწყოს ჯანსაღი და სასარგებლო ცხოვრება).

ამასთანავე, საპასუხო რეაქცია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა სამართალდამრღვევის კეთილდღეობის უზრუნველყოფას,



შესაძლოა გასცდეს საჭიროების ფარგლებს და შესაბამისად, დაარღვიოს ახალგაზრდა ინდივიდის ძირითადი უფლებები, როგორც ეს დაფიქსირდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთ სისტემაში. ამ შემთხვევაშიც გარანტირებული უნდა იყოს საპასუხო რეაქციის პროპორციულობა როგორც საქმის გარემოებების, ისე სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის მდგომარეობის მიმართ.

არსებითად, წესი 5 მოითხოვს არც მეტსა და არც ნაკლებს - სამართლიან რეაქციას არასრულწლოვანის მიერ დელიქტის ან დანაშაულის ჩადენის ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში. აღნიშნულ წესში თავმოყრილმა საკითხებმა განვითარების სტიმულირებაში შეიძლება დახმარება გაგვიწიოს ორივე თვალსაზრისით: ახალი და ნოვატორული ტიპის რეაგირება ისეთივე სასურველია, როგორც სიფრთხილის ზომების მიღება არასრულწლოვანებზე ფორმალური სოციალური კონტროლის ქსელის არასაჭიროდ გაფართოების წინააღმდეგ.

## 6. მოქმედების თავისუფლების ფარგლები

- 6.1 არასრულწლოვანთა ცვალებადი განსაკუთრებული მოთხოვნილებების ისევე, როგორც არსებული ზომების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მოქმედების თავისუფლება შესაბამის ფარგლებში დაშვებული უნდა იყოს სამართალწარმოების ყველა სტადიასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა დონეზე, მათ შორისაა გამოძიება, ბრალდება, გადაწყვეტილების გამოტანა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი.
- 6.2 თუმცა, საჭიროა ძალისხმევა მოქმედების ასეთი თავისუფლებით სარგებლობისათვის ყველა სტადიასა და დონეზე საკმარისი პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად.
- 6.3 მათ, ვინც მოქმედების თავისუფლებით სარგებლობს, უნდა მიიღონ სპეციალური კვალიფიკაცია ან წერთნა იმისათვის, რომ მათ ამ თავისუფლებით გონივრულად და თავიანთი ფუნქციებისა და მანდატების შესაბამისად ისარგებლონ.

### კომენტარი

წესები 6.1, 6.2 და 6.3 აერთიანებენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტურად, სამართლიანად და ჰუმანურად განხორციელების რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელს: პროცესის მიმდინარეობის ყველა მნიშვნელოვან დონეზე დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობის დაშვების აუცილებლობას, რათა მათ,

ვინც იღებს გადაწყვეტილებებს, შეეძლოთ თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში ყველაზე მისაღები ფორმით მოქმედება; და შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის საჭიროებას იმისათვის, რათა შეკავდეს დისკრეციული უფლებამოსილების ნებისმიერი სახით ბოროტად გამოყენება და დაცულ იქნას ახალგაზრდა სამართალდამრღვევის უფლებები. პასუხისმგებლობის გრძობა და პროფესიონალიზმი წარმოადგენს იმ ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც ფართო დისკრეციის შეკავება ყველაზე მეტად არის შესაძლებელი. ამგვარად, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიცი- წერტანას, როგორც ღირებულ საშუალებებს, იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას იყოს დისკრეციით სარგებლობის გონიერულობა არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან დაკავშირებულ საკითხებში. (იხილეთ ასევე წესები 1.6 და 2.2) ამ თვალსაზრისით, დიდი ყურადღება ეთმობა კონკრეტული მითითებების ფორმულირებასა და საქმის გადამოწმების, აპელაციისა და სხვა მსგავსი სისტემების არსებობას, რათა დაშვებულ იქნას გადაწყვეტილებების მართებულობის შემოწმება და პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთი მექანიზმები არ არის დაკონკრეტებული, რადგან მათი ჩართვა საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტულ წესებში, რომელთაც არ ძალუძთ მოიცვან მართლმსაჯულების სისტემებს შორის არსებული ყველა განსხვავება, იოლი არ გახლავთ.

## 7. არასრულწლოვანთა უფლებები

- 7.1 სამართალწარმოების ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს ისეთი ძირითადი პროცესუალური გარანტიები, როგორებიცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია, საკუთარი ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, დუმის უფლება, ადვოკატის დახმარების მიღების უფლება, მშობლის ან მეურვის უფლება დასწრებაზე, მოწმეებთან დაპირისპირებისა და მათი ჯვარედინი დაკითხვის უფლება და უფრო მაღალი ინსტანციის დაწესებულებისათვის მიმართვის უფლება.

### კომენტარი

წესი 7.1 ხაზს უსვამს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს, რომლებიც სამართლიანი და კანონიერი სასამართლო პროცესის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულია ადამიანის უფლებათა დოკუმენტებში. (იხილეთ ასევე წესი 14.) მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაფიქსირებულია ასევე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლსა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-2 აბზაცში.

წინამდებარე მინიმალური სტანდარტული წესები, 14-დან მოყოლებული, ზუსტად განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო განხილვისათვის მამინ, როდესაც წესი 7.1 ზოგადად განამტკიცებს ყველაზე ძირითად პროცესუალურ გარანტიებს.

## 8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა

- 8.1 არასრულწლოვანის უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე პატივი უნდა ეცეს ყველა ეტაპზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი საჯაროობით ან გარკვეული იარლიყის მინიჭებით მისთვის ზიანის მიყენება.
- 8.2 პრინციპულად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება შედეგად არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის იდენტიფიკაცია მოიტანოს, არ უნდა გამოქვეყნდეს.

### კომენტარი

წესი 8 ხაზს უსვამს არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელობას. მოზარდებს განსაკუთრებული მძღრეკილება აქვთ თავი იგრძნონ დამცირებულად. იარლიყის მინიჭების პროცესის კრიმინოლოგიურმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მუდმივი იდენტიფიკაცია მოზარდისა, როგორც “დელინქენტისა” ან “დამნაშავისა” (სხვადასხვა ტიპის), მისთვის საზიანოა.

წესი 8 ასევე ხაზს უსვამს არასრულწლოვანის იმ არასასურველი შედეგებისაგან დაცვის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება საქმის შესახებ ინფორმაციის მასმედიაში გამოქვეყნებამ გამოიწვიოს (მაგალითად, ბრალდებული ან გასამართლებული ახალგაზრდა სამართალდამრღვევების სახელები). ინდივიდის ინტერესები დაცული და მხარდაჭერილი უნდა იყოს პრინციპის დონეზე მაინც. (წესი 8-ის ზოგადი შინაარსი უფრო დაკონკრეტებულია წესი 21-ით)

## 9. დათქმითი მუხლი

- 9.1 ამ წესებში არაფერი უნდა განიმარტოს ისე, როგორც გაერთიანებული ერების მიერ მიღებული პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელებისათვის

ხელისშემშლელი პირობა და ასევე, ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებისა და სტანდარტებისა, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ და დაკავშირებულია ახალგაზრდებზე მზრუნველობასა და მათ დაცვასთან.

### *კომენტარი*

წესი 9 გამიზნულია ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წინამდებარე წესების იმ პრინციპების შესაბამისად განმარტებისა და შესრულებისას, რომლებიც გადმოცემულია შესაბამის არსებულ და წარმოშობის პროცესში მყოფ ადამიანის უფლებათა ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებსა და სტანდარტებში, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; ბავშვთა უფლებების დეკლარაცია და ბავშვთა უფლებების კონვენციის პროექტი. გასაგები უნდა იყოს, რომ წინამდებარე წესების გამოყენება უნდა მოხდეს ნებისმიერი ასეთი საერთაშორისო დოკუმენტისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელიც შეიძლება უფრო ფართო გამოყენების დებულებებს შეიცავდეს. (იხილეთ აგრეთვე წესი 27.)

## **ნაწილი II. გამოძიება და სასამართლო დევნა**

### *10. საწყისი კონტაქტი*

- 10.1 არასრულწლოვანის დაკავებისას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობლებს ან მეურვეებს და, თუ მაშინვე შეტყობინება შეუძლებელია, ეს უნდა მოხდეს დაკავების შემდეგ უმოკლეს ვადაში.
- 10.2 მოსამართლემ ან სხვა კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა თუ ორგანომ დაყოვნების გარეშე უნდა განიხილოს მისი გათავისუფლების საკითხი.
- 10.3 სამართალდამცავ ორგანოებსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევს შორის ურთიერთობა უნდა წარმართოს არასრულწლოვანის იურიდიული სტატუსის პატივისცემის პირობებში, საქმის გარემოებების სათანადოდ გათვალისწინებით, ხელი უნდა შეეწყოს არასრულწლოვანის კეთილდღეობას და თავიდან უნდა იქნას აცილებული მისთვის ზიანის მიყენება.

## კომენტარი

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების წესი 92, ფაქტიურად, მოიცავს 10.1 წესს.

გათავისუფლების საკითხი (წესი 10.2) დაყოვნების გარეშე უნდა განიხილოს მოსამართლემ ან სხვა კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა. ეს უკანასკნელი გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს ან დაწესებულებას, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით – საზოგადოებრივი საბჭოებისა და საპოლიციო ორგანოების ჩათვლით, რომლებიც სარგებლობენ დაპატიმრებული ადამიანის გათავისუფლების უფლებამოსილებით. (იხილეთ, აგრეთვე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 აბზაცი.)

წესი 10.3 შეეხება არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევისა და მათ მიერ განხორციელებული პროცედურების ზოგიერთ ძირითად ასპექტს. ნათელია, რომ “თავიდან უნდა იქნას აცილებული მისთვის ზიანის მიყენება” საკმაოდ მოქნილი ფორმულირებაა და მოიცავს შესაძლებელი ურთიერთქმედების მრავალ მახასიათებელს (მაგალითად, უხეში სიტყვების გამოყენება, ფიზიკური ძალადობა, მზრუნველობის გარეშე დატოვება). თვითონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესებში ჩართვის ფაქტი შეიძლება უკვე საზიანო აღმოჩნდეს არასრულწლოვანთათვის; ფრაზა - “თავიდან უნდა იქნას აცილებული მისთვის ზიანის მიყენება”, ფართოდ უნდა იქნას განმარტებული, შესაბამისად, - როგორც პირველ ინსტანციაში მყოფი არასრულწლოვანისათვის რაც შეიძლება მცირე ზიანის მიყენება და ასევე, ნებისმიერი დამატებითი ან არასაჭირო ზიანის თავიდან აცილება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოებთან საწყის ეტაპზე ურთიერთობისას, რასაც შეუძლია სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ არასრულწლოვანის დამოკიდებულებაზე დიდი გავლენა მოახდინოს. უფრო მეტიც, ნებისმიერი შემდგომი ჩარევის წარმატება ასევე დიდად არის დამოკიდებული ასეთ საწყის ურთიერთობებზე. ასეთ სიტუაციებში თანაგრძნობა და კეთილგანწყობილი სიმკაცრე ძალზე მნიშვნელოვანია.

## 11. სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღება

- 11.1 ქვემოთყვანილ 14.1 წესში მითითებული კომპეტენტური ორგანო უნდა შეეცადოს, სადაც ეს შესაძლებელია, ფორმალური სასამართლო პროცესისადმი მიმართვის გარეშე არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმის გადაწყვეტას.

- 11.2 პოლიცია, პროკურატურა თუ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სხვა ორგანოები უნდა სარგებლობდნენ ასეთი საქმეების საკუთარი შეხედულებით, ფორმალური სასამართლო განხილვის გარეშე გადაწყვეტის უფლებამოსილებით - იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შესაბამის სამართლებრივ სისტემაში დადგენილია ამ მიზნით და ასევე, წინამდებარე წესებში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით.
- 11.3 სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღება, რომელიც გულისხმობს საქმის განსახილველად გადაცემას შესაბამისი საზოგადოებრივი თუ სხვა სამსახურებისათვის, უნდა საჭიროებდეს არასრულწლოვანის ან მისი მშობლებისა თუ მეურვის თანხმობას, იმ პირობით, რომ განსახილველად საქმის გადაცემის შესახებ ასეთი გადაწყვეტილება, მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება კომპეტენტური ორგანოს განხილვის საგანი გახდეს.
- 11.4 იმისათვის, რათა გაადვილდეს არასრულწლოვანთა საქმეების დისკრეციული გადაწყვეტის პროცესი, საჭიროა ძალისხმევა ისეთი საზოგადოებრივი პროგრამების გასათვალისწინებლად, როგორებიცაა დროებითი ზედამხედველობა და ზელმძღვანელობა, რესტიტუცია და კომპენსაცია დაზარალებულისათვის.

#### კომენტარი

სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სამართალწარმოებიდან ადამიანის გამორიცხვისა და ხშირად, სასჯელის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეცვლის პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება მრავალ სამართლებრივ სისტემაში როგორც ფორმალურად, ასევე არაფორმალურად. ასეთი პრაქტიკა გამიზნულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, შემდგომი პროცესუალური მოქმედებების ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, დამნაშავედ ცნობითა და განაჩენის გამოტანით გამოწვეული სირცხვილი). მრავალ შემთხვევაში, ჩაურევლობა საუკეთესო საპასუხო რეაქცია იქნებოდა. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღება საწყის ეტაპზე, ალტერნატიული (სოციალური) სამსახურებისათვის გადაცემის გარეშე, შეიძლება ოპტიმალურ ვარიანტად ჩაითვალოს. ეს განსაკუთრებით გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევა არ არის სერიოზული და როდესაც ოჯახმა, სკოლამ თუ სოციალური კონტროლის სხვა არაფორმალურმა ინსტიტუტებმა

უკვე მოახდინეს რეაგირება შესაფერისი და კონსტრუქციული მოქმედებით, ან დიდი ალბათობაა, რომ ასე მოიქცევიან.

11.2 წესის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღება შეიძლება განხორციელდეს პოლიციის, პროკურატურისა თუ სხვა ორგანოების მიერ, როგორცაა სასამართლოები, ტრიბუნალები, კოლეგიები თუ საბჭოები - გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ამ მეთოდის გამოყენება, შესაბამის სამართლებრივ სისტემებში არსებული წესებისა და პოლიტიკის მიხედვით და წინამდებარე წესების შესაბამისად, დასაშვებია ერთი, რამდენიმე ან ყველა ორგანოს მიერ. აუცილებელი არ არის, რომ სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღება შეზღუდული იყოს მხოლოდ მცირემნიშვნელოვანი საქმეებით, ამგვარად, იგი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოგიდგენს.

წესი 11.3 ხაზს უსვამს სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღების რეკომენდირებულ ღონისძიებაზე ახალგაზრდა სამართალდამრღვევის (მშობლის ან მეურვის) თანხმობის მნიშვნელოვან მოთხოვნას. (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეცვლა, ასეთი თანხმობის გარეშე, წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონვენციასთან იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ.) თუმცა, ეს თანხმობა არ შეიძლება ჩაითვალოს არასაკილოდ, რადგან ზოგჯერ იგი შეიძლება მიცემულ იქნას არასრულწლოვანის აშკარა სასოწარკვეთილების გამო. აღნიშნული წესის საფუძველი მდგომარეობს შემდეგში - საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რათა სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღების პროცესის ყველა ეტაპზე შემცირდეს იძულებისა და დაშინების ალბათობა. არასრულწლოვანებმა არ უნდა იგრძნონ ზეწოლა (მაგალითად, იმის გამო, რომ თავიდან აიცილონ სასამართლოში გამოჩენა) და მათზე არ უნდა განხორციელდეს ზეწოლა, სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღების პროგრამებზე თანხმობის მიღების მიზნით. ამგვარად, აქ დაცულია აზრი, რომ აღნიშნულმა დებულებამ ხელი უნდა შეუწყოს, “მოთხოვნის შემთხვევაში”, “კომპეტენტური ორგანოს” მიერ გადაწყვეტილების მართებულობის ობიექტურად შეფასებას იმ საქმეებზე, რომლებშიც ახალგაზრდა სამართალდამრღვევები არიან ჩარეული. (“კომპეტენტური ორგანო” შეიძლება მე-14 წესში აღნიშნულისაგან განსხვავებული იყოს.)

წესი 11.4 მხარს უჭერს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართალწარმოებისათვის მოქმედი საზოგადოებრივი ფორმის ალტერნატივების უზრუნველყოფას. განსაკუთრებით რეკომენდირებულია პროგრამები, რომლებიც გულისხმობს სიტუაციის დარეგულირებას

დაზარალებულისათვის რესტიტუციით და ისინი, რომლებიც მიმართულია კანონთან მომავალი კონფლიქტის თავიდან აცილებისაკენ - დროებითი ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის საშუალებით. ინდივიდუალური საქმეებისათვის დამახასიათებელი თვისებები სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღებას შესაფერისს გახდიდა მაშინაც კი, როდესაც ჩადენილი სამართალდარღვევები სერიოზულია (მაგალითად, სამართალდარღვევა პირველია, მოქმედება ჩადენილია აშკარა ზეწოლის ქვეშ და ა.შ.).

## 12. სპეციალიზაცია პოლიციაში

12.1 თავიანთი ფუნქციების უმაღლეს დონეზე შესასრულებლად, იმ პოლიციელებმა, რომლებსაც ხშირად ან მხოლოდ და მხოლოდ არასრულწლოვანებთან აქვთ საქმე ან, რომლებიც უპირატესად ჩაბმული არიან არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საქმეში – უნდა მიიღონ სპეციალური მითითებები და წერტნა. ამ მიზნით, დიდ ქალაქებში პოლიციის სპეციალური დანაყოფები უნდა შეიქმნას.

### კომენტარი

წესი 12 ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩაბმული სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომლის სპეციალური წერტნით უზრუნველყოფის აუცილებლობას. იმდენად, რამდენადაც პოლიცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან შეხების პირველი წერტილია, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ისინი მოქმედებდნენ გააზრებულად და შესაფერისად.

მაშინ, როდესაც დამოკიდებულება ურბანიზაციასა და დანაშაულობას შორის აშკარად კომპლექსურია, არასრულწლოვანთა დანაშაულის დონის ზრდა დაკავშირებულია დიდი ქალაქების ზრდასთან, განსაკუთრებით კი, თუ ეს სწრაფად და დაუგეგმავად ხდება. ამგვარად, პოლიციის სპეციალიზებული დანაყოფები აუცილებელია არა მხოლოდ წინამდებარე დოკუმენტში (როგორცაა წესი 1.6) მოცემული კონკრეტული პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად, არამედ, უფრო ზოგადად, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, კონტროლისა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ მიდგომის გაუმჯობესების მიზნით.

## 13. თავისუფლების შეზღუდვა სასამართლო განხილვის დაწყებამდე



- 13.1 თავისუფლების შეზღუდვა სასამართლო განხილვის დაწყებამდე უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ზომას და უნდა გამოიყენებოდეს დროის რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში.
- 13.2 სასამართლო განხილვის დაწყებამდე თავისუფლების შეზღუდვა უნდა შეიცვალოს, როცა კი ეს შესაძლებელია, ისეთი ალტერნატიული ზომებით, როგორებიცაა: მკაცრი ზედამხედველობა, ინტენსიური მზრუნველობა ან სხვა ოჯახში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან სახლში მოთავსება.
- 13.3 არასრულწლოვანებს, რომლებსაც თავისუფლება შეეზღუდათ სასამართლო განხილვის დაწყებამდე, უფლებამოსილი არიან ისარგებლონ ყველა იმ უფლებითა და გარანტიით, რომელიც დაფიქსირებულია გაერთიანებული ერების მიერ მიღებულ კონვენციაში პატიმრთა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესახებ.
- 13.4 სასამართლო განხილვის დაწყებამდე თავისუფლება შეზღუდული არასრულწლოვანები უნდა იმყოფებოდნენ ცალკე დაწესებულებაში, უფროსებისაგან განცალკევებით, ან თუ ამ დაწესებულებაში დაკავებული სრულწლოვანებიც არიან, - მის განცალკევებულ ნაწილში.
- 13.5 დაცვის ქვეშ ყოფნის პერიოდში არასრულწლოვანებმა უნდა მიიღონ მზრუნველობა, დაცვა და ყველანაირი საჭირო ინდივიდუალური დახმარება – სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ფიზიკური, რომელიც მათ შეიძლება დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით.

### *კომენტარი*

სათანადო დონეზე უნდა შეფასდეს “კრიმინალური დასნებოვნების” ის საფრთხე, რომელიც არასრულწლოვანს სასამართლო განხილვის დაწყებამდე თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში ემუქრება. ამგვარად, საჭიროა ალტერნატიული ზომების საჭიროების ხაზგასმა. ამ ხაზგასმით, წესი 13.1 მიესალმება ახალი და ნოვატორული მეთოდების შემუშავებას ამგვარი დაკავების თავიდან აცილებისა და არასრულწლოვანის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

არასრულწლოვანები, რომლებსაც თავისუფლება შეეზღუდათ სასამართლო განხილვის დაწყებამდე, უფლებამოსილი არიან ისარგებლონ ყველა იმ უფლებითა და გარანტიით, რომელიც დაფიქსირებულია

გაერთიანებული ერების მიერ მიღებულ კონვენციაში პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესახებ, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში, განსაკუთრებით მუხლებში 9 და 10, აბზაცები 2 (b) და 3.

წესი 13.4 არ უკრძალავს სახელმწიფოებს სრულწლოვანი სამართალდამრღვევების ნეგატიური გავლენის წინააღმდეგ მიმართული სხვა ზომების გამოყენებას, რომლებსაც ისეთი ეფექტი მაინც ექნებათ, როგორც ამ წესში მოხსენიებულ ზომებს.

იმისათვის, რათა ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა დაკავებულების (მაგალითად, მღვდრობითი და მამრობითი სქესის ადამიანები, ნარკომანები, ალკოპოლიკები, გონებრივად დაავადებული არასრულწლოვანები, ტრავმირებული ახალგაზრდები, მაგალითად, დაპატიმრებისაგან მიღებული ტრავმა და ა.შ.) განსაკუთრებული მოთხოვნების ფართო სპექტრს, ჩამოთვლილია დახმარების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს.

ახალგაზრდა დაკავებულების ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვისებების ცვალებადობა შეიძლება კლასიფიკაციის იმ ზომების გამამართლებელ არგუმენტად ჩაითვალოს, რომელთა გამო სასამართლო განხილვის დაწყებამდე თავისუფლების შეზღუდვის პერიოდში ზოგიერთი განცალკევებულია, ყოველფეხ ეს კი ხელს უწყობს მათი ექტიმიზაციის თავიდან აცილებასა და მათთვის სათანადო დახმარების აღმოჩენას.

დანაშაულის პრევენციისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ გაერთიანებული ერების მე-ნ კონგრესზე მიღებულ მე-4 რეზოლუციაში, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებს შეეხება, აღნიშნულია, რომ წინამდებარე წესები, *inter alia*, უნდა ასახავდეს ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვითაც, სასამართლო პროცესის წინ დაკავება უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკანასკნელი საშუალება და არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა იმყოფებოდეს იმ დაწესებულებაში, სადაც იგი ადვილად შეიძლება მოექცეს სრულწლოვანი დაკავებულების ნეგატიური გავლენის ქვეშ, ხოლო მათი განვითარების ამა თუ იმ ეტაპისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

### ნაწილი III. საქმის განხილვა და გადაწყვეტა

#### 14. საქმის განხილვისათვის კომპეტენტური ორგანო

14.1 თუ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმე არ იქნა გადაცემული (წესი 11-ის მიხედვით), მის საქმეს განიხილავენ

კომპეტენტური ორგანოები (სასამართლო, ტრიბუნალი, კოლეგიები, საბჭოები და ა.შ.) სამართლიანი და კანონიერი სასამართლოს პრინციპების მიხედვით.

14.2 სასამართლო განხილვა ხელსაყრელი უნდა იყოს არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვისათვის და უნდა მიმდინარეობდეს ურთიერთგაგების ატმოსფეროში, რაც არასრულწლოვანს პროცესში მონაწილეობისა და საკუთარი თავის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას მისცემს.

#### კომენტარი

რთულია კომპეტენტური ორგანოს ან ადამიანის ისეთი განსაზღვრების ჩამოყალიბება, რომელიც ამა თუ იმ საქმის განმხილავ ორგანოს უნივერსალურად დაახასიათებდა. “კომპეტენტური ორგანო” გულისხმობს იმ ადამიანებს, რომლებიც თავმჯდომარეობენ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს (რომლებიც შედგება ერთი ან რამდენიმე მოსამართლისაგან), პროფესიონალი და არაპროფესიონალი მაგისტრატების, ასევე ადმინისტრაციული კოლეგიების ჩათვლით (მაგალითად, შოტლანდიური და სკანდინავიური სისტემები), ან კიდევ სხვა, უფრო არაფორმალურ საზოგადოებრივ ორგანოებსა და კონფლიქტის მოგვარების სააგენტოებს, რომლებსაც საქმის განმხილავი ორგანოსათვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნიათ.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმის განხილვის პროცედურა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ბრალდებულთა მიმართ თითქმის უნივერსალურად გამოიყენება და ცნობილია სათანადო კანონიერი პროცედურის სახელით. სათანადო კანონიერი პროცედურის შესაბამისად, უფლება “სამართლიან და კანონიერ სასამართლოზე” მოიცავს ისეთ ძირითად გარანტიებს, როგორებიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მოწმეთა წარდგენა და დაკითხვა, საზოგადოებრივი სამართლებრივი დაცვა სასამართლოში, დუმილის უფლება, პროცესზე უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმის უფლება, შეწყალების მოთხოვნის უფლება და ა.შ. (იხილეთ აგრეთვე წესი 7.1.)

#### 15. ადვოკატი, მშობლები და მეურვეები

15.1 მთელი პროცესუალური მოქმედების განმავლობაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მიერ ან მოითხოვოს უფასო იურიდიული დახმარება

იმ სახელმწიფოებში, სადაც ასეთი დახმარება უზრუნველყოფილია.

- 15.2 მშობლებსა თუ მეურვეებს უნდა ჰქონდეთ სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება, ხოლო, თუ ამას არასრულწლოვანის ინტერესები მოითხოვს, მათი დასწრება შეიძლება განპირობებული იყოს კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით. თუმცა, ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებით, მშობლებსა თუ მეურვეებს შეიძლება უარი ეთქვას დასწრებაზე, თუ არსებობს იმის დაშვების მიზეზები, რომ ეს აუცილებელია არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად.

### *კომენტარი*

წესი 15.1 პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 93-ე წესში მოცემული ტერმინოლოგიის მსგავს ტერმინოლოგიას იყენებს. მაშინ, როდესაც ადვოკატი და უფასო იურიდიული მომსახურება საჭიროა არასრულწლოვანის იურიდიული დახმარებით უზრუნველსაყოფად, მშობლებისა თუ მეურვეების სასამართლო განხილვაში მონაწილეობის 15.2 წესში მოხსენიებული უფლება აღქმულ უნდა იქნას როგორც არასრულწლოვანისათვის ზოგადი ფსიქოლოგიური და ემოციური დახმარების აღმოჩენა, რაც მთელი პროცედურის მანძილზე უნდა გრძელდებოდეს.

კომპეტენტური ორგანოს სურვილს - ადექვატურად გადაწყვიტოს საქმე, დიდად წაადგება არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების (ან ამავე თვალსაზრისით, თუნდაც რომელიმე პირადი დამხმარის, რომელსაც არასრულწლოვანი ნამდვილად ენდობა ან შეიძლება ენდოს) თანამშრომლობა. ასეთი მზრუნველობის განხორციელებას შეიძლება ხელი შეეშალოს იმ შემთხვევაში, თუ პროცესებზე მშობლების ან მეურვეების დასწრება ნეგატიურ როლს თამაშობს, მაგალითად, თუ ისინი მტრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ არასრულწლოვანის მიმართ; შესაბამისად, აუცილებლად უნდა არსებობდეს პროცესზე მათი არდაშვების შესაძლებლობა.

## **16. სოციალური გამოკვლევის ანგარიშები**

- 16.1 ყველა საქმეში, გარდა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისა, ვიდრე კომპეტენტური ორგანო სასჯელის შეფარდების წინ საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს, სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი არასრულწლოვანის ცხოვრების პირობები ან ის გარემოებები, რომლებშიც მან სამართალდარღვევა ჩაიდინა, რათა

კომპეტენტურ ორგანოს გაუადვილდეს საქმის გონივრულად გადაწყვეტა.

### *კომენტარი*

სოციალური გამოკვლევის ანგარიშები (სოციალური ან განაჩენისწინა ანგარიშები) არასრულწლოვანთა მონაწილეობით მიმდინარე პროცესუალურ მოქმედებათა უმრავლესობის აუცილებელი ელემენტია. კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიეწოდოს საქმესთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია არასრულწლოვანის შესახებ, როგორცაა: მისი სოციალური და ოჯახური წარმომავლობა, სასკოლო საქმიანობა, საგანმანათლებლო გამოცდილება და ა.შ. ამ მიზნით, ზოგიერთი სასამართლო პრაქტიკა იყენებს სპეციალურ სოციალურ სამსახურს ან ჰყავს სასამართლოზე ან კოლეგიაზე მიმავრებული პერსონალი. იგივე ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სხვა პერსონალმა, პრობაციის სამსახურის თანამშრომლების ჩათვლით. შესაბამისად, აღნიშნული წესის მიხედვით, უნდა არსებობდეს ადეკვატური სოციალური სამსახურები, რომლებიც შესაბამის ორგანოებს კომპეტენტური სოციალური გამოკვლევის ანგარიშებით უზრუნველყოფენ.

### *17. საქმის განხილვისა და გადაწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპები*

17.1 საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, კომპეტენტური ორგანო უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი პრინციპებით:

- a) საპასუხო მოქმედება ყოველთვის უნდა იყოს არა მხოლოდ საქმის გარემოებებისა სამართალდარღვევის სერიოზულობის, არამედ, ასევე, არასრულწლოვანის მდგომარეობის, ასევე, მისი და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებების პროპორციული;
- b) არასრულწლოვანის პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს მხოლოდ საქმის დეტალური შესწავლის შემდეგ და ვადა დაყვანილ უნდა იქნას შესაძლებელ მინიმუმამდე;
- c) პიროვნების თავისუფლების აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს დაუმტკიცდა სერიოზული, სხვა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შემცველი ქმედება ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევის მრავალგზის ჩადენა და თუ

არ არსებობს მის ქმედებაზე სხვა შესაფერისი საპასუხო რეაქცია;

d) არასრულწლოვანის კეთილდღეობა უნდა წარმოადგენდეს გადაწყვეტ ფაქტორს მისი საქმის განხილვისას.

17.2 არასრულწლოვანთა მიერ, ჩადენილი არც ერთი დანაშაულისათვის არ უნდა იყოს დაწესებული სიკვდილით დასჯა.

17.3 არასრულწლოვანი არ უნდა დაექვემდებაროს ფიზიკურ სასჯელს.

17.4 კომპეტენტური ორგანო უნდა სარგებლობდეს სამართალწარმოების ნებისმიერ მომენტში შეწყვეტის უფლებამოსილებით.

### კომენტარი

ახალგაზრდების საქმეთა გადაწყვეტისათვის სახელმძღვანელო პრინციპების ფორმულირების ძირითადი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ამ სფეროში არსებობს ფილოსოფიური ხასიათის ისეთი მოუკვარებელი კონფლიქტები, როგორებიცაა:

a) რეაბილიტაციის - სამაგიეროს სამართლიანად მიზლის საპირისპიროდ;

b) დახმარება - რეპრესირებისა და დასჯის საპირისპიროდ;

c) რეაგირება ყოველი საქმის განსაკუთრებული შინაარსის შესაბამისად - ზოგადად, საზოგადოების დასაცავად რეაგირების საპირისპიროდ;

d) ზოგადად, დანაშაულის თავიდან აცილება - ინდივიდუალური იზოლირების საპირისპიროდ.

ზემოაღნიშნულ მიდგომებს შორის წინააღმდეგობა გამოხატულებას კპოეებს უფრო არასრულწლოვანთა საქმეებში, ვიდრე სრულწლოვანთა შემთხვევაში. არასრულწლოვანთა საქმეებისათვის დამახასიათებელი - მოტივებისა და საპასუხო მოქმედებების მრავალფეროვნების პირობებში ზემოაღნიშნული ალტერნატივები ერთმანეთზე რთულად არის გადაჯაჭვული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესების ფუნქციას არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი მიდგომა უნდა გამოიყენებოდეს, მაგრამ წესებში უნდა დადგინდეს, თუ რომელი მათგანი უფრო მეტად მოდის შესაბამისობაში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრინციპებთან.

ამგვარად, ის ძირითადი საფუძვლები, რომლებიც მოცემულია წესში 17.1, განსაკუთრებით კი მის (ა) და (ც) ქვეპარაგრაფებში, გაგებულ უნდა იქნას როგორც ის პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებმაც საერთო საწყისი წერტილი უნდა უზრუნველყონ; ხოლო, თუ შესაბამისი ორგანოები ამ პრინციპებს სათანადო ყურადღებას მიაქცევენ (იხილეთ აგრეთვე წესი 5), მათ შეიძლება დიდი წვლილი შეიტანონ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ძირითადი უფლებების, განსაკუთრებით კი პირადი განვითარებისა და განათლების ძირითადი უფლებების, დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

წესი 17.1 (b) გულისხმობს, რომ არასწორია მხოლოდ დამსჯელი ღონისძიებების გამოყენება. მაშინ, როდესაც სრულწლოვანთა საქმეებისა და შესაძლებელია, აგრეთვე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი მძიმე სამართალდარღვევების განხილვისას, სამართლიანად სამაგიეროს მიზნად და დამსჯელი სანქციები შეიძლება გარკვეულად დამსახურებულად ჩაითვალოს, არასრულწლოვანთა საქმეების შემთხვევაში ასეთი მოსაზრებები ყოველთვის უნდა გადაწონოს მოზარდის კეთილდღეობისა და მომავლის გარანტირების ინტერესებმა.

გაეროს მე-ნ კონგრესის მე-8 რეზოლუციის თანახმად, წესი 17.1 (b) მოუწოდებს დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსების ალტერნატიული ზომების გამოყენებას მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში, ახალგაზრდობის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებზე რეაგირების აუცილებლობის გათვალისწინებით. ამგვარად, მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული მთელი რიგი არსებული ალტერნატიული სანქციებისა და ამასთანავე, საჭიროა ახალი ალტერნატიული სანქციების შემუშავება საჯარო უსაფრთხოების გათვალისწინებით. მაქსიმალურად უნდა გამოიყენებოდეს პრობაცია საქმის ისე გადაწყვეტის მეშვეობით, როგორცაა - სასჯელის ვადის შემცირება, პირობითი სასჯელის დადგენა, კოლეგიის განკარგულებები და სხვა.

წესი 17.1 (c) შეესაბამება გაეროს მე-ნ კონგრესის მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დაპატიმრების თავიდან აცილებასა და ამ ღონისძიების დაშვებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო უსაფრთხოების დასაცავად რეაგირების სხვა შესაფერისი ფორმა არ მოიპოვება.

წესში 17.2 მოცემული სიკვდილით დასჯის ამკრძალავი დებულება შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-ნ მუხლის მე-5 პარაგრაფს.

ფიზიკური სასჯელის წინააღმდეგ მიმართული დებულება შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლსა და დეკლარაციას წამებისა და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისაგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ, ასევე კონვენციას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ და ასევე ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის პროექტს.

სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე შეწყვეტის უფლებამოსილება (წესი 17.4) არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეებისათვის დამახასიათებელი თვისებაა, სრულწლოვანთა საქმეებისაგან განსხვავებით. ნებისმიერ დროს კომპეტენტური ორგანოსათვის შეიძლება ისეთი გარემოებები გახდეს ცნობილი, რომელთა გამოც ინტერვენციის სრული შეწყვეტა საქმის გადაწყვეტის საუკეთესო გზა აღმოჩნდება.

## 18. საქმის გადაწყვეტის სხვადასხვა გზები

18.1 კომპეტენტური ორგანოსათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქმის გადაწყვეტის მრავალი სხვადასხვა გზა და უნდა დაიშვებოდეს გარკვეული თავისუფლება, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსება. ასეთ ზომები, რომელთაგან შესაძლებელია ზოგიერთის შერწყმა, მოიცავს:

- a) განკარგულებას მზრუნველობის, ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის შესახებ;
- b) პრობაციას;
- c) განკარგულებას საზოგადოებრივი სამსახურის შესახებ;
- d) ფინანსური სანქციებს, კომპენსაციასა და რესტიტუციას;
- e) განკარგულებას დაბნაშავეებზე არადასჯელი ზემოქმედების შუალედური და სხვა საშუალებების შესახებ;
- f) განკარგულებას ჯგუფურ კონსულტაციებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ;
- g) განკარგულებას აღმზრდელითი ზრუნვის, დასახლებული პუნქტების ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ;
- h) სხვა შესაფერის განკარგულებებს.



18.2 არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა იქნას მოკლებული მშობლების მეთვალყურეობას ნაწილობრივ თუ მთლიანად, თუ ამის საჭიროებას არ წარმოშობს მისი საქმის გარემოებები.

### *კომენტარი*

წესი 18.1 ცდილობს მოგვცეს ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი საპასუხო მოქმედებისა და სანქციის ჩამონათვალი, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში დღევანდელ დღემდე საკმაოდ წარმატებულად გამოიყენება. მთლიანობაში, ზემოაღნიშნული ზომები გვთავაზობენ ისეთ დამამძღვებელ არჩევანს, რომელიც შედგომ შესწავლასა და დამუშავებას საჭიროებს. ზოგიერთ სფეროში სათანადო კადრების შესაძლო ნაკლებობის გამო, წესი არ ჩამოთვლის კადრების შერჩევის კრიტერიუმებს; ასეთ სფეროებში უნდა მოხდეს ისეთი ზომების გატარების მცდელობა ან სრულყოფა, რომლებიც თანამშრომლების ნაკლებ რაოდენობას მოითხოვს.

წესში 18.1 მოცემული მაგალითების საერთო დამახასიათებელი ნიშანია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისათვის მიმართვა და მასზე დაყრდნობა საქმის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ეფექტურად დანერგვის საქმეში. გამოსწორება საზოგადოებრივი საშუალებების გამოყენებით – ეს ის ტრადიციული ზომაა, რომელიც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს მრავალი თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შესაბამის ორგანოებს უნდა მოუწოდოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შეთავაზებისაკენ.

წესი 18.2 მიუთითებს ოჯახის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის I პარაგრაფის მიხედვით, “საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი ერთეულია”. ოჯახში მშობლებს აქვთ არა მხოლოდ უფლება, არამედ, ასევე, მოვალეობა იზრუნონ და მეთვალყურეობა გაუწიონ თავიანთ ბავშვებს. ამგვარად, წესი 18.2 მოითხოვს, რომ ბავშვების მშობლებთან დაშორება გამოიყენებოდეს როგორც უკანასკნელი საშუალება. ამ საშუალებას უნდა მიმართონ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეში მოცემული ფაქტები აშკარად ამართლებს ამ მიმდებ ნაბიჯს (მაგალითად, თუ სახეზეა ბავშვთან სასტიკი მოპყრობა).

19. დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების ზომის  
მაქსიმალურად შეზღუდული გამოყენება

19.1 ამა თუ იმ დაწესებულებაში არასრულწლოვანის მოთავსების გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მინიმალური აუცილებელი ვადით.

კომენტარი

პროგრესული კრიმინოლოგია დამნაშავეის გამოსწორების არაინსტიტუციონალურ მეთოდებს მეტად უჭერს მხარს ინსტიტუციონალურთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებასა და არმოთავსებას შორის განსხვავება, წარმატებულობის თვალსაზრისით, ან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს. აშკარაა, რომ გამოსწორების მცდელობათა გავლენა ვერ აღემატება ინდივიდზე იმ მრავალრიცხოვან არასასურველ ზეგავლენას, რომლისათვის თავის არიდება დახურული ტიპის ნებისმიერ დაწესებულებაში თითქოს შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება არასრულწლოვანთა შემთხვევაში, რომლებიც საკმაოდ დაუცველი არიან ნეგატიური ზეგავლენისაგან. უფრო მეტიც, არა მხოლოდ თავისუფლების დაკარგვით, არამედ ჩვეულ სოციალურ გარემოსთან დაშორებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს არასრულწლოვანები, სრულწლოვანებთან შედარებით, აშკარად უფრო მწვავედ აღიქვამენ – განვითარების ადრეულ ეტაპზე ყოფნის გამო.

წესი 19 მიზნად ისახავს დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების შეზღუდვას ორი მიმართულებით – რაოდენობისა (უკიდურეს შემთხვევაში) და დროის (მინიმალური აუცილებელი ვადით) თვალსაზრისით. წესი 19 ასახავს გაერთიანებული ერების მე-4 კონგრესზე მიღებული მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს: არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი არ უნდა იქნას დაპატიმრებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არსებობს რეაგირების სხვა უფრო შესაფერისი ფორმა. ამგვარად, აღნიშნული წესი მოითხოვს, რომ, თუ არასრულწლოვანის დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსება საჭიროა, თავისუფლების დაკარგვის ფარგლები მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს, პატიმრობისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას სპეციალური ინსტიტუციონალური მოწყობილობა და მხედველობაში უნდა იქნას მცდეული სამართალდამრღვევების, სამართალდარღვევებისა და დაწესებულებების განსხვავებულობა. ფაქტურად, უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს “ღია” ტიპის დაწესებულებებს, “დახურული” ტიპის დაწესებულებებთან

შედარებით. უფრო მეტიც, თითოეული დაწესებულება უნდა იყოს უფრო გასწორებითი და საგანმანათლებლო, ვიდრე ციხის ტიპის.

## 20. ზედმეტი დაყოვნების თავიდან აცილება

20.1 თითოეული საქმე, დასაწყისიდანვე, უნდა განიხილებოდეს სწრაფად, ყოველგვარი ზედმეტი დაყოვნების გარეშე.

### კომენტარი

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფორმალური პროცედურების სწრაფად გატარებას. სხვა შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება ნებისმიერი სარგებლობა, რომელიც აღნიშნული პროცედურის გატარებამ და საქმის გადაწყვეტამ შეიძლება მოიტანოს. დროის გასვლასთან ერთად, არასრულწლოვანისათვის როგორც ინტელექტუალურად, ასევე ფსიქოლოგიურად უფრო და უფრო რთული გახდება, თუ არა შეუძლებელი, ერთი მხრივ, საქმის წარმოებისა და გადაწყვეტილების და, მეორე მხრივ, სამართალდარღვევის ერთმანეთთან დაკავშირება.

## 21. საქმის მასალები

21.1 არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები უნდა ინახებოდეს სრულიად კონფიდენციალურად და მიუწვდომელი უნდა იყოს მესამე პირთათვის. ასეთ მასალებთან დაშვების მქონე პირთა რიცხვი შეზღუდულია მხოლოდ იმ პირებით, რომლებსაც პირდაპირ შეეხება გადაწყვეტილება წარმოებაში არსებულ საქმეზე და სათანადო უფლებამოსილების მქონე სხვა პირებით.

21.2 არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები არ უნდა იქნას გამოყენებული იმ მომდევნო საქმეების სასამართლო განხილვისას, რომლებშიც ჩარეულია იგივე სამართალდამრღვევი - ამჯერად როგორც სრულწლოვანი.

### კომენტარი

მოცემული წესი ცდილობს წონასწორობა დაამყაროს საქმის მასალებსა თუ არქივებთან დაკავშირებულ საპირისპირო ინტერესებს შორის, კერძოდ, ერთმანეთთან კონფლიქტშია პოლიციის, პროკურატურისა და სხვა ორგანოების ინტერესები გააუმჯობესონ კონტროლი და არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ინტერესები.

(იხილეთ, აგრეთვე, წესი 8.) “სათანადო უფლებამოსილების მქონე სხვა პირებში”, სხვათა შორის, იგულისხმება აგრეთვე მკვლევარები.

## 22. პროფესიონალიზმისა და წვრთნის საჭიროება

- 22.1 პროფესიული განათლება, შიდასამსახურებრივი წვრთნა, განმეორებითი კურსები და სწავლების სხვა შესაფერისი ფორმები უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რათა არასრულწლოვანთა საქმეებში ჩართულ მთელ პერსონალს განუვითარდეს და შეუნარჩუნდეს აუცილებელი პროფესიული კვალიფიკაცია.
- 22.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პერსონალი უნდა შეეფერებოდეს იმ არასრულწლოვანთა მრავალფეროვნებას, რომლებსაც ამ სისტემასთან უხდებათ ურთიერთობა. საჭიროა ძალისხმევა იმისათვის, რათა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დაწესებულებებში სამართლიანად იყვნენ წარმოდგენილი ქალები და უმცირესობები.

### კომენტარი

საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისათვის კომპეტენტურ ორგანოებს შეიძლება სრულიად სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე ადამიანები წარმოდგენდნენ (მაგისტრატები - დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და საერთო სამართლის გავლენის ქვეშ მოქცეულ სხვა რეგიონებში; იურიდიული განათლების მქონე მოსამართლეები - იმ ქვეყნებში, რომლებიც რომის სამართალს იყენებენ და მათი გავლენის ქვეშ მყოფ რეგიონებში; სხვა ადგილებში - არჩეული თუ დანიშნული არაიურისტები თუ იურისტები, საზოგადოებრივი კოლეგიების წევრები და ა.შ.). ყველა ამ ორგანოს წარმომადგენლებს უნდა მოეთხოვოთ მინიმალური მომზადება სამართლის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კრიმინოლოგიისა და ქცევის შემსწავლელი მეცნიერებების სფეროში. ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კომპეტენტური ორგანოს ორგანიზაციული სპეციალიზაცია და მისი დამოუკიდებლობა.

სოციალური მოსამსახურეებისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომლებისათვის პროფესიული სპეციალიზაციის აუცილებელ პირობად წაყენება, არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან დაკავშირებული ნებისმიერი ფუნქციის საკუთარ თავზე აღებამდე, შეიძლება არარეალური აღმოჩნდეს. ამგვარად, კვალიფიკაციის მინიმუმს

უნდა წარმოადგენდეს პროფესიული სწავლება სამუშაო ადგილის მიხედვით.

პროფესიული ჩვევები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიუკერძოებლად და ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის ძირითადი ელემენტია. შესაბამისად, აუცილებელია პერსონალის შერჩევის, დაწინაურებისა და პროფესიული წვრთნის მეთოდების გაუმჯობესება და კადრების უზრუნველყოფა აუცილებელი საშუალებებით საკუთარი ფუნქციების სათანადო დონეზე შესრულებისათვის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის პერსონალის შერჩევის, დანიშვნისა და დაწინაურებისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ყოველგვარი პოლიტიკური, სოციალური, სქესობრივი, რასობრივი, რელიგიური, კულტურული თუ სხვა სახის დისკრიმინაცია, რათა მიღწეულ იქნას მიუკერძოებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას. ასეთი გახლდათ მე-ნ კონგრესის რეკომენდაცია. უფრო მეტიც, მე-ნ კონგრესმა წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა ქალებისადმი სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, როგორც სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლებისადმი და მისცა რეკომენდაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მდგრადობითი სქესის პერსონალის დასაქმების, გაწვრთნისა და მათი წინსვლის ხელშესაწყობად განსაკუთრებული ზომების მიღების შესახებ.

#### ნაწილი IV. არაინსტიტუციონალური ზემოქმედება დამნაშავეებზე

##### 23. საქმეზე გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულება

- 23.1 საჭიროა სათანადო პირობების დაწესება იმისათვის, რათა შესრულდეს კომპეტენტური ორგანოს, როგორც ეს მოცემულია წესში 14.1, განკარგულებები თვით ამ ორგანოს ან გარემოებების მიხედვით, რომელიმე სხვა ორგანოს მიერ.
- 23.2 ასეთი პირობები უნდა მოიცავდეს განკარგულებათა სახის შეცვლის უფლებამოსილებას, რადგან კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება დროდადრო საჭიროდ ჩათვალოს ამის გაკეთება, მაგრამ ასეთი სახეცვლილება უნდა შეესაბამებოდეს ამ წესებში მოცემულ პრინციპებს.

## კომენტარი

გადაწყვეტილებას არასრულწლოვანთა საქმეებზე, სრულწლოვანთა საქმეებთან შედარებით, უფრო ხანგრძლივი ეფექტი აქვს სამართალდამრღვევის ცხოვრებაზე. ამგვარად, მნიშვნელოვანია, რომ კომპეტენტურმა ორგანომ ან დამოუკიდებელმა დაწესებულებამ (პირობითი ვადამდე გათავისუფლების საბჭო, პრობაციის სამსახური, ახალგაზრდა სამართალდამრღვევებზე სამეთვალყურეო დაწესებულება), რომელსაც გააჩნია ისეთივე კვალიფიკაცია, როგორც საქმეზე გადაწყვეტილების თავდაპირველად მიმღებ კომპეტენტურ ორგანოს – გააკონტროლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ამ მიზნით, ზოგიერთ ქვეყანაში დამკვიდრდა *juge de l' execution des peines*.

ორგანოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს; წესში 23 ყოველივე ზემოთქმული ზოგადად არის აღწერილი, რათა იგი მეტად მისაღები აღმოჩნდეს.

## 24. საჭირო დახმარებით უზრუნველყოფა

24.1 საჭიროა ძალისხმევა იმისათვის, რომ არასრულწლოვანს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე გაეწიოს ისეთი აუცილებელი დახმარება, როგორცაა, საცხოვრებელი ადგილით, განათლებითა თუ პროფესიული მომზადებით, დასაქმებითა და სხვა პირობებით უზრუნველყოფა, ასევე სხვა სახის სასარგებლო და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა რეაბილიტაციის პროცესისათვის ხელშესაწყობად.

## კომენტარი

არასრულწლოვანის კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა უდიდესი მნიშვნელობის საკითხია. შესაბამისად, წესი 24 ზაზს უსვამს აუცილებელი პირობებით, მომსახურებითა და სხვა ტიპის საჭირო დახმარებით მათი უზრუნველყოფის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანის ინტერესების დაცვას რეაბილიტაციის მთელი პროცესის განმავლობაში.

## 25. მოხალისეებისა და სხვა საზოგადოებრივი სამსახურების მობილიზაცია

25.1 საჭიროა მოხალისეების, მოხალისეთა ორგანიზაციების, ადგილობრივი დაწესებულებებისა და სხვა საზოგადოებრივი სამსახურების მოწოდება, რათა მათ თავიანთი საგრძნობი

წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ და ასევე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ოჯახურ გარემოში არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის საქმეში.

### *კომენტარი*

აღნიშნულ წესში ასახულია იმის საჭიროება, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ განხორციელებული ყველა ღონისძიება ორიენტირებული იყოს რეაბილიტაციაზე. კომპეტენტური ორგანოს დირექტივების ეფექტურად შესრულებისათვის აუცილებელია საზოგადოებასთან თანამშრომლობა. როგორც აღმოჩნდა, მოხალისეები და მოხალისეთა სამსახურები განსაკუთრებით ღირებული რესურსებია, თუმცა ამჟამად ისინი მცირე მასშტაბით გამოიყენება. ზოგიერთ შემთხვევაში, ყოფილ სამართალდამრღვევებთან (ნარკომანების ჩათვლით) თანამშრომლობა შეიძლება საკმაოდ სასარგებლო აღმოჩნდეს.

წესი 25 გამომდინარეობს წესებში 1.1 და 1.6 ჩამოყალიბებული პრინციპებიდან და შესაბამისობაშია ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამის დებულებებთან.

## **ნაწილი V. ინსტიტუციონალური ზემოქმედება დამნაშავეებზე**

### *26. დამნაშავეებზე ინსტიტუციონალური ზემოქმედების განხორციელების მიზნები*

- 26.1 დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვანთა წვრთნისა და მათზე არაღამსჯელი ზემოქმედების მოხდენის მიზანია მზრუნველობით, დაცვით, განათლებითა და პროფესიული ჩვევებით მათი უზრუნველყოფა, სოციალურად კონსტრუქციული და სასარგებლო საზოგადოებრივი როლის საკუთარ თავზე აღებაში მათთვის დახმარების გაწვევის მიზნით.
- 26.2 დახურული ტიპის დაწესებულებებში არასრულწლოვანები უნდა იმყოფებოდნენ მზრუნველობისა და დაცვის ქვეშ და მიიღონ ყველა სახის საჭირო დახმარება – სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ფიზიკური – რომელიც მათ შეიძლება დასჭირდეთ თავიანთი ასაკის, სქესისა თუ პიროვნების გამო ან აუცილებელია მათი უსაფრთხო განვითარებისათვის.

- 26.3 დახურული ტიპის დაწესებულებებში არასრულწლოვანები უნდა იმყოფებოდნენ სრულწლოვანებისაგან განცალკევებით და მათი დაკავების ადგილი უნდა იყოს ცალკე დაწესებულება ან იმ დაწესებულების ცალკე განყოფილება, რომელშიც სრულწლოვანებიც იმყოფებიან.
- 26.4 დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებული მდედრობითი სქესის ახალგაზრდა სამართალდამრღვევები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ მათი პირადი მოთხოვნილებებისა და პრობლემების გამო. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ მამრობითი სქესის ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან შედარებით ნაკლები მზრუნველობა, დაცვა, დახმარება, გამასწორებელი ზემოქმედება ან წვრთნა. გარანტირებული უნდა იყოს მათადმი სამართლიანი მოპყრობა.
- 26.5 დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინებით და მისი კეთილდღეობისათვის, მშობლებსა და მეურვეებს უნდა ჰქონდეთ მისი მონახულების უფლება.
- 26.6 წახალისებულ უნდა იქნას თანამშრომლობა სამინისტროებსა და დეპარტამენტებს შორის იმ მიზნით, რომ დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური აკადემიური ან პროფესიული წვრთნით, რათა იგი ამ დაწესებულების დატოვების შემდეგ, განათლების თვალსაზრისით, არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში.

### კომენტარი

ინსტიტუციონალური ზეგავლენის განხორციელების მიზნები, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წესებში 26.1 და 26.2, მისაღები უნდა იყოს ნებისმიერი სისტემისა და კულტურისათვის. თუმცა აღნიშნული მიზნები ყველგან ჯერ არ არის მიღწეული და ამ თვალსაზრისით, კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებული ნარკომანების, მოძალადე და ფსიქიურად დაავადებული ახალგაზრდებისათვის.

სრულწლოვანი სამართალდამრღვევებისაგან მომდინარე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილება და დახურული ტიპის დაწესებულებაში არასრულწლოვანის კეთილდღეობის გარანტირება, როგორც ეს მოცემულია წესში 26.3, სავსებით შეესაბამება წინამდებარე



წესების ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც ასევე დაფიქსირებულია მე-ნ კონგრესის მე-4 რეზოლუციაში. აღნიშნული წესი არ უკრძალავს სახელმწიფოებს სრულწლოვანი სამართალდამრღვევისაგან მომდინარე უარყოფითი ზეგავლენის წინააღმდეგ მიმართული სხვა ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც ამ წესში მოცემული ზომების მსგავსად ეფექტური მაინც იქნება. (იხილეთ, აგრეთვე, წესი 13.4)

წესი 26.4 შეეხება იმ ფაქტს, რომ ჩვეულებრივ, მდედრობითი სქესის სამართალდამრღვევები, მსგავს მდგომარეობაში მყოფი მამრობითი სქესის სამართალდამრღვევებთან შედარებით, ნაკლებ მზრუნველობას იღებენ, რაზეც გაამახვილა ყურადღება მე-ნ კონგრესმა. კერძოდ, მე-ნ კონგრესის მე-9 რეზოლუცია მოითხოვს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების თითოეულ ეტაპზე მდედრობითი სქესის სამართალდამრღვევთა მიმართ სამართლიან მოპყრობასა და დაკავების პერიოდში მათი კონკრეტული პრობლემებისა და მოთხოვნილებებისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობას. უფრო მეტიც, აღნიშნული წესი უნდა განიხილებოდეს მე-ნ კონგრესის კარაკასის დეკლარაციასთან ერთად, რომელიც, *inter alia*, მოითხოვს თანასწორ მოპყრობას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელებისას და ასევე ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციისა და ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის ფონზე.

მონახულების უფლება (წესი 26.5) გამომდინარეობს წესების 7.1, 10.1, 15.2 და 18.2 დებულებებიდან. თანამშრომლობას სამინისტროებსა და დეპარტამენტებს შორის (წესი 26.6) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავეებზე ინსტიტუციონალური ზემოქმედების ხარისხისა და სწავლების დონის ზოგადი ამაღლების თვალსაზრისით.

## 27. გაერთიანებული ერების მიერ მიღებული პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენება

27.1 პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გამოყენებული უნდა იყოს დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ, საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე თავისუფლებაშეზღუდულთა ჩათვლით იმდენად, რამდენადაც ეს მათ შეეხებათ.

27.2 საჭიროა ძალისხმევა იმისათვის, რომ პატიმართა მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ჩამოყალიბებული შესაბამისი პრინციპები მაქსიმალურად იქნას გამოყენებული, რათა დაკმაყოფილდეს არასრულწლოვანთა ასაკის, სქესისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელი ცვალებადი მოთხოვნები.

### კომენტარი

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები ერთ-ერთი პირველია ასეთი ტიპის დოკუმენტაგან, რომელიც პრომულგირებულ იქნა გაერთიანებული ერების მიერ. საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ ამ წესებმა მსოფლიო მასშტაბით აღიარება მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნები, სადა მათი შესრულება უფრო სურვილის დონეზეა ვიდრე ფაქტობრივად, აღნიშნული მინიმალური სტანდარტული წესები კვლავაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გასწორებითი დაწესებულებების საქმიანობის ჰუმანურად და სამართლიანად წარმართვაზე.

პატიმართა მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში მოცემულია დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დაცვის ზოგიერთი ძირითადი საშუალება (განსახლება, შენობები, საწოლი მოწყობილობა, ჩაცმულობა, საჩივრები და მოთხოვნები, გარე სამყაროსთან ურთიერთობა, საკვებ-სამედიცინო დახმარება, რელიგიური მსახურება, ასაკის მიხედვით დაყოფა, კადრების შერჩევა, სამუშაო და ა.შ.) და აგრეთვე, დებულებები საშემ არასრულწლოვანთა სასჯელის, დისციპლინისა და თავისუფლების შეზღუდვის შესახებ. ზოლო არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დაწესებულებებისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით შემოადინებული მინიმალური სტანდარტული წესების შეცვლა არამართებული იქნებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესების ფარგლებში.

წესი 27 ყურადღებას ამახვილებს დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ყოფის აუცილებელ პირობებზე (წესი 27.1) ისევე, როგორც მათი ასაკის, სქესისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელ ცვალებად მოთხოვნებზე (წესი 27.2). ამგვარად, აღნიშნული წესის მიზნები და შინაარსი მჭიდრო კავშირშია პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამის დებულებებთან.

## 28. პირობით გათავისუფლების ზომის ხშირი და ადრეულ ეტაპზე გამოყენება

- 28.1 შესაბამისმა ორგანომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს დახურული ტიპის დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლების ზომა და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე.
- 28.2 დახურული ტიპის დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლებულმა არასრულწლოვანებმა სათანადო ორგანოსაგან უნდა მიიღონ დახმარება, იმყოფებოდნენ მისი ზედამხედველობის ქვეშ და უნდა მიიღონ მხარდაჭერა მთელი საზოგადოებისაგან.

### კომენტარი

პირობით გათავისუფლების შესახებ განკარგულების გაცემის უფლებამოსილება შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც აღნიშნულია წესში 14.1, ან რომელიმე სხვა ორგანოს. ამის გათვალისწინებით, აქ “კომპეტენტურ” ორგანოსთან შედარებით, უფრო გამართლებულია “შესაბამისი” ორგანოს მოხსენიება.

თუ გარემოებები ამის საშუალებას იძლევა, პირობით გათავისუფლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სასჯელის სრულად მოხდასთან შედარებით. თუ სახეზეა დამაკმაყოფილებელი პროგრესი, რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ის სამართალდამრღვევებიც კი, რომლებიც დახურული ტიპის დაწესებულებაში მათი მოთავსების დროს საშიშად ითვლებოდნენ, შეიძლება პირობით გათავისუფლდნენ, როცა კი ამის შესაძლებლობა არსებობს. ისევე, როგორც პრობაციას, ასეთ გათავისუფლებას შეიძლება პირობად დაედოს იმ მოთხოვნების დამაკმაყოფილებლად შესრულება, რომლებიც შესაბამისმა ორგანოებმა დააწესეს გადაწყვეტილებაში მითითებული დროის გარკვეული მონაკვეთისათვის და რომლებიც, მაგალითად, შეეხება სამართალდამრღვევის “კარგ ყოფაქცევას”, საზოგადოებრივ პროგრამებში მონაწილეობას, სახლის ტიპის დაწესებულებაში ცხოვრებას და ა.შ.

დახურული ტიპის დაწესებულებიდან სამართალდამრღვევის პირობით გათავისუფლების შემთხვევაში, პრობაციის ან სხვა სამსახურის თანამშრომელმა (განსაკუთრებით იქ, სადაც პრობაცია ჯერ არ დამკვიდრებულა) უნდა უზრუნველყოს მისთვის დახმარება და მასზე ზედამხედველობის განხორციელება, წახალისებულ უნდა იქნას მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდანაც.

## 29. ნახევრადინსტიტუციონალური დაწესებულებები

29.1 საჭიროა ძალისხმევა ისეთი ნახევრადინსტიტუციონალური დაწესებულებების შესაქმნელად, როგორებიცაა: სახლის ტიპის დაწესებულებები, სასწავლო სახლები, დღის სასწავლო ცენტრები და სხვა შესაფერისი დაწესებულებები, რომლებიც შესაძლოა არასრულწლოვანებისათვის სასარგებლო აღმოჩნდეს საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციის პროცესში.

### კომენტარი

ინსტიტუციონალიზაციის შემდგომი მზრუნველობის მნიშვნელობა სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული. აღნიშნული წესი ხაზს უსვამს ნახევრადინსტიტუციონალური დაწესებულებების ქსელის შექმნის აუცილებლობას.

მოცემული წესი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მოწყობილობებისა და მომსახურების მრავალფეროვნებას, რომლებიც გათვალისწინებულია საზოგადოებაში ხელახლა შესვლის პროცესში მყოფი ახალგაზრდა სამართალდამრღვევების სხვადასხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ასევე, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელმძღვანელობა და კონსტრუქციული მხარდაჭერა, როგორც საზოგადოებაში წარმატებული რეინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

## ნაწილი VI. გამოკვლევა, დაგეგმვა, პოლიტიკის ფორმულირება და შეფასება

30. *გამოკვლევა, როგორც დაგეგმვის, პოლიტიკის ფორმულირებისა და შეფასების საფუძველი*

30.1 აუცილებელია ძალისხმევა საჭირო გამოკვლევების, როგორც დაგეგმვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძვლის, ორგანიზებისა და ხელშეწყობისათვის.

30.2 აუცილებელია ძალისხმევა, რათა დროაღრო განხილულ და შეფასებულ იქნას არასრულწლოვანთა დელინქენტურობისა და დანაშაულის ტენდენციები, პრობლემები და მიზეზები ისევე, როგორც დაკავებულ არასრულწლოვანთა განსაკუთრებული, ცვალებადი მოთხოვნილებები.

30.3 აუცილებელია ძალისხმევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების სისტემის შიგნით

რეგულარული შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად და ამ სისტემის სათანადოდ შეფასების, სამომავლო გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის შესაგროვებლად და კასანალიზებლად.

30.4 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების სისტემაში მომსახურების ახალი ფორმების დანერგვა სისტემატურად უნდა იგეგმებოდეს და ხორციელდებოდეს როგორც ეროვნული განვითარებისათვის ძალისხმევის განუყოფელი ნაწილი.

### *კომენტარი*

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გააზრებული პოლიტიკის საფუძვლად გამოკვლევის გამოყენება ფართოდ აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი იმისათვის, რომ ცოდნაში არაგრესისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მუდმივი განვითარებისა და გაუმჯობესების პირობებში, პრაქტიკა სათანადო სიმაღლეზე შენარჩუნდეს. გამოცდილების ორმხრივი გაზიარება გამოკვლევასა და პოლიტიკას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. ახალგაზრდების ცხოვრების წესისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის ფორმებისა და მასშტაბების სწრაფი და ხშირი დრამატული ცვალებადობის პირობებში არასრულწლოვანთა დანაშაულობასა და დელინქენტურობაზე საზოგადოებისა და მართლმსაჯულების რეაგირების ფორმები სწრაფად ხდება მოძველებული და არაადეკვატური.

ამგვარად, წესი 30 ადგენს პოლიტიკის ფორმულირებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას მისი გამოყენების პროცესებში გამოკვლევის ინტეგრირების სტანდარტებს. აღნიშნული წესი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას არსებული პროგრამებისა და ზომების რეგულარული გადამოწმების, შეფასებისა და საერთო განვითარების მიზნების უფრო ფართო კონტექსტში მათი დაგეგმვის აუცილებლობაზე.

არასრულწლოვანთა მოთხოვნილებების ისევე, როგორც დანაშაულობის ტენდენციებისა და პრობლემების მუდმივი შეფასება, აუცილებელი პირობაა შესაფერისი პოლიტიკის ფორმულირების მეთოდების გაუმჯობესებისა და ინტერვენციის ადეკვატური ფორმების შემუშავებისათვის როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დონეზე. ამ თვალსაზრისით, პასუხისმგებელმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ დამოუკიდებელი ადამიანებისა და ორგანოების მიერ გამოკვლევის

წარმართვას და ამასთანავე, შესაძლებელია სასარგებლო იყოს თვით არასრულწლოვანთა შეხედულებების შეტყობა და მათი გათვალისწინება და არა მარტო მათი, ვისაც სისტემასთან შეხება ჰქონია.

დაგეგმარების პროცესში ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს საჭირო მომსახურების ახალი ფორმების დანერგვის სისტემის ეფექტურობასა და სამართლიანობაზე. და ბოლოს, უნდა მოხდეს არასრულწლოვანთათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი მოთხოვნილებებისა და პრობლემების ამომწურავი და რეგულარული შეფასება და მკვეთრად განსაზღვრული პრიორიტეტების შერჩევა. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ასევე არსებული რესურსების გამოყენების კოორდინირება, იმ ალტერნატივებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ჩათვლით, რომლებიც შესაძლოა ჩამოყალიბებული პროგრამების განხორციელებისა და გაკონტროლებისათვის გამიზნული კონკრეტული პროცედურების შემუშავებისათვის შესაფერისი აღმოჩნდეს.

კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი,  
არაადამიანური  
ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის  
წინააღმდეგ

მიღებულია და ღია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და მიერთებისათვის  
გენერალური ასამბლეის 39/46 რეზოლუციით 1984 წლის 10 დეკემბერს

პალაშია: 1987 წლის 27 წლის 26 იანვრიდან, 27(1) მუხლის  
შესაბამისად

*წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,*

*ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
წესდებით გამოცხადებული პრინციპების თანახმად, ადამიანის ოჯახის  
ყველა წევრის თანაბარი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის  
საყოველთაო თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის  
საფუძველი,*

*აღიარებენ რა, რომ ეს უფლებები გამოძღინარეობს ადამიანის  
პიროვნებისათვის თანდაყოლილი ღირსებიდან,*

*ითვალისწინებენ რა წესდებით ნაკისრ ვალდებულებას,  
სახელდობრ, 55-ე მუხლის შესაბამისად, რომ ხელი შეუწყონ ადამიანის  
უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და  
დაცვას,*

*ითვალისწინებენ რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო  
დეკლარაციის მე-5 მუხლისა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა  
საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დებულებებს, რომლის თანახმადაც  
არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების  
შემლახავ მოპყრობასა და სასჯელს,*

*ითვალისწინებენ რა აგრეთვე გენერალური ასამბლეის მიერ 1976  
წლის 9 დეკემბერს მიღებულ დეკლარაციას წამებისა და სხვა სასტიკი,  
არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისგან  
ყველა პირის დაცვის შესახებ,*

*სურთ რა, აამაღლონ მთელ მსოფლიოში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შეზღაპრული მოყარობისა და სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა,*

**შეთანხმდნენ შემდეგზე:**

**ნაწილი I**

**მუხლი 1**

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას, რათა მისგან ან მესამე პირისგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, ან დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც ეჭვიმითანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის საფუძველზე, როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია წამებით ან თანხმობით, ან თანამდებობის პირის უსიტყვო თანხმობით, ან სხვა ისეთი პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა ოფიციალური პირის სტატუსით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მისგან გამოწვეული.
2. წინამდებარე მუხლი არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს დებულებებს უფრო ფართო გამოყენების შესახებ.

**მუხლი 2**

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ეფექტურ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო ან სხვა ზომებს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად.
2. არავითარი განსაკუთრებული გარემოება, როგორც არ უნდა იყოს იგი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, შიდა



პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერ სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება ჩაითვალოს წამების გამართლებად.

3. ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს ბრძანება არ შეიძლება ჩაითვალოს წამების გამართლებად.

### მუხლი 3

1. არც ერთმა მონაწილემ სახელმწიფო არ უნდა გააძევოს, დააბრუნოს (refouler) ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მას იქ დაეპუქრება წამების საფრთხე.
2. ასეთი საფუძვლის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ორგანოები ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემობას, მათ შორის შესაბამის შემთხვევებში, მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმასფროთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას.

### მუხლი 4

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების ყველა აქტი ითვლებოდეს დანაშაულად ამ კონკრეტული სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. იგივე ეხება წამების მცდელობას და ნებისმიერი პირის ქმედებას, რომელიც თავისი არსით არის წამებაში თანამონაწილეობა ან მონაწილეობა.
2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო განსაზღვრავს შესაბამის სასჯელის ზომას ასეთი დანაშაულისათვის მათი სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით.

### მუხლი 5

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ ზომებს, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს მე-4 მუხლში აღნიშნული დანაშაულებათა მიმართ ბისი იურისდიქციის დასადგენად შემდეგ შემთხვევებში:

- a. როცა დანაშაული ჩადენილია მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, ან ქვეყანაში რეგისტრირებულ საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე;
  - b. როცა საეარაულო ბოროტმოქმედი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა;
  - c. როცა მსხვერპლი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა ან თუ მოცემულ სახელმწიფოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია.
2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ანალოგიურად იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა დაადგინოს თავისი იურისდიქცია ასეთ დანაშაულობათა მიმართ ისეთ შემთხვევებში. როცა საეარაულო ბოროტმოქმედი იმყოფება მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე, და იგი მე-8 მუხლის შესაბამისად არ გადასცემს მას ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს.
  3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 6

1. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმთავანილი პირი, როცა მის ხელთ არსებული ინფორმაციის განხილვის შემდეგ დარწმუნდება, რომ ამას გარემოება მოითხოვს, ზემოაღნიშნულ პირს აპატიმრებს ან იღებს ისეთ სამართლებრივ ზომებს, რომელიც უზრუნველყოფს მის დასწრებას. დაკავება და სხვა ასეთი ზომების მიღება ხორციელდება მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა სისხლისსამართლებრივი ან გადაცემის პროცედურის განსახორციელებლად.
2. ასეთი სახელმწიფო დაუყოვნებლივ ახდენს ფაქტების წინასწარ შესწავლას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დაკავებულ ნებისმიერ პირს უნდა დაეხმარონ, რათა დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს იმ

სახელმწიფოს უახლოეს წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც ის არის, ან, თუ ის მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ სახელმწიფოს წარმომადგენლობას, სადაც ცხოვრობს.

4. როცა სახელმწიფო ამ მუხლის შესაბამისად რომელიმე პირს აკავებს, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მე-5 მუხლის I პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფოებს ასეთი პირის დაკავებისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო მის დაკავებას. სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ წინასწარ გამოძიებას, მიღებულ მონაცემებს დაუყოვნებლივ ატყობინებს ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს და უთითებს, აპირებს თუ არა იგი თავისი იურისდიქციის განხორციელებას.

## მუხლი 7

1. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომლის იურისდიქციაში შემაჯალ ტერიტორიაზე აღმოჩენილია მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამნაშავის გადაცემას არ აპირებს, მოცემულ საქმეს გადასცემს თავის კომპეტენტურ ორგანოებს სასამართლო დევნის მიზნით.
2. ხელისუფლების ორგანოები იღებენ ისეთივე გადაწყვეტილებას, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი სერიოზული ხასიათის დანაშაულის შემთხვევაში ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებში, სასამართლო დევნისათვის და მსჯავრდებისათვის საჭირო მტკიცებებისადმი წაყენებული მოთხოვნები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს იმათზე ნაკლებად მკაცრი, რომლებიც გამოიყენება მე-5 მუხლის I პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში.
3. ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც ზორციელდება სასამართლო პროცესი მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის გამო, გარანტირებული უნდა ჰქონდეს სამართლიანი მოპყრობა სასამართლო პროცესის ყველა სტადიაზე.

## მუხლი 8

1. მე-4 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებანი მონაწილე სახელმწიფოთა შორის გადაცემის თაობაზე, დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში შეტანილ უნდა იქნეს როგორც დანაშაულობანი, რომლებიც იწვევს დამნაშავის ექსტრადიციას. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას ასეთი დანაშაულობანი შეიტანონ გადაცემის თაობაზე ერთმანეთს შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებაში როგორც დანაშაულობანი, რომელიც იწვევს დამნაშავის გადაცემას.
2. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც გადაცემას ახორციელებს მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღებს თხოვნას გადაცემის თაობაზე სხვა მონაწილე სახელმწიფოსაგან, რომელთანაც ასეთი ხელშეკრულება არ აქვს დადებული, მას შეუძლია წინამდებარე კონვენცია ასეთ დანაშაულებათა მიმართ განიხილოს როგორც სამართლებრივი საფუძველი დამნაშავის გადაცემისათვის. გადაცემა ხდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების შესაბამისად, რომელსაც ეთხოვა გადაცემა.
3. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც გადაცემას არ ახორციელებენ ხელშეკრულების საფუძველზე, ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ასეთ დანაშაულობებს განიხილავენ როგორც დანაშაულობებს, რომლებიც იწვევს დამნაშავის გადაცემას იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისა, რომელსაც ეთხოვა გადაცემა.
4. ასეთი დანაშაულობანი გადაცემის მიზნებისათვის მონაწილე სახელმწიფოებს შორის განიხილება ისევე, როგორც ისინი ჩადენილი რომ ყოფილიყო არა მარტო მათი ჩადენის ადგილას, არამედ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზეც, რომლებიც ვალდებული არიან დააწესონ თავიანთი იურისდიქცია მე-5 მუხლის შ პუნქტის შესაბამისად.

## მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები მაქსიმალურ დახმარებას უწევენ ერთმანეთს რაც შეიძლება მე-4 მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი

დანაშაულის მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლებრივი საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებულით, მათ შორის გადასცემენ მათ ხელთ არსებულ ყველა მტკიცებას, რომლებიც საჭიროა სასამართლო არჩევისათვის.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ვალდებულებებს ასრულებენ ამ მუხლის I პუნქტის თანახმად და სამართლებრივი ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც შეიძლება დაიდოს მათ შორის.

## მუხლი 10

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამებ-ის აკრძალვასთან დაკავშირებული სასწავლო მასალები და ინფორმაცია სრულად იქნეს შეტანილი სამართადაცავი ორგანოების თანამშრომელთა, სამოქალაქო თუ სამხედრო პირების, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და იმ სხვა პირთა სასწავლო პროგრამებში, რომლებსაც შეიძლება საქმე ჰქონდეთ ნებისმიერი სახით დაპატიმრებული, დაკავებული ან საპყრობილეში ჩასმული პირის დაპატიმრება, დაკითხვასა და ან მათდაც მოპყრობასთან.
2. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს ასეთი აკრძალვა შეაქვს, ნებისმიერი ზემოაღნიშნული პირის მოვალეობათა და ფუნქციების განმსაზღვრელ წესდებებსა და ინსტრუქციებში.

## მუხლი 11

ყოველი მონაწილე სახელმწიფო სისტემატურად გადასინჯავს წესდებას, ინსტრუქტივებს, მეთოდებსა და პრაქტიკას იმ პირთა დაკითხვის, პატიმრობაში ყოლისა და მოპყრობის პირობების შესახებ, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დაპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, რათა არ დაუშვან წამების რაიმე შემთხვევა.

## მუხლი 12

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა აწარმოონ დაუყოვნებელი და

მიუკერძოებელი გამოძიება, როცა საკმარისი საფუძველია ეჭვისათვის, რომ მის იურისდიქციაში დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე ჩადენილ იქნა წამების აქტი.

### მუხლი 13

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენას და მათ მიერ ასეთი საჩივრის დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად შესწავლის უფლებას. მიიღება ზომები საჩივრის ან ჩვენების მიცემის გამო მომჩივანისა და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისა და დაშინებისაგან დასაცავად.

### მუხლი 14

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო მის სამართლებრივ სისტემაში უზრუნველყოფს, რომ წამების მსხვერპლი იღებდეს ანაზღაურებას და მას ჰქონდეს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის ხელშეუვალი უფლება, მათ შორის რაც შეიძლება სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრების მიღების უფლება. წამების შედეგად მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის უფლება ენიჭებათ მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.
2. ამ მუხლში არაფერი არ ეხება მსხვერპლის ან სხვა პირის კომპენსაციის ნებისმიერ უფლებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნული კანონმდებლობით.

### მუხლი 15

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, მიღებულია წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად სასამართლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც იმის მტკიცებულება, რომ ეს განცხადება გაკეთდა.

## მუხლი 16

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის სხვა აქტები, რომლებიც არ შეესაბამებიან I მუხლში აღნიშნული წამების განსაზღვრებას, როცა ასეთ აქტებს ახორციელებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი და ხორციელდება მათი წაქეზებით, ნებართვით ან უსიტყვო თანხმობით, კერძოდ ვალდებულებები, რომლებსაც შეიცავს მე-10, 11, 12 და 13 მუხლები, გამოიყენება. ოღონდ მათში ნახსენები განსაზღვრება წამება უნდა შეიცვალოს განსაზღვრებით – სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის სხვა სახეობით.
2. ამ კონვენციის დებულებები არ ეწინააღმდეგება სხვა საერთაშორისო აქტებს ან შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობის დებულებებს, რომლებიც კრძალავენ სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და სასჯეს ან ეხება დამნაშავეის გადაცემას ან გაძევებას.

## ნაწილი II

### მუხლი 17

1. იქმნება წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (შემდგომში “კომიტეტი”), რომელიც ახორციელებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებსაც მაღალი მორალური თვისებები აქვთ და თავიანთი კომპეტენტურობით აღიარებული არიან ადამიანის უფლებათა სფეროში და მოქმედებენ დამოუკიდებლად. ექსპერტებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები. ამასთან ყურადღება ექცევა სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას და იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობის მიზანშეწონილობას.
2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილ პირთა სიიდან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს დაასახელოს ერთი კანდიდატურა თავის მოქალაქეთაგან. მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ ისეთ

პირთა დასახელების მიზანშეწონილობას, რომლებიც აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო ფაქტის შესაბამისად დაარსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრები არიან და რომლებსაც სურვილი აქვთ იმუშაონ წამების საწინააღმდეგო კომიტეტში.

3. კომიტეტის წევრების არჩევა ხდება მონაწილე სახელმწიფოთა შეხვედრებზე, რომლებსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. ამ შეხვედრებზე, სადაც ქვორუმი შეადგენს მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს, კომიტეტის წევრებად არჩეულებად ითვლებიან კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ შეხვედრაზე დამსწრე და ენჭვისყრაში მონაწილე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.
4. თავდაპირველი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ექვსი თვის შემდეგ ამ კონვენციის ამოქმედების დღიდან. მორიგი არჩევნების თარიღამდე სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს წინადადებით, რომ სამი თვის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები. გენერალური მდივანი ამზადებს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეაქვს დასახელებული პირები იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს და სიას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.
5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ აქვთ განმეორებითი არჩევის უფლება, თუ ხელახლა იქნებიან წარდგენილი. ოღონდ პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილებათა ვადა იწურება ორი წლის პერიოდის დასასრულს; პირველი არჩევნებისთანავე წილისყრით განისაზღვრება ამ ხუთი წევრი ვინაობა, რომელსაც აწყობს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული თათბირის თავმჯდომარე.
6. კომიტეტის წევრის გარდაცვალების ან თანამდებობიდან გადადგომის ან მის მიერ რაიმე სხვა მიზეზით კომიტეტში ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი კანდიდატურის წარმდგენი მონაწილე სახელმწიფო დარჩენილი ვადით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან, რომელსაც იწონებს მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა. თანხმობა მიღებულად ითვლება, თუ



მონაწილე სახელმწიფოთა ნახევარმა ან უფრო მეტმა უარყოფითად არ უპასუხა შემოთავაზებული დანიშვნის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისაგან ინფორმაციის მიღების შემდეგ ექვსი კვირის განმავლობაში.

7. მონაწილე სახელმწიფოები ფარავენ კომიტეტის წევრთა ხარჯებს მათ მიერ კომიტეტში მოვალეობათა შესრულების პერიოდში.

## მუხლი 18

1. კომიტეტი ირჩევს თავის თანამდებობის პირებს ორი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული.
2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, მაგრამ ამ წესებში, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს:
  - a. ექვსი წევრი ქმნის კვორუმს;
  - b. კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით;
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალს და პირობებს ამ კონვენციის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით.
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ სხდომას. კომიტეტი თავის პირველი სხდომის შემდეგ იკრიბება მისი პროცედურის წესებით გათვალისწინებული პერიოდულობით.
5. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ მონაწილე სახელმწიფოთა და კომიტეტის შეხვედრების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ნებისმიერი ხარჯების ანაზღაურებას, როგორც არის პერსონალის გასამარჯელო და პირობების ხარჯები, რომლებსაც უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

## მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგენენ მოხსენებებს მოცემული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში თავიანთ ვალდებულებათა განსახორციელებლად მიღებული ზომების თაობაზე. შემდგომში მონაწილე სახელმწიფოები ოთხ წელიწადში ერთხელ წარუდგენენ კომიტეტს დამატებით მოხსენებებს ნებისმიერ ახალ ღონისძიებათა თაობაზე, აგრეთვე სხვა მოხსენებებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს კომიტეტმა.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ მოხსენებებს უგზავნის ყოველ მონაწილე სახელმწიფოს.
3. ყოველ მოხსენებას განიხილავს კომიტეტი, რომელსაც შეუძლია გააკეთოს ისეთი ზოგადი ხასიათის შენიშვნები, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს, და უგზავნის მათ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს შეუძლია კომიტეტს წარუდგინოს საპასუხო მოსაზრებები.
4. კომიტეტს თავის შეხედულებისამებრ შეუძლია მის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი შენიშვნა, შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსაგან მიღებულ საპასუხო მოსაზრებასთან ერთად შეიტანოს თავის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელსაც ამზადებს 24-ე მუხლის შესაბამისად. მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით კომიტეტს ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად შეუძლია თავის ანგარიშს დაურთოს ზემოაღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მოხსენების ასლი.

## მუხლი 20

1. თუ კომიტეტი სარწმუნო ინფორმაციას იღებს, რომელიც, მისი აზრით, შეიცავს სრულიად დასაბუთებულ მონაცემებს რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების სისტემატური გამოყენების თაობაზე, იგი ამ მონაწილე სახელმწიფოს სთავაზობს თანამშრომლობას ასეთი ინფორმაციის განხილვაში და ამ მიზნით თავისი შენიშვნების წარდგენას.

2. შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი მისაზრების, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაციის გათვალისწინებით, კომიტეტს შეუძლია, თუ იგი ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, თავისი ერთ ან რამდენიმე წევრს დაავალოს კონფიდენციალური გამოძიება და კომიტეტისათვის შესაბამისი მოხსენების სასწრაფო წარდგენა.
3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ტარდება გამოძიება, კომიტეტი ესწრაფვის თანამშრომლობის დამყარებას შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან. ამ მონაწილე სახელმწიფოს თანახმობით ასეთი გამოძიება შეიძლება ითვალისწინებდეს მის ტერიტორიაზე ჩასვლას.
4. ამ წევრის ან წევრთა მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგების განხილვის შემდეგ, რომლებიც წარედგინება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტი ამ შედეგებს ნებისმიერ შენიშვნებთან და წინადადებებთან ერთად, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიაჩნია, უგზავნის შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს.
5. წინამდებარე მუხლის 1-4 პუნქტებში აღწერილი კომიტეტის მთელი მუშაობა კონფიდენციალური ხასიათისაა, და კომიტეტი ამ სამუშაოს ყველა ეტაპზე უნდა ესწრაფოდეს მონაწილე სახელმწიფოსთან თანამშრომლობას. ასეთი სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მე-2 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული გამოძიების თაობაზე კომიტეტს, შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ სამუშაოს შედეგების შესახებ მოკლე ანგარიში შეიტანოს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელსაც 24-ე მუხლის შესაბამისად ამზადებს.

## მუხლი 21

1. ამ მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები, რომლებიც ეხება ერთი მონაწილე სახელმწიფოს განცხადებას იმის თაობაზე, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთი შეტყობინება ამ მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურების

შესაბამისად მიიღება და განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება მის მიმართ კომიტეტის კომპეტენციის ცნობის თაობაზე. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად არ განიხილავს შეტყობინებებს, თუ ისინი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. ამ მუხლის თანახმად მიღებული შეტყობინებები განიხილება შემდეგი პროცედურის მიხედვით:

- a. თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო თვლის, რომ ჩორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციის დებულებებს, შეუძლია წერილობით აცნობოს ეს საკითხი აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ ცნობის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში მისი მიმღები სახელმწიფო ცნობის გამოგზავნის სახელმწიფოს ასევე წერილობით წარუდგენს ახსნა-განმარტებას ან ნებისმიერ სხვა განცხადებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შეიცავდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებსა და ზომებს, რომლებიც მიიღეს ან და შეიძლება მიიღონ;
- b. თუ საკითხის გადაწყვეტა ვერ აკმაყოფილებს ორივე მონაწილე სახელმწიფოს, ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს, მიმღები სახელმწიფოს მიერ თავდაპირველი ცნობის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს და ამის თაობაზე აცნობოს კომიტეტს და მეორე სახელმწიფოს;
- c. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ მიღებული იყო ყველა შიდა ხელმისაწვდომი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ზომების მიღება გამართლებლად ჭიანურდება ან ვერაეითარ ეფექტურ დახმარებას ვერ გაუწევს პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია;
- d. ამ მუხლის თანახმად ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს;

- e. კომიტეტი c) ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს ან კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების პატივისცემის საფუძველზე საკითხის მეგობრულად გადაწყვეტის მიზნით. ამისათვის კომიტეტს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შექმნას სპეციალური შემთანხმებლური კომისია;
- f. ამ მუხლის შესაბამისად მისთვის გადაცემულ ნებისმიერი საკითხის გამო კომიტეტის შეუძლია მოუწოდოს b) ქვეპუნქტში აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს წარმოადგინონ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია;
- g. შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც აღნიშნულია b) ქვეპუნქტში, აქვთ კომიტეტში საკითხის განხილვისას წარმომადგენლობის და წერილობითი ან ზეპირი წარდგინების შეტანის უფლება;
- h. კომიტეტი b) ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინების მიღების დღიდან თორმეტი თვის განმავლობაში წარადგენს ცნობებს:
- i. თუ მიღწეულია გადაწყვეტილება e) ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, და კომიტეტი თავის ცნობაში კმაყოფილდება ფაქტების და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლედ ჩამოყალიბებით;
  - ii. თუ გადაწყვეტილება e) ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, და კომიტეტი თავის ცნობაში კმაყოფილდება ფაქტების მოკლე ჩამოყალიბებით; ცნობასთან ერთად წერილობითი წარდგინება და შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოთა ზეპირ განცხადებათა ჩანაწერი.

ყოველ საკითხზე ცნობა ეგზავნებათ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებები ძალაში შედის, როცა ამ კონვენციის ზუთი მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის I

პუნქტის შესაბამისად. ასეთი განცხადებები შესაძლებელია ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათ ასლებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების უკან გატანა შეიძლება ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნით. განცხადების უკან გატანამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელსაც შეიცავს ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობა. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობა ამ მუხლის შესაბამისად არ მიიღება გენერალური მდივნის მიერ განცხადების უკან გატანის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ შესაბამისმა მონაწილე სახელმწიფომ ახალი განცხადება არ გააკეთა.

## მუხლი 22

1. წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ამ მუხლის შესაბამისად შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ იმ პირთა შეტყობინებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის მსხვერპლი არიან, ან მათი სახელით შემოსული სხვა ამგვარი ცნობები. კომიტეტი არავითარ ცნობებს არ იღებს, თუ ისინი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი განცხადება არ გაუკეთებია.
2. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად მიუღებლად მიიჩნევს ნებისმიერ შეტყობინებას, რომელიც ანონიმურია ან, მისი აზრით, წარმოადგენს ასეთი შეტყობინების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას ან შეუთავსებელია ამ კონვენციის დებულებებთან.
3. მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით კომიტეტი ამ მუხლის შესაბამისად მისთვის წარდგენილ ყველა შეტყობინების შესახებ აცნობს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება I პუნქტის თანახმად და რრალადე ედება კონვენციის რომელიმე იმ დელეგატის დარღვევა. ექვსი თვის განმავლობაში ცნობის მიმღები სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს წერილობით ახსნა-

განმარტებას ან განცხადებას, რომელიც აზუსტებს საკითხს და იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღებასაც შესაძლებლად თვლის.

4. ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ შეტყობინებებს კომიტეტი განიხილავს მთელ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც მას წარუდგენს მოცემული პირი, ან მისი სახელით და ან შესაბამისი მონაწილე სახელმწიფო.
5. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად არ განიხილავს არცერთ შეტყობინებას, რომელიმე პირისაგან, თუ იგი არ დარწმუნდება, რომ:
  - a. იგივე საკითხი არ განხილულა ან არ განიხილება საერთაშორისო საგამომიებო ან მომგვარებელი პროცედურების შესაბამისად;
  - b. პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა საშინაო საშუალება; ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევებში, როცა ამ ზომების გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება ან არაეფექტურია პირისათვის, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია.
6. ამ მუხლის მიხედვით კომიტეტი შეტყობინებებს იხილავს დახურულ სხდომაზე.
7. კომიტეტი თავის დასკვნებს აცნობებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და ფიზიკურ პირებს.
8. ამ მუხლის დებულებები ძალაში შედის, როცა ამ კონვენციის ხუთი მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად. ასეთი განცხადებები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ასლებს უგზავნის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების გამოთხოვა შეიძლება ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნით. განცხადების გამოთხოვა ზიანს არ უნდა აყენებდეს ნებისმიერი საქმის განხილვას, რომელსაც შეიცავს ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობა; ნებისმიერი პირის მიერ ან მისი სახელით გაგზავნილი არაეითარი შემდგომი ცნობა არ მიიღება ამ მუხლის შესაბამისად გენერალური მდივნის მიერ განცხადების

გამოთხოვნის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს ახალი განცხადება არ გაუკეთებია.

### მუხლი 23

კომიტეტის და სპეციალური შემთანხმებელი კომისიის წევრებს, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ 21-ე მუხლის I პუნქტის e) ქვეპუნქტის თანახმად, აქვთ იმ ექსპერტთა შეღავათების, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება, რომლებიც მოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციის შესაბამისი კარებით.

### მუხლი 24

კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ მოხსენებას ამ კონვენციის შესაბამისად თავისი მუშაობის თაობაზე.

## ნაწილი III

### მუხლი 25

1. ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად.
2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

### მუხლი 26

ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის მისაერთებლად. მიერთება ხდება მიერთების დოკუმენტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანთან დეპონირების გზით.



## მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში შედის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარების თარიღიდან ოცდამეათე დღეს.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის თავისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან ოცდამეათე დღეს.

## მუხლი 28

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან მასთან მიერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ ცნობს მე-20 მუხლით განსაზღვრული კომპეტენციას.
2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც გააკეთებს დათქმებს ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს გაუუქმოს დათქმა, რაც უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

## მუხლი 29

1. ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორება და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემოთავაზებულ შესწორებას უგზავნის მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით, რომ აცნობონ მას უჭერენ თუ არა მხარს მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევას ამ წინადადების განხილვისა და კენჭისყრის მოწყობის მიზნით. თუ ასეთი შეტყობინების გაგზავნის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა ერთი მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ნებისმიერ შესწორებას, რომელსაც

მიიღებს კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, გენერალური მდივანი წარუდგენს ყველა მონაწილე სახელმწიფოს მისაღებად.

2. ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის მამინ, როცა ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს შეატყობინებს, რომ მათ მიიღეს ეს შესწორება მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.
3. როცა შესწორება ძალაში შედის, იგი სავალდებულოა ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის, რომლებმაც იგი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა ამ კონვენციის ის დებულებანი და ნებისმიერი წინა შენიშვნები, რომლებიც მათ მიიღეს.

### მუხლი 30

1. ორი ან უფრო მეტ მონაწილე სახელმწიფოთა შორის ნებისმიერი დავა ამ კონვენციის განმარების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც ვერ რეგულირდება მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით გადაეცემა არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟში თხოვნის შეტანის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას არბიტრაჟის ორგანიზაციის თაობაზე, ერთ-ერთი ნებისმიერი მხარის თხოვნით დავა შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად.
2. ყოველ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს შეუძლია გააკეთოს განცხადება, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს ამ მუხლის I პუნქტის დებულებებს. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის ამ მუხლის I პუნქტის დებულებები სავალდებულო არ იქნება იმ ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ასეთი დათქმა გააკეთა.
3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც აწესებს დათქმას ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს დათქმა, რაც უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

## მუხლი 31

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსირების აქტი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.
2. ასეთი დენონსირება არ ათავისუფლებს მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებისაგან ნებისმიერი ქმედების ან დაუდევრობისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დენონსაციის ძალაში შესვლამდე. დენონსაცია არანაირ ზიანს არ აყენებს ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელსაც კომიტეტი განიხილავდა დენონსაციის ძალაში შესვლამდე.
3. მონაწილე სახელმწიფოსათვის დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ კომიტეტი არ იწყებს ახალი საკითხების განხილვას, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოს ეხება.

## მუხლი 32

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და ყველა სახელმწიფოს, ვინც ხელი მოაწერა ამ კონვენციას ან მიუერთდა მას, აცნობებს:

- a. ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად;
- b. ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს 27-ე მუხლის შესაბამისად და ნებისმიერი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს 29-6 მუხლის შესაბამისად;
- c. დენონსირების შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად.

წინამდებარე კონვენცია, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბარი ძალისაა, შესაძლებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ კონვენციის დამოწმებულ პირებს უგზავნის ყველა სახელმწიფოს.

პრეამბულა

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების, თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველი.

მხდველობაში იღებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხებმა წესდებაში ცხადყვეს თავიანთი ერთგულება ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებებისადმი და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეტი თავისუფლების პირობებში ხელი შეუწყოს სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

აღაარებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებში გამოაცხადა, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტებში მითითებული ყველა უფლება და თავისუფლება განურჩევლად ისეთი ნიშნებისა, როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება თუ სხვა ვითარებანი.

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ბავშვთა უფლება, განსაკუთრებული მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი.

დარწმუნებული არიან რა, რომ ოჯახში, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მის წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებლად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი.

აღიარებენ რა, რომ ბავშვის პირობების სრული და პარამონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბუნებრივების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

მიზნიათ რა, რომ ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული იდეალების, განსაკუთრებით კი მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

მხედველობაში იღებენ რა, რომ ბავშვის ასეთი განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მე-10 მუხლით), აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალური ზებუღი დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით.

მხედველობაში იღებენ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ "ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუშფიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ".

ვერდნობიან რა დაკლარაციის დებულებებს იმ სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლებიც მოიცავს ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადაცემისა და შეილად აყვანისას, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების გაერთიანებული ერების ორგანიზაციისეულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს ("პეინის წესები"), განსაკუთრებულ ვითარებაში და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ დეკლარაციას.

აღიარებენ რა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და რომ ასეთი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

სათანადოდ ითვისებისწინებენ რა ბავშვის დაცვისა და პარამონიული განვითარებისათვის ყოველი ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების მნიშვნელობას,

აღიარებენ რა ყველა ქვეყანაში, კერძოდ. განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას,

შეთანხმდნენ შედეგებზე:

## ნაწილი I

### მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

### მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.
2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა

წვერთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.

### მუხლი 3

1. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.
2. მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის შშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტკივნეული კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალებებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.
3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვისათვის ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რიცხობრიობისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

### მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარ ზომას წინამდებარე კონვენციით . აღიარებულ უფლებათა განსახორციელებლად. მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა რეალიზაციისათვის ასეთ ზომებს ღებულობენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი – საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.



## მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადამიანების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალებებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვის წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით.

## მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება.
2. მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას.

## მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც

ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის შესატყვისად და თავისი მოვალეობების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი სხვაგვარად ბავშვს არ ექნება მოქალაქეობა.

## მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა,

მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან მის ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას აუცილებელი მფარველობით და დახმარებას აღმოუჩინენ მისი ინდივიდუალობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

## მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

## მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით თავის თავზე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ბავშვის ან მისი მშობლის განცხადება ოჯახის გამთლიანების მიზნით მონაწილე სახელმწიფოში შესვლის ან იქიდან გასვლის თაობაზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ პოზიტიურად, აუპმანურად ად ოპერატიულად. მონაწილე სახელმწიფოები შეძგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენას არ მოჰყვეს არასასურველი შედეგები განმცხადებლის ან მათი ოჯახის წევრებისათვის.
2. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება გააჩნია, განსაკუთრებული ვითარების გარდა, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, მე-9 მუხლის 1-

ლი პუნქტის შესაბამისად, პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით, და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც), მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის და შეთავსებადია წინამდებარე კონვენციაში აღიარებულ სხვა უფლებებთან.

## მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად.
2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან შეერთებას.

## მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.
2. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესულური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

## მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის

ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.

2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:
  - a. სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;
  - b. სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

#### მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლებას.
2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მერუეეთა უფლებებსა და მოვალებებს, უხალმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდი განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარებს.
3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

#### მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.
2. მოცემული უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება დაწესდეს რაიმე შეზღუდვა, გარდა შეზღუდვებისა, რომლებიც დაწესდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public) ინტერესებისათვის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

## მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპტუაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.
2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.

## მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციისა და მასალების, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები –

- a. ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების წახალისებას, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის სულისკვეთებას;
- b. ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ამგვარი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით;
- c. ახდენენ საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების წახალისებას;
- d. ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წახალისებას, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;
- e. ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას;

რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

## მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს.
2. წინამდებარე კონვენციაში გამოკვეთილ უფლებათა განხორციელების გარანტიის შექმნისა და ხელშეწყობის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწყვენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს მათი მოვალეობის შესრულებაში, აღზარდონ ბავშვი და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას.
3. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას დებულობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამსახურებითა და დაწესებულებებით, რომელთაც ბავშვთა მოვლა-პატრონობა ეკისრებათ.

## მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას დებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყელანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.
2. დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის

იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღა... კეს და იმ პირებს. ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ზემოთაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამოძლევის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი - სასამართლო პროცედურის აღძვრას.

## მუხლი 20

1. ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით სარგებლობდეს.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვის მიმართ მზრუნველობის ფორმის შეცვლას.

3. ასეთი მზრუნველობა შეიძლება მოიცავდეს, კერძოდ, ბავშვის აღსაზრდელად გადაცემას, მუსლიმანური სამართლის „კაფალას“, შვილად აყვანას ან აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვთა მოვლა-პატრონობისათვის მოწოდებულ შესაბამის დაწესებულებაში მის მოთავსებას. მზრუნველობის ფორმის შეცვლის ვარიანტების განხილვისას აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული ბავშვის აღზრდის მემკვიდრეობითობის სასურველობა და მისი ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და მშობლიური ენა.

## მუხლი 21

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ ან თანხმდებიან შვილად აყვანის სისტემის არსებობას, უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები გათვალისწინებული იქნეს უწინარეს ყოვლისა, და ისინი:

- a. უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის შვილად აყვანის ნებართვას იძლეოდეს მხოლოდ კომპეტენტური ხელისუფლება, რომელიც სათანადო კანონებისა და პროცედურების შესაბამისად და საქმესთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს, რომ შვილად აყვანა დასაშვებია მშობლებთან, ნათესავებთან და კანონიერ მეურვეებთან მიმართებაში ბავშვის სტატუსის

გათვალისწინებით და რომ, თუ ეს საჭიროა, დაინტერესებული პირებს შეგნებულად დათანხმდნენ შეილად აყვანას ისეთი კონსულტაციის საფუძველზე, როგორც შეიძლება აუცილებელი იყოს;

- b. აღიარებენ, რომ შეილად აყვანა სხვა ქვეყანაში შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი არ შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს ან შეუერთდეს ოჯახს, რომელიც შეძლებდა უზრუნველყო მისი აღზრდა ან შეილად აყვანა და თუ იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვი დაიბადა, შეუძლებელია მისი შესაფერისი რამენაირი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა;
- c. უზრუნველყოფენ, რომ სხვა ქვეყანაში ბავშვის შეილად აყვანის შემთხვევაში არსებობდეს ისეთივე გარანტიები და ნორმები, როგორც არსებობს ქვეყნის შიგნით შეილად აყვანის დროს;
- d. იღებენ ყველა აუცილებელ ზომას ისმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვა ქვეყანაში შეილად აყვანის დროს ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს არ მიეცეთ გაუმართლებელი ფინანსური მოგების მიღების საშუალება;
- e. აუცილებელ შემთხვევაში ხელს უწყობს წინამდებარე მუხლის მიზნების მიღწევას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების გზით და ცდილობენ ამ საფუძველზე უზრუნველყონ, რომ ბავშვის მოწყობა სხვა ქვეყანაში ზორციელდებოდეს კომპეტენტური ხელისუფლების ან ორგანოების მიერ.

## მუხლი 22

1. მონაწილე სახელმწიფოები აუცილებელ ზომებს იღებენ, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა, რომელსაც სურს მიიღოს ლტოლვილის სტატუსი ან რომელიც შესატყვისი საერთაშორისო ან საშინაო სამართლისა და პროცედურების ძალით ითვლება ლტოლვილად და რომელსაც თან ახლავს ან არ ახლავს მშობლები ან ნებისმიერი სხვა პირი, ისარგებლოს სათანადო დაცვითა და კუმანიტარული დახმარებით წინამდებარე კონვენციაში და ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ იმ სხვა საერთაშორისო ან კუმანიტარულ დოკუმენტებში აღიარებული უფლებების გამოყენებისას, რომელთა მონაწილენი არიან აღნიშნული სახელმწიფოები.



2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, როცა ამას აუცილებლად მიიჩნევენ. ხელს უწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იმ სხვა კომპეტენტური სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობას, რომლებიც თანამშრომლობენ გაერთიანებული ენერის ორგანიზაციასთან, დაიცვან ასეთი ბავშვი, დაეხმარონ მას და მოძებნონ ნებისმიერი ლტოლვილი ბავშვის მშობლები თუ ოჯახის სხვა წევრები, რათა მიიღონ მისი ოჯახთან შეერთებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდება მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მოძებნა, მაშინ ბავშვი, როგორც ამას ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, უზრუნველყოფილია ისეთივე დაცვით, როგორითაც სხვა ნებისმიერი ბავშვი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო მუდმივად ან დროებით მოკლებულია ოჯახურ გარემოს.

## მუხლი 23

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გონებრივად ან ფიზიკურად არასულფასოვანი ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ არასრულფასოვანი ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და სათანადო რესურსების არსებობის პირობებში, ახალისებენ და უზრუნველყოფენ ამ უფლების მქონე ბავშვისათვის და მის მიმართ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ისეთი დახმარების გაწევას, როგორსაც ითხოვდნენ და რომელიც შეესაბამება ბავშვისა და მისი მშობლების, ან იმ სხვა პირთა მდგომარეობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას.

3. არასულფასოვანი ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებათა აღიარების ნიშნად, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დახმარება, მშობლებისა და ბავშვზე მზრუნველობის უზრუნველყოფი სხვა პირების ფინანსური რესურსების გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად უფასოა და მიზნად ისახავს არასრულფასოვან ბავშვს მისცეს იმის ეფექტური შესაძლებლობა, რომ მან ისარგებლოს საგანმანათლებლო, სამედიცინო, ჯანმრთელობის აღმდგენი, პროფესიული და შრომითი საქმიანობისათვის მოსამზადებლად საჭირო მომსახურებით და დასვენების საშუალებებით, რაც ბავშვს მაქსიმალურად სრულად ჩართავს სოციალურ ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს მისი პიროვნების

განვითარებას, რაც კულტურული და სულიერი თვალსაზრისით მის ზრდასაც მოიცავს.

4. მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით ხელს უწყობენ ინფორმაციის გავრცელებას არასრულფასოვანი ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვისა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციონალური მკურნალობის დარგში, სათანადო რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმისათვის. რა მონაწილე სახელმწიფოებმა გაიფართოვეთ ამ დარგში თავიანთი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

## მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ ჩამოერთვას უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და, კერძოდ, აუცილებელ ზომებს იღებენ:

- a. ჩვილთა სიკვდილიანობის დონისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისათვის;
- b. ყველა ბავშვისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ უპირატესი ყურადღება დაეთმოს პირველადი სამედიცინო სანიტარული დახმარების გაწევას;
- c. დაავადებებთან და შიმშილობასთან ბრძოლისათვის, მათ შორის პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარების ფარგლებში, ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით, გარემოს დაბინძურების საშიშროებისა და რისკის გათვალისწინებით;

- d. დედებისათვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურების გაწევისათვის;
- e. საზოგადოების ყველა ფენის, კერძოდ, მშობლებისა და ბავშვებისათვის ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ძუძუთი კვების უპირატესობების გაცნობის უზრუნველყოფისათვის, ჰიგიენის, ბავშვის საცხოვრებელი გარემოს სანიტარიის დაცვისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, აგრეთვე მათთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და ცოდნის გამოყენებაში დახმარების გაწევისათვის;
- f. პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარების და ოჯახის დაგვემვის სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისა და მომსახურების განვითარებისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყოველგვარ ეფექტურ და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ წაახალისონ საერთაშორისო თანამშრომლობა და განავითარონ იგი მოცემულ მუხლში აღიარებული უფლების სრული განხორციელების თანდათანობით მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

## მუხლი 25

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კომპეტენტური ორგანოების მიერ მოვლის მიზნით სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლებას, იყოს დაცული და ისარგებლოს ფიზიკური თუ ფსიქიკური მკურნალობით; აღიარებენ ბავშვის უფლებას, პერიოდულად ხდებოდეს მისთვის გაწეული მკურნალობის და მის მიმართ ასეთ მეურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება.

## მუხლი 26

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, სოციალური დაზღვევის ჩათვლით, და აუცილებელ ზომებს იღებენ ამ უფლების

სრული განხორციელებისათვის თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს შედეგათები ბავშვს ეძლევა აუცილებლობისამებრ, მისი და მის რჩენაზე პასუხისმგებელ პირთა რესურსებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე ბავშვის მიერ ან მისი სახელით ამ შედეგათების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოსაზრების გათვალისწინებით.

## მუხლი 27

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, აუცილებელ ზომებს იღებენ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

4. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ახორციელებენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ მშობლების, ან ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირთა მიერ ბავშვის რჩენის აღდგენა, როგორც მონაწილე სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას.

## მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი, კერძოდ:

- a. აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწვევით განათლებას;
- b. ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ღებულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორცაა უფასო განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;
- c. ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად;
- d. უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;
- e. ღებულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

3. მონაწილე სახელმწიფოები ახალისებენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება განათლებას, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

## მუხლი 29

1. მონაწილე სახელმწიფოები ეთანხმებიან იმას, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს:

- a. ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ;
- b. ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის წესდებაში განცხადებულ პრინციპებისადმი პატივისცემის გალევებისაკენ;

- c. ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენის და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვისაკენ; ბავშვის აღზრდისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყნისა, საიდანაც იგი არის წარმოშობით; ბავშვის პატივისცემის გალევებისაკენ მისი საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი;
- d. თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ;
- e. გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდისაკენ.

2. წინამდებარე ან 28-ე მუხლის არც ერთი ნაწილი არ ზღუდავს ცალკეული პირებისა და ორგანოების თავისუფლებას, შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პრინციპების მუდმივი დაცვისა და იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ასეთ სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ნორმებს.

ბავშვები, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას

### მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები ან პირები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებიან; ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ეზიაროს საკუთარ კულტურას, აღიაროს თავისი რელიგია და შეასრულოს მისი წეს-ჩვეულებები, აგრეთვე გამოიყენოს მშობლიური ენა.

## მუხლი 31

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, მისი ასაკისათვის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას.
2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და ახალისებენ ბავშვის უფლებას, ყოველმხრივი მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში, ხელს უწყობენ მისთვის სათანადო და თანასწორი შესაძლებლობების შექმნას კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, თავისუფალი დროით სარგებლობისა და დასვენებისათვის.

## მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქეროდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.
2. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ზომებს, ატარებენ ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა განხორციელდეს წინამდებარე მუხლი. ამ მიზნით, ხელმძღვანელობენ რა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი ღებულებებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ:
  - a. ადგენენ სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს;
  - b. განსაზღვრებენ სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და შრომის პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს;
  - c. ითვალისწინებენ სასჯელის შესაბამის სახეობებს ან სხვა სანქციებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 33

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომების ჩათვლით,

აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში ან ვაჭრობაში.

### მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ორმხრივ და მრავალმხრივ ეროვნულ დონეებზე ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ:

- a. ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში;
- b. ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;
- c. გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

### მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით.

### მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

### მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:



- a. არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, საერთოდ, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შეზღვევით მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს;
- b. არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ზორციულდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.
- c. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნები. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით;
- d. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.

### მუხლი 38

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცნ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მათ მიმართ ძალის მქონე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ბავშვებთან დაკავშირებულ ნორმებს და უზრუნველყონ მათი დაცვა.
2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიულწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში.
3. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყველა იმ პირის გაწვევისაგან, რომელთაც არ მიულწევიათ 15 წლის ასაკისათვის. 15 წელს გადაცილებულ იმ პირთა გაწვევისას,

რომელთაც ჯერ არ შესრულებიან 18 წელი, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ შეარჩიონ უფრო ასაკოვანი პირები.

4. შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე თავისი ვალდებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

### მუხლი 39

მონაწილე-სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ შეიარაღებული კონფლიქტის, წაშებისა თუ სხვაგვარი ძალადობის, ცუდი მოპყრობისა თუ ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვი უზრუნველყოს შესაბამისი მკურნალობით მისი გამოჯანმრთელებისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზნით.

### მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თელიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.

2. ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით მონიწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ:

- a. არც ერთი ბავშვი არ ითვლებოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, მას ბრალად არ დაედოს მისი დარღვევა და ის არ იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედების ან არქმედების მიზეზით, რომლებიც მათი ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით.

b. ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:

- I) უდანაშაულობის პრეზუმცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;
- II) მისი დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება - აუცილებლობის შემთხვევაში კი ინფორმირება მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით - მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;
- III) კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგნოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;
- IV) ბავშვის დაცვა ჩვენების მიცემის ან დანაშაულის აღიარების მიზნით მასზე ძალდატანების მოხდენისაგან; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა დამოუკიდებლად, ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;
- V) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის თანახმად შესაბამისი გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა;
- VI) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან ვერ ლაპარაკობს ამ ენაზე;
- VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ ხელი შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, აორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად და, კერძოდ:

- a. მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი;
  - b. როცა ეს აუცილებელი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით;
4. აუცილებელია ისეთი სხვადასხვაგვარი ღონისძიებები, როგორცაა მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და მოვლის ისეთი ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში მოვლას შეიძლება შეენაცვლოს. ამ ღონისძიებათა მიზანია ბავშვისადმი იმგვარი მოპყრობის უზრუნველყოფა, როგორც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ზასიათს.

#### მუხლი 41

წინამდებარე კონვენცია არ აბრკოლებს იმგვარ დებულებათა განხორციელებას, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს ბავშვის უფლებათა რეალიზაციას და შეიძლება დაფიქსირებული იყოს:

- a. მონაწილე სახელმწიფოს კანონში;
- აწ
- b. მოცემული სახელმწიფოს მიმართ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმებში.

#### ნაწილი II

#### მუხლი 42

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით ფართო ინფორმაცია მიაწოდონ როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს კონვენციის პრინციპებისა და დებულებების თაობაზე.

#### მუხლი 43

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული

- პროგრესის განხილვის მიზნით ფუნდება ბავშვის უფლებების კომიტეტი, რომელიც ასრულებს ქვემოთ მითითებულ ფუნქციებს.
2. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებსაც აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და კომპეტენტურად არიან აღიარებული წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთა შორის და ისინი წარმოდგენილი არიან დამოუკიდებელ პიროვნებათა სტატუსით, ამასთან, ყურადღება მახვილდება სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებაზე, აგრეთვე ძირითად სამართლებრივ სისტემებზე.
  3. კომიტეტის წევრები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ, სიაშიმ შეტანილ პირთაგან ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს ერთი პირი თავისი მოქალაქეებიდან.
  4. კომიტეტში პირველი არჩევნები ტარდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, შემდგომ კი - ორ წელიწადში ერთხელ. ყოველ არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე მინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს მიმართავს წერილით და სთავაზობს მათ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის ვადაში. შემდეგ გენერალური მდივანი ანბანის რიგის მიხედვით ადგენს ამგვარად დასახელებული ყველა კანდიდატის სიას, მიუთითებს რა მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც წამოაყენეს ეს პირები, და ამ სიას წარუდგენს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.
  5. არჩევნები ტარდება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე, რომელიც მოიწვევა გენერალური მდივნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ თათბირზე, სადაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი ქმნის ქვორუმს, კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ დამსწრე და ხმის მიცემაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.
  6. კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხწლიანი ვადით. მათ აქვთ უფლება, ხელახლა იქნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება ორწლიანი პერიოდის ბოლოს; პირველი არჩევნებისთანავე ამ ხუთ წევრს წილისყრით განსაზღვრავს თათბირის თავმჯდომარე.
  7. კომიტეტის რომელიმე წევრის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, ან თუ მას რაიმე მიზეზით აღარ შეუძლია შეასრულოს კომიტეტის წევრის მოვალეობები, ამ წევრის წამომყენებელი მონაწილე

სახელმწიფო თავის მოქალაქეთაგან დარჩენილი ვადისათვის ნიშნავს სხვა ექსპერტს, კომიტეტის მიერ მისი მოწონების შემთხვევაში.

8. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.

9. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით.

10. კომიტეტის სესიები, როგორც წესი, ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ან კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას. კომიტეტი, როგორც წესი, თავის სესიებს ატარებს ყოველწლიურად. კომიტეტის სესიების ხანგრძლივობა განისაზღვრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცვლება წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე გენერალური ასამბლეის თანხმობით.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გამოყოფს აუცილებელ პერსონალსა და მატერიალურ საშუალებებს, რათა კომიტეტმა, წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, უწყვეტურად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

12. წინამდებარე კონვენციის შესაბამისად დაფუძნებული კომიტეტის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან ღებულობენ გენერალური ასამბლეის მიერ დაწესებულ ანაზღაურებას გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

#### მუხლი 44

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ კონვენციით განმტკიცებულ უფლებათა დამკვიდრებისა და ამ სფეროში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით:

a. მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში;

b. ყოველ მომდევნო ხუთ წელიწადში;

2. წინამდებარე მუხლის მიხედვით წარდგენილ მოხსენებებში მითითებულია ფაქტორები და სირთულეები, თუკი ასეთი არსებობს, რომლებიც ზემოქმედებს ამ კონვენციის ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები აგრეთვე შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რათა კომიტეტისათვის სრულიად გასაგები იყოს, როგორ მოქმედებს კონვენცია მოცემულ ქვეყანაში.

3. მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც კომიტეტს წარუდგენს ყოველისმომცველ პირველად მოხსენებას, არ სჭირდება წინამდებარე

მუხლის 1ბ პუნქტის მიხედვით წარდგენილ შემდგომ მოხსენებებში გაიჟიროს ადრე გადმოცემული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება წინამდებარე კონვენციის განხორციელებას,

5. მოხსენებები კომიტეტის საქმიანობის შესახებ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ორ წელიწადში ერთხელ წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

6. მონაწილე სახელმწიფოები საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყოფენ თავიანთი მოხსენებების ფართო საჯაროებას.

## მუხლი 45

კონვენციის განხორციელებისათვის ეფექტური ხელშეწყობისა და წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით:

- a. სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ წინამდებარე კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების შესახებ საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში შედის. მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შესთავაზოს, წარმოადგინონ ექსპერტთა დასკვნა კონვენციის განხორციელების თაობაზე იმ სფეროებში, რომლებიც შედის მათი შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს სთხოვოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის;
- b. მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში კომიტეტი სპეციალიზებულ დაწესებულებებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში გადაგზავნის მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერ მოხსენებას, რომელიც შეიცავს თხზონას ტექნიკური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ, ან მიუთითებს მის

საჭიროებაზე, აგრეთვე კომიტეტის შენიშვნებსა და წინადადებებს მსგავსი თხოვნისა და მითითებების თაობაზე.

- c. კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს გენერალურ ასამბლეას, წინადადება მისცეს გენერალურ მდივარს, რათა მან ასამბლეის სახელით ჩაატაროს კვლევა ცალკეული საკითხების შესასწავლად, რომლებიც ბავშვთა უფლებებს ეხება.
- d. კომიტეტს შეუძლია წარადგინოს წინამდებარე კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებების და რეკომენდაციები ეგ ზავდება ნებისმიერ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს და ეცნობება გენერალურ ასამბლეას მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთი რამ არსებობს.

### ნაწილი III

#### მუხლი 46

წინამდებარე კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოს მიერ ხელმოსაწერად.

#### მუხლი 47

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

#### მუხლი 48

წინამდებარე კონვენცია ღიაა მასთან ნებისმიერი სახელმწიფოს შეერთებისათვის. დოკუმენტები შეერთების შესახებ ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

#### მუხლი 49

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.



2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს ან მას შეუერთდება მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამათე დღეს.

## მუხლი 50

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესწორების შეთავაზება და წარდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის. ამის შემდეგ გენერალური მდივანი შესწორებას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოების თხოვნით - მიუთითონ, მხარს უჭერენ თუ არა ამ წინადადების განსახილველად და კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას. თუ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების თუნდაც ერთი მესამედი მაინც მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად წარედგინება გენერალურ ასამბლეას.
2. წინამდებარე პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მისი დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის მომცველი უმრავლესობის მიერ მისი მიღების შემდეგ.
3. შესწორება ძალაში შესვლისთანავე ხდება სავალდებულო იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც იგი მიიღეს, სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის კი სავალდებულო რჩება წინამდებარე კონვენციის დებულებები და ნებისმიერი წინა შესწორება, რომელიც მათ მიერ არის მიღებული.

## მუხლი 51

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ლებულობს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში სახელმწიფოს მიერ გაკეთებული შენიშვნების ტექსტს.

2. არ დაიშვება შენიშვნა, რომელიც შეუთავსებელია წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან.

3. შენიშვნების მოხსნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც შემდეგ ამის თაობაზე აცნობებს ყველა სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

## მუხლი 52

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით; დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

## მუხლი 53

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ინიშნება წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად.

## მუხლი 54

წინამდებარე კონვენციის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

*რის დასტურადაც ქვემოთ ხელისმომწერნი, თავიანთი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო რწმუნებით აღჭურვილი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.*

გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები  
არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის შესახებ  
(ერ-რიადის წესები)

*მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ  
1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციით 45/112,  
გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციისა და  
სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ  
მერვე კონგრესის რეკომენდაციის საფუძველზე, ჰავანაში, 1990 წელს*

## I. ძირითადი პრინციპები

1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენცია საზოგადოებაში დანაშაულის პრევენციის პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მართლზომიერ, სოციალურად სასარგებლო ღონისძიებებში ჩართვითა და საზოგადოების მიმართ ჰუმანისტური ორიენტაციისა და ცხოვრებაზე ასეთივე შეხედულების აღიარებით, მოზარდებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ არაკრიმინოგენული პოზიცია.
2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის წარმატება მოითხოვს ძალისხმევას მთელი საზოგადოების მხრიდან, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოზარდთა ჰარმონიული განვითარება, ადრეული ბავშვობიდანვე მათი პიროვნებების პატივისცემითა და ჩამოყალიბებაში ხელშეწყობით.
3. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების განმარტების მიზნებისათვის ორიენტაცია გადატანილ უნდა იქნას ბავშვებზე. მოზარდები აქტიურ როლს უნდა თამაშობდნენ და თანამშრომლობდნენ საზოგადოებაში და არ უნდა განიხილებოდნენ როგორც სოციალიზაციის ან კონტროლის უბრალო ობიექტები.
4. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიხედვით განხორციელების პროცესში, ნებისმიერი პრევენციული პროგრამა კონცენტრირებას უნდა ახდენდეს ადამიანთა კეთილდღეობაზე ადრეული ბავშვობიდან.
5. აღიარებულ უნდა იქნას დანაშაულობის პრევენციის პროგრესული პოლიტიკის, სისტემატური შესწავლისა და ზომების სრულყოფის აუცილებლობა და მნიშვნელობა. ყოველივე ამან თავიდან უნდა ააცილოს კრიმინალიზაცია და სასჯელი ბავშვს, რომლის ქცევა

სერიოზულ ზიანს არ აყენებს თვით ბავშვის განვითარებას ან სხვა პირებს. ასეთი პოლიტიკა და ზომები უნდა მოიცავდეს:

- a) შესაძლებლობების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა, მოზარდთა ცვალებადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ყველა ახალგაზრდის პირადი განვითარების გარანტირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად, განსაკუთრებით კი იმ პირების, რომლებიც აშკარა საფრთხის ან სოციალური რისკის ქვეშ იმყოფებიან და განსაკუთრებულ მზრუნველობასა და დაცვას საჭიროებენ;
- b) სპეციალიზებულ ფილოსოფიებსა და მიდგომებს დანაშაულობის პრევენციის შესახებ - კანონების, სამართალწარმოების, დაწესებულებების, მოწყობილობებისა და მომსახურების ახალი ფორმების დანერგვის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია დარღვევის ჩადენის მოტივაციის, მოთხოვნილებისა და შესაძლებლობის, ასევე ხელშემწყობი პირობების შემცირებისაკენ;
- c) ოფიციალური ინტერვენციის განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის მრავალმხრივი ინტერესების დაცვით, მიუკერძოებლად და სამართლიანად;
- d) ყველა მოზარდის კეთილდღეობის, განვითარების, უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტირებას;
- e) იმის გათვალისწინებას, რომ ახალგაზრდული ქცევა ან მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება საერთო სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებს ხშირად მომწიფებისა და ზრდის პროცესის ნაწილია და, სრულწლოვანებაში გადასვლასთან ერთად, ინდივიდთა უმრავლესობაში სპონტანურად გაქრება.
- f) იმის გაცნობიერებას, რომ ექსპერტთა გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მოზარდისათვის “დევიანტის”, “დელინქენტის” ან “მომავალი დელინქენტის” იარლიყის მინიჭება ხშირად ხელს უწყობს ახალგაზრდების

6. არასრულწლოვანთა დანაშაულობის აღსაკვეთად საჭიროა საზოგადოებრივი სამსახურებისა და პროგრამების შექმნა, განსაკუთრებით კი იქ, სადაც შესაბამისი ორგანოები ჯერ არ ჩამოყალიბებულა. სოციალური კონტროლის ფორმალური ორგანოები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

## II. სახელმძღვანელო პრინციპების მოქმედების სფერო

7. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები უნდა განიმარტოს და შესრულდეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, ბავშვთა უფლებების დეკლარაციისა და ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის ფარგლებში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის გაერთიანებული ერების მინიმალურ სტანდარტულ წესებთან (პეკინის წესები) კავშირში ისევე, როგორც სხვა დოკუმენტებსა და ნორმებთან, რომლებიც ყველა ბავშვისა და მოზარდის უფლებებს, ინტერესებსა და კეთილდღეობას შეეხება.
8. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაცია უნდა განხორციელდეს თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების გათვალისწინებით.

## III. ზოგადი პრევენცია

9. პრევენციის ამომწურავი გეგმა უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე და უნდა მოიცავდეს:
- პრობლემის ღრმა ანალიზსა და ხელთ არსებული პროგრამების, სამსახურების, მოწყობილობებისა და რესურსების ნუსხას;
  - პრევენციულ ღონისძიებებში ჩართული კომპეტენტური ორგანოების, დაწესებულებებისა და პერსონალის ზუსტად განსაზღვრულ მოვალეობებს;

- c) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებს (ორგანიზაციებს) შორის პრევენციული ღონისძიებების შესაბამისი კოორდინაციის მექანიზმებს;
- d) წინასწარი შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ პოლიტიკას, პროგრამებსა და სტრატეგიას, რომლებიც იმპლემენტაციის დროს მუდმივ კონტროლსა და ყურადღებით შეფასებას უნდა დაექვემდებაროს;
- e) დელინქენტური მოქმედებების ჩადენისათვის ხელსაყრელი პირობების ეფექტურად შექცირების მეთოდებს;
- f) პროცესში საზოგადოების ჩართვას მთელი რიგი სამსახურებისა და პროგრამების მეშვეობით;
- g) მჭიდრო დისციპლინარულ თანამშრომლობას ეროვნულ, სახელმწიფოებრივ, პერიფერიულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, კერძო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენელი მოქალაქეების, ასევე შრომის, ბავშვთა დაცვის, სამედიცინო განათლების, სოციალური, სამართალდამცავი და სასამართლო დაწესებულებების მონაწილეობით - არასრულწლოვანებისა და ახალგაზრდების დანაშაულობის პრევენციისათვის შეთანხმებული მოქმედების საქმეში;
- h) ახალგაზრდების მონაწილეობას დანაშაულობის პრევენციის პოლიტიკის ფორმულირებასა და სხვა პროცესებში, საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებისა და ახალგაზრდების თვითდახმარების, დაზარალებულთათვის კომპენსაციისა და დახმარების პროგრამების ჩათვლით;
- i) სპეციალიზებული პერსონალის უზრუნველყოფას ყველა დონეზე.

#### IV. სოციალიზაციის პროცესები

10. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პრევენციულ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვისა და

მოზარდის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, კერძოდ ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული წვრთნისა და სამუშაო გარემოს, ასევე მოხალისეთა ორგანიზაციების საშუალებით. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებისა და მოზარდების ღირსეულად განვითარებას და ისინი აღიარებული უნდა იყვნენ სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების სრულყოფილ და თანასწორ მონაწილეებად.

#### A. ოჯახი

11. ყოველი საზოგადოება განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს ოჯახისა და მისი ყველა წევრის მოთხოვნილებებსა და კეთილდღეობას.
12. იმდენად, რამდენადაც ოჯახი ბავშვთა პირველად სოციალიზაციაზე პასუხისმგებელი ძირითადი ერთეულია, აუცილებელია ძალისხმევა ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან ოჯახის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ორზე მეტი თაობის წარმომადგენელთაგან შემდგარი (გაფართოებული) ოჯახის ჩათვლით. საზოგადოება ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს ოჯახს ბავშვებზე მზრუნველობის, მათი დაცვისა და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საქმეში. საჭიროა ადექვატური პირობებით უზრუნველყოფა, ბავშვთა აღზრდის დაწესებულებების ჩათვლით.
13. სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება სტაბილურ და მშვიდ ოჯახურ გარემოში ბავშვების აღზრდისაკენ. ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას არამდგრადობის ან კონფლიქტის მდგომარეობის აღკვეთაში, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი სამსახურებით.
14. სტაბილური და მშვიდი ოჯახური გარემოს არარსებობის შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების მცდელობა - ამ თვალსაზრისით დახმარებოდა ოჯახს, ფუჭი აღმოჩნდა და როდესაც ამ როლს ვერც გაფართოებული ოჯახი ასრულებს, აუცილებელია ალტერნატიული განთავსების შესაძლებლობების განხილვა, აღმზრდელობითი ზრუნვის დაწესებულებაში მოთავსებისა და შეილად აყვანის ჩათვლით. ასეთი დაწესებულებები მაქსიმალურად უნდა იმეორებდნენ სტაბილურ და მშვიდ ოჯახურ გარემოს და ამავე დროს, ბავშვებს უქმნიდნენ მუდმივობის შეგრძნებას, რითაც შესაძლებელი გახდება "აყვანილთა დენადობასთან" დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილება.

15. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ოჯახების შეილებს, რომლებზეც ზეგავლენა მოახდინა სწრაფი და არათანაბარი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებებით გამოწვეულმა პრობლემებმა, კერძოდ, მკვიდრი, მიგრანტი და ლტოლვილი ოჯახების შეილებს. იმდენად, რამდენადაც ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება შეამციროს ოჯახის უნარი გაზარდოს და აღზარდოს ბავშვები ტრადიციულად, რაც ხშირად გამოწვეულია როლებსა და კულტურებს შორის დაპირისპირებით, აუცილებელია ბავშვთა სოციალიზაციის ახლებური და სოციალურად კონსტრუქციული მეთოდების შემუშავება.
16. საჭიროა ზომების მიღება და პროგრამების შემუშავება იმისათვის, რათა ოჯახებს საშუალება მიეცეთ გააზრონ მშობელთა როლი და ბავშვის განვითარებასა და მასზე ზრუნვასთან დაკავშირებული მოვალეობები, ხელი შეეწყოს მშობელსა და ბავშვს შორის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მშობლებს განუვითარდეთ მგრძობელობა ბავშვებისა და მოზარდების პრობლემების მიმართ და მოხდეს მათი ჩართვა ოჯახურ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში.
17. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები ოჯახური ერთიანობისა და პარმონიისათვის ხელშესაწყობად და ბავშვების მშობლებთან დაშორების თავიდან ასაცილებლად, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა პირობები, რომლებიც ბავშვის კეთილდღეობასა და მომავალზე მოქმედებს, სხვა შესაფერის ალტერნატივას აღარ გეიტოვებს.
18. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას სოციალიზაციის ფუნქციას, რომელიც ოჯახსა და გაფართოებულ ოჯახს ეკისრება; ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მოზარდების მომავალი როლის, პასუხისმგებლობის, მონაწილეობისა და თანამშრომლობის გააზრება.
19. შესაფერის სოციალიზაციაზე ბავშვის უფლების გარანტირებისას, ხელისუფლება და სხვა ორგანოები უნდა დაეყრდნონ არსებულ სოციალურ და სამართლებრივ დაწესებულებებს, თუმცა, როცა ტრადიციული დაწესებულებები და ჩვეულებები უკვე არაეფექტურია, მათ ასევე უნდა უზრუნველყონ და დაუშვან ახლებური მეთოდების გამოყენება.

## B. განათლება

20. ხელისუფლებას აკისრია ყოველი მოზარდისათვის საჯარო განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოვალეობა.



21. განათლების სისტემები, აკადემიურ და პროფესიულ განათლებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ შემდეგს:

- a) ძირითადი ღირებულებების სწავლებასა და პატივისცემის გრძნობის განვითარებას ბავშვის საკუთარი კულტურული ინდივიდუალობისა და ცხოვრების სტილის, ასევე იმ ქვეყნის სოციალური ღირებულებების მიმართ, რომელშიც იგი ცხოვრობს, ასევე ბავშვის საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მიმართ;
- b) ახალგაზრდების პიროვნების, ნიჭისა და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული პოტენციალით ზრდასა და განვითარებას;
- c) საგანმანათლებლო პროცესში მოზარდების ჩაბმას აქტიური და მოქმედი მონაწილეების და არა უბრალო ობიექტების სახით;
- d) ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც წარმოშობს სკოლასა და საზოგადოებასთან იდენტიფიცირებისა და მათდამი მიკუთვნებულობის გრძნობებს;
- e) მოზარდების ხელშეწყობას, რათა მათ გააცნობიერონ და პატივი სცენ განსხვავებულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ისევე, როგორც კულტურულ და სხვა განსხვავებულობას;
- f) ინფორმაციის მიწოდებასა და ხელმძღვანელობას პროფესიულ განათლებასთან, დასაქმების შესაძლებლობებსა და სამსახურებრივ წინსვლასთან დაკავშირებით;
- g) მოზარდებისათვის დადებითი ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფასა და ცუდი ფსიქოლოგიური მოპყრობის თავიდან აცილებას;
- h) მკაცრი დისციპლინარული ზომების თავიდან აცილებას, განსაკუთრებით კი ფიზიკური სასჯელისა.

22. განათლების სისტემები უნდა იღწვოდნენ მშობლებთან და იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ორგანოებთან თანამშრომლობისაკენ, რომლებიც დაინტერესებული არიან მოზარდთა საქმიანობით.

23. მოზარდები და მათი ოჯახები ინფორმირებული უნდა იყვნენ კანონებისა და მათში ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობების შესახებ ისევე, როგორც ღირებულებათა საყოველთაო სისტემის შესახებ, გაერთიანებული ერების ღირებულებების ჩათვლით.
24. განათლების სისტემები განსაკუთრებით დიდი მზრუნველობითა და ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ სოციალური რისკის ქვეშ მყოფ მოზარდებს. საჭიროა პრევენციის სპეციალიზებული პროგრამების, საგანმანათლებლო მასალების, სასწავლო პროგრამების, მიდგომებისა და საშუალებების შემუშავება და სრულად გამოყენება.
25. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი ამომწურავი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება მოზარდთა მიერ ალკოჰოლის, ნარკოტიკული და სხვა ნივთიერებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. მასწავლებლები და სხვა პროფესიონალები სათანადოდ აღჭურვილი და გაწვრთნილი უნდა იყვნენ ამ პრობლემების აღკვეთისა და მათი გადაჭრისათვის. სტუდენტთა კორპუსისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ნარკოტიკული ნივთიერებების, ალკოჰოლის ჩათვლით, ზმარებისა და მათი ბოროტად გამოყენების შესახებ.
26. სკოლები უნდა მოქმედებდნენ როგორც სარესურსო და მიმართვის ცენტრები - სამედიცინო, საკონსულტაციო და სხვა ტიპის მომსახურებით მოზარდების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმათი, ვისაც განსაკუთრებული მოთხოვნილებები აქვს ან ვინც განიცდის შეურაცხყოფას, უყურადღებობას, ექტივიზაციას ან ექსპლუატაციას.
27. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, საჭიროა მასწავლებლების, სხვა სრულწლოვანებისა და სტუდენტთა კორპუსისათვის მგრძობელობის ამაღლება მოზარდთა პრობლემების, მოთხოვნილებებისა და განცდების მიმართ, განსაკუთრებით იმ მოზარდებისა, რომლებიც ეკუთვნიან მცირეუფლებიან, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ეთნიკურ ან სხვა უმცირესობას ან დაბალი შემოსავლის მქონე ფენებს.
28. სასკოლო სისტემები უნდა ეცადონ, რომ წაახალისონ და ხელი შეუწყონ უმაღლესი პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების დამკვიდრებას სასწავლო პროგრამებთან, სწავლებისა და ათვისების მეთოდებსა და მიდგომებთან, ასევე მასწავლებელთა კვალიფიცირებული კადრების შერჩევასა და წვრთნასთან მიმართებაში. რეგულარული კონტროლი და მოქმედების შეფასება გარანტირებული უნდა იყოს სათანადო პროფესიული ორგანიზაციებისა და ხელისუფლების მხრიდან.

29. სასკოლო სისტემებმა, სასწავლო პროგრამების გარდა, საზოგადოებრივ ჯგუფებთან თანამშრომლობით უნდა დაგეგმონ, განვითარონ და განახორციელონ ისეთი დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც მოზარდებისათვის საინტერესო აღმოჩნდება.
30. სპეციალური დახმარება უნდა გაეწიოს იმ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებისთვისაც რთულია დასწრების წესების დაცვა და ასევე, მათ, ვინც სკოლა მიატოვეს.
31. სკოლებმა ხელი უნდა შეუწყონ კანონიერი და სამართლიანი პოლიტიკისა და წესების დამკვიდრებას; სტუდენტები წარმოდგენილი უნდა იყვნენ იმ ორგანოებში, რომლებიც ახდენენ სკოლის პოლიტიკის ფორმულირებას, მათ შორის დისციპლინური პოლიტიკისა, და იღებენ გადაწყვეტილებებს.

### *C. საზოგადოება*

32. საჭიროა იმ საზოგადოებრივი სამსახურებისა და პროგრამების განვითარება და, სადაც ისინი არსებობს, - მათი განმტკიცება, რომლებიც პასუხობენ მოზარდთა განსაკუთრებულ მოთხოვნებს, პრობლემებს, ინტერესებსა და წუხილს და რომლებიც სათანადო კონსულტაციითა და ხელმძღვანელობით უზრუნველყოფენ მოზარდებსა და მათ ოჯახებს.
33. საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს, ხოლო, სადაც ეს უკვე არსებობს, - განამტკიცოს საზოგადოებრივი მხარდაჭერის მრავალფეროვანი ზომები მოზარდებისათვის, საზოგადოებრივი განვითარების ცენტრების, რეკრეაციული დაწესებულებებისა და სამსახურების ჩათვლით, რომლებიც რეაგირებას ახდენენ სოციალური რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების განსაკუთრებულ პრობლემებზე.
34. საჭიროა სპეციალური დაწესებულებების ჩამოყალიბება იმ მოზარდების სათანადო თავშესაფრით უზრუნველსაყოფად, რომლებსაც აღარ შეუძლიათ სახლში ცხოვრება ან არ აქვთ საცხოვრებელი.
35. საჭიროა მთელი რიგი სამსახურებისა და დახმარების ზომების უზრუნველყოფა იმ სიძნელების გადასალახად, რომლებსაც მოზარდები სრულწლოვანების ასაკში გადასვლის პერიოდში განიცდიან. ასეთი სამსახურები ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად მომხმარებლებისათვის უნდა ითვალისწინებდეს სპეციალურ პროგრამებს, რომლებშიც ყურადღება გადატანილი იქნება

მზრუნველობაზე, კონსულტაციებზე. დახმარებასა და თერაპიულ ჩარევაზე.

36. მოხალისეთა ორგანიზაციები, რომლებიც მოზარდების მომსახურებას უზრუნველყოფენ, ფინანსურ და სხვა სახის მხარდაჭერას უნდა იღებდნენ ხელისუფლებისა და სხვა დაწესებულებებისაგან.
37. საჭიროა ადგილობრივ დონეზე შეიქმნას და განმტკიცდეს ახალგაზრდული ორგანიზაციები და მათ მიეცეთ საზოგადოებრივი საქმეების მართვის სრულუფლებიანი მონაწილის სტატუსი. ეს ორგანიზაციები ახალგაზრდებს უნდა უბიძგებდნენ კოლექტიური და ნებაყოფლობითი პროექტების განხორციელებისაკენ, განსაკუთრებით კი ისეთი პროექტებისა, რომლებიც მიზნად ისახავს იმ მოზარდების დახმარებას, რომლებიც ამას საჭიროებენ.
38. სახელისუფლო ორგანოებმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საკუთარ თავზე და საჭირო მომსახურებით უზრუნველყონ უსახლკარო ან ქუჩის ბავშვები; მოზარდებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ადგილობრივი დაწესებულებების, საცხოვრებელი ადგილების, დასაქმებისა და დახმარების სხვა ფორმებისა და წყაროების შესახებ.
39. უნდა დაფუძნდეს და მოზარდებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს მთელი რიგი რეკრეაციული დაწესებულებებისა და იმ სამსახურებისა, რომლებითაც მოზარდები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან.

#### *D. მასშტაბი*

40. მასშტაბი წახალისებულ უნდა იქნას და მან უნდა უზრუნველყოს, რომ მოზარდებს ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციასა და მასალებზე სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო წყაროებიდან.
41. მასშტაბი დაინტერესებული უნდა იყოს საზოგადოებაში მოზარდების მიერ შეტანილი პოზიტიური წვლილის გაშუქებით.
42. მასშტაბი წახალისებულ უნდა იქნას და მან უნდა გააერცელოს ინფორმაცია საზოგადოებაში მოზარდებისათვის არსებული მომსახურების, ხელსაყრელი პირობებისა და შესაძლებლობების შესახებ.
43. მასშტაბი ზოგადად და სატელევიზიო და კინემატოგრაფიული მედია განსაკუთრებით მინიმუმამდე უნდა ამცირებდნენ ასახული პორნოგრაფიის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ძალადობის დონეს და გაუმართლებლად უნდა წარმოაჩენდნენ ძალადობასა და ექსპლუატაციას, ასევე თავს უნდა არიდებდნენ დამამცირებელ და

ღირსების შემლახავ წარმოდგენებს, განსაკუთრებით ბავშვების, ქალებისა და ადამიანთაშორისი ურთიერთობების, და წინა პლანზე უნდა სწევდნენ ევალიტარულ პრინციპებსა და როლებს.

44. მასმედია უნდა აცნობიერებდეს თავის დიდ სოციალურ როლს და მასზე დაკისრებულ დიდ პასუხისმგებლობას, ასევე თავის გავლენას გადაცემებით, რომლებიც ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკული საშუალებებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას შეეხება. მან უნდა გამოიყენოს თავისი ძალა გაწონასწორებული მიდგომის პირობებში თანმიმდევრულად ცნობების გადაცემის მეშვეობით ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების პრევენციისათვის. ნარკოტიკების ზემოქმედების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად ეფექტური კამპანიების წარმართვას ხელი უნდა შეეწყოს ყველა დონეზე.

## V. სოციალური პოლიტიკა

45. სახელისუფლო ორგანოები დიდ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდნენ მოზარდებისათვის შემუშავებულ პროექტებსა და პროგრამებს და უნდა გამოყოფდნენ საკმარის ფულად სახსრებსა და სხვა რესურსებს მომსახურების ახალი ფორმების ეფექტური დანერგვის, ნაგებობებისა და პერსონალის უზრუნველსაყოფად, რათა შესაძლებელი გახდეს ადექვატური სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის, კვების, საცხოვრებელი პირობებისა და სხვა შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფა, ნარკოტიკული საშუალებებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მკურნალობის ჩათვლით – იმის გარანტიით, რომ ეს რესურსები შედეგს მიაღწევს და ფაქტიურ სარგებლობას მოუტანს მოზარდებს.
46. დახურული ტიპის დაწესებულებაში მოზარდთა მოთავსება უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ზომას და მხოლოდ მინიმალური აუცილებელი ვადით, და მოზარდის ინტერესებს უნდა ენიჭებოდეს უზენაესი მნიშვნელობა. ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დაიშვება ასეთი ფორმალური ჩარევა, მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული და შეზღუდული შემდეგი სიტუაციებით:
- როდესაც ბავშვს ან მოზარდს მიაღვა ზიანი მშობლების ან მეურვეების მხრიდან;
  - როდესაც ბავშვი ან მოზარდი გახდა მშობლების ან მეურვეების სექსუალური, ფიზიკური ან ემოციური ძალადობის მსხვერპლი;

- c) როდესაც ბავშვი ან მოზარდი იქნა მზრუნველობას მოკლებული, მიტოვებული ან ექსპლუატირებული მშობლების ან მეურვეების მიერ;
  - d) როდესაც ბავშვს ან მოზარდს ემუქრება ფიზიკური ან მორალური საფრთხე მშობლების ან მეურვეების ქცევის გამო; და
  - e) როდესაც ბავშვის ან მოზარდის მიმართ არსებული სერიოზული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საფრთხე მქლავდება მის საკუთარ ქცევაში და არც მშობლებს, არც მეურვეებს, არც თვით არასრულწლოვანს არ შეუძლიათ და არც საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ან რაიმე სხვა საშუალებით არ ხერხდება ამ საფრთხის დაძლევა, გარდა დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებისა.
47. სახელისუფლო ორგანოებმა მოზარდები უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო დაფინანსებით, განათლების სრულად გაგრძელების შესაძლებლობით, თუ მშობლებს ან მეურვეებს არ ძალუძთ ამ მოზარდების რჩენა და ასევე, სამუშაო გამოცდილების შექმნის შესაძლებლობით.
48. დანაშაულობის პრევენციის პროგრამები უნდა დაიგეგმოს და განვითარდეს სარწმუნო მეცნიერული დასკვნების საფუძველზე და შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი პერიოდული გაკონტროლება, შეფასება და კორექტირება.
49. მეცნიერული ინფორმაცია ქცევის ან სიტუაციის ტიპის შესახებ, რომელიც ცხადყოფს ან შეიძლება გამოიწვიოს მოზარდთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ვიქტიმიზაცია, ან მათთვის ზიანისა და შეურაცხყოფის მიყენება, ასევე მათი ექსპლუატაცია - ფართოდ უნდა გავრცელდეს პროფესიულ წრეებსა და მთლიანად საზოგადოებრიობაში.
50. ზოგადად, პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. თავად მოზარდები უნდა იყვნენ ჩართული მათი ფორმულირების, განვითარებისა და განხორციელების პროცესში.
51. ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ან განაგრძოს პოლიტიკის, ზომებისა და სტრატეგიების შესწავლა, შემუშავება და განხორციელება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში და მის გარეთ, რათა აღიკვეთოს ძალადობა ოჯახში, რომელიც მიმართულია მოზარდის წინააღმდეგ ან ზემოქმედებას ახდენს მასზე

და უზრუნველყოფილ იქნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლიანი მოპყრობა.

## VI. კანონმდებლობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელება

52. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს და შემდეგ უზრუნველყოს იმ კონკრეტული კანონებისა და პროცედურების შესრულება, რომლებიც წინა პლანზე წამოსწევს და დაიცავს ყველა მოზარდის უფლებებსა და კეთილდღეობას.
53. მიღებულ და ცხოვრებაში გატარებულ უნდა იქნას კანონმდებლობა, რომელიც აღკვეთს ვიქტიმიზაციას, შეურაცხყოფას, ექსპლუატაციასა და ბავშვებისა და მოზარდების კრიმინალური საქმიანობის გამოყენებას.
54. არც ერთი ბავშვი ან მოზარდი არ უნდა დაექვემდებაროს სასტიკი ან ღირსების შემლახავი გასწორებითი ან დამსჯელი ზომების გამოყენებას სახლში, სკოლაში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში.
55. საჭიროა ისეთი კანონმდებლობის მიღება და ცხოვრებაში გატარება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდებისათვის ნებისმიერი სახის იარაღთან დაშვების შეზღუდვასა და გაკონტროლებას.
56. მოზარდთა შემდგომი დამცირების, ვიქტიმიზაციისა და კრიმინალიზაციის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ, თუ რომელიმე მოქმედება არ ითვლება სამართალდარღვევად და არ არის დასჯადი თუ ჩადენილია სრულწლოვანის მიმართ, მაშინ სამართალდარღვევად არ ჩაითვლება და არ იქნება დასჯადი, თუ მას მოზარდი ჩაიდენს.
57. უნდა განიხილებოდეს ომბუდსმენის ან მსგავსი დამოუკიდებელი ორგანოს დაფუძნების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდთა სტატუსის, უფლებებისა და ინტერესების დაცვას და არსებული მომსახურების სათანადოდ გამოყენებას. ომბუდსმენი ან განსაზღვრული სხვა ორგანო, ასევე, ზედამხედველობას უნდა უწევდეს ერ-რიალის სახელმძღვანელო პრინციპების, პეკინის წესებისა და თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესების ცხოვრებაში გატარებას. ომბუდსმენი ან სხვა ორგანო რეგულარულად უნდა აქვეყნებდეს ანგარიშს პროგრესისა და იმ სიძნელეების შესახებ, რომლებიც აღნიშნული დოკუმენტის

ცხოვრებაში გატარების პროცესში გამოძღვანდა. უნდა შეიქმნას, აგრეთვე, ბავშვთა დაცვის სამსახურები.

58. ორივე სქესის სამართალდამცავმა და სხვა შესაბამისმა პერსონალმა უნდა მიიღოს წვრთნა იმისათვის, რათა უპასუხონ მოზარდთა განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს; იქნინ უნდა იცნობდნენ და მაქსიმალურად იყენებდნენ პროგრამებსა და მიმართვის საშუალებებს სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან მოზარდთა ამოსაღებად.
59. საჭიროა კანონმდებლობის მიღება და ცხოვრებაში მისი მკაცრად გატარება ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენებისა და ნარკოტიკების გამსაღებლებისაგან ბავშვებისა და მოზარდების დასაცავად.

## VII. გამოკვლევა, პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია

60. საჭიროა ძალისხმევა და სათანადო მექანიზმების ჩამოყალიბება როგორც მრავალ, ისე შიდადისციპლინარულ საფუძველზე, რათა ხელი შეეწყოს ურთიერთქმედებასა და კოორდინაციას ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ორგანოებსა და სამსახურებს, მართლმსაჯულების სისტემას, ახალგაზრდობას, საზოგადოებას, განვითარების სააგენტოებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს შორის.
61. ახალგაზრდების დანაშაულთან, დანაშაულობის პრევენციასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პროექტების, პროგრამების, პრაქტიკისა და ინიციატივების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის, გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაცვლა ინტენსიური უნდა გახდეს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.
62. მეტად უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს პრაქტიკოსებს, ექსპერტებსა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის თანამშრომლობა რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდების დანაშაულთან, დანაშაულობის პრევენციასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
63. ყველა ხელისუფლებამ, გაერთიანებული ერების სისტემამ და ამ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა დაუჭირონ მხარი ტექნიკურ და სამეცნიერო თანამშრომლობას პრაქტიკულ და პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე,



განსაკუთრებით, წვრთნის, პილოტი და სადემონსტრაციო პროექტების თვალსაზრისით და ასევე, ახალგაზრდებისა და არასრულწლოვანების დანაშაულობის პრევენციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე.

64. წახალისებულ უნდა იქნას ერთობლივი მუშაობა ახალგაზრდებისა და არასრულწლოვანების დანაშაულობის პრევენციის ეფექტურ მეთოდებთან დაკავშირებით სამეცნიერო გამოკვლევის ჩასატარებლად და ასეთი გამოკვლევის დასკვნები ფართოდ უნდა გავრცელდეს და შეფასდეს.
65. გაერთიანებული ერების შესაბამისი ორგანოები, დაწესებულებები, სააგენტოები და ოფისები უნდა ახორციელებდნენ მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინაციას ბავშვებთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასა და ახალგაზრდებისა და არასრულწლოვანების დანაშაულობის პრევენციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.
66. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე, გაერთიანებული ერების სამდივნომ, დაინტერესებულ დაწესებულებებთან ერთად, აქტიური როლი უნდა შეასრულოს გამოკვლევის ჩატარებაში, ერთობლივ მეცნიერულ მუშაობაში, პოლიტიკის ფორმულირებასა და მათ იმპლემენტაციაზე მეთვალყურეობისა და კონტროლის საქმეში და იგი უნდა წარმოადგენდეს დანაშაულობის პრევენციის ეფექტური მეთოდების შესახებ ინფორმაციის სარწმუნო წყაროს.

გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილ  
არასრულწლოვანთა დაცვისათვის

მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ  
1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციით 45/113,  
გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციისა და  
სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ  
მერვე კონგრესის რეკომენდაციის საფუძველზე, ჰავანაში, 1990 წელს

I. ძირითადი პრინციპები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა იცავდეს არასრულწლოვანთა უფლებებსა და უსაფრთხოებას და ხელს უწყობდეს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნას როგორც უკიდურესი ზომა.
2. არასრულწლოვანთა თავისუფლება შეიძლება აღკვეთილ იქნას მხოლოდ წინამდებარე წესებსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის გაერთიანებული ერების მინიმალურ სტანდარტულ წესებში (პეკინის წესები) მოცემული პრინციპებისა და პროცედურების შესაბამისად. არასრულწლოვანის თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ მინიმალური აუცილებელი ვადით და შეზღუდული უნდა იყოს გამონაკლისი შემთხვევებით. სანქციის მოქმედების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს სასამართლო ორგანოს მიერ მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობის უარყოფის გარეშე.
3. წინამდებარე წესები მიზნად ისახავს გაერთიანებული ერების მიერ აღიარებული მინიმალური სტანდარტების დადგენას თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანების ყველა იმ საშუალებით დასაცავად, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, რათა განეიტრალებს დაკავების ყოველგვარი ზიანის მომტანი შედეგები და წახალისდეს საზოგადოებაში ინტეგრაცია.
4. წინამდებარე წესები მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოყენებული, რასის, კანის ფერის, სქესის, ასაკის, ენის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური თუ სხვა შეზღუდულების, კულტურული მრწამსის ან ჩვეულების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ ოჯახური სტატუსის, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის ან ინვალიდობის

- გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. პატივი უნდა მიეგოს არასრულწლოვანის რელიგიურ და კულტურულ მრწამსს, ჩვეულებებსა და ზნეობრივ წარმოდგენებს.
5. წინამდებარე წესები გამიზნულია იმისათვის, რომ შეასრულოს მოსახერხებელი სტანდარტების როლი, რომელსაც ხშირად მიმართავენ და უზრუნველყოს იმ პროფესიონალების წახალისება და გაძლიერება, რომლებიც მონაწილეობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაში.
  6. წესები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის პერსონალისათვის მაქსიმალურად მოკლე პერიოდში და მათ ეროვნულ ენებზე. არასრულწლოვანებს, რომლებიც თავისუფლად ვერ ფლობენ იმ ენას, რომელზეც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პერსონალი მეტყველებს, უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ თარჯიმანის უფასო მომსახურება, განსაკუთრებით, სამედიცინო შემოწმებისა და დისციპლინარული წარმოებისას.
  7. სახელმწიფოებმა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მოახდინონ წინამდებარე წესების საკუთარ კანონმდებლობაში ინკორპორაცია ან შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები და კანონმდებლობის დარღვევისათვის უზრუნველყონ სასამართლო დაცვის ეფექტური საშუალებები, არასრულწლოვანთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ჩათვლით. სახელმწიფოები ასევე ვალდებული არიან გააკონტროლონ ამ წესების გამოყენების პროცესი.
  8. კომპეტენტური ორგანოები მუდმივად უნდა იღწვოდნენ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის იმ თვალსაზრისით, რომ თავისუფლებაშეზღუდულ არასრულწლოვანებზე ზრუნვა და მათი მომზადება საზოგადოებაში დასაბრუნებლად — უდიდესი მნიშვნელობის სოციალური სამსახურია და საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა არასრულწლოვანთა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის გულდია ურთიერთობის წასახალისებლად.
  9. ამ წესებში არაფერი უნდა განიმარტოს როგორც გაერთიანებული ერების შესაბამისი და ადამიანის უფლებათა იმ დოკუმენტებისა და სტანდარტების გამოყენების შემაფერხებელი, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არასრულწლოვანების, ბავშვებისა და ყველა მოზარდისათვის უფლებების, მზრუნველობისა და დაცვის გარანტირებას.
  10. იმ შემთხვევაში, თუ II-დან V ნაწილის ჩათვლით მოცემული კონკრეტული წესების პრაქტიკული გამოყენებისას წინამდებარე

ნაწილის წესებთან მიმართებაში რაიმე წინააღმდეგობა წარმოიშვება, ამ უკანასკნელთან შესაბამისობა უზენაეს მოთხოვნად უნდა იქნას მიჩნეული.

## II. წესების მოქმედების სფერო და მათი გამოყენება

11. წესების მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი განსაზღვრებები:
  - a) არასრულწლოვანი არის ყველა ადამიანი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის. ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთ მყოფი ბავშვის თავისუფლების აღკვეთა არ დაიშვება – განისაზღვრება კანონით;
  - b) თავისუფლების აღკვეთა გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის, დაპატიმრების ან საჯარო თუ კერძო სამეურვეო დაწესებულებაში ადამიანის მოთავსების ნებისმიერ ფორმას, საიდანაც მისი გათავისუფლება ნებით, ან სასამართლო, ადმინისტრაციული, ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანებით დაუშვებელია.
12. თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებსა და გარემოებებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება არასრულწლოვანთა “ადამიანის უფლებები”. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში თავისუფლებას შეზღუდულ არასრულწლოვანებს უნდა ჰქონდეთ იმ მიზანმიმართული ღონისძიებებისა და პროგრამებიდან სარგებლობის მიღების გარანტია, რომლებიც მოემსახურება მათი ჯანმრთელობისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობის დამკვიდრებასა და შენარჩუნებას, ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას და ისეთი დამოკიდებულებისა და ჩვევების წარმოშობას, რომლებიც მათ, როგორც საზოგადოების წევრებს, დაეხმარება საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში.
13. თავისუფლებათა აღკვეთილ არასრულწლოვანებს მათ სტატუსთან დაკავშირებული რაიმე მიზეზით არ უნდა ეთქვას უარი სამოქალაქო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ან კულტურული უფლებების რეალიზაციაზე, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ეროვნული ან სხვა სახის სასამართლოს შესაბამისად და

რომლებიც შეთავსებადია თავისუფლების აღკვეთის მდგომარეობასთან.

14. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა პირადი უფლებების დაცვა, ეს განსაკუთრებით ეხება აღმკვეთი ღონისძიებების გატარების კანონიერებას, ხოლო სოციალური ინტეგრაციის მიზნები მიღწეულ უნდა იქნას რეგულარული ინსპექციებითა და კონტროლის სხვა საშუალებებით, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების, ეროვნული კანონებისა და წესების მიხედვით, ზორციელდება სათანადოდ დაკომპლექტებული ორგანოს მიერ, რომელსაც გააჩნია არასრულწლოვანთა მონახულების უფლებამოსილება და არ ეკუთვნის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პერსონალს.
15. წესები გამოიყენება ყველა ტიპისა და ფორმის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მიმართ, სადაც არასრულწლოვანებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება. წესების I, II და V ნაწილები გამოიყენება თავისუფლების შეზღუდვისა და დახურული ტიპის ყველა დაწესებულებების მიმართ, რომლებშიც არასრულწლოვანები იმყოფებიან, ხოლო ნაწილი III შეეხება კონკრეტულად იმ არასრულწლოვანებს, რომლებიც დაპატიმრებული არიან ან ელიან სასამართლოს.
16. ამ წესების იმპლემენტაცია უნდა განხორციელდეს თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების გათვალისწინებით. . . .

### III. დაპატიმრებულნი ან სასამართლოს მოლოდინში მყოფი არასრულწლოვანები

17. პატიმრობაში ან სასამართლოს მოლოდინში მყოფი ("გაუსამართლებელი") არასრულწლოვანები უდანაშაულოდ ითვლებიან და შესაბამის მოპყრობას იმსახურებენ. სასამართლო განხილვამდე დაკავება მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული და გამონაკლისი გარემოებებით შეზღუდული. ამგვარად, საჭიროა მთელი ძალისხმევით მიმართვა ალტერნატიული ზომების გამოყენებისაკენ. როცა პრევენციული დაკავება მაინც მოხდება, არასრულწლოვანთა სასამართლოებისა და საგამომძიებლო ორგანოებისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ასეთი საქმეების რაც შეიძლება სწრაფად წარმოება, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაკავების მინიმალური ხანგრძლივობა. გაუსამართლებელი

დაკავებულები დამნაშავედ ცნობილ არასრულწლოვანთაგან განცალკევებულად უნდა იმყოფებოდნენ.

18. დაკავებული გაუსამართლებელი არასრულწლოვანი უნდა იმყოფებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც შეესაბამება ქვემოთმოცემულ წესებს, დამატებით კონკრეტულ დებულებებთან ერთად, რომლებიც საჭიროდ და შესაფერისად ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის, დაკავების ხანგრძლივობის, არასრულწლოვანის სამართლებრივი სტატუსისა და მისი საქმის გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული დებულებები უნდა მოიცავდეს, თუმცა არ არის აუცილებელი მხოლოდ ამით შემოიფარგლოს, შემდეგს:

- a) არასრულწლოვანები უნდა სარგებლობდნენ იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლებით და მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ მოითხოვონ უფასო იურიდიული დახმარება, სადაც ასეთი დახმარება ხელმისაწვდომია და იქონიონ რეგულარული ურთიერთობა თავიანთ იურიდიულ მრჩეველებთან. ასეთი ურთიერთობის საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის გარანტირება აუცილებელია;
- b) არასრულწლოვანები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ, სადაც ეს შესაძლებელია, მუშაობის შესაძლებლობით, ხელფასითა და განათლების ან წვრთნის გაგრძელების საშუალებით, მაგრამ იძულებული არ უნდა იყვნენ ეს გააკეთონ. სამუშაოს, განათლების ან წვრთნის გამო არ უნდა იქნას გაგრძელებული თავისუფლების შეზღუდვის ვადა;
- c) არასრულწლოვანებმა თავისუფალი დროის გატარების, დასვენებისა და გართობისათვის უნდა მიიღონ და შეინარჩუნონ ისეთი მატერიალური საშუალებები, რომლებიც შესაბამისობაში მოდის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებთან.

#### IV. არასრულწლოვანთა დაწესებულებების საქმიანობის წარმართვა

##### A. საქმის მასალები

19. ყველა ანგარიში, იურიდიული ჩანაწერების ჩათვლით, სამედიცინო ანკეტები და ადმინისტრაციული წარმოების ოქმები, ასევე ყველა სხვა დოკუმენტი, რომელიც შეეხება დამნაშავეებზე არადაამსჯელი ზემოქმედების ფორმას, შინაარსსა და დეტალებს, უნდა მოთავსდეს ცალკე კონფიდენციალურ საქაღალდეში, უნდა განახლდეს სისტემატურად, ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის და ადვილად გასაგებად უნდა იყოს სისტემატიზირებული. ყოველ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს, სადაც ეს შესაძლებელია, ეჭვის ქვეშ დააყენოს ნებისმიერი ისეთი ფაქტის ან მოსაზრების მართებულობა, რომელიც მის საქმეშია შეტანილი, რათა ხელი შეუწყოს არაზუსტი, უსაფუძვლო ან არასამართლიანი მონაცემების შესწორებას. ამ უფლების განსახორციელებლად უნდა არსებობდეს პროცედურები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, საშუალებას მისცემს მესამე პირებს მოიპოვონ და გაეცნონ საქმეს. არასრულწლოვანის გათავისუფლების შემდეგ, მისი საქმის მასალები უნდა დაილუქოს და მოგვიანებით, შესაფერის დროს - განადგურდეს.
20. არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა იქნას მიღებული თავისუფლების შეზღუდვის—დაწესებულებაში დაკავების შესახებ სასამართლო, ადმინისტრაციული თუ სხვა საჯარო ორგანოს იურიდიული ძალის მქონე განკარგულების გარეშე. ამ განკარგულების დეტალები დაუყოვნებლივ უნდა იქნას შეტანილი სარეგისტრაციო ჟურნალში. არც ერთი თავისუფლებაშეზღუდული არასრულწლოვანი არ უნდა იმყოფებოდეს ისეთ დაწესებულებაში, სადაც ასეთი სარეგისტრაციო ჟურნალი არ არსებობს.

##### B. მიღება, რეგისტრაცია, გადაადგილება და გადაყვანა

21. დაკავებულ არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვის ყველა ადგილას წარმოებულ უნდა იქნას სრულყოფილი და ზუსტი ოქმი, რომელიც მოიცავს თითოეული მიღებული არასრულწლოვანის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:
- a) ინფორმაცია არასრულწლოვანის პიროვნების შესახებ;

- b) დაკავების შესახებ განკარგულების გაცემის ფაქტი, მიზეზები და გამცემი ორგანო;
  - c) მიღების, გადაყვანისა და გათავისუფლების დღე და საათი;
  - d) დაკავების შესახებ განკარგულების გაცემის მომენტისათვის მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ყოველი არასრულწლოვანის მიღების, გადაყვანის ან გათავისუფლების შესახებ მშობლებისა და მეურვეებისათვის შეტყობინების დეტალები;
  - e) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობილი პრობლემები, ნარკოტიკული საშუალებებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების ჩათვლით.
22. ამა თუ იმ არასრულწლოვანის მიღების, განთავსების, გადაყვანისა და გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია, დაგვიანების გარეშე, უნდა მიეწოდოს მის მშობლებსა და მეურვეებს ან უახლოეს ნათესაებს.
23. ყოველი არასრულწლოვანის მიღების შემდეგ რაც შეიძლება დროულად, უნდა შედგეს სრული ანგარიში მისი პირადი მდგომარეობისა და საქმის გარემოებების შესახებ, უნდა შეგროვდეს შესაბამისი ინფორმაცია და წარედგინოს ადმინისტრაციას.
24. ყველა არასრულწლოვანს, მიღების შემდეგ, უნდა დაურიგდეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შინაგანაწესი და მათი უფლებებისა და მოვალებების მათთვის გასაგებ ენაზე დაწერილი აღწერილობა, საჩივრების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოს მისამართთან ერთად, ასევე, იმ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებისა და ორგანიზაციების მისამართები, რომლებიც სამართლებრივ დახმარებას უზრუნველყოფენ. წერა-კითხვის უცოდინარი და იმ არასრულწლოვანებისათვის, რომლებიც ენას წერილობით ფორმაში ვერ იგებენ - ინფორმაცია ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ მათ სრულყოფილად აღქმის შესაძლებლობა მიეცეთ.
25. ყველა არასრულწლოვანს უნდა გაეწიოს დახმარება დაწესებულების შიდა ორგანიზაციის მომწესრიგებელი ნორმების, გაწეული მზრუნველობის მიზნებისა და მეთოდოლოგიის, დისციპლინარული მითხოვნებისა და პროცედურების და ინფორმაციის მოპოვებისა და საჩივრის გაკეთების დაშვებული მეთოდების გაგებაში ისევე, როგორც ყველა სხვა მსგავსი საკითხისა, რომელთა გარკვევა



არასრულწლოვანს დაკავების პერიოდში მისი უფლებებისა და მოვალეობების სრულად გააზრების საშუალებას მისცემს.

26. არასრულწლოვანთა ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციის ხარჯზე, სათანადო ვენტილაციისა და განათების მქონე სატრანსპორტო საშუალებებით, ისეთ პირობებში, რომლებიც არაერთარ შემთხვევაში მათ არ დაუქვემდებარებს გაჭირვებას ან დამცირებას. არასრულწლოვანები ერთი დაწესებულებიდან მეორეში არ უნდა იქნან გადაყვანილი თვითნებურად.

### C. კლასიფიკაცია და განთავსება

27. თითოეულ არასრულწლოვანს, მიღების მომენტიდან რაც შეიძლება დროულად, უნდა ჩაუტარდეს გასაუბრება და მომზადდეს ფსიქოლოგიური და სოციალური ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება არასრულწლოვანისათვის საჭირო მზრუნველობისა და პროგრამის კონკრეტულ ტიპსა და ხარისხთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ეს ანგარიში, მედიცინის მუშაკის მიერ მომზადებულ ანგარიშთან ერთად, რომელმაც არასრულწლოვანი მიღებისას გასინჯა, უნდა გაეგზავნოს დირექტორს, რათა ამ უკანასკნელმა განსაზღვროს დაწესებულების ფარგლებში არასრულწლოვანისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი და ასევე, საჭირო მზრუნველობისა და პროგრამის კონკრეტული ტიპი და ხარისხი. როდესაც საჭიროა სპეციალური სარეაბილიტაციო მკურნალობა და დაწესებულებაში ყოფნის ხანგრძლივობა ამის საშუალებას იძლევა, დაწესებულების გაწვრთნილმა პერსონალმა უნდა მოამზადოს ინდივიდუალური მკურნალობის წერილობითი გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება მკურნალობის მიზნები, ვადა და ის საშუალებები, ეტაპები და შეყოვნებები, რომელთა საშუალებითაც ეს მიზნები უნდა იქნას მიღწეული.
28. თავისუფლებაზე ზღუდული არასრულწლოვანები უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ისეთ პირობებში, სადაც სრულად არის გათვალისწინებული მათი განსაკუთრებული საჭიროებები, სტატუსი და სპეციალური მოთხოვნილებები მათი ასაკის, პიროვნების, სქესის, სამართალდარღვევის ხასიათის ისევე, როგორც ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით და სადაც გარანტირებულია მათი დაცვა მავნე ზეგავლენისა და სარისკო სიტუაციებისაგან. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიის განცალკევების ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს ამ ინდივიდთა განსაკუთრებული საჭიროებების

დასაკმაყოფილებლად ყველაზე შესაფერისი სახის მზრუნველობით უზრუნველყოფა და მათი ფიზიკური, ფსიქიკური და ზნეობრივი მთლიანობისა და ჯანმრთელობის დაცვა.

29. თავისუფლების შეზღუდვის ყველა დაწესებულებაში არასრულწლოვანები განცალკევებული უნდა იყვნენ სრულწლოვანებისაგან, თუ ისინი ერთი ოჯახის წევრები არ არიან. კონტროლის ქვეშ, არასრულწლოვანები შეიძლება მოხვდნენ ყურადღებით შერჩეულ სრულწლოვანებთან ერთად, როგორც სპეციალური პროგრამის მონაწილეები, რომელიც აღნიშნული არასრულწლოვანებისათვის სასარგებლოა.
30. საჭიროა არასრულწლოვანთათვის თავისუფლების შეზღუდვის ღია დაწესებულების შექმნა. თავისუფლების შეზღუდვის ღია დაწესებულება წარმოადგენს დაწესებულებას, რომელშიც სარეჟიმო ზომები მინიმალურ ფარგლებში ან სრულიად არ გამოიყენება. თავისუფლების შეზღუდვის ასეთ დაწესებულებებში რაც შეიძლება ნაკლები პირი უნდა იყოს მოთავსებული. დახურული ტიპის დაწესებულებაში თავისუფლებაშეზღუდულ არასრულწლოვანთა რაოდენობა იმდენად მცირე უნდა იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ინდივიდუალური მკურნალობა. არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებები უნდა იყოს დეცენტრალიზებული და ისეთი ზომის, რომ არასრულწლოვანებსა და მათ ოჯახებს შორის ურთიერთობა გააღვივდეს. საჭიროა თავისუფლების შეზღუდვის მცირემასშტაბიანი დაწესებულებების ჩამოყალიბება და მათი ინტეგრაცია საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში.

#### *D. ფიზიკური ვარემო და საცხოვრებელი ადგილი*

31. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანებს უფლება აქვთ ისეთ საშუალებებსა და მომსახურებაზე, რომლებიც ჯანმრთელობისა და ადამიანური ღირსების ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს.
32. არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების კონსტრუქცია და ფიზიკური ვარემო უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულებაში გამასწორებელი ზემოქმედების მიზანს – რეაბილიტაციას, ამასთანავე, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვანისათვის განმარტოების, სენსორული სტიმულების, თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობის, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის, ფიზიკური ვარჯიშისა და თავისუფალი დროისათვის სხვა საკმარისი აუცილებლობას. არასრულწლოვანთა

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების კონსტრუქცია და სტრუქტურა უნდა იყოს ისეთი, რომ ხანძრის რისკი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი და გარანტირებული იყოს შენობიდან უსაფრთხოდ ევაკუაციის შესაძლებლობა. უნდა არსებობდეს ხანძრის შემთხვევაში განგაშის ეფექტური სისტემა ისევე, როგორც ფორმალური და ნაცადი პროცედურები არასრულწლოვანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებები არ უნდა მდებარეობდეს ისეთ რაიონებში, სადაც ცნობილია, რომ არსებობს საფრთხე ჯანმრთელობისათვის ან სხვა სახის საფრთხე ან რისკი.

33. საძინებელი ოთახები, ჩვეულებრივ, უნდა შედგებოდეს პატარა გვერდობრივი საერთო საძინებლების ან ინდივიდუალური საძინებლებისაგან, ადგილობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. ძილის საათებში, რეგულარული, არაშემაწუხებელი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს მთელი საძილე ფართი, ინდივიდუალური ოთახებისა და გვერდობრივი საერთო საძინებლების ჩათვლით, რათა გარანტირებული იყოს თითოეული არასრულწლოვანის დაცვა. ყოველი არასრულწლოვანი, ადგილობრივი თუ ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე და საკმარისი რაოდენობის საწოლი მოწყობილობით; რომელიც მიღების მომენტში უნდა იყოს სუფთა, ინახებოდეს კარგ მდგომარეობაში და იცვლებოდეს საკმარისად ხშირად იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს სისუფთავე.
34. აუცილებელია, რომ სანიტარული მოწყობილობები იყოს საკმარისად მაღალი სტანდარტის და ისე განლაგებული, რომ თითოეულ არასრულწლოვანს საშუალება მიეცეს სათანადო ღონეზე დაიკმაყოფილოს საკუთარი ფიზიკური მოთხოვნილებები განმარტობით, სისუფთავისა და წესიერების პირობებში.
35. პირადი ნივთების ფლობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია და უაღრესად მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის. არასრულწლოვანის უფლება - ფლობდეს პირად ნივთებს და ჰქონდეს მათთვის ადეკვატური სათავსო - სრულად აღიარებული და პატივცემული უნდა იყოს. არასრულწლოვანის ის პირადი ნივთები, რომლებიც მას არ სურს ხელთ იქონიოს ან რომლებიც კონფისკაციას დაექვემდებარა, უსაფრთხოდ უნდა იქნას შენახული. ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვანმა ხელი უნდა მოაწეროს ქონების აღწერის დოკუმენტს. აუცილებელია საჭირო ზომების მიღება ნივთების კარგ

მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. არასრულწლოვანს, გათავისუფლებისას, ყველა ასეთი ნივთი და ფული უნდა დაუბრუნდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უფლება ჰქონდა ფული დაეხარჯა ან დაწესებულებიდან გაეგზავნა ასეთი ქონება. თუ არასრულწლოვანი მიიღებს ან მას მფლობელობაში აღმოაჩნდება რაიმე წამალი, მედიცინის მუშაკმა უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული.

36. არასრულწლოვანებს მაქსიმალურად უნდა მიეცეთ საკუთარი ტანსაცმლის გამოყენების უფლება. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების მესვეურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვანს ჰქონდეს კლიმატის შესაფერისი და ჯანმრთელობის დასაცავად ადექვატური პირადი ტანსაცმელი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი. არასრულწლოვანებს, რომლებიც რაიმე მიზნით ჩამოაშორეს ან ტოვებენ დაწესებულებას, უფლება უნდა ჰქონდეთ ატარონ საკუთარი ტანისამოსი.
37. თავისუფლების შეზღუდვის თითოეული დაწესებულების მესვეურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყოველმა არასრულწლოვანმა მიიღოს სათანადოდ მომზადებული საკვები ჭამის ჩვეულ საათებში და ისეთი ხარისხისა და რაოდენობის, რომ დაცულ იქნას დიეტის, ჰიგიენისა და ჯანმრთელობის სტანდარტები და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაკმაყოფილდეს ასევე რელიგიური და კულტურული მოთხოვნები. ყოველ არასრულწლოვანს ნებისმიერ დროს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სუფთა სასმელ წყალზე.

#### *D. განათლება, პროფესიული წერტონა და მუშაობა*

38. სავალდებულო სასკოლო ასაკის ყოველ არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს საკუთარი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაფერისი განათლება, რომელიც მიზნად ისახავს მის მომზადებას საზოგადოებაში დაბრუნებისათვის. ასეთი განათლებით უზრუნველყოფა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა განხორციელდეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გარეთ - საერთო სკოლებში და ყველა შემთხვევაში კვალიფიცირებული პედაგოგების მიერ ქვეყნის განათლების სისტემაში გამოყენებული ერთიანი პროგრამის გამოყენებით, რათა გათავისუფლების შემდეგ არასრულწლოვანებს შეეძლოთ განათლების მიღების გაგრძელება ყოველგვარი გართულებების გარეშე. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა

დაუთმოს უცხოური წარმომავლობის ან განსაკუთრებული კულტურული ან ეთნიკური მოთხოვნილებების მქონე არასრულწლოვანთა განათლებას. ის არასრულწლოვანები, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა ან აქვთ შეშფიცებასთან ან შეთვისებასთან დაკავშირებული სიძნელებები, უნდა სარგებლობდნენ სპეციალური განათლების მიღების უფლებით.

39. სავალდებულო სასკოლო ასაკს გადაცილებულ არასრულწლოვანებს, რომელთაც სურთ განათლების გაგრძელება, ნება უნდა მიეცეთ და წახალისებულ იქნა უნდა იქნენ ეს გააკეთონ და აუცილებელია ყოველგვარი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი დაშვება სათანადო საგანმანათლებლო პროგრამებთან.
40. დაკავების პერიოდში არასრულწლოვანისათვის მინიჭებულ დიპლომებსა თუ საგანმანათლებლო სერტიფიკატებში არ უნდა იყოს მითითებული, რომ არასრულწლოვანი დახურული ტიპის დაწესებულებაში იმყოფებოდა.
41. თავისუფლების შეზღუდვის ყოველ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიბლიოთეკით სარგებლობა, რომელიც ადეკვატურად არის მომარაგებული არასრულწლოვანისათვის განკუთვნილი როგორც სასწავლო, ისე გასართობი წიგნებითა და პერიოდული გამოცემებით; არასრულწლოვანები წახალისებულ უნდა იქნან და მათ უნდა მიეცეთ ამ ბიბლიოთეკის სრულად გამოყენების შესაძლებლობა.
42. ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს პროფესიული წვრთნის მიღების უფლება ისეთ სფეროში, რომელმაც იგი შეიძლება მომავალში დასაქმებისათვის მოამზადოს.
43. საჭირო პროფესიული გადარჩევის შემდეგ და დახურული ტიპის დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით, არასრულწლოვანებს უნდა მიეცეთ უფლება თავად აირჩიონ სამუშაოს ტიპი, რომლის შესრულებაც მათ სურთ.
44. თავისუფლებადაღკვეთილ არასრულწლოვანებზე უნდა გავრცელდეს დაცვის ყველა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ბავშვთა შრომისა და ახალგაზრდა მომუშავეების მიმართ გამოიყენება.
45. არასრულწლოვანისათვის, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი საზოგადოების შიგნით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა, როგორც პროფესიული წვრთნის დამატება, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ საცხოვრებელ გარემოში არასრულწლოვანთა დაბრუნების შემდეგ, გაიზარდოს მათი შესაფერისი დასაქმების ალბათობა. სამუშაო უნდა იყოს ისეთი სახის, რომ უზრუნველყოს სათანადო

წერთან, რომელიც არასრულწლოვანს გათავისუფლების შემდეგ სარგებლობას მოუტანს. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში შეთავაზებული სამუშაოს ორგანიზაცია და მეთოდები მაქსიმალურად უნდა ასახავდეს საზოგადოებაში შესრულებული მსგავსი სამუშაოს ელემენტებს, რათა არასრულწლოვანები მომზადებული იყვნენ ნორმალური პროფესიული ცხოვრების პირობებისათვის.

46. სამუშაოს შემსრულებელი ყოველი არასრულწლოვანი უნდა სარგებლობდეს სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებით. არასრულწლოვანთა ან მათი პროფესიული წერთნის ინტერესები მეორეხარისხოვანი არ უნდა გახდეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ან მესამე მხარისათვის მოგების უზრუნველყოფის მიზანთან შედარებით. არასრულწლოვანის მიერ გამოძულებული თანხის ნაწილი უნდა გადაიღოს, რათა შეიქმნას დანაზოვის ფონდი, რომელიც არასრულწლოვანს გათავისუფლებისას გადაეცემა. არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს გამოძულებული თანხის დარჩენილი ნაწილი გამოიყენოს პირადი ხარგებლობისათვის - ნივთების შესაძენად ან მისი სამართალდარღვევის შედეგად დაზარალებული მსხვერპლისათვის ზარალის ასანაზღაურებლად, ან გაუგზავნოს ეს თანხა თავის ოჯახს ან სხვა ადამიანებს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გარეთ.

#### F. დასვენება და გართობა

47. ყოველ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს დროის საკმარისი რაოდენობა ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე თავისუფალი ვარჯიშისათვის, სადაც ამინდი ამის საშუალებას იძლევა და ჩვეულებრივ, დროის ამ პერიოდის განმავლობაში, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო რეკრეაციული და ფიზიკური წერთნით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასევე ასეთი ღონისძიებებისათვის საჭირო სივრცე, მოწყობილობები და აღჭურვილობა. ყოველ არასრულწლოვანს ყოველდღიური თავისუფალი დროის საკმარისობისათვის გამოყოფილი უნდა ჰქონდეს დამატებითი დრო, რომლის ნაწილიც, თუ ამას არასრულწლოვანი მოისურვებს, უნდა დაეთმოს ხელოვნებისა და ხელობის შესწავლას. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მესვეურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყოველ არასრულწლოვანს ჰქონდეს ფიზიკური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ფიზიკური აღზრდის არსებულ პროგრამებში. სამკურნალო ფიზ. კულტურა და თერაპია სამედიცინო

მეთვალყურეობის ქვეშ ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ არასრულწლოვანებისათვის, რომელთაც ეს ესაჭიროებათ.

### G. რელიგია

48. ყოველ არასრულწლოვანს უნდა მიეცეს უფლება დაიკმაყოფილოს საკუთარი რელიგიური და სულიერი ცხოვრების მოთხოვნები, განსაკუთრებით თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ჩატარებულ ცერემონიებსა და შეხვედრებზე დასწრების თვალსაზრისით ან საკუთარი მსახურების ჩატარებით, რელიგიური რიტუალისათვის საჭირო წიგნებისა და ნივთების ფლობითა და საკუთარი სარწმუნოების ქადაგებით. თუ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში იმყოფება ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარ არასრულწლოვანთა საკმარისი რაოდენობა, უნდა დაინიშნოს ან დამტკიცდეს ამ რელიგიის ერთი ან მეტი კომპეტენტური წარმომადგენელი და მას უნდა მიეცეს რეგულარული ცერემონიის ჩატარებისა და მოთხოვნის შემთხვევაში არასრულწლოვანებთან პასტორული ვიზიტების მოწყობის უფლება. ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება თავისთან მიიღოს, მისი არჩევანის მიხედვით, ნებისმიერი რელიგიის კომპეტენტური წარმომადგენელი, ასევე მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ცერემონიებში და თავისუფლად უარყოს რელიგიური განათლება, კონსულტაცია თუ სწავლება.

### H. სამედიცინო დახმარება

49. ყოველმა არასრულწლოვანმა უნდა მიიღოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო, სტომატოლოგიური, ოფთალმოლოგიური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის ჩათვლით, ისევე, როგორც ფარმაცევტული პროდუქტები და სპეციალური დიეტები; რომლებიც სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულია. თავისუფლებაშეზღუდული არასრულწლოვანებისათვის ყოველგვარი ასეთი სამედიცინო დახმარება, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სამედიცინო დაწესებულებებისა და მომსახურების საშუალებით, რომლებიც იმ საზოგადოებაში არსებობს, რომელშიც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება მდებარეობს, რათა თავიდან იქნას აცილებული არასრულწლოვანის დამცირება და ხელი

შეეწყოს მასში საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძობის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში მის ინტეგრაციას.

50. ყოველ არასრულწლოვანს უფლება აქვს გასინჯულ იქნას თერაპევტის მიერ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მიღებისთანავე იმ მიზნით, რომ დაფიქირდეს მიღებამდე მასთან ცუდი მოპყრობის დამადასტურებელი ნებისმიერი ფაქტი და გამოაშკარავდეს ნებისმიერი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც სამედიცინო ჩარევას მოითხოვს.
51. არასრულწლოვანთათვის უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურება მიზნად უნდა ისახავდეს გამოავლინოს და უმკურნალოს ყოველგვარ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ დაავადებას, ნივთიერების ბოროტად გამოყენების ჩვევას ან სხვა მდგომარეობას, რამაც შეიძლება არასრულწლოვანის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი შეაფერხოს. არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვის ყოველი დაწესებულებისათვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადექვატური სამედიცინო საშუალებები და აპარატურა, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს იქ მყოფთა რაოდენობას და მოთხოვნებს და უნდა არსებობდეს ასევე პროფილაქტიკურ ჯანდაცვასა და კრიტიკულ სამედიცინო სიტუაციებთან გამკლავებაში გაწერთნილი პერსონალი. ყოველი არასრულწლოვანი, რომელიც ავადაა, უჩივის რაიმე დაავადებას ან ავლენს ფიზიკური ან ფსიქიკური გართულებების რაიმე სიმპტომებს, მაშინვე უნდა გასინჯოს მედიცინის მუშაკმა.
52. ნებისმიერმა მედიკოსმა, რომელსაც საფუძველი აქვს ირწმუნოს, რომ დაკავების ხანგრძლივმა პერიოდმა, საპროტესტო შიმშილობამ ან დაკავების ნებისმიერმა სხვა პირობამ არასრულწლოვანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე არახელსაყრელი ზემოქმედება უკვე მოახდინა ან ეს მომავალში მოხდება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების დირექტორს და ასევე დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც პასუხს აგებს არასრულწლოვანის ჯანმრთელობის დაცვაზე.
53. ფსიქიკურად დაავადებული არასრულწლოვანის მკურნალობა უნდა წარმოებდეს სპეციალიზებულ დაწესებულებაში დამოუკიდებელი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ. შესაბამის დაწესებულებებთან შეთანხმებით, საჭიროა ზომების მიღება იმისათვის, რომ გათავისუფლების შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას აუცილებელი ფსიქიკური სამედიცინო დახმარების შემდგომი გაგრძელება.
54. არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებები უნდა ატარებდნენ ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად



გამოყენების პრევენციისა და რეაბილიტაციის სპეციალურ პროგრამებს, რომლებსაც კვალიფიცირებული პერსონალი წარმართავს. აღნიშნული პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს იმ არასრულწლოვანთა ასაკს, სქესსა და სხვა მოთხოვნებიებს, რომელთათვისაც გათვალისწინებულია ეს პროგრამები, - და ნარკოტიკულ საშუალებებსა ან ალკოჰოლზე დამოკიდებული არასრულწლოვანებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დეტოქსიფიკაციის საშუალებები და მომსახურება, რომელსაც გაწვრთნილი პერსონალი უზრუნველყოფს.

55. წამლები გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის საჭირო მკურნალობის ჩასატარებლად და, როცა ეს შესაძლებელია, წინასწარ უნდა მოხდეს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თანხმობის მოპოვება იმ არასრულწლოვანისაგან, რომლისთვისაც განკუთვნილია ისინი. უფრო კონკრეტულად, არ უნდა მოხდეს წამლების გამოყენება ინფორმაციის ან აღიარების მოსაპოვებლად, ან როგორც სასჯელი, ან შევიწროების საშუალება. არასრულწლოვანი არასოდეს უნდა დაექვემდებაროს მედიკამენტის ან მკურნალობის ექსპერიმენტულ გამოყენებას. ყოველი მედიკამენტის გამოყენება უნდა იყოს სანქციონირებული და განხორციელდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ.

### *1. შეტყობინება ავადმყოფობის, სხეულის დაზიანების ან სიკვდილის შესახებ*

56. არასრულწლოვანის ოჯახს ან მეურვესა და მის მიერ მითითებულ ნებისმიერ ადამიანს, მოთხოვნის შემთხვევაში და ასევე მისი ჯანმრთელობის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს არასრულწლოვანის ოჯახს ან მის მეურვეს ან სხვა მითითებულ ადამიანს მისი სიკვდილის შესახებ, ასევე ისეთი ავადმყოფობის არსებობისას, რომელიც არასრულწლოვანის გარე სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას მოითხოვს ან ისეთი მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭიროებს კლინიკურ მზრუნველობას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში 48 სთ-ზე მეტი დროის განმავლობაში. შეტყობინება უნდა გაეგზავნოს ასევე იმ სახელმწიფოს საკონსულო ორგანოებს, რომლის მოქალაქეც არის უცხოელი არასრულწლოვანი.

57. თავისუფლების აღკვეთის პერიოდში არასრულწლოვანის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი უახლოესი ნათესავი უნდა სარგებლობდეს გარდაცვალების მოწმობის შემოწმების, სხეულის ნახვისა და მასთან მოპყრობის მეთოდების განსაზღვრის უფლებით. თავისუფლებაშეზღუდული არასრულწლოვანის გარდაცვალების შემდეგ, უნდა ჩატარდეს სიკვდილის მიზეზების დამოუკიდებელი გამოძიება, რომლის ანგარიშიც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს გარდაცვლილის უახლოესი ნათესავისათვის. ასეთი გამოძიება უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არასრულწლოვანი გარდაიცვლება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან გათავისუფლების დღიდან ოთხ თვის განმავლობაში და არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ გარდაცვალება დაკავშირებულია დაკავების პერიოდთან.
58. არასრულწლოვანს რაც შეიძლება დროულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია უახლოესი ნათესავის გარდაცვალების, სერიოზული ავადმყოფობის ან სხეულის დაზიანების შესახებ და მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა დაესწროს გარდაცვლილის დაკრძალვას ან მოინახულოს ლოგინად ჩაყარნილი კრიტიკულად ავადმყოფი ნათესავი:

#### *J. კონტაქტები ფართო საზოგადოებრიობასთან*

59. ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ არასრულწლოვანებს სათანადო კავშირი ჰქონდეთ გარე სამყაროსთან, რაც სამართლიან და ჰუმანურ მოპყრობაზე უფლების განუყოფელი ნაწილია და უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დაბრუნებისათვის არასრულწლოვანთა მოსამზადებლად. არასრულწლოვანებს უფლება უნდა ჰქონდეთ კავშირი იქონიონ თავიანთ ოჯახებთან, მეგობრებსა და სხვა ადამიანებთან ან ავტორიტეტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; დატოვონ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებები სახლში წასვლისა და ოჯახის მონახულების მიზნით და მიიღონ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების დატოვების სპეციალური ნებართვა, განათლების, პროფესიული წვრთნის მიღების ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით. თუ არასრულწლოვანი სასჯელს იხდის, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფარგლებს გარეთ გატარებული დრო უნდა ჩაითვალოს სასჯელის ვადის ნაწილად.

60. ყოველი არასრულწლოვანი უნდა სარგებლობდეს ვიზიტორების რეგულარულად და ზშირად მიღების უფლებით, სასურველია კვირაში ერთხელ და არანაკლებ თვეში ერთხელ, ისეთ პირობებში, სადაც პატივცემულია არასრულწლოვანის მოთხოვნილება განმარტობაზე, ოჯახსა და ადვოკატთან კონტაქტსა და შეუზღუდავ ურთიერთობაზე.
61. ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება წერილობითი და სატელეფონო ურთიერთობა იქონიოს, კვირაში ორჯერ მაინც, იმ ადამიანთან, რომელსაც თავად აირჩევს, თუ ეს კანონით არ არის შეზღუდული და მას საჭირო დახმარება უნდა გაეწიოს ამ უფლებით უწყქურად სარგებლობაში. ყოველი არასრულწლოვანი უნდა სარგებლობდეს კორესპონდენციის მიღების უფლებით.
62. არასრულწლოვანებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ რეგულარულად გაეცნონ ახალ ამბებს - გაზეთების, პერიოდული გამოცემებისა და სხვა პუბლიკაციების, რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებისა და კინოფილმების საშუალებითა და ნებისმიერი კანონიერი კლუბისა ან ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვიზიტების მეშვეობით, რომელთა საქმიანობითაც დაინტერესებულია არასრულწლოვანი.

#### *K. ფიზიკური შევიწროებისა და ძალის გამოყენების შეზღუდვა*

63. შევიწროების საშუალებებისა და ძალისათვის მიმართვა ნებისმიერი მიზნით აკრძალული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მოცემულია ქვემოთმოცემულ წესში 64.
64. შევიწროების საშუალებებისა და ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც კონტროლის ყველა სხვა მეთოდი ამოწურული და წარუმატებელია და მხოლოდ იმ ფორმით, როგორც ეს აშკარად ნებადართულია და დაკონკრეტებული კანონსა და წესებში. ასეთი მოქმედება არ უნდა იწყებდეს დამცირებას ან ღირსების შელახვას, უნდა გამოიყენებოდეს შეზღუდულად და მხოლოდ დროის რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებით, ასეთი საშუალებების გამოყენება შეიძლება იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული არასრულწლოვანის მიერ საკუთარი თავისათვის ან სხვებისათვის ზიანის მიყენება ან ქონების დიდი მოცულობით განადგურება. ასეთ შემთხვევებში, ხელმძღვანელი მაშინვე უნდა მოეთათბიროს სამედიცინო და სხვა შესაფერის პერსონალს და მომხდარის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

65. პერსონალის მიერ იარაღის ტარება და გამოყენება აკრძალული უნდა იყოს ყველა დაწესებულებაში, სადაც თავისუფლება შეზღუდული არასრულწლოვანები იმყოფებიან.

#### L. დისციპლინარული პროცედურები

66. ნებისმიერი დისციპლინარული ზომა და პროცედურა უნდა იცავდეს უსაფრთხოებისა და მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს და უნდა ემსახუროდეს არასრულწლოვანის დანდაყოლილი ღირსების დაცვასა და ასევე, ინსტიტუციონალური მზრუნველობის ძირითადი მიზნის მიღწევას, სახელდობრ, სამართლიანობის გრძნობის, საკუთარი თავისადმი და ყოველი ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის გრძნობის ამაღლებას.
67. მკაცრად უნდა აიკრძალოს ყველა დისციპლინარული ზომის გამოყენება, რომელიც სასტიკი, არაადამიანურ ან ღირსების შეზღუდვა მოპყრობას გულისხმობს, ფიზიკური სასჯელის, ბნელ საკანში მოთავსების, დაზურული ან განცალკევებული პატიმრობის ჩათვლით, და ნებისმიერ სხვა სასჯელს, რომელმაც შეიძლება შეარყიოს არასრულწლოვანის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა. საკვების შემცირება ან ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შეზღუდვა ან სრულად აკრძალვა ნებისმიერი მიზნით უნდა აიკრძალოს. შრომა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს როგორც განათლების ერთ-ერთი იარაღი და საზოგადოებაში დაბრუნებისათვის არასრულწლოვანის მომზადების პროცესში მისთვის საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობის ამაღლების საშუალება, შრომის ვალდებულება არ უნდა დაეკისროს ადამიანს როგორც დისციპლინარული სანქცია. არც ერთი არასრულწლოვანის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული სანქციები ერთზე მეტჯერ ერთი და იგივე დისციპლინარული დარღვევისათვის. კოლექტიური სანქციები უნდა აიკრძალოს.
68. კომპეტენტური აღმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული კანონები ან წესები, არასრულწლოვანთა ძირითადი თავისებურებების, მოთხოვნილებებისა და უფლებების სრულად გათვალისწინებით, უნდა მოიცავდეს ნორმებს შემდეგის შესახებ:
- ა) მოქმედება, რომელიც შეადგენს დისციპლინარულ სამართალდარღვევას;
  - ბ) იმ დისციპლინარული სანქციების ტიპი და ხანგრძლივობა, რომლებიც შეიძლება ადამიანს დაეკისროს;

- c) ასეთი სანქციების დაკისრების უფლებამოსილების მქონე ორგანო;
  - d) აპელაციების განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანო.
69. ანგარიში არამართლზომიერი მოქმედების შესახებ დროულად უნდა წარედგინოს კომპეტენტურ ორგანოს, რომელმაც ზედმეტი დაყენების გარეშე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნული საკმე საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს კომპეტენტურმა ორგანომ.
70. არც ერთ არასრულწლოვანს არ უნდა დაეკისროს დისციპლინარული სანქცია, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და წესების პირობებს. არც ერთი არასრულწლოვანის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული სანქციები, თუ მისთვის ისეთი ფორმით არ მიუწოდებიათ ინფორმაცია სავარაუდოდ მის მიერ ჩადენილი დარღვევის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა არასრულწლოვანის მიერ მიღებული ინფორმაციის სრულად გააზრებას და თუ მისთვის არ მიუციათ სათანადო შესაძლებლობა თავი დაეცვა, კომპეტენტური მიუკერძოებელი ორგანოსათვის მიმართვის უფლების განხორციელების ჩათვლით. აუცილებელია იწერებოდეს ყველა დისციპლინარული წარმოების სრული ოქმი.
71. არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი დისციპლინარული ფუნქციების განხორციელებაზე, გარდა კონკრეტულ საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო ან სპორტულ ღონისძიებებზე მეთვალყურეობის განხორციელებისა და თვითმმართველობის პროგრამებში მონაწილეობისა.

### *M. ინსპექცია და საჩივრები*

72. კომპეტენტური ინსპექტორები ან სათანადო წესით დაკომპლექტებული შესაბამისი ორგანო, რომელიც არ მიეკუთვნება დაწესებულების ადმინისტრაციას, უფლებამოსილი უნდა იყვნენ რეგულარულად და ასევე საკუთარი ინიციატივით, გაუფრთხილებლად ჩაატარონ ინსპექცია და მათ უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებლობის რეალური გარანტიები ამ ფუნქციის განხორციელებისას. ინსპექტორები შეუზღუდავად უნდა დაიშვებოდნენ ყველა იმ პირთან, რომელიც დაქირავებულია ან მუშაობს ნებისმიერ ისეთ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვანებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება ან შეიძლება

- აღეკეთოთ და ასევე, ყველა არასრულწლოვანთან და ასეთი დაწესებულებების ყველა ჩანაწერთანაც.
73. მდლიცინის კვალიფიცირებული მუშაკები, რომლებიც მიმაგრებული არიან ინსპექციის ორგანოს ან ჯანმრთელობის დაცვის სამსახურთან, უნდა მონაწილეობდნენ ინსპექციებში და შეფასებას აძლევდნენ იმ წესების დაცვის მდგომარეობას, რომლებიც შეეხება ფიზიკურ გარემოს, ჰიგიენას, საცხოვრებელს, საკვებს, ფიზიკურ ვარჯიშსა და სამედიცინო მომსახურებას ისევე, როგორც დახურული ტიპის დაწესებულებაში ცხოვრების ნებისმიერ სხვა ასპექტსა თუ პირობებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ არასრულწლოვანთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ინსპექტორთან კონფიდენციალური საუბრის უფლება.
74. ინსპექციის დასრულების შემდეგ, ინსპექტორი ვალდებულია წარმოადგინოს შედეგების ანგარიში. ანგარიში უნდა შეიცავდეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მიერ არსებული წესებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების დაცვის ხარისხის შეფასებას და ასევე, რეკომენდაციებს მათი დაცვის ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელი ნაბიჯების შესახებ. ინფორმაცია ინსპექტორის მიერ აღმოჩენილი ნებისმიერი ფაქტის შესახებ, რომელიც მიანიშნებს, რომ ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთა უფლებებთან ან არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების დარღვევას, უნდა მიეწოდოს კომპეტენტურ ორგანოებს გამოძიების ჩატარებისა და სასამართლო დევნის განხორციელებისათვის.
75. ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თხოვნით ან საჩივრით მიმართოს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების დირექტორსა და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.
76. ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება, შინაარსზე ცენზურის განხორციელების გარეშე, თხოვნით ან საჩივრით მიმართოს ცენტრალურ ადმინისტრაციას, სასამართლო ორგანოს ან სხვა სათანადო ორგანოებს, კომუნიკაციის სანქციონირებული საშუალებების გამოყენებით და ასევე, უფლება, დაყოვნების გარეშე, მიიღოს ინფორმაცია პასუხის შესახებ.
77. საჭიროა ძალისხმევა იმისათვის, რომ შეიქმნას დამოუკიდებელი თანამდებობა (ობზერვაციის), რომლის წარმომადგენელი მიიღებს და გამოიძიებს თავისუფლებადაღკვეთილი არასრულწლოვანების მიერ

წარმოდგენილ საჩივრებს და დაეხმარება მათ პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტაში.

78. არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება, სადაც ეს შესაძლებელია, საჩივრის წარდგენაში დახმარება ითხოვოს ოჯახის წევრების, იურიდიული მრჩეველების, კუმანიტარული ჯგუფებისა და სხვებისაგან. წერა-კითხვის უცოდინარი არასრულწლოვანებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დახმარება, თუ ისინი საჭიროებენ ისეთი საჯარო თუ კერძო ორგანოებისა და დაწესებულებების მომსახურებით სარგებლობას, რომლებიც გასცემენ იურიდიულ კონსულტაციებს ან უფლებამოსილი არიან მიიღონ საჩივრები.

#### N. საზოგადოებაში დაბრუნება

79. ყველა არასრულწლოვანმა სარგებლობა უნდა მიიღოს იმ ღონისძიებებიდან, რომლებიც განსაზღვრულია საზოგადოებასთან, ოჯახურ ცხოვრებასთან, განათლებასთან ან სამუშაოსთან დაბრუნებაში მათ დასახმარებლად. ამ მიზნით, უნდა შექმუშავდეს პროცედურები, ვადანდე გათავისუფლების ჩათვლით, და სპეციალური კურსები.
80. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა შესთავაზონ ან უზრუნველყონ ისეთი მომსახურება, რომელიც არასრულწლოვანებს დაეხმარება კვლავ დამკვიდრდნენ საზოგადოებაში და შეამციროს ასეთი არასრულწლოვანების წინააღმდეგ მიმართულ ცრურწმენას. ასეთი მომსახურება მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს, რომ არასრულწლოვანს აქვს შესაფერისი საცხოვრებელი, სამუშაო, ტანსაცმელი და საკმარისი საშუალებები იმისათვის, რომ თავი ირჩინოს გათავისუფლების შემდეგ, რათა გაადვილდეს წარმატებული რეინტეგრაციის პროცესი. საჭიროა კონსულტაციების მიღება იმ ორგანოების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ასეთ მომსახურებას უზრუნველყოფენ, და მათი დაშვება არასრულწლოვანებთან თავისუფლების შეზღუდვის პერიოდის განმავლობაში, რათა დახმარება გაუწიონ მათ საზოგადოებაში დაბრუნების თვალსაზრისით.

#### V. პერსონალი

81. პერსონალი უნდა იყოს კვალიფიცირებული და შეიცავდეს საკმარისი რაოდენობით სპეციალისტებს – პედაგოგებს, პროფესიული სწავლების ინსტრუქტორებს, კონსულტანტებს, სოციალური სფეროს

თანამშრომლებს, ფსიქიატრებსა და ფსიქოლოგებს. ეს და სხვა სპეციალისტი კადრები, ჩვეულებრივ, მუდმივად უნდა იყვნენ დაქირავებული. ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ან მოხალისე თანამშრომლებს, თუ მათ მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერა და წვრთნა სათანადო ხარისხისა და სასარგებლოა. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში, დაკავებულ არასრულწლოვანთა პირადი მოთხოვნებიდან და პრობლემების მიხედვით, უნდა გამოიყენონ ყველა სამკურნალო, საგანმანათლებლო, მორალური, სულიერი და სხვა რესურსი და დახმარების ფორმა, რომელიც მისაღებია და არსებობს საზოგადოებაში.

82. აღმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა ხარისხისა და ტიპის პერსონალის ყურადღებით შერჩევა და დაკომპლექტება, რადგან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებათა სათანადოდ ფუნქციონირება დამოკიდებულია მათ პატიოსნებაზე, ჰუმანურობაზე, არასრულწლოვანთა მოპყრობის უნარსა და მათ პროფესიულ ჩვევებზე, ასევე მათ პირად შესაფერისობაზე ამ სამუშაოსათვის.
83. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, თანამშრომლები თანამდებობებზე უნდა დაინიშნონ როგორც პროფესიონალი თანამდებობის პირები ადეკვატური ანაზღაურებით, შესაფერისი ქალებისა და მამაკაცების მიზიდვისა და შენარჩუნების მიზნით. საჭიროა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პერსონალის მუდმივად წახალისება, რათა მათ ჰუმანურად, თავდადებით, პროფესიონალურად, სამართლიანად და ეფექტურად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები, მოიქცნენ ყოველთვის ისე, რომ დაიმსახურონ და მოიპოვონ პატივისცემა არასრულწლოვანთა მხრიდან და უზრუნველყონ ისინი დადებითი მისაბამი მაგალითითა და სამომავლო პერსპექტივით.
84. აღმინისტრაციამ უნდა დანერგოს ორგანიზაციისა და მართვის ისეთი ფორმები, რომლებიც თანამშრომელთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის გააიოლებს ურთიერთობას თავისუფლების შეზღუდვის თითოეულ დაწესებულებაში, რათა უფრო მჭიდრო გახდეს თანამშრომლობა არასრულწლოვანებზე ზრუნვით დაკავებულ სხვადასხვა სამსახურებს შორის ისევე, როგორც თანამშრომლებსა და აღმინისტრაციას შორის იმ მიზნით, რომ არასრულწლოვანებთან პირდაპირ კონტაქტში მყოფი თანამშრომლებს საშუალება ჰქონდეთ იმუშაონ თავიანთი მოვალეობების ეფექტურად შესრულებისათვის ხელსაყრელ პირობებში.



85. პერსონალმა უნდა მიიღოს ისეთი წვრთნა, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი მოვალეობების ეფექტურად შესრულებაში, უფრო კონკრეტულად, - წვრთნა ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაში და აგრეთვე, შეისწავლოს ადამიანის უფლებათა და ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები, წინამდებარე წესების ჩათვლით. პერსონალმა უნდა შეინარჩუნოს და გაიუმჯობესოს თავისი ცოდნა და პროფესიული ჩვევები შიდასამსახურებრივი წვრთნის კურსებზე დასწრებით, რომლებიც ორგანიზებულ უნდა იქნას თანამშრომელთა კარიერის მანძილზე პერიოდულად, შესაფერის დროს.
86. დაწესებულების დირექტორს უნდა გააჩნდეს თავისი სამუშაოსათვის ადეკვატური კვალიფიკაცია, მართვის უნარი და შესაფერისი წვრთნა და გამოცდილება და მან თავისი მოვალეობები უნდა შეასრულოს სრული დატვირთვით.
87. თავიანთი მოვალეობების შესრულების პროცესში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებათა პერსონალმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას ადამიანის ღირსება და ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც არასრულწლოვანებს გააჩნიათ, კონკრეტულად:
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების არც ერთ წარმომადგენელს ან დაწესებულების პერსონალს უფლება არა აქვს თავად განახორციელოს, ვინმე წააქეზოს ან დაუშვას წამების ან ნებისმიერი ფორმის უხეში, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, სასჯელი, გამასწორებელი ზემოქმედება ან დისციპლინა - როგორი საბაბი და პირობებიც არ უნდა არსებობდეს ამისათვის;
  - მთელი პერსონალი მკაცრ წინააღმდეგობას უნდა უწევდეს და ებრძოდეს კორუფციის ნებისმიერ ფაქტს და ასეთი ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოახსენებდეს კომპეტენტურ ორგანოებს;
  - მთელი პერსონალი პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს წინამდებარე წესებს. თანამშრომლებმა, რომელთაც საფუძველი აქვთ ირწმუნონ, რომ წინამდებარე წესების სერიოზულ დარღვევას ქონდა ან ექნება ადგილი - ამის შესახებ უნდა მოახსენონ ზემდგომ ორგანოებს ან გადამოწმების ან მდგომარეობის გამოსწორების უფლებამოსილების მქონე ორგანოებს;

- d) მთელი პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სრულ დაცვას, ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან დაცვის ჩათვლით, და, როცა კი ეს საჭიროა, დაუყოვნებლივ უნდა იღებდეს ზომებს სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად;
- e) მთელი პერსონალი პატივს უნდა სცემდეს არასრულწლოვანის უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, კერძოდ, საიდუმლოდ უნდა ინახავდეს არასრულწლოვანებთან ან მათ ოჯახებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც მათთვის თანამდებობრივი მდგომარეობის გამო გახდა ცნობილი;
- ფ) მთელი პერსონალი უნდა იღვეოდეს იმისათვის, რომ მინიმუმადე დაიყვანოს ნებისმიერი განსხვავება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შიგნით და გარეთ ცხოვრების წესებს შორის, რადგან ეს განსხვავებები შეიძლება არასრულწლოვანების, როგორც ადამიანების, ღირსებისადმი სათანადო პატივისცემის გრძნობას ამცირებდეს.

ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი პირების მიერ  
ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ

*მოწონებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ,  
1990 წლის 18 დეკემბრის რეზოლუციით 45/166,  
გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციისა და  
სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ  
მერვე კონგრესის მიერ მისი მიღების საფუძველზე, ჰავანაში, 1990  
წელს*

ვინაიდან სამართალდამცავი პირების<sup>1</sup> საქმიანობა უდიდესი მნიშვნელობის სოციალურ მომსახურებას წარმოადგენს და შესაბამისად, არსებობს მისი შენარჩუნებისა და, როცა ეს საჭირო გახდება, ამ პირების სამუშაო პირობებისა და სტატუსის გაუმჯობესების აუცილებლობა,

ვინაიდან სამართალდამცავი პირების სიცოცხლისა და უსაფრთხოებისათვის შექმნილი საშიშროება აღქმულ უნდა იქნას როგორც მთლიანად საზოგადოების სტაბილურობისათვის შექმნილი საშიშროება,

ვინაიდან სამართალდამცავი პირები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და განმტკიცებულია საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,

ვინაიდან პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით დადგენილია ის გარემოებები, რომელთა დროსაც ციხის მესვეურებს თავიანთი მოვალეობების შესრულების პროცესში შეუძლიათ გამოიყენონ ძალა,

ვინაიდან სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსის მე-3 მუხლი ადგენს, რომ სამართალდამცავ პირებს ძალის გამოყენება

<sup>1</sup> სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსის I მუხლის კომენტარის მიხედვით, ტერმინი - "სამართალდამცავი პირები", მოიცავს სამართლის სისტემის ყველა მოხელეს - როგორც დანიშნულს, ისე არჩეულს, ვინც საპოლიციო, განსაკუთრებით კი, დაპატიმრების ან დაკავების უფლებამოსილებას ახორციელებს. იმ ქვენებში, სადაც საპოლიციო უფლებამოსილება ხორციელდება ფორმალური ან ფორმის გარეშე სამხედრო ორგანოების ან სახელმწიფო უშიშროების ძალების მიერ, სამართალდამცავ პირთა განსაზღვრება უნდა მოიცავდეს ასეთი სამსახურების მოხელეებსაც.

შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას განსაკუთრებული აუცილებლობა მოითხოვს და იმ ფარგლებში, რაც მათი მოვალეობის შესრულებისთვისაა საჭირო,

ვინაიდან გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მოსამზადებელ შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ვერონაში (იტალია), მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ საკითხებზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნას სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვის მიმართულებით შემდგომი მუშაობის პროცესში,

ვინაიდან მეშვიდე კონგრესი მე-14 რეზოლუციაში, *inter alia*, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა სათანადო პატივისცემის მოთხოვნას,

ვინაიდან ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1986 წლის 21 მაისს მიღებულ რეზოლუციაში 1986/10, ნაწილი IX წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა კოდექსის იმპლემენტაციისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას და გენერალურმა ასამბლეამ 1986 წლის 4 დეკემბერს მიღებულ რეზოლუციაში 41/149, *inter alia*, მოიწონა საბჭოს ეს რეკომენდაცია,

ვინაიდან მართებული იქნება, რომ მათი პირადი უსაფრთხოების სათანადოდ გათვალისწინებით, მხედველობაში იქნას მიღებული სამართალდამცავი პირების როლი მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ასევე მათი მოვალეობა შეინარჩუნონ საჯარო უსაფრთხოება, სოციალური მშვიდობა და მათი კვალიფიკაციის, წვრთნისა და ქცევის მნიშვნელობა,

ქვემოთოცემული ძირითადი პრინციპები, რომლებიც ფორმულირებულ იქნა, რათა დახმარება გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს სამართალდამცავი პირების სათანადო როლის დამკვიდრების უზრუნველყოფასა და ამ პროცესის ხელშეწყობაში, მხედველობაში მიღებულ და პატივცემულ უნდა იქნას მთავრობების მიერ მათი ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფარგლებში და მათ უნდა გაეცნონ სამართალდამცავი პირები ისევე, როგორც სხვანი, მაგალითად: მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

## ზოგადი დებულებები

1. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ და დანერგონ წესები და ნორმები სამართალდამცავი პირების მიერ ადამიანების წინააღმდეგ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ. ასეთი წესებისა და ნორმების შემუშავების პროცესში მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა მუდმივად უნდა იქონიონ მხედველობაში ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები.
2. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეიმუშავონ საშუალებების რაც შეიძლება ფართო სპექტრი და აღჭურვილ სამართალდამცავი პირები სხვადასხვა სახეობის იარაღითა და საბრძოლო მასალებით, რათა მათ ძალისა და საბრძოლო იარაღის დიფერენცირებულად გამოყენების შესაძლებლობა მიეცეთ. ეს გულისხმობს ასევე შესაფერის სიტუაციებში გამოსაყენებელი არასასიკვდილო, მწყობრიდან გამომყვანი იარაღების დამკვიდრებას იმ მიზნით, რომ მეტად შეიზღუდოს ადამიანთა სიკვდილის ან დაზიანების გამომწვევი საშუალებების გამოყენება. ამავე მიზნით, სამართალდამცავ პირებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ აღიჭურვილ ისეთი თავდაცვითი აღჭურვილობით, როგორცაა ფარები, ჩაფხუტები, ტყვიაგაუმტარი ჟილეტები და სატრანსპორტო საშუალებები, რათა შემცირდეს ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენების საჭიროება.
3. არასასიკვდილო, მწყობრიდან გამომყვანი იარაღების განვითარება და გამოყენება ყურადღებით უნდა იქნას გააზრებული, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უდანაშაულო ადამიანების საფრთხის ქვეშ აღმოჩენის რისკი და ასეთი იარაღის გამოყენება მკაცრად უნდა გაკონტროლდეს.
4. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას სამართალდამცავმა პირებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ არაძალადობრივი საშუალებები, ვიდრე ისინი ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას მიმართავენ. ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა საშუალება უშედეგო აღმოჩნდება ან მათი გამოყენებით სასურველი შედეგის მიღწევის იმედი არ არსებობს.
5. როდესაც ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის კანონიერი გამოყენება გარდაუვალია, სამართალდამცავმა პირებმა უნდა:
  - a) შეზღუდონ მათი გამოყენება და იმოქმედონ სამართალდარღვევის სერიოზულობისა და მისაღწევი კანონიერი მიზნის პროპორციულად;

- b) მინიმუმამდე დაიყვანონ ზარალი და ზიანი და პატივი სცენ და შეინარჩუნონ ადამიანის სიცოცხლე;
  - c) რაც შეიძლება დროულად უზრუნველყონ თანადგომა და სამედიცინო დახმარება ყველა დაზარალებული ან იმ ადამიანისათვის, რომელზეც მომხდარმა იმოქმედა;
  - d) უზრუნველყონ, რომ დაზარალებულის ან იმ ადამიანის ნათესავები ან ახლო მეგობრები, რომლებზეც მომხდარმა იმოქმედა, რაც შეიძლება მალე იყვნენ ინფორმირებული.
6. იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაზიანებას ან სიკვდილს იწვევს, 22-ე პრინციპის მიხედვით, მათ ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოახსენონ თავიანთ ზემდგომებს.
  7. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის თვითნებური ან ბოროტად გამოყენების დასჯადობა თავიანთი კანონმდებლობით, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულისა.
  8. გამონაკლისი შემთხვევები, როგორებიცაა, შიდა პოლიტიკური არეულობა ან ნებისმიერი სხვა საზოგადოებისათვის კრიტიკული მდგომარეობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ძირითადი პრინციპებიდან ნებისმიერი გადახვევის გამამართლებელ არგუმენტად.

### *სპეციალური დებულებები*

9. სამართალდამცავი პირებმა ადამიანების წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი იცავენ საკუთარ თავს ან სხვებს სიკვდილის ან სერიოზული დაზიანების გარდაუვალი საფრთხისაგან, ალკეუთენ განსაკუთრებულად საშიში, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი დანაშაულის ჩადენას, აპატიმრებენ ასეთი საფრთხის შემქმნელ ადამიანს, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევს ან ალკეუთენ მის მცდელობას თავი დააღწიოს დაპატიმრებას და მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად გადამწყვეტი საშუალებები ამ მიზნების მისაღწევად საკმარისი არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის სიკვდილის გამოსაწვევად წინასწარ განზრახული გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.

10. მე-9 პრინციპში მოცემული გარემოებების დადგომისას, სამართალდამცავმა პირებმა უნდა განაცხადონ საკუთარი ვინაობა და მისცენ აშკარა გაფრთხილება, რომ აპირებენ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას და უზრუნველყონ საკმარისი დრო იმისათვის, რომ გაფრთხილება აღქმულ იქნას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის გაკეთებით სამართალდამცავი პირები საკუთარ თავს უმიზეზოდ ჩაიგდებენ საფრთხეში ან სხვა ადამიანები აღმოჩნდებიან სიკვდილის ან სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე და ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც ინციდენტის გარემოებებიდან გამომდინარე, ამ წესის დაცვა აშკარად არამართებული ან არამიზანშეწონილი იქნება.

11. სამართალდამცავი პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წესები და ნორმები უნდა მოიცავდეს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც:

a) აკონკრეტებენ იმ გარემოებებს, რომელთა დადგომისას სამართალდამცავი პირები უფლებამოსილი არიან ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი, და ადგენენ დაშვებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების სახეებს;

b) უზრუნველყოფენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება მხოლოდ შესაფერის პირობებში და ისეთი გზით, რომელიც არასაჭირო ზიანის რისკს შეამცირებს;

c) კრძალავენ ისეთი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების გამოყენებას, რომლებიც იწვევს გაუმართლებელი ზიანის მიყენებას ან წარმოქმნის გაუმართლებელ რისკს;

d) არეგულირებენ ცეცხლსასროლი იარაღის გაკონტროლებას, შენახვასა და გაცემას, ისეთი პროცედურების დადგენის ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფს სამართალდამცავი პირების პასუხისმგებლობას მათზე გაცემული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალებისათვის;

e) ითვალისწინებენ გაფრთხილებების მიცემას, თუ ეს შესაძლებელია, ცეცხლსასროლი იარაღით გასროლის წინ;

f) ითვალისწინებენ მოხსენების სისტემას ყოველი იმ შემთხვევის შესახებ, რომლის დროსაც სამართალდამცავი პირები თავიანთი მოვალეობების

შესრულების პროცესში იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს.

*პოლიციური კონტროლი უკანონო შეკრებებზე*

12. ვინაიდან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში მოცემული პრინციპების თანახმად, ყველასათვის დაშვებულია კანონიერ და მშვიდობიან შეკრებებში მონაწილეობის მიღება, მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აღიარონ, რომ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მე-13 და მე-14 პრინციპების მიხედვით.
13. უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებების დაშლისას, სამართალდამცავი პირები უნდა მოერიდონ ძალის გამოყენებას ან, თუ ეს შეუძლებელია, საჭირო მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ ძალის გამოყენების ფარგლები.
14. მოძალადეთა შეკრებების დაშლისას, სამართალდამცავ პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლებად სახიფათო საშუალებები უსარგებლოა, და მხოლოდ აუცილებელ მინიმალურ ფარგლებში. სამართალდამცავმა პირებმა, ასეთ შემთხვევებში, არ უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, თუ არ დაზღვარა მე-9 პრინციპში მოცემული პირობები.

*პოლიციური კონტროლი დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირებზე*

15. სამართალდამცავმა პირებმა დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირებთან ურთიერთობაში არ უნდა გამოიყენონ ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად ან, როცა საშიშროება ემუქრება პირად უსაფრთხოებას.
16. სამართალდამცავმა პირებმა დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირებთან ურთიერთობაში არ უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი იცავენ საკუთარ თავს ან სხვებს სიკვდილის ან სერიოზული დაზიანების გარდაუვალი საფრთხისაგან ან, როდესაც ეს უკიდურესად აუცილებელია იმ დაპატიმრებული ან დაკავებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მე-9 პრინციპში მოხსენიებულ საფრთხეს წარმოშობს.
17. ზემოაღნიშნული პრინციპები ეჭვის ქვეშ არ აყენებს ციხის მესვეურების უფლებებს, ფუნქციებსა და მოვალეობებს, როგორც



ისინი მოცემულია პატიმართა მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში, განსაკუთრებით 33-ე, 34-ე და 54-ე წესებში.

*კვალიფიკაცია, წვრთნა და კონსულტაცია*

18. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა სამართალდამცავი პირი შეირჩეს შემოწმების სათანადო პროცედურების გამოყენებით, ყოველ მათგანს ჰქონდეს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის საჭირო მორალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური თვისებები და მიიღონ ხანგრძლივი და საფუძვლიანი პროფესიული წვრთნა. პერიოდულად უნდა გადამოწმდეს ფუნქციების შესრულებისათვის მათი მუდმივი ვარჯისიანობა.
19. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გააკონტროლონ, რომ ყველა სამართალდამცავი პირი უზრუნველყოფილი იყოს წვრთნით და შემოწმდეს ძალის გამოყენების ცოდნის სათანადო სტანდარტების შესაბამისად. სამართალდამცავ პირებს, რომელთათვისაც ცეცხლსასროლი იარაღის ტარება აუცილებელია, ამის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ იარაღის გამოყენებაში სპეციალური წვრთნის მიღების დასრულების შემდეგ.
20. სამართალდამცავი პირების წვრთნის პროცესში, მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პოლიციის ეთიკისა და ადამიანის უფლებების საკითხებს, განსაკუთრებით გამოძიების პროცესში, ასევე ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ალტერნატივებს, კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების, მასის ქცევის გაგების, დარწმუნების, მოლაპარაკებისა და შუამავლობის მეთოდების ჩათვლით ისევე, როგორც ტექნიკურ საშუალებებს - ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვის მიზნით. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გადაამოწმონ წვრთნის პროგრამები და ოპერატიული პროცედურები კონკრეტულ ინციდენტებზე დაყრდნობით.
21. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა სტრესის შესამცირებლად ხელმისაწვდომი უნდა გახადონ კონსულტაციები იმ სამართალდამცავი პირებისათვის, რომლებსაც უხდებათ მოქმედება ისეთ სიტუაციებში, სადაც ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება.

ანგარიშის ჩაბარებისა და გადამოწმების პროცედურები

22. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ ანგარიშის ჩაბარებისა და გადამოწმების ეფექტური პროცედურები მე-6 და მე-11 (f) პრინციპებში ხსენებული ყველა ინციდენტისათვის. ინციდენტებისათვის, რომელთა შესახებაც ანგარიში ჩაბარებული იქნება ამ პრინციპების შესაბამისად, მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ გადამოწმების ეფექტური პროცედურის ხელმისაწვდომობა და დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და საბრალდებო ორგანოების შესაძლებლობა სათანადო პირობებში განახორციელონ თავიანთი იურისდიქცია. სიკვდილის, სერიოზული დაზიანების ან სხვა მძიმე შედეგების დადგომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ გადამოწმებასა და სასამართლო კონტროლზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს სასწრაფოდ უნდა გაეგზავნოთ დეტალური ანგარიში მომხდარის შესახებ.
23. იმ პირებს, რომლებზეც ზეგავლენა იქონია ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამ, ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ დამოუკიდებელ პროცესზე, სასამართლო პროცესის ჩათვლით. აღნიშნული პირების გარდაცვალების შემთხვევაში, ეს დებულება, შესაბამისად, უნდა გაერთიანდეს მათ ემყოფაზე მყოფ ადამიანებზე.
24. მთავრობებსა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ზემდგომ პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა, თუ მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდეთ, რომ სამართალდამცავი პირები მათი ბრძანებით მიმართავენ ან უკვე მიმართეს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გამოყენებას და მათ არ ამოწურეს მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება ასეთი გამოყენების თავიდან აცილების, დათრგუნვის ან მის შესახებ მოხსენების გაკეთების მიზნით.
25. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არავითარი სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინარული სანქცია არ დაეკისროს იმ სამართალდამცავ პირს, რომელიც სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსისა და ამ ძირითადი პრინციპების შესაბამისად უარს იტყვის ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ბრძანების შესრულებაზე ან რომელიც სხვა პირების ასეთი მოქმედების შესახებ განაცხადებს.
26. ზემდგომთა ბრძანებისადმი მორჩილება გასამართლებელი არგუმენტი არ არის, თუ სამართალდამცავმა პირებმა იცოდნენ, რომ ბრძანება ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ,

რომელმაც ადამიანის სიკვდილი ან სერიოზული დაზიანება გამოიწვია, აშკარად უკანონო იყო და თუ მათ ჰქონდათ გონივრული შესაძლებლობა უარი ეთქვათ მის შესრულებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრებათ ზემდგომებსაც, რომელთაც გასცეს უკანონო ბრძანებები.

## პარიზის პრინციპები

პრინციპებს, რომლებიც შეეხება ეროვნული ორგანიზაციის სტატუსს ანუ “პარიზის პრინციპებს”, დიდი მნიშვნელობა აქვთ; ისინი განსაზღვრავენ “ეროვნული ორგანიზაციის” ცნებებს, აყალიბებენ რა ადამიანის უფლებების ეროვნული კომისიების სტატუსთან და საკონსულტაციო როლთან დაკავშირებულ მინიმალურ სტანდარტებს. ეროვნული ორგანიზაციის წარმომადგენელთა 1991 წლის გაეროს სპონსორობით გამართულ პარიზის შეხვედრაზე დეტალურად იქნა შემუშავებული ეროვნული ორგანიზაციის სტატუსთან დაკავშირებული პრინციპები – ე.წ. “პარიზის პრინციპები”, რაც შემდგომ დაამტკიცა გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიამ და გენერალურმა ასამბლეამ. იგი საფუძვლად დაედო გაეროს საქმიანობას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

“პარიზის პრინციპების” ძირითადი კრიტერიუმებია:

1. სახელმწიფოს ან კონსტიტუციის ძალით გარანტირებული დამოუკიდებლობა;
2. თვითმმართველობის (ავტონომიის) მოსაპობა; ფართო მანდატი (უფლებამოსილებანი) ადამიანის საყოველთაო უფლებების სტანდარტის საფუძველზე;
3. გამოძიების ადექვატური უფლებამოსილებანი;
4. რესურსების საკმარისობა.

ეროვნული ორგანიზაციის სტატუსთან დაკავშირებული პრინციპები – “პარიზის პრინციპები”

კომპეტენცია და პასუხისმგებლობა

1. ეროვნულ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს სათანადო კომპეტენცია, რათა ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები;
2. ეროვნულ დაწესებულებებს უნდა მიეცეს ფართო უფლებამოსილებანი (მანდატი), რომლებიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში და სადაც მითითებული იქნება მათი სტრუქტურა და კომპეტენციის სფერო.

3. ეროვნულ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს შემდეგი პასუხისმგებლობები:

ა) საკონსტიტუციო საფუძველზე წარუდგინოს მთავრობას, პარლამენტსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოს შესაბამისი ორგანოების მოთხოვნით ან საკუთარი უფლებამოსილების ძალით შემდგომი ჩარევის გარეშე მოისმინოს მოსაზრებები, რეკომენდაციები, წინადადებები და ანგარიშები ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა თუ დაცვას; ეროვნულმა ორგანიზაციამ დასაშვებია მიიღოს გადაწყვეტილება მათი გამოქვეყნების შესახებ; ეს მოსაზრებები, რეკომენდაციები, წინადადებები და ანგარიშები, ისევე, როგორც ეროვნული ორგანიზაციის სხვა პრეროგატივა, უნდა მიეკუთვნებოდეს შემდეგ სფეროებს:

1. ნებისმიერ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ დებულებებს, ასევე დებულებებს, რომლებიც შეეხება სასამართლო ორგანოებს, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას და გააფართოოს ადამიანის უფლებების დაცვის არე-ამასთ დაკავშირებით ეროვნულმა ორგანიზაციამ უნდა გადასინჯოს მოქმედი კანონმდებლობა და ადმინისტრაციული დებულებები, კანონპროექტები თუ წინადადებები და წარადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები. ამ კაკონების ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საჭიროების შემთხვევაში, მან რეკომენდაცია უნდა გაუწიოს ახალი კანონმდებლობის მიღებას, მოქმედ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანას და ადმინისტრაციული ღონისძიებების მიღებასა თუ შესწორებას.
2. ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერ ფორმას.

3. ანგარიშების მომზადებას ქვეყანაში, საზოგადოდ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობისა და კონკრეტული საკითხების შესახებ.
  4. მთავრობის ყურადღების მიმართვას ქვეყნის იმ ნაწილისაკენ, სადაც ირღვევა ადამიანის უფლებები, მისთვის წინადადებების წარდგენას ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად და საჭიროების შემთხვევაში მთავრობის პოზიციასა და რეაქციაზე მოსაზრებების გამოთქმას.
- ბ) ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის პარმონიზაცია ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რომლებშიც მონაწილეობს ეს ქვეყანა და მისი განხორციელების უზრუნველყოფას;
- გ) წაახალისოს ზემოხსენებული ხელშეკრულებების რატიფიკაცია ან მათი მიღება და უზრუნველყოს მათი განხორციელება;
- დ) ხელი შეუწყოს იმ ანგარიშების შედგენას, რომელთა წარდგენა ქვეყანას მოეთხოვება გაეროს ორგანოებისა და კომისიებისათვის და რეგიონალური ორგანიზაციებისათვის, მათი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოვალეობების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში, გამოხატონ თავისი მოსაზრებები ამ საგნის შესახებ მათი დამოუკიდებლობის გათვალისწინებით;
- ე) ითანამშრომლოს გაეროსთან და ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან გაეროს სისტემაში, სხვა ქვეყნების რეგიონალურ და ეროვნულ ორგანიზაციებთან, რომლებიც კომპეტენტური არიან ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაში;
- ვ) უზრუნველყოს დახმარება იმ პროგრამის შედგენაში, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებების სწავლებასა და გამოკვლევას და მონაწილეობა მიიღოს მათ

- განხორციელებაში სკოლებში, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ წრეებში;
- ზ) გამოაქვეყნოს ადამიანის უფლებები და შეუწინააღმდეგოს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, სახელდობრ, რასობრივ დისკრიმინაციას, სასოგადოების ცნობიერების ამაღლებით, ინფორმაციისა და განათლების გადაცემის გზით, პრესის გამოყენებით.

დამოუკიდებლობისა და პლიურალიზმის სტრუქტურა და გარანტიები.

1. ეროვნული ორგანიზაციის სტრუქტურის ჩამოყალიბება არჩევნებისა თუ სხვა გზით უნდა მოხდეს ისეთი პროცედურების მეშვეობით, რომლებიც ითვალისწინებს ყველა აუცილებელ გარანტიას, რათა უზრუნველყოფილ იქნას იმ სოციალური ძალების პლიურალისტური წარმომადგენლობა (სამოქალაქო სასოგადოება), რომლებიც მონაწილეობენ ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაში, სახელდობრ, იმ ძალებისა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეფექტური თანამშრომლობის დამყარებას, შემდეგი სფეროების წარმომადგენლების მეშვეობით:
  - ა) არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პასუხიღმებელნი არიან ადამიანთა უფლებების დაცვასა და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლაზე, პროფკავშირები, სპეციალიზებული სოციალური და პროფესიული ორგანიზაციები, მაგალითად, ადვოკატთა, ექიმთა, ჟურნალისტთა და გამორჩენილ მეცნიერთა ასოციაციები;
  - ბ) ფილოსოფიური თუ რელიგიური აზროვნების ტენდენციები;
  - გ) უნივერსიტეტები და კვალიფიციური ექსპერტები;
  - დ) პარლამენტი;
  - ე) სამთავრობო დეპარტამენტი (თუ ასეთი დადასტურდა, მათი წარმომადგელები უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ განხილვებში, საკონსულტაციო სტატუსით).

2. ეროვნულ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ინფრასტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია მისი საქმიანობის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის, სახელდობრ, ადეკვატური დაფინანსება. ამ დაფინანსების მიზანი უნდა იყოს საკუთარი შტატისა და შენობის უსრუნველყოფა, რათა დამოუკიდებელი იყოს მთავრობისაგან და არ დაექვემდებაროს ფინანსურ კონტროლს, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს დამოუკიდებლობას.
3. ეროვნული ორგანიზაციის წევრებისათვის გარანტირებულია სტაბილური მანდატი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მიღწევა. მათი დანიშვნა უნდა მოხდეს ოფიციალური აქტის საშუალებით, რომლითაც დადგინდება მანდატის ხანგრძლივობის ვადა. მანდატი შეიძლება განახლებადი იყოს იმ პირობით, თუი დაცული იქნება ორგანიზაციის პლიურალიზმი.

### მუშაობის მეთოდები

თავისი მუშაობის ფარგლებში ეროვნულ ორგანიზაციას ევალება:

- ა) თავისუფლად განიხილოს ნებისმიერი საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც გადასცა მას მთავრობამ ან თავად მიიღო უმადლესი ორგანოს ჩარევის გარეშე წევრის ან ნებისმიერი განმცხადებლის წინადადებით;
- ბ) მოუსმინოს ნებისმიერ პირს, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და ნებისმიერი დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა მის კომპეტენციაში არსებული საკითხის შეფასებისათვის;
- გ) მიმართოს საზოგადოებრივ აზრს პირდაპირ ან პრესის მეშვეობით, სახელდობრ, თავისი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გამოქვეყნებისათვის;
- დ) მოაწყოს რეგულარული სხდომები საჭიროების მიხედვით ყველა წევრის თანდასწრებით, მათი სათანადო მოწვევის შემდეგ;
- ე) შექმნას სამუშაო ჯგუფი თავისი წევრებისაგან, საჭიროების მიხედვით და დაარსოს რეგიონალური



განყოფილებები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ თავისი ფუნქციების შესრულებაში;

ე) აწარმოოს კონსულტაციები სხვა ორგანოებთან, რომლებიც იურიდიულად თუ სხვაგვარად არიან პასუხისმგებელნი ადამიანის უფლებების ხელშეწყობაზე და დაცვაზე (სახელდობრ, ომბუდსმენთან, მედიატორებთან (შუამავლებთან) და მისთ);

ზ) ეროვნული ორგანიზაციების მუშაობის გაფართოებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნდამენტური როლის გათვალისწინებით განავითაროს ურთიერთობები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა დანიშნულებაა ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და დაცვა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების რასიზმთან ბრძოლა, განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების დაცვა (ბავშვების, ემიგრანტი მუშების, ლტოლვილების, ფიზიკური და გონებრივი ინვალიდების).

ეკაზი – იურიდიული კომპეტენციის მქონე კომისიის სტატუსთან დაკავშირებული დამატებითი პრინციპები

ეროვნულ ორგანიზაციას შეიძლება გააჩნდეს უფლებამოსილება მოისმინოს და განიხილოს საჩივრები და პეტიციები კონკრეტული შემთხვევების შესახებ. საქმე შეიძლება წარმოადგინოს ინდივიდუალურმა პირმა, მათმა წარმომადგენელმა, მესამე მხარემ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პროფკავშირების ასოციაციებმა ან ნებისმიერმა სხვა წარმომადგენლობითმა ორგანიზაციამ. ასეთ სიტუაციაში კომისიის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ზემოთ წარმოდგენილი პრინციპების დარღვევის გარეშე, მათთვის მინიჭებული ფუნქციები შეიძლება ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

- ა) მშვიდობიანი (მეგობრული) გადაწყვეტილება მოლაპარაკების მეშვეობით ან კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში სავალდებულო გადაწყვეტილებებით, ან საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალობის საფუძველზე;
- ბ) პეტიციის წარმომდგენი მხარეებისათვის მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათ განხორციელებაში ხელშეწყობა;

- გ) ყველა საჩივრისა თუ პეტიციის მოსმენა ან მათი გადაცემა ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოსათვის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში;
- დ) კომპეტენტური ორგანოსათვის რეკომენდაციების მიცემა, სახელდობრ, კანონების მარეგულირებელი აქტებისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესწორებისა თუ რეფორმების შეასახებ განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი დაბრკოლებას უქმნიან იმ პირებს, რომლებმაც შეიტანეს საჩივარი საკუთარი უფლებების განმტკიცების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის  
უმაღლესი კომისარი

მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ  
1993 წლის 20 დეკემბერს 48/141-ე რეზოლუციით

გენერალური ასამბლეა, რომელიც

*კიდევ ერთხელ ადასტურებს* თავის ერთგულებას გაერთიანებული ერების  
ქარტიის მიზნებისა და პრინციპებისადმი,

*ბაზს უსვამს* სახელმწიფოთა მოვალეობას, გაერთიანებული ერების  
ქარტიის შესაბამისად, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ადამიანის ყველა  
უფლებისა და ძირითადი თავისუფლების პატივისცემა თითოეულისათვის,  
რასის, სქესის, ენის ან რელიგიის ნიშნით განსხვავების გარეშე,

*ბაზს უსვამს* ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის  
შესრულებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტების სრული  
განხორციელების აუცილებელობას, სამოქალაქო და პოლიტიკური  
უფლებებისა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების  
საერთაშორისო პაქტებისა და განვითარების უფლების დეკლარაციის  
ჩათვლით,

*კიდევ ერთხელ ადასტურებს*, რომ განვითარების უფლება საყოველთაო  
და განუყოფელი უფლებაა, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა  
ძირითად შემადგენელ ნაწილს,

*მხედველობაში იღებს*, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და დაცვა  
საერთაშორისო საზოგადოებრიობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს,

*შეახსენებს*, რომ გაერთიანებული ერების ქარტიით გათვალისწინებული  
ერთ-ერთი მიზანია ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემის  
ხელშეწყობისა და წახალისების სფეროში საერთაშორისო  
თანამშრომლობის მიღწევა,

*კიდევ ერთხელ ადასტურებს* ქარტიის 56-ე მუხლის შესაბამისად ნაკისრ  
ვალდებულებას გაერთიანებულ ერებთან თანამშრომლობით  
განხორციელოს ერთობლივი და დამოუკიდებელი ღონისძიებები ამავე  
ქარტიის 55-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

*ბაზს უსვამს* ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში კონსტრუქციული საერთაშორისო დიალოგისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და განურჩევლობის სახელმძღვანელო პრინციპებად მიღების აუცილებლობას,

*აცნობიერებს*, რომ ადამიანის ყველა უფლება არის საყოველთაო, განუყოფელი, უერთიერადამოკიდებული და ურთიერთკავშირში მყოფი და ამიტომ მათ უნდა მიენიჭოს თანაბარი მნიშვნელობა,

*ადასტურებს* თავის ერთგულებას ვენაში 1993 წლის 14-25 ივნისს მიმდინარე ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებული ვენის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამისადმი,

*დარწმუნებულია*, რომ ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებათა საქმეში და რომ მისი რეკომენდაციები უნდა განხორციელდეს ყველა სახელმწიფოს, აგრეთვე, გაერთიანებული ერების კომპეტენტური ორგანოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების ქმედითი ღონისძიებების საშუალებით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით,

*აღიარებს* ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით სამდივნოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურებისა და ტექნიკური დახმარების, აგრეთვე, გაერთიანებული ერების სისტემის სხვა შესაბამისი პროგრამებისა და ორგანოების გაძლიერების აუცილებლობას,

*მიზნად ისახავს* გააუმჯობესოს, გააძლიეროს და გამარტივებით უფრო მოქმედი გახადოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის არსებული მექანიზმები, უსარგებლო გაორების თავიდან აცილების მიზნით,

*აღიარებს*, რომ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების საქმიანობის რაციონალიზება და გაუმჯობესება აღნიშნულ სფეროში გაერთიანებული ერების მექანიზმის გაძლიერებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვისადმი საყოველთაო პატივისცემის ხელშეწყობის მიზნით,

კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური და სოციალური საბჭო და ადამიანის უფლებათა კომისია პასუხისმგებელი ორგანოები არიან ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკის შემუშავებაზე.

კიდევ ერთხელ ადასტურებს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა მექანიზმის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობას ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნებთან მისი შესაბამისობაში მოყვანისა და კენის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამის შესაბამისად, მისი კოორდინირების, ქმედითობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ყველა ხალხის ბალანსირებული და სტაბილური განვითარების ფარგლებში,

მხედველობაში იღებს კენის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამის მე-18 მუხლის II პუნქტით გათვალისწინებულ რეკომენდაციას,

1. თავისი გადაწყვეტილებით აფუძნებს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის თანამდებობას;
2. ადგენს, რომ:
  - a) უმაღლესი კომისარი იქნება მაღალი მორალური და პიროვნული თვისებების მქონე პიროვნება, რომელიც ფლობს ექსპერტის ცოდნას ან გამოცდილებას ადამიანის უფლებათა სფეროში და გააჩნია ზოგადი განათლება სხვადასხვა კულტურათა შესახებ, რაც აუცილებელია უმაღლესი კომისიის ფუნქციების მიუკერძოებელი, ობიექტური, განურჩეველი და ეფექტური განხორციელებისათვის;
  - b) უმაღლეს კომისარს დანიშნავს გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი და დაამტკიცებს გენერალური ასამბლეა გეოგრაფიული როტაციის პრინციპის შესაბამისად. უმაღლესი კომისიის უფლებამოსილების ვადა არის ოთხი წელი. ერთი და იგივე პირი უმაღლესი კომისიის თანამდებობაზე განმეორებით შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთხელ;
  - c) უმაღლესი კომისარი თავისი რანგით იმყოფება გენერალური მდივნის დაქვემდებარებაში;
3. ადგენს, რომ უმაღლესი კომისარი:
  - a) იფუნქციონირებს გაერთიანებული ერების ქარტიის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა და

საერთაშორისო სამართლის სხვა დოკუმენტების ფარგლებში და მოვალეა პატივი სცეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და შიდა იურისდიქციას და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების შესრულებისადმი საყოველთაო პატივისცემას, იმის აღიარებით, რომ, ქარტიის მიზნებისა და პრინციპებიდან გამომდინარე, ადამიანის ყველა უფლების ხელშეწყობა და დაცვა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ლეგიტიმური ინტერესის საგანია;

b) იხელმძღვანელებს ადამიანის ყველა - სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური - უფლების საყოველთაობის, განუყოფლობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთკავშირის, აგრეთვე, იმ პრინციპით, რომ თუმცა ეროვნული და რეგიონალური თავისებურებები და განსხვავებული ისტორიული, კულტურული და რელიგიური ფონი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, სახელმწიფოთა მოვალეობაა ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის ყველა უფლება და თავისუფლება, თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემის მიუხედავად;

c) აღიარებს ყველა ხალხის ბალანსირებული და სტაბილური განვითარების ხელშეწყობისა და, განვითარების უფლების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად, განვითარების უფლების რეალიზების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანებას;

4. ადგენს, რომ უმაღლესი კომისარი იქნება გაერთიანებული ერების თანამდებობის პირი, ადამიანის უფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების საქმიანობისათვის ძირითადი პასუხისმგებლობით, რომელიც იფუნქციონირებს გენერალური მდივნის უფლებამოსილებისა და ხელმძღვანელობის ქვეშ და რომ გენერალური ასამბლეის, ეკონომიკური და სოციალური საბჭოსა და ადამიანის უფლებათა კომისიის საერთო კომპეტენციის, უფლებამოსილებისა და გადაწყვეტილებათა ფარგლებში, უმაღლესი კომისრის მოვალეობა იქნება;

a) თითოეულის მიერ ყველა სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებით ქმედითი სარგებლობის ხელშეწყობა და დაცვა;

b) ადამიანის უფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების სისტემის უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის გაუმჯობესების მიზნით მათთვის რეკომენდაციების წარდგენა;

- c) განვითარების უფლების რეალიზების ხელშეწყობა და დაცვა და ამ მიზნით გაერთიანებული ერების სისტემის შესაბამისი ორგანოების მხარდაჭერის გაუმჯობესება;
  - d) სამდივნოს ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სხვა შესაბამისი დაწესებულებების მეშვეობით, საკონსულტაციო მომსახურებისა და ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა, დაინტერესებულ სახელმწიფოთა და, შესაფერის სემინარებში, ადამიანის უფლებათა ჩვეულებრივი ორგანიზაციების თხოვნით, ადამიანის უფლებათა სფეროში ღონისძიებებისა და პროგრამების მხარდაჭერის მიზნით;
  - e) ადამიანის უფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ინფორმაციის პროგრამების კოორდინირება;
  - f) აქტიური როლის შესრულება ადამიანის უფლებათა სრული განხორციელებისათვის შექმნილი დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების გადალახვასა და მსოფლიოში ადამიანის უფლებათა შეზღვევის დარღვევების თავიდან აცილებაში, ვენის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამის შესაბამისად;
  - g) ადამიანის უფლებათა პატივისცემის განმტკიცების მიზნით, საკუთარი მანდატის განხორციელებისას მთავრობებთან დიალოგის წარმართვა;
  - h) ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება;
  - i) გაერთიანებული ერების მთელ სისტემაში ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ღონისძიებათა კოორდინირება;
  - j) ადამიანის უფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების მექანიზმის რაციონალიზება, გაუმჯობესება, გაძლიერება და გამარტივება მისი ქმედუნარიანობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით;
  - k) ადამიანის უფლებათა ცენტრზე საერთო ზედამხედველობის განხორციელება.
5. მოითხოვს უმაღლესი კომისრიისაგან საკუთარი საქმიანობის შესახებ, მისი მანდატის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კომისიისა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით, გენერალური ასამბლეისათვის ყოველწლიური ანგარიშების წარდგენას;
6. ადგენს, რომ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის შტაბ-ბინა განლაგებული იქნება ჟენევაში, ხოლო საკონტაქტო ოფისი - ნიუ-იორკში;

7. მოითხოვს გენერალური მდიენისაგან, გაერთიანებული ერების მიმდინარე და მომავალი რეგულარული ბიუჯეტის ფარგლებში, უზრუნველყოს უმაღლესი კომისარი შესაბამისი შტატებთა და რესურსებით მისი მოვალეობის განსახორციელებლად, გაერთიანებული ერების საქმიანობისა და განვითარების პროგრამებიდან რესურსების გადანაწილების გარეშე;

8. ასევე, გენერალური მდიენისაგან მოითხოვს წინამდებარე რეზოლუციის განხორციელების თაობაზე წარუდგინოს ანგარიში გენერალურ ასამბლეას მის ორმოცდამეცხრე სესიაზე.



დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის  
შესახებ

მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ  
1993 წლის 20 დეკემბრის 48/104 რეზოლუციით

გენერალური ასამბლეა, რომელიც

აღიარებს ქალის მიმართ ადამიანის თანასწორობის, უშიშროების, თავისუფლების, პიროვნულ ხელშეუხებლობასა და ღირსებასთან დაკავშირებული უფლებებისა და პრინციპების საყოველთაო გამოყენების გადაუდებელ აუცილებლობას,

აღნიშნავს, რომ ეს უფლებები და პრინციპები გამოხატულია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ და კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ,

აღიარებს, რომ ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის ეფექტური იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრას და წინამდებარე რეზოლუციით წარმოდგენილი დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის შესახებ გააძლიერებს და დაასრულებს ამ პროცესს,

შეშფოთებულია, რომ ქალის მიმართ ძალადობა აბრკოლებს თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარების მიღწევას, როგორც ეს აღიარებულია ნაირობის სამომავლო სტრატეგიაში ქალის როლის გაძლიერების შესახებ, რომელშიც რეკომენდირებული იყო ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველი ღონისძიებები, და ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის სრულ იმპლემენტაციას,

ადასტურებს, რომ ქალის მიმართ ძალადობა წარმოადგენს ქალის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას და ამცირებს ან შეუძლებელს ხდის მის მიერ ამ უფლებებითა და თავისუფლებებით

სარგებლობას, და შეშფოთებულია ხანგრძლივი წარუმატებლობით ქალის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით ამ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და ხელშეწყობის საკითხში,

აღიარებს, რომ ქალის მიმართ ძალადობა წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ისტორიულად არათანაბარი ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოხატულებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა ქალზე მამაკაცის დომინირება და ქალის დისკრიმინაცია მამაკაცის მხრიდან და ქალის როლის სრული განვითარების თავიდან აცილება, და რომ ქალის მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალი, მამაკაცთან შედარებით, ექცევა დაქვემდებარებულ პოზიციაში,

შეშფოთებულია, რომ ზოგიერთ ჯგუფს მიკუთვნებული ქალები, როგორებიც არიან: უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენელი, აბორიგენი, ლტოლვილი, მიგრანტი, სოფლად ან შორეულ თემებში მცხოვრები, აგრეთვე, თავისუფლებადკვეთილი ქალები, პატიმრობაში მყოფი ქალები, მღვდრობითი სქესის ბავშვები, ინვალიდი, ხანშიშესული და შეიარაღებულ კონფლიქტში მოხვედრილი ქალები, ძალადობისაგან განსაკუთრებულად დაუცველი არიან;

შეახსენებს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1990 წლის 24 მაისის 1990/15 რეზოლუციის დანართის 23-ე მუხლის დასკვნით ნაწილს, რომლის თანახმადაც, იმ ფაქტის აღიარებას, რომ ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის მიმართ ძალადობა ადვილად გავრცელებადია და დაკავშირებულია მის შემოსავლთან, საზოგადოებრივი ფენისადმი კუთვნილებასა და კულტურასთან, თან უნდა ახლდეს სწრაფი და ეფექტური ზომების გატარება არსებული მდგომარეობის აღმოსაფხვრელად.

შეახსენებს აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1991 წლის 30 მაისის 1991/18 რეზოლუციას, რომლითაც საბჭო რეკომენდაციას უწევდა საერთაშორისო დოკუმენტის მონაზნის შექმნას, რომელიც შეეხებოდა უშუალოდ ქალის მიმართ ძალადობის საკითხს;

მიესალმება იმ როლს, რომელსაც ქალთა მოძრაობა თამაშობს ქალის მიმართ ძალადობის პრობლემის ხასიათის, მისი სისასტიკისა და მნიშვნელოვანებისადმი საზოგადოების მზარდი ყურადღების მიპყრობაში;

შემფრთხილებულია იმ ფაქტით, რომ ქალისათვის საზოგადოებაში სამართლებრივი, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევის შესაძლებლობები შეზღუდულია, inter alia, გამუდმებული და საფუძვლიანი ძალადობის შედეგად;

დარწმუნებულია, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებობს ქალის მიმართ ძალადობის ნათელი და ამომწურავი დეფინიციის, აგრეთვე, იმ უფლებათა ნათელი ჩამონათვალის არსებობის აუცილებლობა, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ქალის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის ლიკვიდაციისათვის, ასევე, სახელმწიფოთა და, ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევის აუცილებლობა საკუთარი ვალდებულებების შესრულებისა და ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციისათვის,

საზეიმოდ აცხადებს წინამდებარე დეკლარაციას ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის შესახებ და მოითხოვს მთელი ძალისხმევის მიმართვას, რათა ის გახდეს საყოველთაოდ ცნობილი და პატივცემული:

## მუხლი 1

ამ დეკლარაციის მიზნებისათვის ტერმინი - "ქალის მიმართ ძალადობა", ნიშნავს სქესის ნიშნით ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომლის შედეგადაც ქალს როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში მიადგა ან შეიძლება მიადგეს ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა, აღნიშნული მოქმედების ჩადენის მუქარის, იძულების ან თავისუფლების უკანონო აღკვეთის ჩათვლით.

## მუხლი 2

ქალის მიმართ ძალადობა გულისხმობს, მაგრამ არ მოიცავს მხოლოდ:

- a) ოჯახში აღმოცენებულ ფიზიკურ, სქესობრივ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, მათ შორის ცემას, მდებრობითი სქესის ბავშვების სქესობრივ შეურაცხყოფას, თანდაყოლილ მიღრეკილებასთან დაკავშირებულ ძალადობას, გაუპატიურებას მეუღლის მხრიდან, ქალის გენიტალიების მოკვეთასა და სხვა ტრადიციულ პრაქტიკას, რომელიც საზიანოა ქალისათვის, ოჯახისგარე და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ძალადობას;
- b) საზოგადოებრივ სფეროში აღმოცენებულ ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, გაუპატიურების, სქესობრივი შეურაცხყოფის, სამსახურში, სასწავლო დაწესებულებებში და ნებისმიერ სხვა ადგილას სქესობრივი თავდასხმისა და იძულების

ჩათვლით, ქალის იძულებით დაქირავებულ შრომას და იძულებით ექსპლუატაციას;

- c) სახელმწიფოს მიერ ჩადენილ ან ნებადართულ ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, აღმოცენების ადგილის მიუხედავად.

### მუხლი 3

ქალს უფლება აქვს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში თანაბრად ისარგებლოს ადამიანის ყველა უფლებითა და თავისუფლებით და დაცული იყოს მისი ყველა უფლება და თავისუფლება. ამ უფლებებში იგულისხმება, *inter alia*:

- a) სიცოცხლის უფლება;
- b) თანასწორობის უფლება;
- c) უფლება პიროვნების თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე;
- d) კანონის მიერ თანაბარი დაცვის უფლება;
- e) დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან თავისუფლება;
- f) უფლება ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე;
- g) უფლება შრომის სამართლიან და ხელსაყრელ პირობებზე;
- h) უფლება არ დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს.

### მუხლი 4

სახელმწიფოებმა უნდა დაგმონ ქალის მიმართ ძალადობა და არ მოუხმონ ჩვეულებას, ტრადიციას ან რელიგიურ შეხედულებას ძალადობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული მოვალეობების თავიდან აცილების მიზნით. სახელმწიფოებმა, ყველა შესაფერისი საშუალებებით და დაყოვნების გარეშე, უნდა მისდინონ ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის პოლიტიკას და ამ მიზნით:

- a) განიხილონ, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის რატიფიცირების ან. მასთან მიერთების ან აღნიშნული კონვენციის მიმართ მათ მიერ გაკეთებული დათქმების გაუქმების შესაძლებლობა;
- b) თავი შეიკავონ ქალის მიმართ ძალადობაში მონაწილეობისაგან;
- c) გამოიყენონ *due diligence* ქალის მიმართ ძალადობის აქტების თავიდან აცილების, საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გამოძიებისა და დასჯისათვის, მიუხედავად იმისა, აღნიშნული აქტები ჩადენილია სახელმწიფოს თუ კერძო პირების მიერ;

- d) გაითვალისწინონ სისხლის სამართლის, სამოქალაქო, შრომისა და ადმინისტრაციული სანქციები ეროვნული კანონმდებლობით, დამნაშავეის დასჯისა და ძალადობის მსხვერპლი ქალის მიმართ მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის; ძალადობის მსხვერპლი ქალები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მართლმსაჯულების მექანიზმებისა და მიყენებული ზიანისათვის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლიანი და ეფექტური ანაზღაურების ხელმისაწვდომობით;
- e) განიხილონ ძალადობისაგან ქალის დაცვის ხელშესაწყობად ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა ან ჩართონ შესაბამისი დებულებები უკვე არსებულ გეგმებში, ამ საკითხში თანამშრომლობისათვის ქალის მიმართ ძალადობის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გათვალისწინებით;
- f) შეიძუშაონ ყოვლისმომცველი პრევენციული მიდგომა და დაენერგონ სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან ქალის დაცვას, და უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს ქალის რევიქტიმიზაცია გენდერული პრობლემისადმი კანონის უყურადღებობის, მისი გამოყენების პრაქტიკის ან სხვაგვარი ჩარევის შედეგად;
- g) უზრუნველყონ, ხელმისაწვდომი წყაროებიდან გამომდინარე, მაქსიმალური მოცულობით, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და, შეძლებისდაგვარად, მათი ბავშვებისათვის სპეციალური დახმარების გაწევა, კერძოდ, მათი რეაბილიტაცია, დახმარება ბავშვის შენახვისა და აღზრდისათვის, მკურნალობა, კონსულტაცია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურება, შესაძლებლობები და პროგრამები ისევე, როგორც დახმარების სტრუქტურები, და მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა მათი უსაფრთხოებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისათვის;
- h) სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინონ შესაბამისი წყაროები ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის;
- i) მიიღონ ზომები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, გამოძიებასა და დასჯაზე პასუხისმგებელი სხვა სახელმწიფო მოხელეებისათვის აღნიშნულ საკითხებზე შესაბამისი წვრთნის ჩატარების უზრუნველსაყოფად;

- j) მიიღონ ყველა შესაფერისი ზომა, განსაკუთრებით განათლების სფეროში, ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალური და კულტურული მოდელების შესაცვლელად და რომელიმე სქესის უპირატესობის იდეასა და ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული როლის შესახებ წარმოდგენებზე დაფუძნებული წინააღმდეგობების, ჩვეულებითი და სხვა პრაქტიკის აღმოსაფხვრელად;
- k) ხელი შეუწყონ კვლევას, მონაცემების შეგროვებასა და სტატისტიკის წარმოებას ქალის მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობის შესახებ, და წაახალისონ კვლევა ქალის მიმართ ძალადობის გამოძწევი მიზეზების, ხასიათის, სერიოზულობისა და შედეგების, აგრეთვე, მისი აღმოფხვრის ან თავიდან აცილებისათვის მიღებული ზომების ეფექტურობის თაობაზე;
- l) მიიღონ ზომები ძალადობის აღმოსაფხვრელად იმ ქალთა მიმართ, რომლებიც ძალადობისაგან განსაკუთრებით დაუცველი არიან;
- m) გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტების შესაბამისად, ჩართონ წარმოდგენილ ანგარიშებში ინფორმაცია ქალის მიმართ ძალადობის შესახებ და წინამდებარე დეკლარაციის იმპლემენტაციისათვის მიღებული ზომების თაობაზე;
- n) წაახალისონ შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნა ამ დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპების იმპლემენტაციის ხელშეწყობისათვის;
- o) აღიარონ ქალთა მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოს მასშტაბით ქალის მიმართ ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და აღნიშნული პრობლემის შემსუბუქების საკითხში;
- p) ხელი შეუწყონ და გააუმჯობესონ ქალთა მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და ითანამშრომლონ მათთან ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე;
- q) წაახალისონ სამთავრობათაშორისო რეგიონალური ორგანიზაციები, რომლის წევრებიც არიან, რათა მათ თავიანთ პროგრამებში, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინონ ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის საკითხი.

## მუხლი 5

გაერთიანებული ერების სისტემის ორგანოებმა და სპეციალიზებულმა დაწესებულებებმა, მათი კომპეტენციის ფარგლებში, საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ ამ დეკლარაციით გამოცხადებული უფლებებისა და პრინციპების აღიარებასა და განხორციელებაში და ამ მიზნით, *inter alia*:

- a) ხელი შეუწყონ საერთაშორისო და რეგიონალურ თანამშრომლობას ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონალური სტრატეგიის შემუშავების, გამოცდილებათა გაზიარებისა და ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პროგრამების დაფინანსების მიზნით;
- b) ხელი შეუწყონ შეხვედრებისა და სემინარების ჩატარებას ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად;
- c) ხელი შეუწყონ თანამშრომლობას და გამოცდილებათა გაზიარებას გაერთიანებული ერების სისტემაში ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო ორგანოებს შორის ქალის მიმართ ძალადობის თემის ეფექტური გადაწყვეტის მიზნით;
- d) გაერთიანებული ერების სისტემის ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანალიტიკურ გამოკვლევებში შეეტანონ ინფორმაცია სოციალური ტენდენციებისა და პრობლემების შესახებ, როგორებიცაა: პერიოდული ანგარიშები მსოფლიოში სოციალური მდგომარეობის შესახებ, გამოკვლევები ქალის მიმართ ძალადობის ტენდენციების თაობაზე;
- e) ქალის მიმართ ძალადობის თემის მიმდინარე პროგრამებში ჩართვის მიზნით, წახალისონ თანამშრომლობა გაერთიანებული ერების სისტემის ორგანოებსა და ორგანიზაციებს შორის ძალადობისაგან განსაკუთრებით დაუცველ ქალთა კატეგორიაზე ყურადღების გამახვილებით;
- f) ხელი შეუწყონ ქალის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების შემუშავებას ამ დეკლარაციით გათვალისწინებული ღონისძიებების მხედველობაში მიღებით;
- g) ადამიანის უფლებათა დოკუმენტების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, განიხილონ ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის საკითხი, როგორც შესრულებისთვის აუცილებელი ელემენტი;
- h) ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ქალის მიმართ ძალადობის საკითხის გადასაწყვეტად.

• მუხლი 6

ამ დეკლარაციაში არაფერი ახდენს გავლენას რაიმე დებულებაზე, რომელიც უფრო ქმედითია ქალის მიმართ ძალადობის ლიკვიდაციის მიმართ და რომელსაც შეიძლება შეიცავდეს რომელიმე სახელმწიფოს კანონმდებლობა ან მისთვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი.